

ზეზვა მედულაშვილი

გზისა და ლექსის  
უმაღლესობა



თბილისი 2020

## მზისა და ლექსის უმაღლესობა

ეძღვნება მწერლის, მთარგმნელის, პიროვნების – ზეზვა მედულაშვილის 80 წლისთავს. წიგნში მოცემულია ზეზვა მედულაშვილის პოეზია, კაფიები, ექსპრომტები, სხვადასხვა ენიდან რჩეული თარგმანები; მოგონებები; წერილები, რეცენზიები

### The Supremacy of Sun and Verse

The volume, dedicated to the 80th birthday of Zezva Medulashvili \_ writer, translator and individuality \_ offers his poetry as well as some of his humorous rhymes and improvised lines together with the selected translations made by him from different languages. One can also find memories, letters and reviews dealing with his works.

პროექტის ავტორი –	მაყვალა გონაშვილი
რადაქტორი –	ზაალ ბოტკოველი
შემდგენლები –	კამილა, ნიკოლოზ, ზურაბ მედულაშვილები
კონსულტანტი –	ლევან ბრეგაძე
დიზაინერი –	გიორგი ჩიქვინიძე

გამომცემლობა „მწიგნობარი“

## სარჩევი

მზისა და ლექსის უმაღლესობა .....	7
ადგილის დედის მონატრება.....	15
.....	15
ადე, ამირან! .....	17
* * *(გული არ უნდა...) .....	18
წარწერა პატარძლისთვის .....	19
ნაჩუქარ „გეფხისტყაოსანზე“ .....	19
წერილი სიყრმის მეგობარს სოფელში .....	20
დამე მინდორში .....	21
* * *(გულო, ერთხელაც...) .....	23
* * *(ეს გაზაფხულიც მოვიდა...) .....	24
მტერ-მოყვარეებს.....	25
ძალი .....	27
* * *(სიზმარეული იყა...) .....	30
* * *(მშვიდი მწუხრი,,) .....	31
შეყვარებულისგან ნაღალატევ დაქალს ი.ვ.-ს.....	32
ლექსები – ჩანერილი ექიმ .....	33
ნანა ჭევიას ბლოკნოტში .....	33
(ბიჭვინთა).....	33
ნოემბერი.....	34
აუხდენელი რომანტიკა.....	35
შაშვის გალობა მტრედების ფოსტით .....	36
1984 .....	37
ინილო-ბინილო.....	37
შეხვედრა ძველ მუზასთან.....	38
ჩემს გიორგის .....	39
ნინოს – ჩემს შეილიშვილს .....	39
მეზობლის პატარა გოგონას .....	41
უშანგი სახლთხუციშვილს .....	41
ბიჭვინთის სანატორიუმის სასადილოდან .....	44
* * *(ჩემო ნომად, იუბილეს) .....	45
* * * (მოგილოცავ, ჩემო ზაზა...) .....	45
სევდიანი სონატა.....	47
საულია .....	48
“მეგობრობის მატარებელი“ .....	49
დევიზი „მეგობრობის მატარებელი“ .....	50
ლ.ო.-ს .....	50
ელისოს – მადლიერი ზეზვასაგან.....	50
გათბილისებულ მოხევე ბანოვანს.....	51
სამსახურებრივი ფლირტის ლექსპრომტი.....	52
ბიჭვინთა, მწერალთა სახლი, მარტის გასული .....	52

მეგობარ პოეტესას.....	53
ქეშაი და დიდებაი ქართველ ქალსა .....	53
ნინო მანაგაძეს.....	53
ნინო მანაგაძისადმი მიძღვნილი .....	54
* * *(იბლიოთეკა, სახლი და ძილი,..)	54
პანია ელენეს ზეზვა პაპასგან .....	55
ნაუცბათევად ნათქვამი: .....	55
* * *(რად მომაგონდა უტიოსოვი...) .....	55
მოცარტი .....	56
ზეზვაურები .....	57
პოეტური თარგმანები .....	103
დიდ ხარ შენ, ღმერთო .....	105
მედროშე .....	105
* * *(გზა დამიცალეთ!..)	106
ხე სახურავზე .....	107
ჰაინრიხ ჰაინრიხ საფლავი პარიზში .....	108
რუდაქი .....	109
ბაბა თაჭერი ურიანი .....	110
ომარ ხაიამი .....	112
საადი .....	122
ჰაქეზი .....	122
* * *(სატრაფოს ხილვა...)	116
ყაზალი .....	122
მახთუმყული .....	124
თურქმენთა .....	124
ალიშერ ნავო .....	126
* * *(თუ სატრაფო...)	126
სადრიდინ აინი .....	126
* * *(რომელი ვარდიც ბალში...)	126
საბაჲთინ ალი .....	127
ქალის გამტაცებელი .....	127
მაპმადიან მესხთა ფოლკლორი .....	128
ნასიმი .....	130
თუიუქები .....	130
ფუზული .....	137
ვაგიფი .....	139
ლეონ ბატონიშვილზე, ერეკლეს ძეზე .....	141
* * *(„მეფეს რა ტურფა ვაჟი ჰყავს...)	141
* * *(ერთ ეშმას ფანდიანს,..)	142
ზარებით .....	143
ვიცანი .....	143
* * *	144
სულეიმან რუსტამი .....	145

შენ თუ გინდა, ნუ გეყვარები .....	145
მკერდყარამფილინ პოეტს .....	146
მამედ არაზი .....	146
დედის წლოვანება .....	147
სიღიადისთვის ნასროლი ტყვია .....	147
მოხუცი და ზღვა.....	149
პაემანზე მისვლისას .....	149
„ქოროლლი“ .....	150
აზებაიჯანული ბაიათები .....	158
საიათნოვა .....	170
ეს რა მამივიდა.....	170
ნურასა სთხოვ .....	172
ამბობენ .....	173
ქამანჩა .....	174
გიყვარდეს.....	175
თვალნარბი რომ მოგიზიდავს.....	176
ნეტავ გული ვინ ჩაგიდგა .....	177
ბეზარს მამიყვანა! .....	178
ვაჰან ტერიანი .....	179
* * *(რა ნაზი ხარ,..)	179
ტრიოლეტი .....	179
ტრიოლეტი .....	180
ღაზელი .....	181
შირაკის ველებზე .....	181
ელიშე ჩარენცი .....	182
* * *(ბევრნაირა ლექსი მითქვამს) .....	182
* * *(ო, მოიგონე, გიყვარდა როგორ...) .....	182
* * *(ჩემი ტკბილი ჰასტნის ენა..) .....	183
ოვანეს შირაზი .....	183
სიყვარულის სიმღერა .....	184
* * *	185
შენი სახელი .....	185
ძველი არღანი და მაგნიტოფონი .....	189
იღუმალი მოხუცი .....	191
დედა .....	193
ჰამბალის მასლაათები .....	194
მე და ის .....	200
„დაკარგული კაცის“ დღიური.....	200
მე .....	200
ის .....	205
შვილის სიყვარული და დიდსულოვნება .....	213
აი, ეგ არაფერი – მე ვარ! .....	219
ქალწულის კოშკი.....	220

მცირე რამ რომანტიკა .....	223
მირდანისობის .....	229
ბინადარი .....	229
წერილებიდან მწერლობის შესახებ.....	231
ამონარიდები ზეზვა მედულაშვილის .....	231
საიათონვა .....	235
შვილის სიყარული და დიდსულოვნება .....	213
აი, ეგ არაფერი – მე ვარ!.....	219
ქალწულის კოშკი.....	220
მცირე რამ რომანტიკა .....	223
მარადისობის .....	229
ბინადარი .....	229
ამონარიდები ზეზვა მედულაშვილის .....	231
წერილებიდან მწერლობის შესახებ.....	231
საიათონვა .....	235
ლენინგრადის სახელმწიფო სალტიკოვ-შჩედრინის საჯარო ბიბლიოოთეკის	
ხელნაწერთა ფონდი, იოანე ბატონიშვილის ფონდი, ხელნაწ. N44. გვ 6V.....	239
ზეზვა მედულაშვილის მონაცყოლი .....	244
მედულაშვილებზე და არაშენდაზე .....	244
რას ნიშნავს ჩემთვის სოფელი.....	250
ჩემი სოფელი .....	257
ინტერვიუ ზეზვა მედულაშვილთან.....	264
საიათონვა ქართულად .....	274
„ათას ერთი აზერბაიჯანული ბაიათი“.....	287
ათას ერთი აზერბაიჯანული სიპრძნე.....	289
„ქოროლის ეპოსი“ ქართულად, .....	299
აზერბაიჯანული ეპოსი – „ქოროლი“ .....	303
ჰრანტ მათევოსიანის მრანაში .....	306
„მწვანე მინდორი“, „აგვისტო“ .....	306
ქართულად ამეტყველებული ანტარამეჯი .....	309
პირველი გაცნობის სიხარული .....	318
წინასიტყვაბაბა წიგნიდან „ჩვენი ზეზვა“, .....	322
ზეზვა მედულაშვილი – .....	323
მწერალი, მთარგმნელი, პიროვნება .....	323
„აღმოსავლური მზეჭრელი“ .....	334
„აღმოსავლური მზეჭრელის“ .....	337
თაგპრუდამხვევი კალეიდოსკოპი .....	337
ზეზვასთან ერთად აშხაბადში .....	345
მოგონება .....	347
ზეზვა მედულაშვილის ბიბლიოგრაფია .....	348
ზოგიერთი ცნობა ზეზვას შესახებ .....	350

## მზისა და ლექსის უმაღლესობა

„ყოველი წესიერი კაცი თავისი სამშობლოს, თავისი ხალხის შემაწევარი უნდა იყოს, რითაც, როგორც და რა ზომითაც შეუძლია, რაღა თქმა უნდა, თავისი ნიჭის, ცოდნისა და უნარის კვალობაზე: თანაც კარგია, ეყოს შემომქმედ კაცს გონიერება, პატიოსნება და პირუთვნელობა საკუთარ შესაძლებლობათა სწორად შეფასებაში, რომ ის თავისი ნიჭი, ცოდნა და უნარი სწორებ იმ სარბიელზე გამოიყენოს, სადაც უფრო უპრიანი იქნება მისთვის და მისი ქვეყნისათვის“.

შეიძლება თამამად, დაბეჯითებით, სრული პასუხისმგებლობით ითქვას, რომ ამ სტრიქონების ავტორმა ზუსტად განსაზღვრა თავისი ლიტერატურული პოტენციალი, შესაძლებლობანი და თავის საესავ სამშობლოს, მშობლოურ სიტყვაკაზმულ ლიტერატურას იმ სფეროში, იმ ჟანრში ემსახურა, სადაც ყველაზე უფრო საჭირო იყო, სადაც ყველაზე უფრო ხელენიფებოდა თვისი მწერლური ნიჭიერების, დიახაც რომ ფეიერვერკული ნიჭიერების გამოვლენა.

ზეზვა მედულაშვილი.

ოქროს ასოებით რომ ჩანერა თავისი გვარ-სახელი ქართული მთარგმნელობითი სკოლის მატიანეში, როგორც მისმა ერთ-ერთმა მშვენებამ და სიამაყებ.

მერწმუნეთ, მსგავსი დამკვიდრება ქართულ მთარგმნელობით პანთეონში, რომელიც ფსალმუნების სულისშემძღვრელი თარგმანების სურნელებითაა გაუდენთილი, რომელსაც დიდი ათონელი ბერების ნათელი ადგას, რთულზე რთული ამოცანაა, თითქმის შეუძლებელი, მაგრამ ზეზვა მედულაშვილმა ეს შესძლო, შესძლო იმიტომ, რომ ჯერ ერთი, დათიური ნიჭით იყო მაღლმოსილი, იმიტომაც, რომ ქართული ენის წიაღში იდგა და იქიდან ამოათავთავებდა ხოლმე ისეთ მარგალიტებს, ისე მოხდენილად მიმოხრიდა ხოლმე მის უდიდებულესობა ქართულ სიტყვას, გეგონებიდათ, მათთან ერთად ამოიზარდაო საუკუნეების ულრანებიდან. კიდევ იმიტომაც შესძლო, რომ თითქმის ძირისძირობამდე იცნობდა იმ ენებსაც, საიდანაც თარგმნიდა – რუდაქისა და ომარ ხაიამს, საადისა და პაფეზს, ნასიმისა თუ ფუზულის, ვაგიფისა თუ სამედ ვურლუნს, საიათნოვასა თუ ავეტიც ისააკიანს, ოვანეს თუმანიანსა თუ ვაპან ტერანს, ალმერ ნავოისა თუ ელმერ ჩარენცის, რასულ გამზათოვსა თუ კოსტა ხეთაგუროვს, თარგმნიდა გატაცებით, გზნებით, დაგემოვნებით. მთელი არსებით გადაეშვებოდა ხოლმე ამ პოეტთა ენობრივ სტიქიაში და ბედნიერი იყო, როცა მისი შერკინება წარმატებით დასრულდებოდა ხოლმე, აკი თავადაც წერდა მხატვრული თარგმანისა და მთარგმნელის მისიაზე:

“..... ლიტერატურა ხომ დიდი სილამაზე და სიკეთეა. ყოველი ერიც ხომ

თავისი ლიტერატურის, თავისი ენის სახით საკუთარ სიკეთეს ეფოფინება, მაგრამ განა ცუდია სხვის სიკეთეს შენი შეაგებო, შენსას – სხვისი, როგორც ირემმა ირემს ბალახი გაუწოდა? ცუდი კი არა, კარგია, ძალიანაც კარგი. აი, ამისთვის ვცდილობ, შეძლებისდაგვარად. ჩემი სარგებელიც ეს არის, ხოლო თუ ჩემმა სიტყვამ, ჩემი თარგმანის ერთმა პჩეარმაც კი ვინმეს სიხარული ან ტკივილი მოჰვევარა, საერთოდ, სიკეთეს აზიარა, მაშინ ჩემი სარგებელიც იქნება და მისიც. ამ ორმხრივ სიხარულს კი ქვეყნად არაფერი შეედრება, რადგან კაცი ბედნიერი მაშინ არის, როცა სიხარული გაზიარებულია".

ასე ალალად, გულწრფელად გამოხატა ზეზვა მეღულაშვილმა თავისი დამოკიდებულება მხატვრული თარგმანის დანიშნულებაზე და დარწმუნებული ვარ, სწორად ასეთი პოზიციის გამო არაერთი სიხარული და სიყვარული წვევია, გული გაუნათებია და დაუვინწყებია მისთვის ის ცხოვრებისული შეჭირვებანი, მის არსებობას რომ დაედარა ათწლეულების განმავლობაში.

უფრო მეტიც. თითოეული ზეზვასეული თარგმანი თავად ზეზვას ამაღლებდა, ზრდიდა მის თვალსაწიერს, ჩამოქნიდა და ახალი ფერადებით აა-ელვარებდა ხოლმე მის შემოქმედებით პოტენციალს, არსენალს და ახალი, დაუცხრომელი ძიებებისა და გამარჯვებებისკენ ამზადებდა. სხვანაირად არც შეიძლებოდა ყოფილიყო, თვალი შეავლეთ ომარ ხაიამის ამ სტრიქონებს:

ნამოდექ, ტურფავ, ტანი ჩვენთვის მოილერნამე,  
თუნდ ერთი წამით, ყოფა კვლავაც გაგვიერთნამე,  
მოგვართვი ლვინო, ჩვენც გვასვი და თვითაც იგემე,  
ჩვენივ თიხისგან სანამ დოქად ჩამოგვძერნავე.

მართლაც რა ბრწყინვალედ, რა დიდოსტატურად ჩამოძერნა და ჩამოქნა ზეზვა მეღულაშვილმა მსოფლიო პოეზიის კაშკაშა ვარსკვლავის სტრიქონები. ამ შემთხვევაში, მარტო ის კი არ გვახსენდება, რომ ამაოება ამაოთა და ყოველივე ამაო არს, არამედ ამ ამაოებასთან შერკინების სურვილიც გვიჩნდება და, სულო ცოდვილო, შეიძლება უნიბლიერ მკრეხელურმა აზრმაც კი დაგვაფიქროს იმაზე, რომ ნუთუ დედანშიც ასე გენიალურად ულერს ეს რობაია.

ერთადერთ მაგალითს კიდევ მოგიყვანთ და ამით დავასრულებ, თორემ . . . ნახეთ როგორ ულერს სპარსული პოეზიის კიდევ ერთი გიგანტიც, XIII საუკუნეში ვეება ვულკანურ მთასავით რომ ამოიზარდა. სააღიზე მოგახსენებთ, ბატონებო.

გულო უწყოდე მეგობარი სამი ჯურისა:  
ერთი სულისა, ერთი – ენის, ერთი – პურისა;  
პურის მეგობარს პურმარილით ეცი პატივი,

ენისას – ენით გაუქარვე დარღი გულისა,  
ხოლო მიაგე სული შენი – სულის სახაცვლოდ,  
თუკი ოდესმე მეგობარი ჰპოვო სულისა.

ის, რაც ამ ლექსშია ნათქვამი, კაცების, ოლონდ უპირობოდ ნაღდი კაცების რანძულ კოდექსს წარმოადგენს. აკი ზეზვაც ამ კოდექსს იცავდა მთელი თავისი უმშვენიერესი სიცოცხლის განმავლობაში (რა თქმა უნდა, რუსთველის ავთანდილისეულ შეგონებებთან ერთად...). რაც საადის აწუხებდა ამ შვიდი უგრძესი საუკუნის ნინ, აწუხებდა ზეზვასაც თუნდაც იმიტომ, როგორც საადი ექცებდა ამაოდ სულის მეგობარს, ისე ზეზვასაც ამ ბავშვივით სუფთა და უწრფელესი სულის პატრონს უჭირდა მილეთის ხალხში ისეთი პიროვნების გამორჩევა, რომლისთვისაც არა „მე“ იქნებოდა მთავარი, არა-მედ – „ჩვენ“.

ასეთი თარგმანებითაა სავსე ზეზვასეული ჯადოქრული კიდობანი, რომელიც ჯერ კიდევ მოელის მისი ცხრაკლიტულების ამხსნელსა და ჯეროვნად დამგემოვნებელს. ერთი კია, ამ თარგმანების გაცნობის შემდეგ, არ შეიძლება არ იფიქრო, რომ ზეზვა მედულაშვილი – მთარგმნელი, ამავე დროს, მეტოქე კი იყო იმ დიდოსტატების, ვისაც თარგმნიდა. თავადაც აღიარებდა „...თარგმანი შეილივით არის. ზოგს თავისი თავი მოსწონს თარგმანში...რაკი პატიოსანი მთარგმნელი ვარ, ამას ვაღიარებ და არა მრცხვენია...“ უნდა შეეჯიბრო, მთარგმნელი არის პოეტის – დედნის ავტორის მეტოქე, იგივე „ქოროლი“ ისეთი სიყვარულითა მაქვს გაკეთებული, – პირდაპირ ვმონანილეობდი...“

ათასი რამ ჩამოვთვალეთ, თუ რამ განაპირობა ზეზვა მედულაშვილის ბრნყინვალე, პირველხარისხოვან მთარგმნელად ჩამოყალიბება, ათასი რამ და მთავარი კი ჯერ არ გვითქვამს.

მთავარი კი ის გახლავთ, ბატონებო რომ თავად იყო პოეტი, ჭეშმარიტი პოეტი, ქართული პოეზიის ქვიტკრით ჩადუღაბებული პოეტი, რომლის სულ რამდენიმე შემორჩენილი ლექსი მისი ნიჭიერების ტვიფარითაა დაღდასმული. ამ ლექსების ლირიკულ გმირს კი რაღაც ჯადოსნული ანდამატით ეწეოდა თავისეკნ ბალლობის მადლით ნათელმოსილი პატარა ქოხი, მისი ოცნების თავშესაფარი, მის დაღლილ სულში ზღაპარივით რომ ამოიმართებოდა ხოლმე.

ამოიგუსნენ ძველი ვნებანი,  
სული მხოლოდა სევდით მევსება  
და შორეული მოლანდებანი  
დარიალებენ ჩემში ლექსებად.

მშობელ ქვეყანას შესციცინებდა, ნაბურბურალ გულში ჩაფესვილს, ისე

ლრმად და ღონივრად ჩაფესვილს, რომ მუდამ სტკიოდა და აღონებდა მისი სამათასწლოვანი იარები. ამირანს ეძახდა, საქართველოს დასახსნელად ეძახდა, თან ამუნათებდა კიდეც, სახელის შოვნაა ძნელი, დაკარგვა კი ადვილიო. არც საკუთარ გულს ასვენებდა, სამშობლოს ყური მიუგდე, ფეხევეშ არ დაგიჭაობდესო...

სიყმაწვილის მეტრფე იყო, როგორ ელაციცებოდა შორიდან, ყველაფრისათვის მზად იყო, ოლონდ მასთან მიახლების საშუალება მისცემოდა:

ოლონდაც, ერთხელ ის სიყმაწვილე  
კვლავ აღსდგეს ჩემში ზათქით ძველითა  
და გადმოიფრქვეს სული ნაწვიმი,  
ვითარცა ღვინო საწნახელიდან.

თანაგრძობისა და თანადგომის დიდზე დიდი ნიჭი ჰქონდა. ისიც კი შეეძლო, შეყვარებულისგან ნაღალატევ მეგობარ ქალბატონისთვის ჭრილობაზე სალბუნივით დაეფინა ვარსკვლავები და დაეიმედებინა, რომ გაზაფხულს, ისევ აყვავდება, ისევ გაჩახჩახდებოდა მისი გული – უმშვენიერეს ოცნებათა საუნჯე...

იცოდა, რა თქმა უნდა, იცოდა, რომ დღეები აჯილლებივით ქრიან და ვერარა ქამანდი ვერ აქამანდებს მათ გიუურ სრბოლას. იცოდა, რომ ერთხელაც ბოლომდე დაიღვენთებოდა მისი გული, რომ ახლოვდებოდა დაისის მწუხრი, მაგრამ არ იმჩნევდა და მისი შემოდგომის მიმწუხრი მაინც აპრილების სისავსითა და ვნებებით იყო გაპოხილი. და თუ თვალს მაინც შეავლებდა ზეციურ თავანს, ნუგეშად ის ჰქონდა, რომ

იქ სამოთხის ჩიორებს  
დაგვპურებს უფალი.

როგორ შეიძლება ზეზვაზე საუბარი ისე, რომ მისი იგავმიუწვდენი ზეზვაურები არ ვახსენოთ, ლამის პოეზიის ცალკე ქანრად რომ ჩამოყალიბდა.

ზეზვა მედულაშვილის ფეირვერკული სხარტი აზროვნება ასევე საოცარი, ელვისებური სისხარტით ჩამოიქნებოდა ხოლმე კაფიებად თუ ფუნაგორიებად და მხოლოდ სინათლედ, სითბოდ, სიყვარულად ელვრებოდა მის მეგობრებსა და ახლობლებს. ნახეთ, დააგემოვნეთ და მერე აღიარეთ, რომ მსოფლიო ჩემპიონატი რომ გამართულიყო ბლიც-კაფიების შეთხზვაში, ზეზვა უპირობო ლიდერი იქნებოდა. აი რა დაუწერა ბელა შალვაშვილს

შენი ჭირიმე, ბელაო,  
რო მოგვითარგმნე „შაპ-ნამე“,  
ქართველ მკითხველთა თვალები

ცრემლის ცვარით რომ შაჰნამე.

რენე კალანდიას, აცხონოს ღმერთმა, ასეთი სტრიქონები უძლვნა:

მაშინ როდესაც რენე სვამს,

ერხევა რენეს რენესანსს.

ერთმანეთი ვერ უცვნიათ

რენესანსსა და რენესა.

არც საკუთარ თავს დააკლო. 20 დეკემბერს დაბადებულს, 19-ში ბრეჭ-ნევი ჰყავდა იუბილარად, 21-ში კი – სტალინი:

ცალ მხარესა მყავს ღურაკი,

მეორე მხარეს – გენია,

ოლონდ, მე რომელს ვეკუთვნი,

ეგ ვეღარ დამიდგენია.

ამის დადგენა თქვენთვის მომინდვია, ბატონებო, რაც, არა მონია, ძალზე გაგიჭირდეთ.

კითხულობ ზეზვა მედულაშვილის ლექსებს და გრძნობ, როგორ ძალ-დაუტანებლად ივსება შენი სული ფერადოვანი სევდით. ამ სევდას კი იმის შეგრძნება იწვევს, თუ რა მშვენიერი პოეტი ეყოლებოდა ქართულ მწერლო-ბას, ზეზვას მთარგმნელობისათვის რომ არ მოეკიდა ხელი.

ის კი არა, ჩინებული მკვლევარი იქნებოდა, რამდენი შრომა შეალია საიათნოვას შემოქმედების კვლევას, მოარა იმდრონდელი ლენინგრადის, ბაქოს, ერევნის ხელნაწერთა ინსტიტუტები, მიაგონ ზღვა მასალას, უალრე-საც საინტერესოსა და მინშვნელოვანს, მაგრამ . . .

მისაც დიდებული რუსთველოლოგიც დადგებოდა. აკი ზედმინევნით სილრმისეულად იცნობდა „ვეფხისტყაოსნის“ სამყარს, მის შრეებსა და იდუ-მალ ხვეულებს. არაა შემთხვევითი, რომ ზეზვამ ფასდაუდებელი სამსახური გაუწია პოემის სომეხ და აზერბაიჯანელ მთარგმნელებს.

კიდევ ბევრის თქმა შეიძლებოდა ზეზვა მედულაშვილზე – პოეტზე, მთარგმნელზე, ერისკაცზე, მეგობარზე.

დიახაც, რომ მის ბაგეთაგან თაფლი წვეთავდა, უტკბილესი და ჟრუან-ტელისმოგვრელი თაფლი, სულსაც რომ გვინათებდა და გულსაც, სიცოც-ხლის წყურვილსა და ხალისა რომ გვიორმაგებდა.

ახლა ზეზვა მედულაშვილი ზეციურ საქართველოშია, მისივე თქმი-სებრ, სამოთხის ჩიორად ფერნაცვალი და იქიდან გვიგზავნის მხურვალე მოკითხვას:

გიგზავნით, ვატან მტრედების ფოსტას,

რაც მაქვს და ღმერთმა რაც მინყალობა,

გულს და სიყვარულს, მზესა და კოცნას, ზღვის ფრთონასა და შაშვის გალობას.

სწორედ მისი დიდი გული, მზესავით ვება გული, მისი სიყვარული და სიკეთე დაგვეძარება წუთისოფლის უღრანებში ხეტიალისას.

...იისფრად იშვებდა სული...

ოკეანი





## ადგილის დედის მონატრება

მეძახის ჩემი სავენახეთი,  
აგრემც მოვუკვდე, ვეღარ დავხედე.  
კაი ხანია, ჩემი კახეთი  
გემოზე ვეღარ მოვიკახეთე.  
კაი ხანია, სევდით, მორჩილით,  
შევიტებე უანგი, მტვერი, ნეონი  
და მახრჩობს გულზე ჯავრად მოჯრილი  
ვერმოგებული სანაძლეონი.  
კი, ჩემი თავი ენაცვლოს შოთას,  
პუშკინს, ნიზამის, რაბლეს თუ ლი ბოს,  
მაგრამ დღეს გული  
სხვაგვარად შფოთავს,  
მონატრებული მშობლიურ ლიბოს.  
ვენაცვლე სხვათაც – ხაიამს, დანტეს,  
პელეს, პიკასოს, ტალს თუ კარუზოს,  
მაგრამ ეს გული შარაზე დავდე,  
გავხადე ქვეყნის სატარტაროზოდ.  
შორს კი საზღაპროდ ღუის ბუხარი,  
პაპას ულვაშზე კვამლი კიდია,  
სარქმელში მოსჩანს ბლის ხე მწუხარი  
და წეროები სამხრით მიდიან.  
დამდევს სიზმარში პატარა სახლი  
და გალრეცილი ლასტის ჭიშკარი,  
ძველი ბეღელი და ბეღლის მაღლით  
გაჭენებული ცაზე ცისკარი.  
ოჳ, ის კისკასი პატარა ბიჭი,  
თუშური ქუდით პეპლის მდევარი!  
ოჳ! მოტეხილი იმისი კიჭი,  
ოჳ, მოპარული ყურძნის მტევანი!  
გარდახდა უამი, იძალეს წლებმა,  
ახლა ყოველი უკვე შორს არი,

ძნელდება დროსთან ხელდახელ შებმა, –  
„მოდის ყიჟინით, როგორც კორსარი!“  
და მაინც გული გულობას ჰპედავს,  
ბალობის მადლით ნათელმოსილი,  
მე ჩემ საყვარელ ადგილის დედას  
ვერ მოვშორდები ანთეოსივით.  
მექახის კვლავაც პატარა სახლი,  
ჩემი ოცნების თავშესაფარი,  
შორით ციმციმებს, მიხმობს და დაღლილ  
სულში შემოდის, როგორც ზღაპარი.

1964



## ადე, ამირან!

„ადე, აშავდი, ამირან,  
ცხენს დაუყარე ღანძილი,  
დიაცის დაწუნებულსა  
ტირილი გინდა, გან ძილი“  
(ხალხური)

ადე, აშავდი, ამირან,  
ცხენს დაუყარე ღანძილი,  
მამულში მტერი თარეშობს,  
ღვიძილი გინდა, გან ძილი.  
ადე, აიკლეს ქვეყანა,  
საცა გაუწვდათ მანძილი,  
დაბორკეს, მიჰყავთ ტყვეები,  
თოკი სჭირთ გამოკვანძილი.  
მიუდით ჯორკიდებული –  
ნართმევ-ნახვეჭით ავსილი,  
შინაგამცემნიც სტანიათ  
ოცდაათ ვერცხლზე გაცვლილი.  
ადე, გადიგდე ძილქუში,  
მტერს მოუჭერი გზაწვრილი,  
დაიხსენ შენი თვისტომნი,  
სისხლად და ცრემლად დაცლილი,  
თუ ხარ ძველებრი კაი ყმა,  
რად გინდა ხმალი ალმასი,  
ტარ-კოტა ვერცხლით ნამძივი, –  
ამოამლერე ქარქაშით,  
ეკვეთე, როგორც არწივი,  
ეგ არწივობაც რა არი,  
თუ არწივივით არ წივი.  
ადე, აკაფე დევ-ქაჯნი,  
ვითა ქაცვი რამ, ასკილი,

კვლავაც მოიმკე ხალხისა  
ქება და ხოტბა ას-წილი.  
ივარგე დარეჯანისძევ,  
მტერს გაუცრუე ქადილი,  
სახელის შოვნა ძნელია,  
დაკარგვა არის ადვილი.

\* \* \*

გული არ უნდა ავობდეს,  
გული არ უნდა დაობდეს, –  
სულ თბილისობდეს, მცხეთობდეს,  
სულ უნდა ბიჭვინთაობდეს,  
სულ მუდამ უნდა მთაობდეს,  
სულ მუდამ უნდა ზღვაობდეს,  
უნდა თეთრობდეს, ცისფრობდეს  
და არასოდეს შავობდეს,  
შაირობდეს და ლექსობდეს,  
არ სიტყვით დამნაშავობდეს,  
თავისი ქვეყნის ხალხისას  
ქალ-კაცის ვაშას ხაოდეს,  
სამშობლოს ძალლუმადურებს  
და მტრებს – ხმალ გაუფხაოდეს.  
გულო, რამდენი მოგთხოვე  
და კვლავაც მოგთხოვ რაოდენს, –  
სამშობლოს ყური მიუგდე,  
ფეხქვეშ არ დაგიჭაობდეს !

1984 წ.

## წარწერა პატარძლისთვის ნაჩუქარ „ვეფხისტყაოსანზე“

არა რამ მეტი და მეტისმეტი –  
 თვალ-მარგალიტი, სირმა და მკედი,  
 არცარა ბროლი, ბრჭყვიალით მჭოლი,  
 არცთუ ბეჭედი – ელვარე, სპეტი, –  
 არამედ – ოდენ მცირე საჩუქრად –  
 მიძღვნია თქვენთვის ეს ნათლის სვეტი,  
 წიგნი რუსთველის – მტერთა მსუსხველი,  
 მოყვასთათვის კი – სიკეთის ბჭედი,  
 რვა საუკუნის ჩვენი მოძღვარი,  
 სამშობლოს ხიდი, სამშობლოს ხედი,  
 ჩვენი მეობის, ჩვენი ზეობის,  
 ჩვენი ნების და ზნეობის მჭედი,  
 აზრი და გონი, მიჯნურთა ფონი,  
 გმირთა გმირობის გრდემლი და ბრძმედი,  
 ტკბილსამზირეთი ციქვი მცირედი,  
 მაგრამ მცირედზე მრავალით მეტი,  
 ჭალი სიბრძნისა, მზეზედაც მზედი.  
 ცნობად თავისად, საესავისად,  
 ქართველთ ბიბლია, ქართველთა ბედი;  
 ღვთიური სხივი სიბნელის მკვეთი  
 ქორს დაღწეული მწყაზარი მტრედი –  
 საძმოდ და სადოდ, სანდოდ, დასანდოდ –  
 ამ წიგნის ნათლით, ამ წიგნის მადლით  
 ვართ ქართველები მხნეზედაც მხნედი,  
 ჩვენს წყალს და მიწას ის დღესაც იცავს,  
 მტკიცეა, ვითა კავკასის ქედი.  
 არს ესე – ჩვენი ტაძარი, წმინდა –  
 ესავდე, გწამდეს, ილოცე, – შედი!  
 კვლავაცა გვხამდეს, კვლავაცა გვწამდეს,  
 მსოფლიო ზღვაში ქართული წვეთი!

## წერილი სიყრმის მეგობარს სოფელში

„შუალამეა, შემოემარცვლა,  
ჩამოეთვალა ყინულს მძივები,  
ერთი სიზმარი მაქვს სანახავი,  
თორემ ეხლაც არ დავიძინებდი“  
ასკემო

ჩვენ აპრილებმა მოგვინარეკლეს,  
კახეთის ცამ და ვარსკვლავთ მწყემსობამ,  
მზეს ვადიდებდით ცვარში არეკლილს  
და ბალახების ენა გვესმოდა.  
არ მოგვაკლებდა ლექსის საფანელს  
ვაზის ცრემლი თუ ატმის რტონები,  
ნოემბრის ბურს და იანვრის ფანტელს  
მოსდევდნენ ჭრელი აგვისტოები.  
ხანა გვცეცხლავდა ცისკრის ცახცახი,  
ხან ობლის სევდა, გაუმხელელი,  
ვერდაბრუნებულ მამილოს სახე  
და ნაჯაფარი დედის ხელები.  
ხანაც იისფრად იშვებდა სული,  
მოსთქვამდა ნაზი ტრფობის ებანი,  
სულს გვიშოთებდა თეთრი ასული  
და ალისფერი მოგონებანი.  
მაგრამ... მზეჭრელში ფერთა თამაშით,  
სიზმრებს შეერთო ჩვენი მიზნები  
და ცხრათა ძმათა დაი ლამაზი  
დევთაგან ვერა, ვერ დავიხსენით.  
არ ვთქვათ: „თევზივით რიყეზე შევრჩით!“ –  
ჯერ ხომ მზე მაინც ღუის ვარდივით,  
ჯერ ხომ გვაფეთებს ღრუბელთა ტევრში  
მთვარე ყაჩალად გამოვარდნილი.  
ჯერ ხომ გვახარებს მზის პირის ბანა  
და ცისარტყელა ფარშევანგული,

ჩვენი ლამაზი სოფელ-ქვეყანა  
მიმინოსავით მხარშემართული!  
მაშ, ნუდა შეგვძრავს სევდა ფარული,  
გულს ნალვლის ხიჭვი ნუ დაგვესობა,  
ჯერ ხომ კიდევ გვწვავს იმ სიყვარულის,  
მზისა და ლექსის უმაღლესობა!  
ერთურთს ვახაროთ რწმენა ახალი,  
რომ ვიძინებდეთ ერთი იმედით:  
„ერთი სიზმარი მაქვს სანახავი.  
თორემ ეხლაც არ დავიძინებდი“.

## ლამე მინდორში

ფეხი ჩაუცდა ქარაფში  
მზეს სამყაროის აეშაგს,  
სისხლის ცრემლებით ტიროდა,  
დაისი ჰგავდა კაეშანს...  
და ბინდი გორაკებიდან  
ოლისპირებზე დაეშვა.  
თიბვას მოვრჩი და სალამოც  
შემომეპარა, ვით რული.  
ცა დაემგვანა სპარსულ ნოხს –  
სხივშეოჭვილი, მდიდრული...  
სოფლისკენ გამოვეშურე,  
მათრობს ეს ლამე მინდვრული.  
თვალს ჩამიკუჭავს ვარსკვლავი, –  
მესაყვარლება თუ მრისხავს?  
როგორ მომნახა მიწაზე,  
ვით შემამჩნია მწუხრის ხანს.  
ალბათ, რომ შევტრიფი, მიმიხვდა,  
გაიგო, გაიგულისხმა.  
ჯერ მბნედავს მისი კრიალი,

ახლა – ბალახის სურნელი,  
თიბათვის ღამის შიკრიკი –  
ნიავი მოჰქმედის სულ ნელი.  
ჩემ შორიახლოს, ოლედან  
შინ მიჭრიალებს ურემი,  
ბედს რომ დამპირდნენ, აქედან  
ნასვლას არ მოვისურვებდი.  
მიდის ნიკორას სიზანტით  
ურემი თივანადები.  
შე დალოცვილო ვარსკვლავო,  
მეურმეს მიანათებდი!  
მეურმევ, ხარიმც გაგიწევს,  
გადაგვიშალე დარდები!  
გასახარელიც ხომა გაქვს,  
სევდაც გექნება რამდენი!  
დაიბუბუნებს ურმული,  
გაეკიდება ვარსკვლავებს, –  
გედი დაეცა დაჭრილი,  
თუ ეს მინდორი კანკალებს!  
მე ამ ურმულმა გამზარდა  
და გრძნობას ის მიანკარებს.  
ვისმენ და გამაჟრიალებს, –  
გულმა რა გაიხალისა!  
მეურმის ღულუნს ავყევი  
(მეც ავმღერდები ხანდისხან),  
მივყვები ყანის ნაპირებს,  
ნაჩლიქარს სურმა ხარისას.  
დავლანდე ჩემი სოფელი,  
მაგრამ შინ ნასვლა არ მინდა.  
გულმა გაგლიჯა, გასწია,  
გალალდა, გაიამინდა,  
გადაჰყვა მწყერის ჭუკჭუკსა  
და ვარკვლავებთან აფრინდა.  
ო, ამ ღუმილში ჩამძირა,  
მომასმენინა ურმული,

ზედ მაცვიოდეს ვარსკვლავი –  
 მინათოს ჩამობურული, –  
 არც მინდა თქვენი დიდება,  
 არც თავზე დაფნის ბულული!  
 შინ რა წამიყვანს! ამ ღამეს  
 აქ, მუხის ძირას, გავათევ!  
 ო, მშობლიურო ველებო,  
 მაგ თბილი სუნთქვით გამათბეთ,  
 სიოვ, შენ დამინანავე,  
 ვარსკვლავო, გადმომანათე!

\* \* \*

გულო, ერთხელაც დაიღვენთები,  
 როგორც სანთელი, ქარში დაღლილი,  
 ერთხელ მოგთხოვენ პასუხს ღმერთები,  
 გაილესება შენზეც მახვილი.  
 ნუ შემიდრკები, ძვირფასო, მაშინ, –  
 ვალი ვალია და შენც ივალე,  
 ჭირში თუ ლენში, მზეში თუ ქარში,  
 ძმობილო, ჩემთან მოხეტიალევ.  
 ყველას ხვედრია, ყველას თან დასდევს  
 ის ძველი ცელი პირუანგიანი,  
 ჩვენც შევერკინოთ, არ დავუზავდეთ  
 წყალობას ნუ ვთხოვთ, – კრიჟანგი არი.  
 ჯერ კი, ხომ მივქრით და რჩება უკან –  
 გზა ცაზე, ზღვაზე, მთაზე, ვაკეზე,  
 გვხიბლავს სიჭრელით სამყაროს რუკა  
 და გიუ ოცნებებს სრბოლად აქეზებს.  
 ფიქრთა და აზრთა საზღვართა მიღმა  
 გვახეტიალებს ბოშა ოცნება,  
 ჩვენივ თავს ვეძებთ ჩვენ სხვათა მიღმა,  
 ვერ გვიპოვნია და... გვეოცება.  
 ვესწრაფით, ვჩეარობთ, ვრჩებით და ვუსწრებთ,  
 დარი ხან დარობს და ხან ავდრდება.

დრო კი ხევს ჩვენი სიცოცხლის ფურცლებს  
და შორეული ახლო მთავრდება.  
ვეძებთ ცხადლივ და ვეძებთ ანდეზე,  
ბედი კი სწორეს გვიმრუდებს მუდამ,  
ვპეცეთ, ვპეცეთ და ვეღარ დავკეცეთ,  
უკან გაფრენილ გზებს დავრჩით უკან.  
მაინც მგელივით მუხლი შაიბი,  
გადი, გამიყვა, მოგდევ, იარე,  
ბეწვის ხიდებზე იმუშაითე,  
ჩემო ძმობილო, ჭირმოზიარევ.

1971

\* \* \*

### უდროოდ დალუპული მეგობრის – ვალიკო ყარაშვილის ხსოვნას

ეს გაზაფხულიც მოვიდა, ძმაო,  
ძველებრ ტირიან ხევში ძენნები,  
ცელქი ნიავი ტყემლებთან დავობს  
და ყელყელაობს ნუშის კენწერი.

აპრილი არი – ურჩი და ლურჯი,  
უდგათ ჩიორებს ერთი უივეივი,  
დილით იქნება ამინდი უნჯი,  
მერე ატყდება წვიმა გიუივით.

იქნება მზე და იქნება წვიმა  
და ცისარტყელის ჭრელი ბოგირი,  
ზამბახი ცვარ-ნამს დაიყრის მძივად,  
გაწყდება სულში სევდის ბოგინი...

როგორ გვიყვარდა აპრილის ღვარი  
და კუდბაწარა ღრუბლის ზენრები,  
ისევ გიუმაჟობს აპრილის ქარი,  
შენ კი ამ აპრილს ვერ დაესწრები.

ალარსად შენთვის შაშვის ჭახჭახი,  
შორ-შორ შეფენილ შვინდიანებში,  
ალარც ნავახში მოვარის ჩახჩახი  
არ გაჯადოებს მშვიდი ალერსით.

ვერც ჩემი გმინვა ალგადგენს ახლა,  
ვერც ცხელი ცრემლი ჩაბრუნებული,  
თუმც კვლავ ჩემთან ხარ, დაბლაც და მალლაც,  
ოღონდ სხვა ხილვით გაბრუნებული.

ყოველ გაზაფხულს გიხმობ, გეძახი,  
ღვინოს გიგზავნი შესანდობარით,  
კვლავ მსხმიარობს ხსოვნის ვენახი,  
კვლავ ცოცხალი ხარ, კვლავ – მეგობარი.

კვლავაც იქნები ჩემი ძმისდარი,  
სანამდე ზეცას მეც მოვწყინდები,  
სანამ ჩაქრება ჩემიც ცისკარი  
და მანდაც ძმურად დაგიწყვილდები.  
1970

## მტერ-მოყვარეებს

რაც კი რამ მწამდა, ყველა გაწამდა  
წელთა და წამთა შავი ჭორებით.  
ვისგან და როგორც გული გამწარდა,  
ყველას უკლებლივ გეამბორებით.  
რისი ამბორი! გყოცნით და გტლოშნით,  
ვინც გამათეთრეთ თქვენი სიმავით,

ვინც ჩემს დაქანცულ და ისეც მოშლილ  
სულს თითო მაინც დასდეთ ნიშანი.

ვინც მხვდებით დღეს და მხვდებოდით გუშინ  
დადარაჯებულ სიტყვით, ლიმილით –  
ყველას, სულ ყველას გიხუტებთ გულში  
ძველ სიყვარულით, თუმც სიმძიმილით.

ლექსი თუ გული, ძმობა თუ გრძნობა,  
ლუკმა თუ აზრი თქვენ გიწილადეთ,  
დავკარგე ცნობა, დაგწამეთ ბრძნობა,  
და თავსა ზედან დაგსვით პილატედ,  
თქვენ ჯვარზე გაკვრა არ გიჭირთ სხვისი,  
გიყვართ სხვის ბედზე ხელის დაბანა,  
თქვენი საქმეა ქირქილი მქისი,  
თქვენ კარგად იცით ეს ანაბანა.

თქვენ გამიმრავლეთ თმაში ჭალარა,  
ეს თქვენგან ვისხამ შუბლზე ნაოჭებს,  
თქვენმა სამსალამ გული დალარა,  
თქვენ გამისტუმრებთ სასაფლაოზე,  
ხომ დამადევნებთ ნიანგის ცრემლებს.  
ხომ ასრულდება თქვენი მიზანი!

და მაინც ყველას მე შემოგევლეთ,  
და მაინც ყველას კოცნას გიგზავნით,  
შელონებული თქვენი ელდებით,  
მალე გავხდები ზეცის ხიზანი.

მე გაპატიებთ! ნუ აღელდებით!  
მე ჰაეროვან კოცნას გიგზავნით!



## ძაღლი

სანამ მოსდევდა  
 მუხლში ღონე  
 და თვალში – თონე,  
 სანამ შეეძლო  
 ფერს ჭრელობა,  
 კბილს – გამჭრელობა,  
 სანამ უჭრიდა  
 ყურთასმენა,  
 გულთასმენა და,  
 სანამდე შეჰყვა  
 მინდობა და უიჭველობა, –  
 პირზე რა ქაფით,  
 გარჯით და ჯაფით,  
 მიმოხვრით ცქაფით,  
 რიხით და ხაფით,  
 ფრფინვით, ფარულით,  
 და სიყვარულით,  
 ალერსით,  
 გულით უმხურვალესით,  
 თეთრთა ღამეთა რიცხვით ურიცხვით  
 (არა მარტოდენ ლუქმაპურისთვის!),  
 ვითა გზა მისი ოდით სახულა, –  
 პატრონს ყმასავით ის ემსახურა.  
 და იყო ყმა და  
 იყო ძმა და  
 იყო პატრონი –  
 პატრონის ძაღლი  
 ძაღლი პატრონის.  
 ის დარაჯობდა კეთილ სიზმრებს  
 თვისის უფლისა  
 და ძილფხიზლობდა,

ვითა ძალლი  
 ძალლის თეოზე,  
 დარში,  
 ავდარში  
 გარეთ ეგდო,  
 დოვლათს უვლიდა  
 და შემართული იყო ყველა სანაძლეოზე.  
 მაგრამ  
 ძალლური ჟამი მისი  
 როცა გაბევრდა,  
 როგორც ყოველი, ისიც დაბერდა.  
 წამოეპარა დრო გაოგნებად,  
 გაუცვდა ძველი ტოტის მოქნევა,  
 ხლტომა,  
 აზრი და  
 მუხლის მოკრეფა;  
 ალარსად ის ხმა –  
 მავნეთა რისხვა,  
 არსად ის ძალი,  
 ყური და თვალი;  
 წაუხდა ძველი  
 ფერბზინვარება,  
 ის მოქნილობა  
 და მძვინვარება.  
 და როს გაუერთა თვალში დაისი,  
 გარდუხდა ჟამი სიკისკასისა, –  
 ერთად შემოსწყრნენ:  
 ბედი თავისი,  
 კაცი – ღმერთი და  
 ღმერთი კაცისა.  
 ნაცვლად და მიზდად იმ ერთგულების  
 მედგრად და ნაღდად განასრულების,  
 ერთხელ, ზაფხულის დილა-სისხამზე,  
 როს გორის წვერზე ყინჩად იდგა მზე,

კაცმა კისერში ჩააბა თოკი,  
 გადაიყვანა  
 გადალმა ხევში,  
 წნორთაგან ერთ-ერთს მიაღძრო  
 ტევრში,  
 განზე გადგა და  
 მოიხსნა თოფი.  
 დილა იყო და რა საოცრად იყო მზიანი!  
 ცაში ისმოდა  
 ტოროლების ვერცხლის წკრიალი,  
 ზურმუხტისფერში  
 ბანაობდნენ ირგვლივ სერები,  
 შეფენილიყო ფერდობებზე  
 თეთრად ცხვრის ფარა  
 და ჯანიანი ნაგაზები  
 თვალგაშტერებით  
 უვლიდნენ ფარას  
 და აფრთხობდნენ  
 ქურდსა და მპარავს.  
 ის კი –  
 ბებერი გოლიათი,  
 თვალდანისლული,  
 თვისი სიცოცხლის  
 უკანასკნელ ბჭესთან მისრული,  
 ჯაგრცხილის ღვლერჭით  
 ბებერ წნორზე იყო მიმღრძვალი,  
 დაფხავებული,  
 იმ ხესავით ძალამიმქრალი.  
 იდგა კორტოხზე  
 თავის აწმყოს  
 ნამყოს,  
 მყობადის,  
 აშკარად გრძნობდა უკვე ნაყოფს  
 ხისა ცნობადის, –

ხისა ცნობადის,  
ხისა, ოდესლაც კეთილის, ან კი – ბოროტის ...  
და იმ წამს ჩანდა  
ძველებურად  
მხნე და გოროზი;  
თვალშემართული იდგა წნორებთან,  
არა შიშისგან, უთრთოდა მუხლი  
და ვაჟყაცურად თვალს უსწორებდა  
მისკენ ძალურად მიშვერილ ქუხილს.  
1958-1961

\* \* \*

სიზმარეული იყავ ჩვენება  
და სიზმარივით ჩუმად წახველი...  
ახლაც მათრთოლებს შენი ხსენება  
და შენი ლანდის შორი ძახილი.  
მიყვარდი, იცი, გიყვარდი, ვიცი  
და გავურბოდით მაინც ერთმანეთს,  
ახლა შორს დარჩა ფიცი და მტკიცი,  
გრძნობა უთქმელი, გაურითმავი.  
ახლა სხვა ქარი გვიბერავს ორსავ,  
ახლა შენც იგლოვ დამხრჩვალ ოცნებებს,  
ახლა სად ვდიოთ ახლოს თუ შორსა,  
იმ წყალობათა მაღლით მომცემელს.  
ამოიტუსნენ ძველი ვნებანი,  
გული მხოლოდლა სევდით მევსება  
და შორეული მოლანდებანი  
დარიალებენ ჩემში ლექსებად.  
რას ვიზამთ... ალბათ ეს არის ბოლო,  
დადგა გიჟური სულის წყვეტება,  
ჩვენ ერთურთს შევრჩით, როგორც სიმბოლო,  
რაც გასაწირად გაიმეტება.

\* \* \*

მშვიდი მწუხრი, ზღვა და გაგრა,  
 მე და შენ და ჩვენ და ზეცა,  
 თავი ვეღარ შეიმაგრა  
 და მზე ზღვაში ჩაიკეცა.  
 ღრუბელთ შამბნარს სანადიროდ  
 მთვარე ლომებრ გამოვიდა,  
 უნაპირო სანაპირო  
 ფშვენს ეშითა ამოითა.  
 გამოშლილან გოგონები  
 ამ საღამოს გამოისად  
 ვიცი, ერთხელ მოგონება  
 მომკლავს ამ საღამოისა.  
 მოგყვები და თონესავით  
 მოგიზგიზე ალი ამდის.  
 ძევს უღონო ღონესავით  
 ჩახმახის გზა ფალიამდის.  
 გულში გულის მომეც ბანი,  
 სული სევდით დაიცარა,  
 დახაჯლული ოცნებანი  
 წვეთ-წვეთობით დაიცალა.  
 რომელ ერთხელ დავაპირო:  
 „გაწყდეს წვრილი არი საცა!“  
 თვალი როგორ გადავპირო,  
 მზისაცა და მთვარისაცა.  
 ზღვა და მთვარე მომეახლა,  
 მთვარეული ალი ამდის,  
 და შეკრული მოგდევ ახლა  
 ჩემივ დაწნულ გალიამდის.

1981

## შეყვარებულისგან ნაღალატევ დაქალს ო.ვ.-ს

ეგ თვალები ლამაზი  
და კუნწულა ცრემლები!...  
არ იფიქრო რამეზე,  
აგრემც შემოგევლები!

უკვე გარდასულია  
ბედით გარდასავალი,  
წითლად გაბასრულია  
ზეცის ლურჯი თავანი.

მაგრამ ლუის სიცოცხლე  
ზიზილების ფერებად  
და იმედი, იცოდე,  
კიდევ მოგეფერება.

ისევ აყვავდებიან  
გაზაფხულზე ატმები –  
იზოლდების ვნებიან  
ოცნებათა დამტევი.

კვლავაც გაჩახჩახდება  
შენი გული – კრისტალი,  
ნატვრისთვალად ახდება  
შორეული ტრისტანი.

ჰოდა თვალებს ლამაზებს  
ნუ ჩამოსდის ცრემლები,  
არ იფიქრო არრაზე,  
აგრემც შემოგევლები!

1968

## ლექსები – ჩანტერილი ექიმ ნანა ჭეუიას ბლოკნოტში

(ბიჭვინთა)

1.

განა მართლა გაფრინდა  
ჯეელობის კისკასი,  
განა მართლა დაფლითა  
დრომ ის ღონე, ის კაჟი!..  
ჯერაც მომდევს, ძველებრივ,  
ის გული და ის ბწყალი,  
მიჰერის შეუჩერებლივ  
განაშეფი წინწკალი.  
მაგრამ ვიცი, გავა დრო  
და ყორნების გუნდებად  
ის ღრუბელი საავდრო  
ჩემზეც შემობრუნდება,  
ოღონდ, ღმერთო, იცოდე,  
თუ ქვეყანა დაიქცა,  
შენ ისინი მიცოცხლე,  
ვინც მიყვარდა, რაიცა...

2.

მიქრიან დღენი ვით აჯილები,  
ვერ აქამანდებს ვერა ქამანდი,  
მივსდევ, ვერ მივსდევ, უკვე ვიღლები.....  
და ძველებრ ბრწყინავს მზის ანდამატი.

ოჸ, ჩვენი დროის გიუურ არულში,  
იმსხვრევა ბედი კაცის და მგოსნის,  
რა, რა გავანყო? – ჩამომთვარულში,  
შენს ანგელოზურ ხატებას ვკოცნი.

ვერც შენ გადგირჩი, ვერც ბედს გადვურჩი,  
აქ ვარ და არ მცალს აქაურობად, –  
მიმაფრენს მზეში თეთრი ფასკუნჯი  
და ჩემივ ძვალ-ხორცს მომთხოვს ულუფად.

17.03.84 6.

## ნოემბერი

შემოდგომა მიიწურა, ხეს სამოსი გაუყვითლდა  
და ხემ რა ქნას, თუ ფოთლები სათითაოდ გაუფრინდა.  
მზე ჯერ მნარედ იკბინება შემოდგომის ბუზივითა,  
დაზოზინებს ცაზე ნელა ნისლ-ღრუბლების ხურჯინთა.  
ეჱ, ქალაქში შემოდგომა სევდიანი არი მართლაც,  
სიხალისე თითქოს კვნესით ტროტუარზე გაიშხლართა.  
სოფელში რომ ვიყო ახლა, არ ვიგრძნობდი ასეთ სევდას,  
გაქრებოდა, ვიცი, რაც გულს აქამომდე აკვნესებდა.  
შემოდგომის დასასრული სხვანაირად არის იქა,  
თუმცა კია ნოემბერი, სავსე არის აპრილითა.  
იქ ჯერ კიდევ მზე ყოყოჩობს, მაინც ვჯობნი დილით თრთვილსა,  
არა, არა, უქველად დავიძვრები თბილისიდან.  
მელოდება ჩემი მხარე, ვიცი როგორც დამხვდებიან:  
შარა, ღობე, ბრონეული, კაკალი და ატმებია.  
ჩემო ბიჭო, მეტყვის ღობე, რად დამტოვე ასე მალე,  
მოდი ჩქარა, გენაცვალე, ზედ თალმები წამაფარე.  
პატარა რომ იყავ, გახსოვს? ვით გიყვარდა ჩემი ჩრდილი,  
და ჩემ შუა ხშირფოთოლა აკაცია, ამოჩილი,  
დამინახავს ჩემი ეზო, მეტყვის მოდი, მოიარე,  
მინდა გავძლე შენი ცქერით, ძველებურად მომიარე.  
იქ ყბალია ხომარდული გამომიშვერს ნახეთქ ტოტებს,  
მოდი, მოდი, ჩამეხუტე, ქალაქში რას დააბოტებ?  
დახეთქილი შავი თუთა, ბებერი და დალრაკნილი,  
გამხმარი და უგემური, მაგრამ ერთ დროს ძლიერ ტკბილი,  
გადასძახებს მწლაკე კომშებს, ამ დალრევილ ქლიავს ეტყვის:  
ხომ ვამბობდი, გვინახულებს, ჩვენი ბიჭი მოვა-მეთქი.

და ჭერემი, ჭიანჭველებს გაუმართავთ ზედ მარულა,  
უხეშ ტოტებს ახმაურებს, მესალმება მხიარულად.  
იქვე ახლო თოქმა ლელვი, საწყალი და დაბრეცილი,  
რძის ცრემლებით იცრემლება, სიხარულით თან იცინის.  
ვაშლი, ვაშლი – კიტრა ვაშლი, ნუში, მსხალი და ატამი,  
თავს მიქნევენ, მეძახიან სიხარულით ანატანით.  
და კაკალი ხუმბა-ხუმბა შემორჩენილ იმ სამ ფოთოლს,  
აშროალებს, მეუბნება: მოდი ვერ ვძლებ უშენოდო,  
ასე ყველა მეფერება, მესალმება ღიმილითა,  
არა, არა, უეჭველად დავიძვრები თბილისიდან,  
შემოდგომის მიწურული სხვანაირად არის იქა,  
თუმცა არის ნოემბერი, სავსე არის აპრილითა.

## აუზდენელი რომანტიკა

სად ჩანჩქარებს ჩანჩქერი  
მორევს გადამკივარი,  
სადაც ისე ჩავქრები,  
ვით ძველი სატკივარი.

სადაც გააქვთ უივილი  
ოქრორეულ სისხამებს,  
სად არ არის ჩივილი  
ამ დღესა და იმ ღამეს, –

გავეშუროთ იმ ადგილს,  
სულის მექად ვიწამოთ,  
თუმცა ზოგნი იქამდის  
მოგვიწყობენ წიწამურს,

მაგრამ მაინც ვირჩიოთ  
ის ჩანჩქრები მყივარი,  
თორემ რით მოვირჩინოთ  
სული, ამომჩივარი!

იქ სამოთხის ჩიორებს,  
დაგვაპურებს უფალი  
და ძნელს გააიოლებს  
სუნთქვა, თავისუფალი.

არ იქნება იქ არცა  
ატომი და ურბანი  
და ვიქნებით, ვითარცა  
წყლის ნაპირას მურყანი.

### შაშვის გალობა მტრედების ფოსტით

შაშვს ამ ბალნარში არ უნდა საშვი,  
აქ თავად არის თავი და ბაში;  
ვენაცვლე იმ შავ, უანგიან ყბაში,  
მის ოქროს ნისკარტს ვაშა და ტაში!

გახსოვს, ძვირფასო, ეს ჩვენი შაშვი  
როგორა გვხვევდა ჰანგების შვავში?  
ოჳ, მისი სტვენა და ვერცხლი ხმაში  
არ გვერეოდა ძმაში და დაში!

ახლაც ოსტატობს ის შავრა შაშვი,  
უხმობს გულისცალს ეშნით მსტვენარი,  
მზე დაისისა თავს იხრჩობს ზღვაში,  
დაჰერის ზღვაური მოუსვენარი.

დღეს ამ სამოთხეს სამშვენ ზიზიად  
აკლია შენი ტანი, კენარი  
და ყველაფერი მაინც ისეა,  
როგორც მოითხოვს ღმერთის სცენარი.

მანდ, შენ ქალაქში, დღეა მყინავი  
ორი ათასი ვერსის გადალმა.  
აქ სიმწვანეა და მზე მბრწყინავი,  
მთვარე ჰერიდა – ჭკუას გადახვალ!

აქ გელოდება ჩემი ოცნება,  
ფიჭვნი და ბზანი ბიჭვინთისანი,  
ცისფერი ზღვისფერს ესაოცრება –  
ამ საოცრებას შორით გიგზავნი.

გიგზავნი, ვატან მტრედების ფოსტას,  
რაც მაქვს და ღმერთმა რაც მიწყალობა:  
გულს და სიყვარულს, მზესა და კოცნას,  
ზღვის ფრთონასა და შაშვის გალობას.

1984

### იწილო-ბიწილო

(ხალხური მოტივების მიხედვით)

რა ლამაზი ხარ, რა მშვენიერი,  
ჩემო შროშანო, ჩემო გვრიტილო,  
მთვარის ლიმილო, სამოთხის დილავ,  
და პოეზიის ტკბილო ტიტინო.

ახლო-მახლო ჩიტმა გნახოს  
და ამბავი მოგიტანოს –  
შენთვის ინვის, შენთვის დნება,  
შენთვის კვდება შორიდანო.

შენი ფესვი – ფესვმადუკი  
ამ ჩემ გულში ჩაფესვილა,  
სიყვარულად ჩამვარდნია,  
ჩაკირულა, ჩალესილა.

პატარძალო, გეაჯები,  
წამოდექი, რომ გიცქირო,  
ვარდობისთვევ, ცის ვარსკვლავო,  
უკვდავების ქნარის წკირო.

პატარძალო! პატარძალო!  
გაზაფხულის კვირაძალო!  
სიყვარულის სადღეგრძელო  
ერთი ჭიქით გამოვცალოთ.

## შეხვედრა ძველ მუზასთან

ნეტავ საით გაფრინდნენ  
ჩვენი თეთრი მერცხლები,  
საით გადაიჩენენ  
სიყვარულის მეწყრები.  
ვაი, როგორ გაცივდა  
გული ნაბურბურალი,  
ვისთვის, ვისად გესმოდა  
ჩემი ნაბულბულარი.  
ახლა არის გვიანდა  
ნაცრის ანალვერდლება,  
იმ პირველი სიმღერით  
გული არ ამღერდება.  
ახლა ჩვენს შავ გიშერსაც  
შეჰპარვია ვერცხლები,  
გადამქრალან უკვალოდ  
გულის ის ნაპერწკლები.

## ჩემს გიორგის

ჩემო კარგო შვილიშვილო – ჩემთვის ვარდად განაკოქრო,  
პაპას გიო, პაპას ბიჭო, პაპას კაცო, პაპას ოქრო.

უნდა კაცად გაიზარდო, სიტყვა საქმედ აჯადოქრო  
მაგრამ კარგად დაიხსომე – ჯერ შენა ხარ „პაპას ოქრო“.

პაპას გიო, პაპას ბიჭო, პაპას ოქრო, პაპას კაცო  
ცხოვრებაში სულ აკეთე საქმე, მხოლოდ საკარგკაცო!

ვიცი კარგი ყმანვილი ხარ, ცოტა ცელქი, ცოტა ანცი  
მაგრამ პაპასკაცობიდან რომ შეიქმნა კარგი კაცი...

კიდევ ბევრი სწავლა გინდა, კიდევ ბევრი შრომა გინდა,  
რომ სამშობლოს გამოადგე – სიტყვით, საქმით, ომახითა.

შენ გჭირდება ბევრი სწავლა, სწავლას უნდა შრომა, ჯდომა.  
გაზაფხულზე თუ არ თესე, რას მოგიტანს შემოდგომა?  
შემოგხედონ, ყველამა თქვას: ვიშ, რა კარგი გაზრდილია!  
ცხოვრებაში კაცად ქცევა, არც ისეთი ადვილია.

2015

## ნინოს – ჩემს შვილიშვილს

ხუთი წლისა შევსრულდი,  
განა ისევ ჩვილი ვარ,  
მამიკოსი შვილი და  
პაპას შვილიშვილი ვარ.

ჯერ საბავშვო ბაღში ვარ,  
ცელქი ვარ და ხტუნია,  
სუფთა ვარ და კოპნია,  
სულ არა ვარ თხუნია!

მიყვარს ლექსი, სიმღერა,  
ასკინკილას თამაში,  
უჭმელი ვარ, ბებიკო  
მავარჯიშებს ჭამაში.

ნინო მედულაშვილი  
ჩემ ჯგუფში ვარ პირველი,  
ცეკვაში და მღერაში  
ყველას გასაკვირველი.

2015





## საალბომო ლირიკის არქივიდან

### მეზობლის პატარა გოგონას

შენგვარ გოგონას არ ვარ მნახველი,  
მთელი სამყარო გულში გეტევა,  
მაგრამ მითხარი, შენი სახელი, –  
რატომ – „ქეთი“ და არა – „ქეთევან“?  
შენს გაზრდას ეს ზღვა, ეს ცა და ეს მზე,  
მთელი სამშობლო ემოკეთევა,  
ამიტომ, (თუნდა გაბრაზდე ჩემზე),  
ქეთი კი არა, შენ ხარ „ქეთევან“!  
დრო მოდის ანდა დადგება მალე, –  
ვაჟთა გულებზე იწყო შეტევა, –  
ხატება დედა ქეთევანისა,  
შენ დაგიფარავს მისი სახელი.  
თუ გულს გექნება რწმენა მისებრი,  
შენს ერს მასავით შეეთვისები.

### უშანგი სახლთხუციშვილს

მარტყოფს უშანგი უცოცხლოს,  
უშანგის კიდევ – მარტყოფი,  
უცოცხლოს თავის ბარტყი და  
მასთან მარტყოფის ბარტყობი.  
რო სანთელივით კაცია,  
მასთან იმიტომ ვართ მყოფი,  
სამოცი წლისა გამხდარა,  
დღესა ვარ ამის შამტყობი.  
სამჯერ სამოც წელს ვუსურვებ,

მიგალ-მოგალოს ჟამ-დრონი,  
ცხოვრებისაგან მიეგოს  
პატივნი შესაკადრონი.  
უშანგი არის ჩვენს შორის  
ძმობის კატალიზატორი,  
ზღვათოდენ სიკეთეს იტევს,  
იმისი გულის ფართობი,  
სამშობლოს ნაღდი შვილია,  
ყველა საქმეში სანდობი, –  
მეცნიერი და მწერალი,  
მრავალი წიგნის ავტორი,  
ლატვიურიდან მთარგმნელი,  
ოქროქართულის პატრონი.

რაც კი იღვანა საღვანი,  
ხელი დაატყო საგრძნობი,  
რადგან იქ ღმერთი მფარველობს,  
აქ კიდევ მამა ანტონი.  
ამიტომა და იმიტომ  
აღარ მაქეს განსამარტონი,  
ზოგს მამინ ვეტყვი უშანგის,  
როცა დავრჩებით მარტონი.

### თედო ბექიშვილს

საყვარელო ძმაო, თევდორე! მაპატიი ეგრე გადავიწყება და წე-  
რილის გამოუგზავნელობა. ზარმაციც კი ვარ წერილების წერა-  
ში, მაგრამ ამ მოვლენებმაც ტვინი წაიღო – არადა სულ გულში  
მქონდა, აქამდის ვე... (წერილი წყდება და ლექსად გრძელდება)

ჩემო ძმაო და ძმისცალო  
მაგიკვდეს ჩემი თავტანი,  
დაგიგვიანე წერილი  
ამ გულის შენთვის მამტანი.

რა ვქნა, ზარმაცი ვინც იყო,  
 ვიყავი ერთი მათგანი,  
 შამჭამეს მივლინებებმაც  
 დამპედებია ტანტალი,  
 ხან თათარს დავდევ, ხან სომეხს  
 როგორც სუხერა ბატყანი,  
 ეხლაც ერევანს ვიყავი,  
 იმათ კონიაკ მავტ.ანი,  
 გზაზე გავცივდი, ჩამოველ,  
 ლოგინში გამძვრა ბლარტანი,  
 მეც არა მჯერა, რო ვფიქრობ,  
 კინაღამ ბარგი შავკარი.  
 ახლა კარგად ვარ, რა მიშავს,  
 ცოტა დაწყნარდა სახლ-კარი.  
 კარგადა მყვანან ბოკვრებიც  
 გააქვისთ ერთი დგანდგარი.  
 ეგრე რო – გამოვჯობინდი,  
 რაღას ჩაწერები ამდგარი.  
 ზოგჯერ ჯარჯისთან გადავალ  
 ქვაბში დათვს გააქვს თქანთქარი,  
 ხანაც მათესთან მახარებს  
 ხინკალი ნაზედადგარი.  
 მეც შავი ლვინო ჩამომაქვს,  
 ჩამაწვიმს როგორ ავდარი,  
 მალე შენც გამოგიგზავნი,  
 ამ ახლო ხანში მზად არი.  
 ახლა შენი ვთქვათ, თვდორე,  
 როგო დაგიხვდა იალტა.

(ლექსის სავარაუდო გაგრძელება არ ჩანს)

## ტატას ბლოკნოტში ჩანარიღები

### ბიჭვინთის სანატორიუმის სასადილოდან

1.

ეს ლექსი მერცხალია პირველი,  
ამ ლექსით იხსნება ეს რვეული.  
ვინც არის ტატასთვის მწირველი,  
შავი ზღვის ნაპირებს შესეული –  
გვიქოს ჩვენ სუფრის მჭირველი,  
ჩვენი სასუსნავის მესვეური.

გვიქოს ვერცხლისფერი დაია –  
ჩვენი ნადიმბის ადმირალი,  
უმღეროს „ტაია-ტაია“,  
ნუა ხარჩოს ჯამში ჩამტირალი;  
თუმც კაი ხარჩოც კაია,  
თუ არის ბზიკივით ჩამდინარი.

ტატას ვენაცვალე, გვასუქებს  
მხატვრული სიტყვის აქტიორებს,  
თავის ხელით ურჩევს ცხვრის სუკებს,  
შახტიორკებს და შახტიორებს,  
ის უგებს გალობას და ის უქებს  
ამ შაშვებსა და ამ ჩიორებს.

ტატა გვიცოცხლოს და აჯანმრთელოს,  
გვენახოს ყოველმხრივ ბედნიერი,  
კარგად გამოკვებოს, დაასვენოს  
მწერალი, მუშა თუ მეცნიერი,  
ფეშქაშ მისი თავი საქართველოს,  
მას კი – ძმური გრძნობა ჩემმიერი!

## 2.

საქართველომ თუ იმატა ტაო,  
 თუკი კვლავ გულზე აიტატაო,  
 მაშინ რას იზამ, ჩემო ტატაო?  
 უნდა ეფერო, უნდა გაზარდო,  
 უნდა ბავშვით კვლავ ატატაო  
 და არსად, არსად არ უშვა ხელი,  
 არ დაგეეარგოს, ა-ტა-ტა-ტაო!

\* \* \*

მოგილოცავ ხმელი ფოთლით,  
 ხმელ ფოთოლზე ნედლი ლექსით,  
 ნედლი გულით, პირზე კოცნით.  
 ტკბილ სამშობლოს დაგილოცავ –  
 მოპოვებულს სისხლით, ოფლით,  
 დაკარგული ჭკვა ეპოვნოთ  
 ამერ-იმერს ერთად ყოფნით,  
 მიმსხდარიყვნენ ბუხრის პირას,  
 ცივი ღვინით, ცხელი ქოთნით,  
 ძმობა ედლეგრძელებინოთ  
 ხმელი ყანწით, სველი ბოთლით,  
 შენ პირადად კარგად მყავდე,  
 ოჯახით და საბან-გობნით,  
 თეირანელ ყიზილბაშებს  
 სუყველასა სჯობდე ჯობნით.

\* \* \*

მოგილოცავ, ჩემო ზაზა,  
 დაბადების ორმოცდაორს,  
 კარგი არი, ბედს თუ დაპერავ  
 კიდევ სამჯერ – ორმოც თავურს.

ღმერთი ცოლ-შვილს გიდლეგრძელებს,  
არ შეჰქეზრდე იმათ ხმაურს,  
შვილიშვილნი დაგიმრავლდნენ,  
გიტეხავდნენ აურზაურს.

ერთი ხო გყავს, – სიყოჩალით  
თურმე სჯობნის მიკი-მაუსს,  
სხვებიც მოგცეს, იგოგმანონ, –  
შენ უკრავდე დიმპიტაურს.

კვლავ გისურვებ – შოულობდე  
დლეში ასჯერ-ორმოც შაურს,  
ძმაკაცებს რო ღვინო გვასვა,  
დაგვამგვანო თურაშაულს.

თუნდ დაგვათრო, სიტყვას გაძლევთ,  
არ ჩავიდენთ დანაშაულს.  
შენს სამქებრო სიტყვას მოვდებთ  
სოფელ-ქალაქს, დაბას, აულს.

ამ ლექსს გიძლვნის ზეზვა ძია,  
თუმც ვერა ჰეგავს გაფრინდაულს,  
მაინც გულით ნათქვამია, –  
ვენაცვალე მზექალაურს !

2000



## სევდიანი სონატა

**კონსერვატორიადამთავრებულ და მდივან-მემანქანედ მო-  
მუშავე ჩემს დობილს**

დღეს ქარი გლეჯავს ჭადრებს და ფანჯრებს,  
მაგრამ შინჯდომას გარეთ სჯობია.

დღეს საუკუნეს ულმერთოდ ანჯლრევს  
ულმერთო სევდის ფულოსოფია.

შენც გაიუღინთე მტვრით და ნეონით,  
სადღაც გაფრინდა ბახი, ჰაიდნი  
და ვით უმწეო ქამელეონი,  
დღეს ფერთა ცვლაში ხარ მუყაითი.

ალეგროდ უკრავ საბეჭდ მანქანას  
ლმერთთა სალამურს ნაჩვევ თითებით,  
თუმცა შენც გწურავს სევდის მანგანა –  
ბოროტ ლმერთებთან ვერშეჭიდების.

და, შეეჩივ... ან ალარ გაფრთხობს  
გარს მოჯარული გარეთ ზამთარი,  
ექვსკვადრატიანს შეერწყე ფართობს  
და ყველაფერი „ლამაზად“ არი.

სევდის მარშები დასცვივა შოპენს  
და იმძლავრებენ ღრუბელთ ეშვები,  
დღეს სულიერნი მანქანებს შობენ  
და შენც საბეჭდებს ვერ შეეშვები.

მაგრამ დაკარგულ მუღლერ სიმფონიებს  
უკანვე მოგთხოვს ერთხელ ბუნება,  
მაგ რემინგტონის კაკაფონია  
მაშინ კი ვეღარ მოგეთბუნება.

განაგდე ეშმა, გულის კლავიში  
აუღერე ათას ლამაზ ჰანგებად,  
უამი ლამაზად შენთვის გაივლის  
და დაგიფარავს თავად განგებაც.

1970.

### საულია

(სახუმიარო ჯემალ ცერცვაძეს)

შენს სახელს რა დამავიწყებს,  
საულია, საულია !  
შენი ნახვა, შენი მზერა  
ჩემთვის დღესასწაულია.

ერთი მითხარ, თვალცრემლიანს  
შენსკენ რამდენს აუვლია?  
მეც იმათში მიმათვალე,  
საულია, საულია !

შენებრ მშვენობს ალა-თაუ,  
ხელი ცისთვის წაუვლია,  
რაზე მმარხეავ ძალადაო,  
საულია, საულია !

შენთვის, შენი მშვენებისთვის  
ჯემალს სიდან სად უვლია,  
შენი ეშხით, მთელი ლამე,  
ხელი, იცი, სად უვლია?

თუ არ იცი, იცოდე და,  
შეიცოდე, საულია !

დევიზი: „ალავერდი“

## “მეგობრობის მატარებელი“

ი.ნ-ს

ნუთუ მართლა არ გახსოვს  
ის პირველი ფეთქბა,  
გულთა წაგვიანევი  
და ნაზი შეერთება.

შორეული ქალაქი  
ფერადი სიზმარითა,  
მოხატული ქუჩები  
ყარფუზით და თარითა.

გახსოვს? ალი მეკიდა  
და ლექსებით მოგდევდი,  
ჩავიარეთ სიცილით  
გრძელზე გრძელი პროსპექტი.

სულში შემოდიოდა  
ენკენისთვის განჯური  
დაქანცული საღამო,  
ლექსად ამოქანჩული.

გახსოვს ის ავტობუსი,  
მღერით აცეტებული?  
მე კი მახსოვს ამურის  
შუბი წაწვეტებული,

გულს სევდა მიფარცხავდა,  
პირს – ლექსი და ლიმილი  
და ჩემივ ხმა მესმოდა  
გლოვის მოძახილივით.

ჰოდა, როგორ არ გახსოვს,  
განჯის ღამეს მოვდევდით,  
ო, რა მაღე გავლიერ  
ულეველი პროსპექტი.  
განჯა, 1968წ.

დევიზი „მეგობრობის მატარებელი“

ლ.ო.-ს

ეს ლექსიც იყოს შენზე ალალი,  
როგორც ის ერთი და სხვა მრავალი,  
ხორბლისფერ ღაწვზე შავი დალალი  
მრავალთუმრავლესს ჯერ სხვას მავალებს.

რა ჭირად გვინდა ანდა ლექსები,  
ოხერი გული იყოს, თორემა...  
ვერც გამექცევი, ვერც გაგექცევი,  
რად უნდა ასჯერ განმეორება.

გულში მჭირს შენთა წამნამთ ნემსები,  
შენი თვალები ვისა ჰევრემავენ,  
ენ დაგიფარავს ჩემი ლექსები  
და მე კი შენი სიშავგვრემანე.

1968წ.

ელისოს – მადლიერი ზეზვასაგან

ვენაცვალე ჩვენ ელისოს  
უნაბი რომ მამიტანა!  
ამის გამო სიხარულმა  
უნაპირომ ამიტანა.

ყველა წნევა გამიღევნა  
გულიდან და თავიდანა,  
ამ ქვეყანას ნეტა ქალი  
სხვაც იქნება ამისთანა?!  
ვინც რომ მაგას დაემტეროს,  
ზეზვამ დასცეს სამი დანა!

10.XI. 2003წ.

## გათბილისებულ მოხევე ბანოვანს

სურმა, სურმა, თვალთა სურმა,  
სურმა – შავად, გული – ავად!  
თვალთა ელვამ ალმასურმა  
გული დაითავისთავა.

განა მართლა მეხუმრება,  
გული შენკენ მიხმაურობს,  
ლელვა ბადედ მეხურება,  
აქაური იქაურობს.

თუ ვიყავი და ვარ გიუი,  
შენც იყავი თერგის ქალი!  
მთაო, გალმა გადამიშვი  
ეშნის, ლექსის ერისთავი!  
ეხლაც მკლავს და ადრეც მკლავდა  
უნაბისფერ თვალთა ელდა,  
გულფიცარი არეკლავდა –  
გონებაში რაც დაბნელდა!

სურმა, სურმა, წამნამთ კიდეს  
განაკიდე შავი სურმა!...  
და მე, შენი გადამკიდე,  
ეშმა მომკლა თბილისურმა.

## სამსახურებრივი ფლირტის ლექსპრომტი

გამოღმით მე ვარ, გაღმით – შენ,  
შუაზე გვიძეს მაგიდა,  
არ მინდა, როგორ არ მინდა  
ო, ეს მაგიდა არ მინდა.

შენაც საწყალი, მენაცა,  
ბაგებში წამო ვაკითა,  
მაგრამ შუაში არ გვინდა  
ეს დაწყევლილი მაგიდა.

ბაგე მომაგე, დაბანგე  
ეს ბაგე მაგა ბაგითა!...  
მოდი, ავილოთ, დავლენოთ  
გულთა გამყოფი მაგიდა!

1968

ბიჭვინთა, მწერალთა სახლი, მარტის გასული

აქ ბიჭვინთური ქარია, მძაფრი,  
აქ შავი ზღვისა ღრიალებს ძაბრი,  
ტალღა ტალღაზე გაშლილი ფაფრით,  
მოიგრაგნება ჯავრით და ჯაბრით.  
გუშინ ჩამოველ ბიჭვინთას გაგრით,  
ღუოდა ღამე აქ მთვარით ბადრით,  
ვისხედით ორნი გულების ფატვრით,  
ამ ზღვის, ამ ცის და ამ მიწის ყადრით.

## მეგობარ პოეტესას

ზეცა დანაფეთები,  
ზამბახების ეშხითა,  
მოლზე სველი ფეფები  
დაცვარული ლეშხითა.

კრძალვით გაიქანქება  
ია, ბუჩქის ძირასა,  
ერთხელ ლექსის განგება  
გამოგიყვანს წირვასა.

სად იძინებს სასრული  
უსასრულო ბანგითა, –  
დაგხვდები გაბასრული  
ცრემლითა და ჩანგითა.

1968წ.

ნინო მანაგაძის ბლოკნოტში ჩაწერილი

ქებაი და დიდებაი ქართველ ქალსა  
ნინო მანაგაძეს

დედაო, დაო, სატრუკოვ ძვირფასო,  
შენი წარსული მწარე წყლულია.  
ყველა ტკივილი საქართველოსი  
შენი ცრემლებით გამოწყულია.

გ. ლეონიძე

## ნინო მანაგაძისადმი მიძღვნილი

ჩვენი მზისა და მთვარის,  
ჩვენი მთისა და ბარის,  
ჩვენი სახლის და კარის,  
ჩვენი ბალის და ზვარის,  
ჩვენი ცრემლის და ზარის,  
ჩვენი სიტყვის და ქნარის,  
შვილის, დედ-მამის, ქმარის,  
ვინც თავდამდებად კმარის,  
ვისი ეშხითაც არის  
გამობრწყინება დარის.

\* \* \*

ბიბლიოთეკა, სახლი და ძილი,  
სახლი და ისევ ბიბლიოთეკა,  
სახლი – საბძელი = კატის მანძილი  
და ასაფრენი ფრთების მოკვეთა.

დარდი, იმედი და სიყვარული,  
ცრემლები, სევდა და მეგობრობა,  
შავს წამწამებში შემოპარული  
ტრფობა, სინაზე და მეგობრობა.

ჩემთანაც პროზა, მძიმე, ვით გრდემლი,  
ო, მეც როგორმე უნდა დავფარო –  
ცრემლით სიცილი, სიცილით – ცრემლი  
და შენში ვპოვო ჩემი სამყარო.

P.S. სამივე ლექსი არის წამება,  
სამივე მექცეს მფარავ სამებად!

## პანია ელენეს ზეზვა პაპასგან ნაუცხბათევად ნათქვამი:

ამ წიგნს მივუძლვნი საყვარელს –  
ჩვენს პანაწუნა ელოსა,  
იზარდოს, თავი უზარდოს,  
სამშობლოს – საქართველოსა,  
გაზრდილი – ფერად ეჩინოს  
სამშობლოს მთას და მდელოსა,  
უცოცხლოს გამზრდელს – კახეთსა,  
იმერეთს – საგამზრდელოსა,  
სამშობლოს მისი მშვენება  
არასდროს დაუძველოსა.  
როსმე, სხვა ვისმე ელენეს,  
ვისაც უხმობდნენ „მშვენიერს“,  
იქნებ ფიორიც არ ჰქონდა,  
რითაც შენ შენსას ჰქონდა ერს,  
ვუსურვებ ქართულ ჩვენს ჯიშსა  
სიბრძნე სინაზეს შენმიერს,  
გაიზარდე და ისავსე  
ერსაც სისავსე შენ მიეც,  
შენ იოანე ზოსიმე,  
ვითარცა უფლის ნებიერს –  
დედოფალ ნანასთან ერთად  
გიხმობს ვით ნათელს ზეციერს.

25.XI.2006

\* \* \*

„О, сердце!“ ლ. უტიოსოვის სიმღერა კინოფილმიდან  
„მხიარული ახალგაზრდობა“.

რად მომაგონდა უტიოსოვი,  
ანდა მისი ხმის უცხო ხავერდი,


როს სიყვარულის ბჭესთან მოსული  
ზვირთი მეცა და გზას გადავედი.  
ერთმანეთს რა ცრუდ ვესათუთებით,  
ღმერთო, ლექსებში ნეტავ რა ყრია?!  
ახლა დამწიფდა კახეთს თუთები  
და ხართუთის ქვეშ წყვილი აკლია.  
მოდი, დავლენოთ ყველა ბორკილი,  
ჯანდაბას ყველა ლექსი და რითმა!  
ოღონდ დაწყნარდეს გული ბორგვნილი,  
გულზე მეფინოს ოღონდ შენი თმა!  
ოღონდაც ერთხელ ის სიყმანვილე  
კვლავ აღსდგეს ჩემში ზათქით ძველითა  
და გადმოიფრქვეს სული ნაწვიმი,  
ვითარცა ლვინო საწნახელიდან

1970 წ.

### მოცარტი

როდესაც იყო მოზარდი,  
მოცარტი იყო მოცარტი,  
იმ თავდანვე გენია,  
იმ თავიდანვე მოცადი.  
ღმერთო სადა ხარ მაღალო,  
მიწყივ რო მაღლით გვმოსავდი,  
სადა ხარ განზავებული,  
ერთხელ ჩვენშიაც მოზვავდი.  
ვინც ბრიყვი არი ამ ქვეყნად,  
სულ იმათ თავზე მოზვავდი,  
რადგან, ბრიყვია ვინაცა,  
დადის მოცარტის პოზათი.

გულო, რამდენი მოგთხოვე



ზებვრუქმები



ზეზვაურებს ზეზვა მედულაშვილის მეგობრები ეძახდნენ ექსპრომტებს, კაფიებს, ეპიგრამებს, ფუნაგორიებს, რომლებსაც იგი უხვად აფრქვევდა ყოველგვარ ვითარებასა თუ სიტუაციაში. მას შეეძლო ელვისებურად გაერითმა ნებისმიერი აზრი, ნებისმიერი სიტყვა. თანაც მისი რითმა უმეტესად ორიგინალური, მოულოდნელი და მხიარული იყო. იმასაც ამბობდნენ, „ჩვეულებრივი“ ადამიანებისაგან განსხვავებით, ზეზვას ლექსად მეტყველება პროზაულ მეტყველებაზე მეტად ეადვილება.

ერთხელ ერთ სუფრაზე წამოსძახეს: შენ თუ მართლა ეგეთი მაგარი ხარ, აბა „ემპირიოკრიტიციზმი“<sup>1</sup> გარითმეო! წამოსძახეს და მალევე ასეთი ზეზვაურა დაიმსახურეს:

მე ვხედავ, რომ შენი სახით  
იმპერია კრეტინს გვიზრდის;  
ვერაფერი გაგიგია  
ემპირიოკრიტიციზმის!

- **ლევან ბრეგაძე იგონებს:**

„კატეპასიურ სახლში“ ინდური კულტურისადმი მიძღვნილი სალამო რომ დამთავრდა, ზურაბ კიკნაძემ ზეზვა მედულაშვილი გაიხმო გვერდზე და გამოცდა მოუწყო:

— აბა, „უპანიშადები“ გარითმე!  
და ზეზვამ მაშინვე, დაუფიქრებლად წარმოთქვა:

მივმართავ ძვირფას ამ ჩვენს მარაქას,  
სირცხვილით ჰირი თუ გამიშავდეს,  
ეგ იმიტომ, რომ ფული არა მაქვს,  
და ვერ ვყიდულობ „უპანიშადებს“.

— აბა, ახლა „მაპაპარატა“ გარითმე, — არ ეშვება ზურაბი.  
ზეზვა არც ახლა დაიბნა:

თუ წაგივითხავს „მახაბხარატა“,  
თუკი ინდოეთს სახავ ფარადა,  
მწამს, უსათუოდ დათმობ კათედრას  
და ქარხანაში წახვალ ხარატად.

---

<sup>1</sup> ემპირიოკრიტიციზმი — მიმართულება მე-19 საუკუნის ფილოსოფიაში.

შორიახლო ვიდექი და ვუსმენდი. დაუჯერებელი ჩანდა.

• **ლევან ბრეგაძის მეორე მოგონება:**

ერთხელ ზეზვა და მე სასოსისეში შევედით. მებუფეტემ მოგვიბოდი-შა – სოსისი არა გვაქვს, ხუთშაბათია, თევზის დღეაო. თევზი იყოს-თქო, დავყაბულდით. ჩვენ თევზით არ ვვაჭრობთო, – განგვიმარტა.

სხვა დუქანში შევედით. იქაც იგივე ამბავი – თევზის დღეაო. მე-სამეში და მეოთხეშიც შევიხედეთ. „თევზის დღე“ და „თევზის დღე“ – ისმოდა ყველგან. ერთგან თევზსაც წავანებით, მაგრამ ისეთი იყო, გული არ მიგვიდოდა.

და ზეზვას მორიგი ზეზვაურა დასცდა:

კაცს როგორ უნდა შევზიზღდე,  
რომ დამინესოს თევზის დღე.

• **ლევან ბრეგაძის მესამე მოგონება:**

გაზეთების კიოსკში შევიძინეთ ახლადაარსებული გაზეთი „სიტყვა“, რომელშიც ანტიკური ავტორების თარგმანები ჭარბობდა. ზეზვამ თქვა:

სეტყვასავით მოდის „სიტყვა“,  
ფსალმუნი თუ ევრიპიდე.  
ლმერთო, მსგავსი თარგმანები  
წამაკითხე ბევრი კიდე.  
მაგრამ ფასი ძვირი ადევს,  
სილარიბით ვერ ვიყიდე.  
არც ისეთი საქმე ვარგა,  
ვთესო, მაგრამ ვერა ვმკიდე.

• **ლევან ბრეგაძის მეოთხე მოგონება:**

ზეზვასთან შეხვედრა გამართა როსტომ ჩხეიძემ „ომეგას“ ოფისში, მელიქიშვილის ქუჩაზე. ზეზვა წინა დღის ნაქეიფარი მოვიდა და გამოს-ვლა ასე დაიწყო:

ჩაიბარეთ თქვენი ზეზვა –  
ნაარყალი, ნახაშარი,

ვერ ელევა არაყს, თუმცა  
მისგან ბევრჯერ ნახა შარი.  
რა ფინთია „პახმელია“ –  
თავმტკივანი, ხახამშრალი!  
არაყი და ლუდი არი  
კაცის გულის მამხარშავი.  
არ შემეშვა თუკი ეშმა –  
ხან ცბიერი, ხან აშარი,  
ღვინოც აღარ მინდა, ხალხო,  
აღარც თეთრი, აღარც შავი.

- ზეზვა ხშირად ეპაექრებოდა ლექსად კაფიის დიდოსტატს, თავის უძვირთასეს მეგობარს, ალექსი (წიქა) ჭინჭარაულს, ანუ ლეკოთ ალექსის. უხსოვარი დროიდან იყვნენ შეხუმრებულნი. ერთხელ ზეზვამ ალექსის ასეთი რამეც კი შეჰკადრა:

ჩემო ალექსი, სიმსუქნე  
არ მოგიხდებათ ლეკოსებს.  
ახლა რომ მტერი დაგვეცეს,  
შენ გაგვიბრუნებ ლეკ-ოსებს?

\*

ალექსი ჭინჭარაულს დაუგვიანდა სადოქტორი დისერტაციის დაცვა, რის გამოც ახლობელ-მეგობრები საყვედურობდნენ. ერთხელ, ალექსის დაბადების დღის ალსანიშნავად გაშლილ სუფრაზე, ისევ ხელახლი შე-მოტევებით თავგაბეზრებულმა ალექსიმ უსიტყვოდ დაავლო ხელი მის წინ მდგარ დოქს და ღვინის დასხმა დაიწყო. იმ წამს ზეზვაურაც გაისმა:

შენ ისე დაეც დოქ ტორი,  
მალე გახდები დოქტორი!

\*

ალექსი და ზეზვა ერთ შეხვედრაზე მიიჩქაროდნენ. ალექსიმ რთული პრობლემა წამოჭრა მეგობრის წინაშე: რით გავემგზავროთ – ტაქსით, ტროლეიბუსით თუ მეტროთიო. ზეზვამ მიუგო:

რო ხარ კაფიის მედროშე,  
უნდა ჩახვიდე მეტროში.  
ჭკვიან უნდ იყოს, ხევსურო,  
ჩვენებურ კაცი ემ დროში.

\*

ალექსი და ზეზვა რამდენიმე კოლეგასთან ერთად ავტობუსით  
მიემგზავრებოდნენ შატილს. ბარისახოსთან აეტოინსპექტორმა შეაჩე-  
რა მგზავრები - გზა არის დაზიანებული და ვერ გაგატარებთ, უკანვე  
უნდა გაბრუნდეთო. ინსპექტორს სხვა მანქანების მძღოლებისთვისაც  
ჩემოერთმია საგზურები. ბევრს ეხვენა ალექსი წესრიგის დამცველს –  
ხევსური ვარ, შინ მივდივარ, ამაზე უარეს გზებზეც გვივლია, რა უნდა  
მოგვივიდესო, მაგრამ არაფერმა გაჭრა.

პოდა, ავტოინსპექტორს ზეზვა მიუახლოვდა და მისი გულის მოლ-  
ბობა ექსპრომტით სცადა:

მაგ საგზურების წართმევა  
შენგან კი არის ადვილი,  
საქმე ის არის, გაგვიშვა,  
ერთხელ გვაჩვენო შატილი.  
შენც თან წამოგვევა მეგზურად,  
ჩვენ იქ უშენოდ სად ვივლით,  
დავსხდეთ და ჭერი ავხადოთ,  
გავმართოთ კაი სადილი.  
სიმართლეს გეტყვი, ძმობილო,  
ზეზვას არ უყვარს ქადილი.

მაგრამ რა! ინსპექტორის სახეზე ნაკვთიც არ შერხეულა – ვერ  
გატეხეს!

მაშინ ზეზვა მასპინძლის როლში მყოფ ალექსის მიუბრუნდა და  
გამწარებულ გულზე ასეთი ზეზვაურა ახალა:

ის კაცი დავსწვი, ალექსი,  
ვინც რომ შენს იმედს მოება!  
ფშავ-ხევსურეთში წანწალი  
ყოფილა ამაოება.

აღარც რა მეშატილება,  
არც მებარისახოება!

დარცხვენილმა ალექსიმ ზეზვაურას წიქაურა დაუხვედრა:

რა გიყო, ჩემო ზეზვაო,  
ზოგჯერ მოიტანს დროება!

ამ გაკაფიებას ავტონომექტორიც ისმენდა. შეატყო, სხვანაირ ხალხ-თან ჰქონდა საქმე; ალბათ ისიც გაიფიქრა, ემანდ, უარესი არაფერი წა-მოსცდეთო და ხელი ჩაიქნია: ჯანი გავარდეს, წადით, ოლონდ ფრთხილად იარეთ, არაფერი მოიწიოთო.

\*

ზეზვასაგან ალექსი ჭინჭარაულისადმი წათქვამი:

საცა მოჟხვდება ჭიქა ჭიქასა,  
ჭინჭარაული წიქაც იქ ასა,  
ორივე ერთურთს ეხუტებიან:  
წიქა ჭიქას და ჭიქა წიქასა,  
ხან თბილისშია, ხან თიანეთში,  
სუყველგან ასწრებს, აქაც, იქაცა,  
ამ ბოლო დროს კი უკლო ჭამა-სმას,  
რა ქნას, დაბერდა გადაიქანცა.

(მეორე ვერსია)

საცა მოჟხვდება ჭიქა ჭიქასა,  
ჩვენი ბებერი წიქაც იქ ასა,  
ორივე ერთურთს ეხუტებიან,  
წიქა ჭიქას და ჭიქა წიქასა,  
ხან შატილშია, ხან – თიანეთში,  
სუყველგან ასწრებს: აქაც, იქაცა,  
„ნაუკაშიც“ და „შენ დაუკამიც“  
ქვეშ ამოიდო ბევრი ვიღაცა,  
მეც ვერ გადვურჩი კბილგაუკრავი,

ღდინიც გამაძრო ბევრჯერ, სიქაცა,  
მაინც ვულოცავ დამდევ ოთხმოც წელს,  
რაც კი იცოცხლა, იკაიკაცა.

- ვახუშტი კოტეტიშვილზე:

ერთი დრო ჰქონდა, ვახუშტიც  
გემოზე ნავახუშტარა,  
ხან ქალებს თვალი უშტერა,  
ხან მუზას შეეშუშპარა.  
ღვინოს ხომ იმთავიდანვე  
მუდმივად დაემუშტარა,  
ეგ არის, – ხრინწი შეუჩნდა,  
მისთვის შუბლმონაკუშტარა,  
მაინც, ჯერ კიდევ ლომია,  
ტორებიც მონამუშტარა,  
პარნასის გოჯსაც არა სთმობს,  
სმაშიც ჯერ არა უშავრა,  
ისე – სიმრთელე მაგის ყელს,  
მაგის მტერს – მაგის ხუშტარა!

- ტრისტან მახაურზე:

ტრისტანი – ფშავის პრისტავი,  
ეხლა კურირებს ავლაბარს,  
უხარის მთაში ჯერ ავლა,  
მერე იქიდან ჩავლა ბარს.  
სიტყვას და კაფიას ხმარობს  
როგორც მათრახს და აბრაგანს,<sup>2</sup>  
ემაგის ნათქვამ-ნალექსარს  
მგონი, ვერავინ დაბრაკავს,  
ეშმაკიც არი – რაც მაღლა,  
ექვსი იმდენი დაბლა არს,  
მე ცოტა შორს გავუდგები,  
სხვა გააფუჭოს, – ჯანდაბას.

---

<sup>2</sup> აბრაგანი – „ბურთის ჩოგნის აღმა აკვრა“ (საბა).

- თუ ვინმე ფიქრობს, რომ კაფიობის ნიჭი უწყინარი და უხილათო ნიჭია, ძალიან ცდება. კაფიობა სანდახან რისკთანაც არის დაკავშირებული. წყეული რითმა ზოგჯერ ისეთ რამეს გათქმევინებს, შეიძლება მერე სულ თავ-ბედი იწყევლო. სხვას რომ ყველაფერს თავი დავანებოთ, ყველას როდი აქვს მომადლებული იუმორის გრძნობა.

ერთხელ შექეიფიანებული ზეზვა თანამეინახებთან ერთად რესტორნიდან გამოდიოდა. გარდერობთან იდგნენ. მათ გვერდით სამი უცნობიც იცვამდა პალტოს. ერთ-ერთ მათგანს ზეზვას ნათქვამი რომელილაც თამამი ფრაზა არ მოეწონა, მკლავზე ხელი ნაატანა და დაემუქრა: ჭკუით იყავი, ჩვენ „ემ-ვე-დე“-დან<sup>3</sup> ვართო! ზეზვამ არც აცია, არც აცხელა, ასე გაურითმა უცნობს თავისი სამსახურის აბრევიატურა:

ფეხზე მკიდია „ემ-ვე-დე“,  
ემანდ, ფინთად ნუ მემედე!  
ზეზვა ვარ, მედულაშვილი,  
ეგ სიტყვა როგორ შემბედე!

ვინ იცის, როგორ დამთავრდებოდა ეს კონფლიქტი, ერთ-ერთ უცნობთაგანს ამ კაფიის გაგონებაზე რომ არ ეკითხა: შენ ფშაველი ხომ არა ხარო?

— წარმოშობით ფშაველი ვარ, მაგრამ გაკახელებულიო, — მიუგო ზეზვამ.

— შენი ჭირიმე შენი! შენს ნიჭს ვენაცვალე! მეც ფშაველი ვარ, ესა და ესა მქევია, აქა და აქ ვმუშაობ, თუ რამე გაგიჭირდეს, მოდი, ნუ მოგერიდებაო, — უთხრა ახალგაცნობილმა მოკაფიავეს. მერე თავის განრისხებულ კოლეგას ხელი მოხვია და იქაურობას გაარიდა.

- ზეზვა მედულაშვილი ჭადრაკის დიდი ტრფიალიც გახლდათ. ერთხელ როსტომ ჩხეიძეს ეთამაშებოდა „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქციაში. სამუშაო დღე ჩამთავრებული იყო, მაგრამ როსტომი ერთ ავტორს ელოდებოდა, რომელიც ალბერ კამიუს ნაწარმოების თარგმანს იყო შეპირებული. ის იყო, ზეზვამ უიმედო პოზიცია მიიღო, რომ თარგმანიც მოიტანეს. ეს ორი მოვლენა ასე გადაეჯაჭვა

<sup>3</sup> ემ-ვე-დე – შინაგან საქმეთა სამინისტროს რუსული აბრევიატურა.

ერთმანეთს ზეზვაურაში:

როს მოიტანეს კამიუ,  
გამომეცალა სკამიო.

ეს გახლავთ კაფია-ევფემიზმი. ამით ზეზვამ მოახერხა არ წარმოეთ-ქვა ყოველი მოქადრაკისთვის ესოდენ საძულველი სიტყვა „გნებდები“. კაპიტულაციის ასეთი ექსპრომტით გამოცხადება ბევრად ამსუბუქებს დამარცხებულის ხვედრს.

რითმის მოვგარულისა და მცოდნის ყურადღებას აქ უთუოდ მიიპყრობს სარითმო სიტყვებში ასო სანის საინტერესო მოძრაობა ერთი სიტყვის ბოლოდან („მოიტანეს“) მეორე სიტყვის დასაწყისისაკენ („სკამიო“).

• **ნომადი ბართაიას მონათხრობი:**

2012 წლის 27 ოქტომბერს შოთაობის დღესასწაულზე გავემგზავრეთ მესხეთს. ახალციხესთან ასეთი ლოზუნგი დაგვხვდა: „ერთად შევეგებოთ ევროპას!“, რომელსაც ზეზვა ასე გამოეხმაურა:

ერთად რომ გვინდა ყველასა,  
რომ შევეგებოთ ევროპას,  
რა ვუყოთ სახელგანთქმულსა  
ჩვენს ქართულ დაუდევრობას.

\*

• **ნომადი ბართაია იგონებს:**

ბელა შალვაშვილი ფირდოუსის „შაპ-ნამეს“ შექიდებული მთარგმნელია. გამოცემული აქვს ამ ეპოპეიდან ნაწილები წიგნებად. პირველი წიგნი რომ გამოვიდა, ზეზვამ თქვა:

შენი ჭირიმე ბელაო,  
რო მოგვითარგმნე „შაპ-ნამე“,  
ქართველ მეითხველთა თვალები  
ცრემლის ცვარით რო შაპნამე.

• როგორც ზემოთ ითქვა, ყოველგვარ ვითარებას უმარჯვებდა ზეზვა ექსპრომტს, მაგრამ მისი მოღვაწეობა შემოქმედების ამ სფეროში განსაკუთრებით ნაყოფიერი მაინც სუფრასთან იყო.

რა კერძი უნდა შემოეტანა გულუხვ მასპინძელს, რომ ზეზვას წამსვე

არ გაერითმა მისი სახელი და დასამახსოვრებელი, სიტუაციას მორგებული ეპიგრამა თუ კაფია არ შეექმნა.

შენმა ვარდივით გაშლამა,  
ლექსოვ, მიირთვი ხაშლამა!  
თორემ რა გვიყოს ჩვენ მშივრად  
დასხდომამ ანდა აშლამა!

ან კიდევ:

გადმომაწოდე მწვადია,  
მაგ მწვადის ჭამა მწადია!  
მე მწვადი არ მიქამია  
თორმეტი წელიწადია.  
თუ მაგ მწვადს არ გადმომაწვდი,  
ადე, აქედან წადია!

ამ კაფიას ეტყობა, მისი ავტორი უკვე კარგა შექეიფიანებულა და მშვენიერ გუნებაზეც არის. და ახლა, მორიგ სასმისს რომ გამოცლის, მასპინძლის გულის გასახარად ასეთ რამესაც განაცხადებს:

მართლა არი საღი ღვინო  
სამღერო და საღილინო.

„– ძალიან კარგი სალიანკაა, მიირთვით!“, – გაისმა სუფრაზე. რით-მაზე გამახვილებულმა ზეზვას ყურმა იგრძნო, რომ ამ შეთავაზების ბგერით ფორმაში მხარული რითმა იმაღებოდა და წამსვე გაისმა:

თუ არი ძალიან კაი,  
დამისხი საღიანკაი!

სუფრაზე ხილისა და ტკბილეულის გამოჩენა ზოგჯერ ნადიმის დასრულების სიგნალია. ალბათ ამიტომ ვერ უყურებდა ნამ-ცხვარს კარგი თვალით ზეზვა:

ნეტა რად მინდა ნამცხვარი,  
ვინ ნახეთ ნამცხვრით გამძლარი.  
ისეთი რამე მოიტათ,

ან მჟავე იყოს, ან ცხარი.  
მგელივით დამშეული ვართ,  
მუცელს გაუდის ჩანჩხარი.

ერთხელაც ზეზვა ხევსურეთში გახლდათ სტუმრად. მასპინძელმა, ამირან არაბულმა, ტრადიციული მოსაბოდიშებელი ფრაზა წარმოთქვა: „რა ვქნა, თქვენი საკადრისი სუფრა, მგონი, ვერ გავშალეო“. ზეზვამ დაამშვიდა:

ვენაცვალე ამირანსა,  
ზეზვა ეტყვის აი რასა:  
ვინა თქვა, თუ ხევსურთ სუფრა  
გარდახდა და დაითარსა.  
ჩვენი სუფრა კიდევაც სჯობს  
სხვების ქორწილ-ბაირამსა.

ზეზვა მწეველი კაცი გახლდათ და, როცა მისი დანაყრებულ-შე-ქიფიანებული თანამენახე სიგარეტს მოინატრებდა, წამსვე ჯიბეზე გაიკრავდა ხელს:

აგერ მოგართმევ „მზიურსა“,<sup>4</sup>  
ისე ჰქენს, როგორც გიურზა!  
ვერსად ვერ ნახავ სიგარეტს  
„მზიურზე“ ემოციურსა!

- ქვემოთ გთავაზობთ სუფრაზე, სუფრის მოლოდინში თუ სუფრის დამთავრების შემდეგ თქმულ ზეზვაურებს თვით ზეზვასავე კომენ-ტარებით:  
„არაყს არ დალევო?“ – შემეკითხნენ ერთგან, მეგობართან ვისხე-დით. რა შეკითხვა მინდოდა, სიცივით ვიხოცებოდით. იქა ვთქვი:

თუკი არ დავლევ არაყსა,  
კომპოტი ვსვა თუ მა რა ვსვა?  
ამ კობას რო აქვს არაყი,

<sup>4</sup> „მზიური“ – სიგარეტის სახელწოდება.

მე გამოვულევ მარაგსა?  
 ისე შევყვები არაყსა,  
 როგორც რო თევზი არაგვსა,  
 დავლევ, დავთვრები, არა თქვან  
 კობას არაყი არ აქვსა.

\*

ერთმა ძმაკაცმა მწვადს არ მიხედა და ვინეგრეტი გადაიხვავა. ალარ  
 მახსოვს სად ვიყავით. იქ ვუთხარი:

ვინ შენა და ვინ ეგრეთი, –  
 რად გინდოდა ვინეგრეტი?  
 აჲა, მწვადი გადაიღე,  
 ეგ გადუდგი ვინმე კრეტინს.

\*

მეგობრის „ნიგაში“ ვისხედით და ლუდზე დავრბოდით, ვერ ვშოუ-  
 ლობდით, „უპივობა“ იყო. მაშინა ვთქვი:

კარგი არის „ნიგა“,  
 სადაც უნდა, მივა.  
 სულ არ უნდა ქერი და  
 სულ არ უნდა თივა.  
 არც ბენზინი არ უნდა,  
 თუნდ ჩაასხი „პივა“,  
 მაგრამ „პივაც“ რომ არ გვაქვს,  
 გული მიტომ მტკივა.

\*

ამხანაგის ოჯახში ვისხედით, ოთუსბირად ნაყიდი კიტრი იყო სუფ-  
 რაზე. აიღე, აიღეო. ჯერ არ ვიღებდი, მერე მაინც ავიღე და ესა ვთქვი:

ზეზვაიმ თავი იმტკირია,  
 ცოტა ხანს წელი ითრია,  
 მერე ადგა და, რა ექნა,

გადაითრია კიტრია.  
გაფცევნა, შეჭამა გაბრწყინდა,  
როგორც ეკრანზე ტიტრია,  
დათოს არ მიუწილადა:  
თვითონ იშოვნოს, „ხიტრია“.

\*

საზამთროს კარგა ნასვამზე კარგა იტყვიან. ჩვენ კი ჯერ თითო-ორო-ლა ჭიქა ღვინო გვქონდა დალეული, როცა საზამთრო შემოიტანეს. მაშინა ვთქვი. აქ ნახსენები ანდრო კი, აღარ მახსოვს რომელი ანდრო იყო – ბუაჩიძე თუ თუ წულაძე:

ჯერ ჩვენ არ გვინდა საზამთრო, –  
ჯერ რვიანებსა ვხაზამთ რო?  
მგონი, არც მერე არ გვინდა, –  
სად საზამთრო და სად ანდრო!

\*

ოთარ ჭელიძის დაბადების დღე იყო (50 წლის გახდა), არაგვისპირ-ზე გადაიხადა. თამადა მე ვიყავი. იქიდან დაბრუნებისას, ნატახტარელი შოთერი გვყავდა, თავის სახლთან გააჩერა ავტობუსი. ავტობუსის კარი გაჩერებამდე გააღო და ერთი ჩვენი თანამეინახეთაგანი ყვირილით – „ნატახტარი, ნატახტარი!“ – კარს ეცა და კინალამ გადავარდა. ხელი ვტაცე, შევიმაგრე და იმ ნამში ვუთხარი. ახლაც სალაპარაკოდა აქვს, ზეზვამ გადამარჩინა და ასე მითხრაო:

რაღათ მინდა ნატახტარი,  
შენ თუ გნახე გადამხტარი.  
ჩაიფეხვო, ვის მოვუყვე  
შენი თავზე გადამხდარი!

\*

გურულებში ვისხედით. „სამება“ დაგვალევინეს. კარგი ღვინო იყო, მაგრამ ძალიან დაგვამძიმა. ეს მაშინა ვთქვი:

გამიწყრა მაღლით სამება,  
ღვინო დავლიე „სამება“,  
დავთვერი, ვეღარ გავიგე,  
თავი თუ მება, სა(დ) მება.  
ძნელი ყოფილა, ბიჭებო,  
ჭიქების დასამსამება,  
ჭიქების დასამსამებას  
სცოდნია გასაგსავება.

\*

სასოსისეში ვიყავით, ლუდი და არაყი გვედგა (არაყი შინაურულად შეიძლებოდა იქა). ერთმა რამდენიმე ქვეყანამოვლილმა ძმაკაცმა ვისკი ინატრა და მაშინ ვთქვი ესა:

ა იმას რა სჯობს, თუკი გაქვს  
ლუდი, არაყი, „სასისკი“,  
მე ლუდ-არაყი დამიდგით,  
სხვამ, ვისაც უნდა, სვას ვისკი.

- მეოცე საუკუნის ქართულ პოეზიაში ფართოდ გავრცელდა კაფიის ერთი სახეობა, რომელსაც შეიძლება სახელობითი კაფიები ვუწოდოთ. ვეულისხმობთ ეპიგრამებს, რომლებიც კონკრეტულ ადამიანებს მიემართება და მათ სახელებსა ან/და გვარებზეა შერითმული. ამ ყაიდის კაფიის დიდი ამაგი დასდეს ლადო ასათიანის თაობის პოეტებმა. ზეზვა მედულაშვილმა ღირსეულად გააგრძელა ეს ტრადიცია.

1980-ანი წლების დამდეგს გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქციაში ერთდროულად დაიწყო მუშაობა ორმა ჩინებულმა ახალგაზრდა ლიტერატორმა – უჩა შერაზადიშვილმა და ივანე (ვანო) ამირხანაშვილმა. მათზე აქვს ზეზვას ნათქვამი:

ქართულ პრესას შენაზარდი შვილი,  
ჩვენი უჩა შერაზადიშვილი.

პუბლიცისტიკის ყამირ ყანაში  
აქვს საძოვარი ამირხანაშვილს.

### ზეზვა მოგვითხრობს:

ჩემს ძმაკაცებზე – უჩა შერაზადიშვილზე და ვანო ამირხანაშვილზე  
მითხრა სხვა ძმაკაცმა: ერთხელ სუფრას ვუსხედით და რევაზ ჯაფარიძე  
უჩასა და ვანოს ერთმანეთისგან ვერ არჩევდა, უჩას ვანოს ეძახდა და  
ვანოს უჩასო, და მერე, რომ ვეღარა გააწყო-რა, საერთოდ უჩა-ვანოდ  
იხსენიებდა ორივესო. მე ამაზე ჩემი აზრი ლექსად ასე ვუთხარი იმ ჩემ  
მეგობარს, ანუ უჩასა და ვანოს. **ავან-ჩავანი** ასე წარმოდგა ჩემს შაირში:

უჩას, ვანოს ჯაფარიძე  
მიტომ იცნობს უჩა-ვანოდ,  
ცალ-ცალკე რომ არ დადიან –  
უავანოდ, უჩავანოდ.

\*

როდესაც თეიმურაზ მირიანაშვილმა ზედიზედ გამოაქვეყნა მწვავე  
პოლემიკური წერილები, ზეზვა მედულაშვილმა ასე გააფრთხილა მისი  
შესაძლო ოპონენტები:

როგორც მეველის ვირი ყანაში,  
თვალში არ მოხვდეთ მირიანაშვილს.

\*

უცხო ენათა ინსტიტუტის პრორექტორს – ფილოლოგს, კრიტიკოსს,  
ფოლოსოფოსს გურამ ლებანიძეს უძლვნა ზეზვამ ეს ექსპრომტი:

შენ გენაცვალე, გურამო,  
ჭკუით რეინასა ჰლუნამო.  
ისეთი კრგი ბიჭი ხარ,  
უნდა გაპკურო სუნამო,  
ოღონდ არ გადაგიყოლოს  
ჰეგელმა, უნამუნომო.

— ეს პიქვინთაში ვუთხარი, — ამბობს ზეზვა, — აღარ მახსოვდა წლების წინ ნათქვამი და ახლახან ნაირა გელაშვილმა მომაგონა: გახსოვს როგორ უთხარიო? და „უნამუნოს“ გარითმვასა ჰკვირობდა.

\*

1987 წელს ზეზვას შეხვედრა მოუწყვეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე. მანაც ეს ფა-კულტეტი დაამთავრა და იქვე მუშაობდა თორმეტი წლის განმავლობაში. შეხვედრაზე ილაპარაკეს ზეზვას მთარგმნელობით მოღვაწეობაზე, მიუ-ლოცეს ლიტერატურული პრემიები (ჩარენცის პრემიის ლაურეატი უკვე იყო და იმ სანებში მაჩაბლის პრემიაც მიანიჭეს), წაკითხეს თარგმნები სხვადასხვა ენიდან და ბოლოს სტუდენტებმა სთხოვეს გაეხსენებინა ძვე-ლი კაფიები თუ ეპიგრამები, რომლებზეც ბევრი სმენოდათ და რომელთა ერთი ნაწილი მათ მასწავლებლებზე იყო გამოთქმული.

ახლა კვლავ ზეზვა მედულაშვილს მივცეთ სიტყვა:

— კი, ბატონო-მეთქი და რამდენიმე ძველი ექსპრომტი გავიხსენე. მერე უცებ მითხრეს, აბა, ჩვენს დეკანზე მოიგონე რამეო, ახლავე, ამ წუთასო. იმუამად დეკანი აპოლონ სილაგაძე იყო. აპოლონი ჩემს მომდევ-ნო კურსზე სწავლობდა და უფრო დოდიკას ვეძახდით შინაურულად. ამ ჩვენს დოდიკა დეკანს სამი მოადგილე ჰყავდა — ირინე (ირა) გოცირიძე, ცირა ბოჭორიშვილი და ელიდა კვანტიალიანი. შეკვეთით ძალიან ძნელია თქმა, თანაც, რომ გიცდიან, შემოგყურებენ და, გარკვეულად, გცდიან კიდეც... რა მექნა, გავიჭირვე. კაფია კი არ მიჭირს, მაგრამ ისეთი საზო-გადოებაა (მასწავლებლები და სტუდენტები ერთად), კორექტულობაა საჭირო, რომ შეუსაბამო არაფერი დაგცდეს, რითმამ არ გადაგიტყუოს, არავინ მოგამდურებინოს. ერთი სიტყვით, ვთქვი მაინც და ასეთი რამე გამომივიდა:

თქვენი დეკანი დოდიკა  
უფალს უჭიუო როდი ჰყავს, —  
შემოიკრიბა ელიტა:  
ირა, ცირა და ელიდა;  
რა პური გამოგიცხვებათ  
ეგეთი საფანელითა.

უცებ მივხვდი, რომ, თუმცა ეს „ელიტა“ – ირა, ცირა და ელიდა, თვითონ დოდიკაც, ჩემი ძველი თანამშრომლები და მეობარ-ამხანაგები იყვნენ, მაგრამ, თუნდაც ხუმრობით, სტუდენტების წინაშე ამ „საფანელ-ში“ არ უნდა გამეყვანა და ხელადვე რითმაში ასეთი რამე მივაბი:

ამ კაფისთვის, ხომ ვიცი,  
მოვკვდები ამის ხელითა-მეთქი

და აპოლონისკენ (დოდიკასკენ) გავიშვირე ხელები. რაღა თქმა უნდა, გაიცინეს და ასე გამოვძვერი იმ ჩემივე შექმნილი უხერხულობიდან.

\*

მთარგმნელობითი კოლეგიის თანამშრომელზე, ნოე მაჭარაშვილზე, ტარასის ძეზე, აქვს ზეზვას ნათქვამი:

მე ის მიყვარს ტარასიჩის,  
ჯიბეში რომ ტარანს იჩრის,  
ლუდს გადაჰკრავს, ჯავრს არ შესჭამს  
არა ჭიქის, არა სირჩის.  
დალეული არც სხვას ერჩის,  
არც სხვისაგან არას ირჩის.

ენათმეცნიერებო! რა საინტერესო ფორმაა „ირჩის“!  
ლექსმცოდნებო! რა საინტერესო რითმაა „არა სირჩის – არას ირჩის“!

\*

სახუმარო მუნასიბი ერთ გაუთხოვარ კოლეგაზე:

მარიკავ, აგრემც არ იყავ,  
თუ ბიჭებს აგრე გარიყავ.  
გათხოვდი, შენოდენებსა  
ზოგ-ზოგს ოთხ-ოთხი ქმარი ჰყავ!  
უკვე მესამედ, მეოთხედ  
აკვანთან უნდა მჯდარიყავ,

არათუ სამსახურშია  
ხმელ სკამზე ჩამომდნარიყავ.

\*

კვლავ ზეზვას მოვუსმინოთ:

— ირაკლი გოგოლაური მაშინებდა ვახტანგ მთვარელაშვილით, ის მაგარია და მოგიგებს ლექსშიო. რაღა თქმა უნდა, გამიგია მთვარელაშვილის კაფიები, მართლაც მაგარია იმ ლექსების მიხედვით. პირადად არ ვიცნობ, მაგრამ ირაკლისთვის ხომ რაღაც უნდა მეთქვა ამის პასუხად და ვუთხარი ესა:

მთვარელაშვილი ვახტანგი  
ყოფილა მტერთა გამთანგი,  
თუკი შემხვდება, შევხვდები,  
როგორც ტარიელს ავთანდილ.  
ზეზვა ვარ, მედულაშვილი,  
გან მისი შიშით გავთავდი,  
ქართულიც ვიცი, სომხურიც,  
თათრულ თვლაც ვიცი ათამდი.

— ეგ ამ წუთში მოიგონეო? — ირაკლიმ.

— ახლა მაშინებ მთვარელაშვილით და მაშ როდის მოვიგონებდი-მეთქი!

ჩაინტერა. „მნათობის“ დაბლა, სარდაფის სასადილოში ვისხედით. ამ ათიოდე წლის წინ იქნებოდა.

(1992 წელს მონათხრობი).

\*

ერთხელ, ხევსურეთში ყოფნისას, ზეზვას ექსპრომტებს ნათია წიკლაური იწერდა რვეულში. მასზე აქვს ზეზვას ნათქვამი:

აბა, შეხედეთ, ნათია  
რა ეშხის ამანათია!  
ამისი გულის მძებნელი  
ხევსურეთს ათვერ ათია.  
ისე ანათებს ნათია,

თითქოს მზის ათინათია.  
ამ ერთ ნათიას, იცოდეთ,  
ვერ სჯობს სხვა ათი ნათია.

\*

ზეზვას ხელით ჩაწერილ ამ კაფიას ასეთი სათაური აქვს:  
**კაფია ჩემივე თავზე და ბათუ (ბართლომე) დანელიაზე,**  
**ამ გაჭირვებულ დროს ნათევამი:**

ზეზვანი და ბართლომენი  
ორივენი ვართ ლომები.  
ბევრჯერ ერთად ვიზეიმეთ  
დღეობები, ნათლობები.  
ახლა ძლივს რო დავღანდალებთ,  
ამისიც ვართ მადლობელი.

\*

იქვე, მეორე ლექსს კი ეს უძლვის წინ:

### **ისევ ბათუს**

(„რამდენი ხანია ბათუმში აღარა ვყოფილვართ და, ერთი კიდევ ჩამიყეანაო, ინატრა“):

ბათუ თუ ჩავა ბათუმსა,  
მწვადს მიართმევენ მთლათ უმსა,  
ოლონდ ეგ არის, იქამდის  
გზის ფული არ აქვს ბათუსა.

\*

### **ზალ ბოტკოველს:**

იაპონელი მწერლის ძუნიტირო ტანიძაკის მოთხრობის თარგმანი-

სათვის ივანე მაჩაბლის პრემიის მინიჭების გამო (2011 წ.):

მეცა მსურდა, ძმაო, შენთვის

და მიგრძნობდა ტანიც აკი,  
პრემიას რო აგვიდებდა  
ძუნიტირო ტანიძაკი.  
სიგრძე საკმარისი გქონდა,  
მოგემატა განიც აკი,  
ძმად ხო ისეც გეძმობოდი,  
გავხდი შენი ფანიც აკი!  
იფქლი არი შენი ფქვილი,  
ვერვინ გითხრას: „არი ქატო!“.  
ძუნიტიროს ათას ერთი  
მადლობა და „არიგატო!“.<sup>5\*</sup>  
მაღარიჩი შენზე არი,  
სახინკლეში, არიქა, ტო!

\*

### ჩუბჩიკას – თენგიზ მირზაშვილს მიმართავს:

ჩვენ ჩუბჩიკას ვენაცვალე  
რომ აიღო ომით ნანტი.  
სამ თვეს მისი ნახატები  
იყო ნანტის დომინანტი.  
გენაცვალე, ჩემო ჩუბჩიკ,  
ემაგ ბუნკნარიან შუბლში,  
საქართველოს სიყვარულით  
გადაპიპინებულ გულში.  
ფრანგებს ხატვა შენ ასწავლე –  
რო არ იყვნენ ბაიბურში!  
ნანტში გამოფენა გქონდა,  
გაიწაფე პროვანსულში,  
აქ ჩვენთან ხო ყველა გიცნობთ  
ხევსურეთჩი, ფშავჩი, თუშჩი,  
კვლავაც ყინჩიდ ჩაიარე  
უკანხადუ-წინხადუში,  
ოლონდ წიქას მოერიდე,  
როცა იყოს გადაკრულში.

---

<sup>5</sup> არიგატო – მადლობა იაპონურად.

\*

### კაფია რენე კალანდიაზე:

მაშინ, როდესაც რენე სვამს,  
ერხევა რენეს რენესანსა.  
ერთმანეთი ვერ უცვნიათ  
რენესანსა და რენესა.

\*

**შოთა არაბულზე** გამოთქმულ ამ კაფიას ზეზვას ასეთი კომენტარი ახლავს:

მურთაზ (მალხაზ) არაბულს ვეუბნები ხევსურეთში. მოგვარეები არიან, მურთაზიც მნერლობს და პოეტობს. მაშინ მურთაზი ყმაწვილი ბიჭი იყო, 17-18 წლისა.

ვერვინ იპოვნის ჯუთასა<sup>6</sup>  
თქვენი შოთას ჯუფთასა,  
კაი კაცს, კაი მწერალსა,  
სიტყვით და საქმით სუფთასა.  
მოყვარეს გადაეხვევა,  
მტერს აჰკეპს, როგორც ქუფთასა.  
კარგი იქნება, შენც იმას  
გამოემგვანო, მურთაზავ.

\*

### ეს ხათუთა ლიქოკელს ეძღვნება:

ერთი იხილეთ ხათუთა,  
თავ როგორ მოისათუთა!  
ტკბილი გოგოა ხათუთა, –  
რა ყურძენი და რა თუთა!

\*

### მანანას (ადრესატი უცნობია):

<sup>6</sup> ჯუთა – სოფელი ყაზბეგის მუნიციპალიტეტში.

მაგ თვალთა ზეცა არ ჩამოჰყრის ჩემთვის მანანებს,  
და სიცოცხლესაც, ვიცი, აღბათ ბევრჯერ მანანებს.  
მე რომ შენ გიმზერ, სხვები კიდევ იჭვით მიმზერენ.  
ჩემგან რა უნდათ, უთხარ რამე ამ ჩემანანებს.

\*

ეს ეპიგრამა კი ვისზეც არის და რაზეც არის თვითონ ლექსიდანაც  
კარგად ჩანს:

ჩემ ჭირად გადავეკიდე  
უფალ რედაქტორს ბრეგაძეს,  
„მშობლიურ კერას“,<sup>7</sup> თქვენც იცით,  
კლიტე-ბოქლომად ეგ აძევს.  
შაირებ დამაცდენინა  
გაზეთს ეყოფა ერთ ას წელს.

ეგ ჩემ კაფიებს უყურებს,  
ვით შედევრალურ შენაძენს.  
„უშენოდ, ძმაო, ხომ იცი,  
ჩვენი გაზეთი ვერ გაძლებს“, –  
თავ მომიქონა სიცილით  
(ვითომ ჰონორარს ბევრს მაძლევს!),  
მაგის მოცემულ ფულითა  
(გამყიდველს ბევრი ვებაზრე)  
ძლიერ თრი „ასტრა“<sup>8</sup> ვიყიდე  
ავლაბრის შეყოლებაზე.  
მე აღარ მივალ მაგასთან,  
სხვა მიიტყუოს ლებანზე,  
როგორც აქამდე მივლია,  
კვლავ ვივლი ჩემივ ნებაზე.

<sup>7</sup> „მშობლიური კერა“ – საქართველოს საბაშვილონის გამგეობისა  
და მწერალთა გაერთიანება „ცოტნეს“ გაზეთი, გამოდიოდა 1990-93  
წნ.

<sup>8</sup> „ასტრა“ – სიგარეტის სახელწოდება.

• **ანზორ შალუტაშვილისა და ზეზვა მედულაშვილის შელექსება**

ანზორი:

გავიგე: ძალლმა ზეზვასა  
წვივზე აგხლიჩა ჩიჩია.  
ღვინო-არაყი ვერ სვასა –  
ექიმმა მტკიცედ გირჩია.  
მაშ, ვერც კაიფად მიმსხდარხართ,  
ვერც კუჭს ალკოჰოლს მიუჩინთ.  
არაყს რომ უნდა, ის თანხა  
ამატე სახლის ბიუჯეტს.

ზეზვას პასუხი:

გადმომცეს შენი ნათქვამი,  
ჩემო ძმობილო ანზორა.  
რას ამბობ, რას იჩხვლიტები,  
რატომ შენს ნათქვამს არ ზომავ?

რა ვქნა, რომ ძალლმა მიკბინა,  
არ მესმის ღვინო, არაყი,  
ცალკე ჯავრი და ბოლმა მკლავს,  
წამიხდა გულის ვარაყი.  
შენ ძალლის მხარე გიჭირავს  
და მისკენ დასდგი ბანაკი,  
ზეზვა თხასავით გაყიდე

რად უნდა აქ ლაპარაკი!  
რა ვუყო, ძალლის ბედი მაქვს,  
ძალლურ ყეფასაც ვეჩვევი,  
როცა თბილისში ჩამოხვალ,  
თვალში ნუ შემომეჩრები.  
კბილი არ გამკრა, თუმცა-და,  
ძმაში არ გამომერჩევი,  
სუფრასთან როცა დავსხდებით,

შენ შენი გქონდეს, მე – ჩემი.  
 ილო, ნუკრი და მალხაზა  
 მხნედ, განა ბანცალ-ბანცალით,  
 სულ იმ ძალლს ემუქრებიან,  
 როცა დალევენ სამ-სამ ლიტრს.

- ოქტაი ქაზუმოვის ჩანაწერებიდან:

\*

ბედი დაეცა ოქტაის  
 თურმე იყიდა მანქანა.  
 ეგ არი „პრავა“ არა აქ,  
 საქმე ვერ მოამაქმანა.  
 არადა, უმანქანობამ,  
 მაგის გზა ყველგან დაგმანა.

\*

ვით შვილიშვილი პაპასა,  
 ეგრე შავეტები პამიდორს.  
 რა ვქნა, რომ ველარ ვცილდები  
 ამ ბოსტანსა და ამ მინდორს.  
 რა ჩიტი არი კამილა,<sup>9</sup>  
 შამიბრალოს და დამინდოს!  
 მგონია ოთხით ორს ვუგებ,  
 პირიქით მიგებს სამით ორს.

(18.06. 2012)

\*

რითი ვიყიდი მერსედესს,  
 ფული რა, სადმე მერხზე დევს?!

<sup>9</sup>


---

კამილა – ქალბატონი კამილა მედულაშვილი, ზეზვას მეულლე.

• **გიზო ზარნაძის მოგონება:**

2006 წლის 26 აპრილს ვისტუმრე ახლო მეგობრები: ზეზვა მედულაშვილი, ირაკლი ვაშაყმაძე და ვიტალი მიქიაშვილი. შეზარხოშებულმა ზეზვამ თავისი ქნა, ორთავეს მოულექსპრომტა:

1.

ირაკლი, ჩემგან ზეკაცო,  
გიზოსთან – საქუდზეკაცო,  
შენ გენაცვალოს სუყველა,  
ძველი ცეკაც და ტეკაცო!..  
შენ რო გიყვარვართ, ქე ვიცით,  
ჩვენც ხომ გვიყვარხარ, შე კაცო!  
მაგრამ გვალირსე ერთხელა  
კრუხივით ლექსის ჩეკვაცო!..

2.

ვენაცვალე ჩვენს მეგობარს,  
ჩვენს ვიტალი მიქიაშვილს;  
ხასიათით უცვლელია,

რაც რომ გარეთ, იგია შინ.  
უურნალისტი მწერალია,  
არის სიტყვის სტიქიაში.  
იმ კოდექსით ცხოვრობს დღესაც,  
რაც გადაწყდა ნიკეაში.

• **ნაირა ბეპევის მოგონებიდან:**

მჩერალთა კავშირთან არსებული მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერთობის მთავარ სარედაქციო კოლეგიაში მუშაობა ახალი დაწყებული მქონდა (1979 წ.), ზეზვა შემოვიდა და ჩემი სახელისა და გვარის გაგონებისთანავე თქვა:

ნაირაა მოსული,  
რომ გვასწავლოს ოსური.

მზად ვართ, ყველამ ვისწავლოთ  
ენა ანგელოსური.

- **შალვა ამინაშვილის ჩანაწერებიდან:**

ზეზვა მედულაშვილს ქართულის გარდა მრავლად აქვს ნათქვამი და გულუხვად მიფანტულ-მოფანტული ექსპრომტები აზერბაიჯანულ, სომხურ და რუსულ ენებზე.

მწერალი და მთარგმნელი გიორგი ბაქანიძე, რომელსაც მეტსახელად „ბრატს“ ეძახდნენ ამ სიტყვის ხშირად ხმარების გამო, გატაცებული მე-თევზეც იყო. ერთმა რუსმა მწერალმა საქართველოში გამომგზავრებულ რუს პოეტს, ტატიანა ბეკას, ცნობილი დისიდენტი მწერლის ალექსანდრე ბეკის ქალიშვილს, გიორგი ბაქანიძისათვის საჩუქრად გამოატანა თევზის შესაბოლო მოწყობილობა, თუნუქის ყუთი, რასაც „კაპტილკას“ ეძახიან. დიდი ხნის შემდეგ, როცა კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს ტატიანა ბეკი და გიორგი ბაქანიძე, ტატიანამ ჰყითხა, როგორ გამოგადგა „კაპტილკაო“. გიორგი ბაქანიძემ უბასუხა, არაფრად ვარგა, წესიერად ვერ შეუბოლია თევზიო.

ზეზვას, რომელიც ამას ისმენდა, არ მოეწონა „ბრატის“ უნებური უმადურობა და ტატიანას ლექსად უთხრა:

ვოტ, ტვოია დობროტა  
ნე დაშლო დო „ბრატა“.  
კაპტილკუ ობრატნო  
ზაბირი ოტ ბრატა.

\*

ერთხელ ალმა-ათაში სუფრაზე ერთად მოხვდნენ ზეზვა და ყაზახი პოეტი ჰამზა ჟარმუჟამედის ძე აბდულინი. ჰამზას „ვეფხისტყაოსანიც“ აქვს თარგმნილი ყაზახურ ენაზე. ყაზახი პოეტი მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დიდხანს იყო გადასახლებული შორეულ კოლიმაში, ისეთივე „დანაშაულისთვის“, ჩვენებურ ლადო სულაბერიძეს რომ მიუძღვიდა იმ-პერიის წინაშე.

ზეზვასთან საუბარში საერთო სუფრაზე, სადაც, როგორც იტყვიან, კედლებსაც ყურები ასხიათ, ჰამზას უთქვამს: ეს რა გვიყვეს რუსებმა – ჩვენი ყაზახური ხალხური ეპოსი „კოკუტი“ (ქართულად „ქორეუტი“)

აზერბაიჯანულ ეპოსად გამოაცხადესო. ბრეუნევის აღზევების დრო გახდათ და რუსების მიმართ ამგვარი რამის თქმა მთლად უხიფათო არ იყო. ზეზვამ ჰამზა აბდულინი ასე გააფრთხილა:

ესლი ბუდეშ ვ ტაკომ დუხე  
აბოზრევატ „კორკუტა“,  
ხამზა, პომნი, გდე კოლიმა,  
ტამ ი რიადომ ვორკუტა.

ესე იგი, ფრთხილად იყავი თორემ, ადრე თუ კოლიმაზე იყავი გადა-  
სახლებული, ახლა შეიძლება ვორკუტაში გიკრან თავიო.

\*

ზეზვამ მაცივრიდან მჟავე კიტრით თუ პამიდვრით სავსე მინის ქი-  
ლა გამოილო, რომელიც როგორლაც მაგიდასთან მიტანამდე გატყდა და  
ზეზვას მარჯვენა ხელის გული გადაუბალთა. სისხლის დენა არა წყდე-  
ბოდა და პოლიკლინიკაში წასვლა გახდა საჭირო. იქ ზეზვას სათანადო  
პროცედურა ჩაუტარეს, ხელი მარლით შეუხვიეს და ექიმმა დაარიგა,  
ამპიცილინი იხმარე და სუპრასტინი დააყოლეო. ზეზვას ასეთი წამლების  
იმედი წაკლებად ჰქონდა და ექიმს უთხრა:

შევასხურე სუფრას ტვინი,  
რას მიშველის სუპრასტინი,  
რაც მე მაშინ სისხლი ვღვარე,  
ვიწმენდავდი სუ პრასტინით.

იქვე ერთი რუსი მჯდარა და ზეზვას ჭრილობა რომ დაუნახავს,  
უთქვამს: „და, ოჩენ სლოუნ!“

ზეზვამ ახლა ამ რუსს მიმართა:

ნე ტაკ სლოუნო, ლეჩიტ მოუნო,  
მი სლოუნოვო უპრასტილი.  
(1992 წ.)

- ვასილ ბურკაძის ჩანაწერებიდან:

ზეზვას მივეცი „ჩასტუმები“ (რუსულ გაზეთში იყო), აბა, თუ ბიჭი ხარ თარგმნე-მეთქი, თან ეს „ჩასტუმებაც“ გამოვუთქვი (წინასწარ მომზადებული, რა თქმა უნდა):

ზეზვა ლუბიტ კუშატ,  
ა რაბოტატ – ბოლშე!  
Стих, рассказ переводит,  
пусть живет он дольше.

ზეზვამაც იქვე ეს მითხრა („პახმელიაზე“ მყოფმა):

ზეზვა მიდის ქუჩაში,  
ღვინო უდგას შუშაში,  
ფილოლოგი კაცია,  
არ გარიოთ მუშაში.  
ნარდის თამაში უყვარს,  
თუმც არ მოსდის დუშაში.

მერე ვეითხე, ჩემი „ჩასტუმება“ როგორია-მეთქი, და მომიგო (თან ცოტას ვჭამდით და ვსვამდით):

ჩემი ვასა, შენი ქება  
რომ არა ვთქვა, არ იქნება,  
პურის ჭამაში მარდი ხარ,  
საქმეზე კი წელი გწყდება!

(ეს იმიტომ მითხრა, არაყი გვითავდებოდა და მოსატანად წასვლა მეზარებოდა).

\*

ერთხელ მავარი კაფია გამოთქვა ჩვენს ცხოვრებაზე (სამწუხაროდ არ ჩავინერე), და ვუთხარი: ატყობ, ზეზვა-ჯან, ამ წუთას როგორ შე-დევრი შეიქმნა-მეთქი, და ჩაიბურტყუნა (არყის გადაკვრისთანავე, დაჯ-დანულმა):

ბევრი მიქმნია შედევრები,  
ჯერ რეები და შემდეგ რეები!..

და ლუკმის დაყოლების შემდეგ ესეც მოაყოლა:

ჩვენმა ვასილიმ ყველაფერს  
თავის სახელი მიარქო!  
იღვაწეთ სამშობლოსათვის! –  
გვიპრძანებს საპატრიარქო.  
შენ კი რასა იქმ, ზეზო-ჯან? –  
სულ უნდა იღვინ-იარყო?!  
ეჱ, ჩემო თავო, უვარგო,  
ბოლოსკენ იქნებ ივარგო!

\*

ვზივართ, ვსვამთ. მე მოსესავით ვუქადაგებ ძმებს სჯულს, მოვუწოდებ „აღთქმული ქვეყნისაკენ“ – ეკლესიისკენ. ენვერ მესხია მეუბნება: ვასო, დღეიდან მოსე უნდა დაგიძახოთ! მე (თავმდაბლად): არ ვარ, ძმებო, ღირსი – მოშეა დამიძახეთ!

ზეზვამ ჭიქა ასწია:

ეს გაუმარჯოს ვასოსა, ანუ იგივე მოშკასა,  
ყველაფრით ვეფხვის მსგავსია, ნუ შაადარებთ კოშკასა!  
თუმც კი თავისი სიმორცხვით მიჯნურს ვერა ხსნის ბროშკასა.  
მაგრამ ერთხელაც იქნება, რო მაახტება დროშკასა!  
აბა, მაშინ ვსვამთ ღვინოსა, ათორმეტ სავსე ბოჩკასა.  
ღვინო ბევრი აქვთ სიძეებს, არ დაუჭერენ ოუკაცსა.

ნოე მაჭარაშვილის შვილიშვილი მუხრანი მოჰყავდათ ხოლმე სამსა- ხურში, სკოლაში წასვლამდე ცოტას ამეცადინებდნენ, თან კოკა-კოლას ასმევდნენ „პონჩიკით“. ზეზვამ შეხედა და უთხრა:

რა ურჩევნიათ მუხოსა? –  
ღვინის წილ სიტრო ხუხოსა?  
თუ ზოგ-ზოგ პოლიტჩიტივით  
სურს წაიპაკაზუხოსა?  
სჯობს ჩვენი სამშობლოსათვის  
ლომივით დაიქუხოსა!

\*

ზოგჯერ ბიჭვინთის სანატორიუმში, რომელიც საკავშირო მწერალთა ორგანიზაციას ეკუთვნოდა, მთარგმნელობითი კოლეგიის თანამშრომლებიც ისვენებდნენ. ერთ ზაფხულს მათ შორის ზეზვაც იყო. ერთხელ დილით საუზმეზე დაძმარებული სიფათით გამოცხადებულა ლენინგრადელი (სანკტ-პეტერბურგელი) პოეტი მიხაილ დუდინი. რა დაგემართაო, ჰკითხეს. რა და... „სიმpatია“-ს რითმას ვეძებ და ვერ მიმიგნიაო. „СыиH пaртии“ არ გამოგადებათო? – ზეზვას უკითხავს. – როგორ არაო! – სახე გაბრწყინებია დუდინს.

\*

ერთხელ ჩვეული პატარა პურმარილი იყო შადიმან შამანაძის კაბინეტში; პოეტები, მთარგმნელები და კიდევ სხვანიც, ჩვენ, „მომსახურე პერსონალიც“, გვიკადრეს.

ზეზვამ რამდენიმე ექსპრომტით გვასიამოვნა, მერე ბოდიში მოიხადა და სუფრის მეცე ცოტა ხნით წაბრძანდა იქ, სადაც მეცენიც კი თავისი ფეხით დაიარებიან. როგორც კი გავიდა, მცირე ხნით სიჩუმე ჩამოვარდა, მერე ერთმა პოეტმა ჩაილიმილა: ეს ჩვენი ზეზვა რითმებს სახლში იგონებს და მერე წალმა-უკულმა გვირიგებსო! გავიცინეთ, ბევრსაც ესიამოვნა „ზეზვიზმის საიდუმლოს“ გამოცხადება! დაბრუნდა ეს ჩვენი ზეზვაც, კმაყოფილი მიუჯდა სუფრას, და მეც ვაჯახე:

— ზეზვა-ჯან, იცი, ერთ-ადგილას, ამას წინათ, სუფრაზე, რა მოვისმინე? თურმე ზეზვა სახლში იგონებს რითმებსა და ექსპრომტებს, „შპარგალკებად“ ინერს და მერე აქეთ-იქით არიგებსო. პირისკენ წალებული ლუკმა ზეზვამ უმალ ცივად უკან დააპრუნა, მადლიერებით შემომხედა ასეთი „სატოპკის“ ამწევს და დაიწყო:

ეგრე ამბობენ, ზეზვაი  
სახლში იგონებს რითმებსა,  
და სახელოზე დაწერილს,  
გვირიგებს, გვინაწილებსა...

და მიჟყვა და მიჟყვა, აღარ გაათავა, სუფრის ყველა წევრი გალექ-სა, გარითმა და გააკაფიავა. ბოლოს ყველანი სიცილით ვეხვენებოდით, კარგი ზეზვა, გეყოფა, გეხუმრეთ, მორჩი ახლა-თქო, მაგრამ მედგრად

შემართული, ცილისნამებით აღმტოთებული ზეზვა არა და არ ჩერდებოდა, სანამ ძალით არ დავსვით და „ძალის რძით“ საკსე სირჩა ხელში არ შევაჩერეთ. იმხელა ექსპრომტს, აბა ვინ დაიმახსოვრებდა?! მაგრამ გავუშალოთ ზეზვას პურმარილი, გავახსენოთ ის ამბავი, და იმ ძველს თუ ვერ გაიხსენებს, ახალს და უკეთესს ხომ ბევრს გვეტყვის!..

- ერთხელ ზეზვას დაბადების თარიღი ჰკითხეს. ამაზე გამოთქვა კაფია-გამოცანა, რომელსაც მერე ასეთი კომენტარი წაუმდლვარა: კაფია ჩემივე თავზე, ნათქვამი იმასთან დაკავშირებით, რომ დაბადებული ვარ 1939 წლის 20 დეკემბერს, ხოლო 19-ში ბრეჭნევია დაბადებული და 21-ში კი – სტალინი, ანუ გაჩერილი ვარ დურაკსა და გენიოსს შუა:

ცალ მხარესა მყავს დურაკი,  
მეორე მხარეს – გენია,  
ოღონდ მე რომელს ვეკუთვნი,  
ეგ ველარ დამიდგენა.

- ზეზვა მიმართავს ივანე ამირხანაშვილს და ადლეგრძელებს 80 წლის იუბილარს გიზო ზარნაძეს, რომელსაც ჰერცოგ გიზის<sup>10</sup> სახელით მოიხსენიებს:

ვანო, მინდა შეგთავაზო  
სადლეგრძელო ჰერცოგ გიზის,  
კაცის, ვინც რომ ამ მომენტში  
ამ სუფრაზე ტუზად გვიზის.  
რვა ათეულს წისლი გვიკრა,  
სძლევს და უძლებს ყველა კრიზისს,  
თუმც ასაკით გადიხარა,  
მართ ვითარცა კოშკი პიზის,  
მაინც ბლომად შერჩენია  
ცეცხლი ძველი სიგიზგიზის,  
ავტორია ათას ერთი  
რა ნოველის, რა ესკიზის,

---

<sup>10</sup> გიზები – საფრანგეთის ცნობილი არისტოკრატიული გვარის წარმომადგენელი.

მოკლედ – კანდიდატი არის  
სამოთხის და პარადიზის,  
შემოქმედი არის თუნდაც  
დღევანდელი სიურპრიზის, –  
პურს გვაჭმევს და ღვინოს გვასმევს  
საკუთარი ჰიდროლიზის,  
ერთი სიტყვით, ლირსი არის  
ამა ქვეყნად ყველა პრიზის,  
ჯერ ოტია<sup>11</sup> ხელს არ უქნევს –  
ცოტა შფოთავს, ჩუმად კი ზის.

- **გივი კიკილაშვილს** – მიხაილ ბულგაკოვის თხზულებთა მთარგ-მნელს:  
— ზეზვავ, ბულგაკოვს რატომ არ მიცემო? – გივიმ მკითხა.  
მე ვუთხარ:  
კი გამოგიცემ ბულგაკოვს,  
თუკი ზეზვასთან ფულს გაჰყოფ!
- ვახუშტი კოტეტიშვილმა და ზაურ ჯაბუშანურმა უმძიმეს 1990-ან წლებში ვაკეში, ბაგებთან ახლოს, გახსნეს რესტორანი „ჯავარი“, რომელიც ფოლკლორის მოყვარულთა თავშესაყარი უნდა ყოფილიყო, მაგრამ გაკოტრდნენ და კეთილშობილი განზრახვა ველარ განახორციელეს.  
ამ რესტორნის დაარსების გამო თქმული:  
  
ვახუშტიმა და ზაურმა  
საქმე ქნეს საჯადოქროი,  
იშოვნეს ძველი სარდაფი –  
ჭერ-კედელ ოქონ-ბოქროი.  
  
მიადგნენ, გაარემონტეს  
მიასხ-მოასხეს ყროლს ქლორი,

---

<sup>11</sup> ოტია – მნერალი ოტია ოსეტიანი, რომელთანაც მეგობრობდა და რომელზეც ბევრს წერდა გიზო ზარნაძე, იმ დროს უკვე აღარ იყო ცოცხალი

დაგვიჯილდოვეს დარბაზით  
 დიდი ქართული ფოლკლორი.  
 დაიპატიჟეს სტუმრები,  
 ას კაცსა ვხედავ მოგროვილს,  
 გამართულია დარბაზი,  
 მიდგმული არი სტოლ-სტოლი.  
 ვახუშტი თეთრი წვერითა  
 სტოლს უზის როგორც ტოლსტოი,  
 ნიქა თავისი ლიპითა  
 თან ახლავს როგორც პროკლოვი.  
 გადი-გამოდის ზაურა,  
 როგორც ტრამალზე მონდოლი,  
 თან სულ თან დასტუნტულებენ  
 შვიდ-რვა კაც მიმყოლ-მომყოლი.  
 მე განმაცვიფრა დარბაზმა  
 მოხატულ-მოფარდაგულმა,  
 სუფრასთან საძმოს თავმოყრამ,  
 სუფრაზე ღვინომ კახურმა.  
 აფერუმ, ჯაბუშანურო,  
 რა შესძელ მუზის მსახურმა! –  
 გიმარჯვა გენმა ქართულმა –  
 ძირფესვით ვაინახურმა.  
 იყოსმცა შენი დარბაზის  
 გახსნა და აღარ დახურვა!

- **ამირან არაბულსა და ეთერ თათარაიძეს უძლვნა:**

გენაცვლე, ჩემო ამირან,  
 სახე ხარ საქართველოსი,  
 მეცნიერი და მესიტყვე,  
 საქმით გამტანი ლელოსი,  
 გვერდით რო გახლავს ეთერო,  
 როგორც ყვავილი მდელოსი,  
 ხვარამზეს გადანამეტი,  
 პოეტი თვალანგელოზი, –  
 თქვენს სადიდებლად ეთერში

ისმის მქუხარე მელოსი.  
 შეჰქმენით წმინდა ოჯახი  
 კავკასიონის ჩეროში,  
 ამრავლეთ კარგი შვილები  
 (აკურთხოს თქვენი ქსეროქსი),  
 თან ქართულ ფოლკლორს პპატრონობთ  
 საკოლხეთ-საიბეროში.  
 ღმერთმა იმიტომ შეგყარა,  
 ძმაო, ეთეროსკლეროზი,  
 რომ ქუხდეს სიტყვა ხალხური  
 ქართული სამლოცველოსი.  
 ნუ გენყინება, ამირან,  
 სიტყვა ბებერი წეროსი,  
 ან უკვე მაჟორიტარის  
 მარადი სამყოფელოსი.  
 მწერივსა ვარ ჩამორჩენილი,  
 ბალასტი საგამზრდელოსი.  
 თუმც სიყვარულით გავუღინთე  
 ექსპრომტი ესე – ქე რო ვსთქვი,  
 ალალად გითხარ, არა ვარ  
 მოწადე გასამრჯელოსი.

\* კობა არაბული ეუბნება ზეზვას:

არაყი უყვარს ზეზვასა,  
 მადლობა უთხრას ლელასა<sup>12</sup>.

ზეზვას პასუხი:

ლელას კი მადლობას ვეტყვი,  
 უფალი მისცემს ლხენასა!  
 ლელა რო არა გვყოლოდა, ხო არ დავლევდი წველასა<sup>13</sup>.

<sup>12</sup> ლელა – კობა არაბულის და.

<sup>13</sup> წველა – მანონი.

\*

კობა არაბული გაოცებულა, „რა ექსპრომტებად დაიცალა ეს კაცი! როგორ ახერხებს ამდენსო?!”, და, აი, ამის საპასუხოდ თქმული:

კობავ, ცხოვრება ომია,  
ხალხი გაიყო ექვს ფრონტად,  
ის რაღად გაგკვირვებია,  
ზეზვა რას გეტყვის ექსპრომტად!  
მე იმდენი მაქვს ლექსები,  
ხევსურეთს გამაქვს ექსპორტად.  
თან ეს ლელა და ნათია  
სულ თან დამდევენ ესკორტად<sup>14</sup>.

- შარლოტა კვანტალიანის ჩანაწერი:**

ახალგაზრდა მწერალთა და ლიტერატურის ინსტიტუტის თანამშრომელთა ერთი ჯგუფი ლიტერატურული საღამოების ჩასატარებლად თბილისიდან ზესტაფონს მიემზავრებოდა. 1985 წელი იყო. თბილისელ სტუმართა შორის ვიყავით მე, ჯემალ ცერცვაძე, ბელა შალვაშვილი და ზეზვა მედულაშვილი.

გაგონილი მქონდა, ზეზვა ურითმოდ სიტყვას არ მოაბრუნებსო, ამიტომ ბლოკნოტი და კალამი მოვიმარჯვე და კუდივით თან დავდევდი, რომ არაფერი გამომრჩენდა.

გამგზავრება გავგიჭირნულდა, რაც იმ დროისთვის იშვიათი შემთხვევა იყო. ზეზვა გაბრაზდა:

მიჯობს ჩავპარდე გესტაპოს,  
ვიდრე წავიდე ზესტაფონს.

ჯემალ ცერცვაძემ ბელას მის მიერ თარგმნილი შაჰნამე სთხოვა. ბელამ – წიგნი არა მაქვსო. ჯემალი დაღონდა. ზეზვამ დაამშვიდა:

თვალი რა ცრემლით შაჰნამე,  
მე უნდა მოგცე შაჰნამე.

---

<sup>14</sup> ლელა არაბული და ნათია წიკლაური ინერდნენ ზეზვას ნათქვამებს.

ბელა თავისი ერთი კოლეგის მიმართ უკმაყოფილებას გამოთქვამდა. ზეზვამ აუხსნა:

შენა ხარ მისი თანამშრომელი,  
ის – შენი სისხლის თანამშრობელი.

ამასობაში ავტობუსიც მოვიდა. ჯემალი და ზეზვა ერთად დასხდნენ, მე და ბელა ერთად – მოპირდაპირე მხარეს. ჯემალი გვარიანად მსუქანია, გარეგნულად ბალზაკსა ჰგავს. ზეზვა ძლივს დაჯდა მის გვერდით და მაშინვე ახალა:

ჩვენი ექსპრესი ხუთ წუთში გავა,  
შეამჭიდროვე ცოტა ეგ გავა.

და ცოტა ხნის შემდეგ დაამატა:

ჯემალი ხარ თუ პორფილე,  
რად არ ყიდულობ ორ ბილეთს?

ჯემალ ცერცვაძე და ზეზვა მეგობრები არიან, შეხუმრებულები და შეხმატყბილებულები, ამიტომ ჯემალს არ სწყინდა „ზეზვაურები“. ჯემალმა სიგარეტი სთხოვა მოშაირეს. ზეზვამ შაირი მიაწოდა:

სადაც ხარ, იქ ვერ ეტევი,  
რად გინდა სიგარეტები.

თვითონ კი შეუსვენებლად ეწეოდა, თან გვიხსნიდა:

გამაცალა სიქა,  
დამახვია რეტი,  
და დავარქვი მიტომ  
ამას სიგარეტი.

ბელამ დაუშალა, ამდენს ავტობუსში რატომ ეწევიო. ზეზვამ უპასუხა:

გული გაფრენას აპირობს,  
მიტომ ვეწევი პაპიროსს,  
დავტოვებ წევას, როდესაც  
გავცდები ამ სანაპიროს.

ზეზვა ნაწყენი იყო ბელაზე, რადგან გვერდით არ დაისვა, და ამიტომ „ზეზვაურის“ სამიზნეც ხშირად ხდებოდა:

ჩემი აზრი მაქვს ბელადონაზე:  
მალე დადგება ბელა დონეზე.

ანდა:

პირობას, რასაც ბელა დებს,  
ვერ მოვთხოვ მე ჩვენს ბელადებს.

უცებ შეამჩნია, რომ გაჩქარებული ვწერდი. რას აკეთებო? შენს ნათქვამებს ვიწერ-მეთქი. ლექსად მომიგო:

ჯერ ორიოდე კვარტალი არი,  
რაც გავიცანი კვანტალიანი,  
როგორც პოეტი, ჩემი მდივანი,  
და როგორც ქალი – მართალი არი.  
მე მხოლოდ მისთვის გადამიშლია,  
რაც კი რამ ლექსის ფართალი არი,  
ის არის ჩემი შარლოტა ბაკსონ  
და მე ვარ მისი დარტანიანი.

მე შუბლი შევიჭმუხნე და ზეზვამ მაშინვე განაგრძო:

შენ იყავ კარგი შარლოტა,  
შენ ნუ იქნება მილედი,  
თუ ის შარლოტა განბილდა,  
შენ არ ქნა გასაწბილედი,  
თუკი შენ ზესტაფონამდი  
ცრემლი მაღინე მილეთი,  
აქავე გორში ჩამოვალ,  
აჰა, ეს თქვენი ბილეთი.

ზესტაფონში კიდევ რამდენიმე ადამიანი შემოგვიერთდა. მათ შორის პოეტი ზუმრუდ გოდერძიშვილი. დაღლილი ზუმრუდი უხასიათოდ შეხვდა ზეზვას. აბა, ზეზვა ამას როგორ აპატიებდა, მაშინვე მიახალა:

საცა კი ნახო კახელი,  
კლდესთან მიიყვა, ჰერა ხელი,

შენ მაშინ გაგვიდიდგულდი,  
როცა ტყიბულში გახველი.

ზუმრუდი მაშინვე მოვიდა გუნებაზე.

საღამო ხანს ერთი ინტელიგენტის ოჯახში მიგვიწვიეს. გაჩალდა ნარდის თამაში. მასპინძელს ორი წლის გოგონა ჰყავდა, თავზე ჩალმა ეხურა. ზეზვა „საკბილოს“ ეძებდა. რა გქვიაო? – დიასახლისს ჰყითხა. ალმა მქვიაო, – უპასუხა დიასახლისმა. ზეზვამ ბავშვისკენ გაიშვირა ხელი და წარმოთქვა:

ლამაზო, ქალო ალმაო,  
დაგლოცოს ღვთისა ძალმაო,  
როგორი ქრისტიანი ხარ,  
შვილს დაახურე ჩალმაო.

ალმამ მაშინვე მოაძრო ბავშვს ჩალმა.

ნარდში ზეზვამ ბელასთან ხუთით ნოლი წააგო და ასეთი თვითკრი-  
ტიკული კაფია შეთხა:

შენ რომ მომიგებ პიატ ნოლს,  
ვერ მოვიშორებ პიატნოს.

მეორე დღეს ელემენტების ქარხანა დაგვათვალიერებინეს. ქალბა-  
ტონი იზო იყო ჩვენი მეგზური, სანდომიანი და ენაწყლიანი. ხელები  
ტაოტიანი ელემენტებით ჰქონდა მოთხუპნული. რაღაცას გვიხსნიდა.  
ზეზვას ჯემალმა წასჩურჩულა, უთხარი ბიჭო იზოს შაირი! ზეზვამ მა-  
შინვე უპასუხა:

შაირი ვუთხრა იზოსა?  
ელემენტი რომ მდღლიზოსა?

იზოს მოულოდნელობისაგან ელემენტები ხელიდან გაუცვივდა...

- კაფია **ნაირა გელაშვილზე:**

ნაირა ამბობს ბერლინში –  
„დას ისტ მაინე ჰაიმატ“.

ყოფა უტირა ნემენცებს,  
ინფარქტი დამართა იმათ.  
არ კი ეგონათ ფრიცებსა,  
საქმე წაუვათ ყაიმათ;  
გამოუშვებენ – ვაი, ჩვენ,  
დაიტოვებენ – ვაი, მათ!

- მანანა გორგიშვილმა ზეზვას ცივი მინერალური წყალი მიაწოდა და ზეზვამ ასე გადაუხადა მადლობა ექსპრომტად:

მანანაო, მანანაო,  
ცით მოსულო მანანაო,  
შენმა ყოფნამ ჩემი ყოფა  
სამყოფელად მანანაო.  
თუ ბესიკი სხვას უმღერდა,  
ერთხელ აქო მან ანაო,  
მე შენ გაქებ, რა იქნება,  
ფიქრში შენც რომ მანანაო.

- მუნასიბი ირმა მებურიშვილს:

იალბუზივით მაღალს და ლამაზს,  
ქალს, დედას, პოეტს, მშვენიერ დამას,  
ქალური კდემით გმირულად უძლებს  
თავის უბედურ სამშობლოს დრამას,  
მას უნდა ვუძლენა წიგნი საგმირო,  
რომ წაიკითხავს, რად უნდა თქმა მას,  
ენაცვლოს იმას ზეზვა ბიძია,  
მე არ ვარჩიო ქალებში სხვა მას,  
მებურიშვილი, მეფური შვილი.  
საამაყოდ ჰყავს ის თავის მამას<sup>15</sup>.  
იხაროს მისმა ჯიშმა და ძირმა,  
მებურიშვილი ვინც არი ირმა,  
გვიცოცხლოს დიდხანს და გვიფრთოვანოს,  
ნიჭმა ელვარემ და გასაკვირმა.

<sup>15</sup> მამა – პოეტი ტაგუ მებურიშვილი.

- ექსპრომტი რევაზ მიშველაძეს:

ნოველების ზღვას მიარღვევს,  
მარჯვედა მართავს რეზო ნავს.  
ზღვა ნაპირიდან გადმოდის,  
ვერ უძლებს რეზოს რეზონანსს.

- სოფელ არაშენდას მაღაზიის ნოქრისთვის ნათქვამი კაფია:

ნუგზარ შენი მაღაზია  
მაღალზეა, ლამაზია!  
შიგ არაფერი არ არი,  
მაღაზია რაღაზეა!

- ექსპრომტი ილია ბარამიძეზე:

ამ ჩვენს სუფრაზე, ბიჭებო,  
რაც ორ დღეს ღვინო ილია,  
ნახევრის მე ვარ მომსპობი,  
ნახევრის კიდე – ილია,  
გაკვირვებული გვიცქერის  
ავლილი, ჩამოვლილია,  
მაშ, რა ვენათ გვექეიფება,  
ამინდიც კაი გრილია.

- მარინა თექთუმანიძისადმი მიძღვნილი ექსპრომტი:

მე ვენაცვალე თექთუმანიძეს,  
დობას და ნდობას ეგ თუ გამიწევს,  
და ერთი უნდა ვუმაღარიჩო,  
ჩემი ჯიბე თუ ექვს თუმან იტევს.

ზეზვას ექსპრომტი კოლეგას:

ხარაშო პომნი ტი ეტა,  
ჩტო ნე პამოჟეტ დიეტა.  
თუ კი პამოჟეტ დიეტა,  
მაშინ ჩვენ გვაპატიეთა.

რეზო ართილაყვას:  
რეზო ეგ შენი პენსია,  
ნეტავ რამდენი პენსია?  
იმაზე მაინც გეყოფა,  
ლუკმა გიყიდოს ხემსია?  
ვერ გიშოვნია ნემსია,  
ხალათ ვერ გაგიკემსია.  
მგონი გურული ყოფილა,  
გამოგიგზავნის ნენსია.

სტუმრად პოეტ ეთერ ზარიძესთან:

ეთერ და როსტომს ვესტუმრე, გამომიტანეს ადესა.  
ადესა მე არ ვინდომე, არაყი დამიადესა.  
სულ ყველაფერი შევჭამე, რაც კი სუფრაზე დადესა.  
ადრე კარგ გოგოს გიცნობდი, ეხლა სად ის და სად ესა.

კიდევ ექსპრომტები:

ბიჭო რად მინდა პრემია,  
გამამაცხადებს „ვრემია“?  
ქართულად არის ტვირთი და  
რუსულად კიდევ – ბრემია

ზეზვას მეგობარმა დაინახა, რომ ზეზვა „ასტრას“ ეწეოდა. ამოილო „მარბორო“ და შესთავაზა – ეს მონიეო. შედეგად, მიიღო ექსპრომტი:

“თავი მანებე, ნიკოლოზ, არ მინდა შენი მარბორო,  
ოტელო მაგით გაშავდა, მაგან მოულო მავრ ბოლო.  
რად მინდა, თუკი ასტრა მაქვს, მარლბოროსათვის მარბოლო?  
ამქვეყნად არ ვარ პირველი, მე ცხოვრებაში ვარ ბოლო.  
ამიტომ რაკი ეგრეა, ეს ასტრა უნდა ვაბოლო.“

შემდეგ სხვამ უთხრა: ბიჭო „მარლბორო“ არ გერჩივნა, რას ეკვლე-  
ვინები ასტრას მახრჩობელა ბოლსო?! ზეზვას უცაბედი პასუხი:

“ყოფა ვუტირე მარლბოროს,  
მე ვენაცვალე ასტრასა,

ას კუჭს რომ ჰყოფნის იაზვად  
და ბუასილად ას ტრაქსა“

ზეზვას უპატრონო ძალლმა უკბინა თავის უპანში და ამის გამო ცოფზე აცრეს, რის შემდეგაც ალკოშოლის მიღება აეკრძალა ოქტომბრის თვემდე. იმ ხანებში პურმარილზე მძახლის ძმის სიმამრთან ბ-ნ ჯიბოს ოჯახში სუფრასთან უთქვამს ზეზვას:

კოპა, შენსა სიმამრსა  
მე ვადლეგრძელებ ჯიბოსა,  
რასაც სიყვარულს ვუცხადებ  
შიგ გულში ჩაივიბოსა.  
ღვინის სმაში და ძმოპაში  
მერე გავუჩენ კიბოსა,  
ჯერ კი ვულოცავ ოჯახს და  
თავისი სახლის ლიბოსა.  
ოქტომბრის თვემდე მაცალოს  
უჩემოდ იქეიფოსა,  
მერე კი შემომიერთდეს,  
კახურით გაიჭყიპოსა.

ერთხელ ზეზვას მძახლის სახლში წვეულება იყო. შეკრებილიყვნენ ნათესავები და მეგობრები. მძახლის მეგობარს რაღაცა სწყენია და მოლუ-შულა. ზეზვას რომ გაემხიარულებინა, ასეთ რამ უთქვამს კუკურისთვის: „კარგი ბიჭია კუკურა, მთვრალს ჩემმა მტერმა უყურა“, მაგრამ კუკური ამით არ გამხიარულებულა. ეს ზეზვას შეუმჩნევია და 3-4 წუთში ისევ კაფით მიუმართავს: „გде Кукура, там культура“, თურმე კუკურის თვა-ლები გაბრწყინებია, წყენაც დავიწყებია.

მე ვენაცვალე მათესა,  
ვინც გრძნობა გულში დათესა.  
გაიზრდება და აჯობებს,  
იმ ალეგიერ დანტესა.

ეს ექსპრომტი ზეზვას ერთ-ერთი თავისი მეგობრის შვილიშვილისთ-ვის უთქვამს (ამ სიტყვებით მოფერებია).

ერთ პურმარილზე, რომელიც ზეზვას სახლში ტარდებოდა, მძახალ-თან ერთად იმყოფებოდა მისი მეგობარი სოსო დორეული. ბადრიმ და სოსომ ნაადრევად მოისურვეს სუფრის დატოვება. ზეზვამ უმაღ მიაგება:

ვის უნახავს დორეული  
დღემდე ღვინომორეული.  
ჩვენი ბადრის მოკეთეა,  
არ გეგონოთ შორეული.

ეტყობა ზეზვას სიტყვებმა გასჭრა და სუფრის დატოვება აღარ უც-დიათ. სტუმარ-მასპინძელი კარგა ხანს შეჰყვა ერთმანეთს ლხინში.

ერთხელ კბილმტკივანი ზეზვა თავის თანასოფლელ ექიმ ალექსის-თან მივიდა, რომელიც შინ მკურნალობდა პაციენტებს, თანაც ზეზვას მეგობარი იყო, ახლო მეზობლად ცხოვრობდა. ხშირად ჭადრაკესაც თა-მაშობდნენ ერთად და ალესთან იკრიბებოდნენ ხოლმე სამეზობლოში კაცები საქეიფოდ.

კბილმა ისე შემაწუხა,  
ფხას ვეჭრები ალესილსა,  
ავდექი და მივაკითხე  
ჩემს მეგობარ ალექსისა.  
თუმცა კარგი ექიმია,  
ვერ ისტუმრებს ვალებს ქისა,  
ფულისათვის არ ანსხვავებს  
ან ქართველს და ან ლევს ისა.  
ლამაზ ქალს რო დაინახამს,  
არ უჯერებს თვალებს ისა,  
არაფერი არა სჯერა,  
ჩვენი ზეზვას ნალექსისა.  
წმინდა ღვინოს შეჩვეული  
როგორ დალევს ნალექს ისა,  
დღეყოველუამს ხალისი აქვს  
ხან სმისა და ხან ლექსისა,  
კბილი ისე ამომაძრო,  
არ უჯერებს თვალებს ისა.

ზეზვამ კბილი ამოილო. მერე სმით გაგრძელდა და ლექსით დამ-

თავრდა. მეზობლებს ფიროს და ვალიკოს უთხოვიათ ზეზვასთვის, ლექსი უთხარ აღეკოსო.

**ზეზვას უთქვამს:**

„არა სჭირდება სხვა ლექსი,  
თვითონ ლექსია ალექსი“.

ერთხელ ჭადრაკის თამაშის დროს ალეს გაუჭირდა და უთხრა ზეზვას:

**ალე:** – არ ამოგივა კაი მზე  
თუ არ დამთანხმდი ყაიმზე.

**ზეზვა:** – მე დაგთანხმდები ყაიმზე  
მხოლოდ მეორე ტაიმზე.  
კარგი, რა ბოლმით აიმსე,  
კი, დაგთანხმდები ყაიმზე.  
ისე ვარ გამაგრებული  
როგორც ფრანკფურტი მაინზე.

ბადრი ქუთათელაძეს:

აი, მოვიდა ბადრია,  
თუმცა ძალიან ადრეა,  
მაგას დუშმანი რას უზამს,  
დარეჯანის ძეს ადრიან.  
მშვენივრად იცის ბადრიამ  
მტრის და მოყვარის ყადრია.  
ეგ არა პოლიტიკოსობს,  
არ სწამს არცერთი პარტია,  
სწამს ლუდი, ლვინო, არაყი  
და მეგობრობის ქარტია.

\*\*\*

ძმაო, ლარიბი სუფრა გვაქვს,  
მარტო გვაქვს პური, კალბასი.

ღარიბები ვართ, არა გვაქვს  
ჩვენ სუფრა ჰერცოგ ალბასი.  
თუმც არ გვაკლია სამღერლად  
არც ტენორი და არც ბასი.  
კაკალ ბევრი გვაქვს, რად გვგამა,  
ჩხრიალი სხვისი ბამბასი.  
კარგად მოვილხენთ ასედაც,  
თუ კი საწუთრო დაგვაცლის.

\* \* \*

მიჰყევ თამადის ნებასა,  
არ შეეყრები სნებასა.  
არაყი ამომიტანე,  
აქ მიუმატე „ხლებასა“,  
ხელი შეუწყე, თემურა,  
ამ სუფრის განახლებასა.  
საქმე საქმეზე რომ მიდგეს,  
„პურსა ვჭამთ“, განა ხლებასა.


\* \* \*

ვინც მორჩილია უფროსის  
ის თავის ადგილს უფრო ზის.  
მეც უფროსს ვემორჩილები,  
არა – ვიღაცა „უგროზისკა.“

\* \* \*

ვენაცვლე ამ ჩემ თემურას,  
სიტყვას სიყალბეს არ აქსოვს.  
სხვის ლექსებს ამბობს ზეპირად,  
თავისი ლექსი არ ახსოვს.  
კახური ღვინო გაუშვა,  
იმის მაგივრად არაყს სომს.  
თუ არაყს ღვინით არ შეცვლის,  
არ ვადლეგრძელებ არასდროს.

მიმაფრენს მზეში თეთრი ფასკუნჯი



*პოლიტიკ  
ერგობები*



ავსტრია

რაინერ მარია რილკე

## დიდ ხარ შენ, ღმერთო

იმზომ დიდი ხარ, ჰოი, ღმერთო, არც ვარ მჩინარი,  
 შენი ვრცელული და გრძნეული ჩრდილით ფარული;  
 იმზომ ბნელი ხარ, რომ მაგ ბნელში შემოპარული  
 არარავდება შუქი ჩემი მქრქალად მფინარი,  
 მოიგრავნება ნება შენი, ნიალვარული,  
 და ინთემის მასში ყოფა ჩემი, ყუჩად მდინარი.  
 სულ შენს წინ არი ნატვრა ჩემი მოუწყინარი,  
 ვით ანგელოზი ულირსესი, კრძალვით მდგომარი,  
 შენი ზეგარდმო ყურადღების მორცხვად მდომარი,  
 შენდა შემფრფენი, შენი სიტყვის მომლოდინარი, —  
 მოსწყინდა, რა ქნას, უნაპირო ზეცაში ფრენა,  
 დარიალებდნენ სად მის ირგვლივ მკრთალნი მთვარენი,  
 იქმარა, ქვეყნის რაც იძია ზენა და ქვენა,  
 ახლა კი სწყურის ფრთები, ცეცხლებრ მოელვარენი,  
 შენ მრუმე სახეს მიაშუქოს და შუეზე ფრთათა  
 იხილოს: აბა თუ შერისხავს მპყრობელი ცათა —  
 შენი წარბების ჩაქუფრული შემოგარენი.

## მედროშე

ხელთ რა უპყრია, ტანთ რა სცვია, ვერც გრძნობს მავანი,  
 რვალი, შალი თუ ნატი ტანზე ეუხეშება;  
 ბუმბულის სილბო, ვთქვათ, ეამა, შვებად ეშვება,  
 მაინც მარტოა, გული გრძნობით არ ეგეშება...  
 იგი კი დროშის შარავანდით მტკიცედ მავალი  
 მიჰქრის, მოჰყავდეს აღკაზმული თითქოს ქალწული,  
 და მძიმე ფარჩა მისდევს უკან, ცაში გაწნული  
 ჟამიუამ ლბილად მის ხელებს რომ ელამუნება;  
 მის ტკბილ ლამუნზე წამით თვალი თუ ელულება,

ეხილვის: დროშა ქალწულებრივ ღიმილს ათოვებს, ო, ის მოკვდება, ამ ღიმილს კი არ მიატოვებს! აბჯრიანთ დასტა ოდეს მაინც განიმარტოებს და წაეწვდება დროშას მტერი გარემოჯრილი, იგი მედროშე თვით ჩამოჰყლევს დროშას ხელტარით, და ვითა სატრფოს თორქვეშ იხვევს გრძნობით ნეტარით... სხვისთვის ჩანს ესე – ვით დიდება ქვაში მოჭრილი.

### რუსეთი

#### ალექსანდრე პუშკინი

„ამ ბუკლეტში<sup>16</sup> პუშკინის ეს სტროფები ჩემი თარგმნილია (ხელმოუწერლად); ნოე მაჭარაშვილი დამადგა და სამიოდე წუთში მათარგმნინა ორივე, რადგან ბუკლეტი უკვე სტამბაში ჩადიოდა“...

ზეზვა

სულ ილამაზე, პეტრეს ქალაქი,  
იდექ გრანიტში, კოხტად მოჭრილი,  
გამკვიდრდი, როგორც მთელი რუსეთი,  
თავად სტიქია გყავდეს მორჩილი.

ქალაქი მორჩილი, ქალაქი – უპოვარი,  
სული დაბორკილი და სული უპუარი,  
ზეგარდმო – ცისა ჩანს მიმკრთალი კარედი,  
ირგვლივ კი – მოწყენა, სიცივე, გრანიტი.

### ტატიანა ბეკი

\* \* \*

გზა დამიცალეთ! ვითვლი ხუთამდი! –  
მსურს გავეღნიო ამ ტყეს წიწვიანს.  
კმარა, რაც ხინვი სულმა იწვნია,  
რაც ბნელში ჯდომით თავს ვიხუთავდი!

<sup>16</sup> ბუკლეტი, „პუშკინის დროინდელი პეტერბურგი“, 1978წ.

მორჩა! დავსხენი სულის უჯრები,  
ციყვივით – ფართო კამარა ვრისკე,  
რტო-რტო მსტომარი მივფრინავ მზისკენ  
და არად მიჩანს ეკალ-ნუშრები!

## ხე სახურავზე

სახურავზე ამოსული ხე ვარ,  
დრკუ და ჯუჯა, უმწეობის ტყვე ვარ,  
ნამდვილ ხეებს, – რაკი მაღლა ვდგევარ, –  
ვგონივარ, თუ: თუ ვინმეა, მე ვარ!

მათ მიწაში გადგმული აქვთ ბორჯვი,  
როგორც ზღვის ფსკერს ღუზამ მოსდოს ღოვი,  
მე კი თრთოლვით დავცექერ იმათ თავებს –  
ნათესავებს, თან – არც ნათესავებს!

გავკიდულვარ ცის და მიწის შუა,  
ჩემებრ მარტოდ ჩემი მტერიმც ნუა;  
ქვის ნაპრალში კინკილაზე მდგარი,  
ვკანკალებ და ცივი მიქრის ქარი.



**გერმანია**

**კოლფ ბირმანი**

## ჰაინრიხ ჰაინეს საფლავი პარიზში

სად მონმარტრის სასაფლაოს  
ჩამოსტირის ზეცა თავზე,  
ბევრი ვტოპე გუბე-წყალი  
მჩორითა და ნაგვით სავსე.  
ფეხსაცმელი მეცვა თხელი, –  
სულ ტალახით აილესა,  
ბოლოს მაინც მივაგენი  
ობოლ საფლავს ჰაინესას.

თეთრი მარმარილოს ქვეშე  
ითოშება ძვლები მისი,  
გვერდით უწევს მას მატილდე,  
მეუღლე და სატრფო თვისი.  
თუმც მატილდეს არ ახსენებს  
მარმარილოს მატიანე, –  
ქვაზე დიდი ასოებით  
ნატვიფრია „ფრაუ ჰაინე“.

ნაცისტებმა პარიზის ცას  
ჩამოაბეს როს სვასტიკა,  
ებრაელი ანრი ან-ი<sup>17</sup>  
არ მოსწონდათ მათ სასტიკად.  
ნაშალეს და, როს ეგონათ,  
მოსპეს ქვაზე იადგარი,  
იმავ ღამით პარიზელებს  
აღედგინათ ჰაინეს გვარი.

---

<sup>17</sup> ანრი ან – დაახლოებით ასე გამოითქმის ჰაინრიხ ჰაინე ფრანგულად. (რედ.)

სპარსეთი

რუდაქი, X საუკუნე

\*\*\*

მშვენიერია დღე გაზაფხულის, –  
სურნელოვანი, ხალისიანი.  
მაგრამ მწუხრისას შენთან შეხვედრა  
ჩემთვის ყველაზე ძვირფასი არი.

\*\*\*

გონების თვალით შეხე ქვეყანას  
და არა როგორც ძველად. – გაიგე?  
ცხოვრება ზღვაა. გაცურვა გინდა? –  
კეთილ საქმეთა გემი აიგე.

\*\*\*

სამწუხაროა – ხეპრე, სულელი,  
რომ დაებადოს ბრძენს ნაშიერი,  
და არ მიიღოს სამემკვიდრეოდ  
მამის გენია, ცოდნა, იერი.

\*\*\*

აი, ბედი სავალალო:  
ორას წელსა ცოცხლობს ძერა,  
საწყალ მერცხალს ერთ წელიწადს  
თუ აცოცხლებს ბედისწერა.

\*\*\*

არ მოგწყინდა ნუთუ, ქვეყნად  
რომ უცქერი ამდენ ძუნწებს?  
კაცთა ბედზე თვალს რად ხუჭავ,  
ჩუმად რატომ გაიძურნე?  
გადაიგდე გულიდანა

ეგ სიხარბე საძაგელი  
 და არაფერს საწუთოსგან  
 არ ელოდო გაშლილ ხელით.  
 აი, მაშინ ეს ქვეყანა  
 ძუნნი და თან უხიაგი, –  
 შენი თვალით დაინახავ,  
 რომ ძალიან უხვი არი.

### ბაბა თაპერი ურიანი, XI საუკუნე

\*\*\*

ცეცხლი ამიგზნო სიყვარულმა, სულის მსერავი.  
 განკითხვის დღემდე გამინელებს რომელს ვერავინ;  
 ვაპტე, რაგვარად ჩამებია ყოფნის პერანგი,  
 სიკვდილილაა, მგონი, მისი ამომკერავი.

\*\*\*

გულო უგნურო, გულო შმაგო, მიჯნას გახველი,  
 ხალხში სახელი დამიკარგე დაუზრახველი.  
 არა და, რა ვქნა – მიჯნური ვარ, ხელი, აშიკი,  
 ხელსა და მიჯნურს რაღა მგამა სირცხვილ-სახელი.

\*\*\*

თუნდ ლომი იყავ, თუნდაც ბაბრი, ქურციკი – თუნდა,  
 საფლავი არის შენი ბოლო, ზედ – ქვა და გუნდა.  
 ეგ შენი ტანი გადიქცევა გადაშლილ სუფრად,  
 შემოუსხდება ჭია-ღუა რომელსაც უბრად.

\*\*\*

შენმა ტრფიალმა უდაბნოში მწირად მატარა,  
ფრთენი დამძარცვა, ნაბუარი ცაში აყარა,  
მოითმინეო, ერთხელ მითხარ, – ასი ვითმინე, –  
ეგ თმენა არის, თავზე მინა რომ დამაყარა.

\*\*\*

თვისი სულისთვის არ დასცდება მიჯნურს ჩივილი,  
არც არად უჩანს ხუნდი, ციხე, თუნდაც ტკივილი.  
მიჯნურის გული მგელი არის გაუმაძლარი,  
ფეხზე ჰკიდია ვისაც მწყემსის წივილ-კივილი.

\*\*\*

ოდესაც გეტრფი, ყოფა ჩემი მაშინ მშვენდება,  
უშენოდ გული დაინგრევა, დანაფშვენდება,  
ამ ნანგრევებში ავლა-ჩავლას თუ არ ინებებ,  
ისე, უშენოდ, ეს ნანგრევი არ აშენდება.

\*\*\*

შევნატრი მათ, ვინც არ იციან არცრა ზეპირად,  
არცათუ მადლი წერა-კითხვის გარდმოეფინათ, –  
გაშლილ უდაბნოს მეჯნუნივით მოედებიან.  
ჯეირნის ჯოგებს აძოვებენ მთებში ნებივრად.

\*\*\*

მორწმუნენო, სამი დარდი ერთდროულად შემომადგა:  
ტყვეობა და ყარიბობა, სიყვარულიც – ერთი მათგან:  
ტყვეობაც და ყარიბობაც გასაძლები არის თურმე,  
სიყვარული არის ძნელი: ის მუშაობს, გული – დადგა.

\*\*\*

ცაო, რა მიყავ, რად შემაყარე გლოვა-ვალალი,  
რატომ წარმტაცე მე წალკოტი, ჩემი ალალი.  
წარდის დაფაზე მაბზრიალე, ვით კამათელი,  
თუ ვით კოჭები – მისალალი და მოსალალი.

### ომარ ხაიამი, XI ს.

\* \* \*

მახეში გაბმულ მოფრთხიალე ფრინველსა ვგავართ,  
ბედით გვემულნი, მშფოთვარენი, ვინა ვართ, რა ვართ?  
ამ უკართვანჯრო წუთისოფლის წადილის ყმა ვართ,  
ბედის წადილით, უწადინოდ, დღეს თუ ხვალ, წავალთ.

\* \* \*

სამყარო ესე უკიდეოდ განაკიდია,  
თავსა და ბოლოს ვერ გაუგებ, სადა ჰკიდია,  
ვერვინ ამიხსნა, ეს ამდენი ხალხი რომ მიდის,  
ნეტავ საიდან – ან მოდიან, ან სად მიდიან ?

\* \* \*

ვინც ამო ღვინით იქარვებდა დარდებს ამო დღეს,  
მასზე თქვეს, თითქოს ჯოჯოხეთში კუპრი ჩამოსთხევს,  
თუ მსმელს და მიჯნურს ჯოჯოხეთში ელით მოხვედრა,  
ხელისგულივით ხვალ ცარიელს წახავთ სამოთხეს.

\* \* \*

არაფერია, რაც რამ ქვეყნად თვალით გვინახავს,  
რაც გვითქვამს, უთქვამთ ანუ ხსოვნით შემოგვინახავს,  
რაც გვიხვეჭნია, გვიშოვნია, რაც გზა გვილახავს,  
ავაგლახ, თურმე სულ ტყუილად წყალი გვინაყავს.

\* \* \*

უსარგებლოა გარდასულზე დარდიც და დავაც,  
ცხოვრებამ გული დაუკოდა ჩვენსავით მრავალს,  
ამივსე თასი, გადავკრა და მეფონოს გულზე,  
მომხდარი – მოხდა, მოსახდენი მოხდება კვლავაც.

\* \* \*

მე თუ ლოთი ვარ, „არ ვარ-მეთქი“, არა ვფიცავარ, -  
კი, ლოთიცა ვარ, მეკერპეც და წარმართიცა ვარ,  
მიეთ—მოეთნი ათას რამეს იტყვიან ჩემზე,  
მე უფრო ვიცი, ვინცა ვარ და როგორიცა ვარ.

\* \* \*

ნასვამი ვიყავ, ჩავიარე სარდაფის კარზე,  
მოხუცი ვნახე, ღვინის ღოქი მოეგდო მხარზე,  
ვუთხარ: მოხუცო, ღვინოს რო სვამ, ღმერთი არა გწამს?  
- ღმერთი შეგვინდობს, შენც დალიე, ნუ ხარო შარზე!

\* \* \*

წამოდექ ტურფავ, ტანი ჩვენთვის მოილერწამე,  
თუნდ ერთი წამით, ყოფა კვლავაც წაგვიერთწამე,  
მოგვართვი ღვინო, ჩვენც გვასვი და თვითაც იგემე,  
ჩვენივ თიხისგან სანამ ღოქად ჩამოგვძერწავენ.

\* \* \*

წავედი, მოვრჩი, ამ ქვეყნისას ვისტუმრებ ვალებს,  
ქარივით ჩავლილ ამ ცხოვრების ცოდვებს და ბრალებს,  
ჩემი სიკვდილი გაუხარდეს მავანს და მავანს,  
ვინც ფიქრობს – თავად გადურჩება სიკვდილის ბრჭყალებს

\* \* \*

ნადიმად მსხდარნი, ოდეს მოლზე გულს იფონებდეთ,  
ერთურთს აქებდეთ და ერთურთით თავს იწონებდეთ,  
ძმანო და თვისნო, საჩემოდაც ასწიეთ თასი,  
მე გარდასულსაც, მე საწყალსაც მომიგონებდეთ.

\* \* \*

მუხლებზე დამცემს თავის ფერხთით როცა სიკვდილი,  
როს შეჯამდება უამი ჩემი მოთვლილ-მითვლილი,  
საღვინე სურა შექმენ, ღმერთო, ჩემი თიხისგან,  
რომ ღვინის სუნმა გამაცოცხლოს მე, სულმიხდილი.

\* \* \*

ამ წუთისოფლის დღის და ღამის თუ ხართ მჭვრეტელი,  
თქვენ ეგ საწყაო არ გეგონოთ დაუშრეტელი,  
გონს მოეგეთ და მიხვდით ბოლო ამოსუნთქვის უამს,  
თქვენამდე ბევრის რატომ იყო მუხლთა მკვეთელი.

\* \* \*

უღვინოდ ვერ ვძლებ, ვენაცვალე ღვინის ბარაქას,  
უღვინისჯამოდ ვერ მოვიკრებ გონს და არაქათს,  
იმ წამის ყმა ვარ, მწდე მომაწვდის როდესაც სასმისს,  
სმა მინდა, მაგრამ ჩამორთმევის შნოც აღარა მაქვს.

\* \* \*

ბერნიც და ყრმანიც, როგორც ვხედავ და როგორც ვავლენ,  
მოვლენ და წავლენ სათითაოდ, ვინც ქვეყნად დავლენ.  
არ შერჩენა ეს ბეპერი ქვეყანა არვის,  
მოდი-მიდიან, კვლავაც მოვლენ და კვლავაც წავლენ.

\* \* \*

გამთენისას რატომ ყივის, იცით, მამალი?  
ან რა სევდაა მის ყივილში გადანამალი? -  
დილის სარკეში დანახული გვამცნო უვიცებს,  
რომ სიცოცხლისა ერთი ღამეც გაჰქრა ფრთამალი.

\* \* \*

ჩუმად იცხოვრე, არა გმართებს ცხოვრების ჯიბრი,  
ერთმანეთს ჭკუით შეუწონე საქმე და ფიქრი,  
ენას, თვალს და ყურს მოუფრთხილდი, მუდმივად გედოს:  
ენაზე - კლიტე, ყურში - ბამბა და თვალზე - ლიბრი.

\* \* \*

აფსუს, რა ფუჭად ცხოვრებაში გზა-კვალი ვკოდე,  
გაარმდა ლუკმა, ჭირს სუნთქვა და ახლოა კბოდე,  
რაც ღვთის ნებისად არ მიქნია, მით ღმერთსა ვცოდე,  
ჩემი ნებისად რაც მიქნია, იმაზე ვგოდე.

\* \* \*

ორი დღის ხემსად თუ გაქვს პური, თუნდ ერთი ცალი,  
ნაბზარ დოქტიაც ციციველა თუ გიდგას წყალი,  
მაშ, რაღად გინდა ემსახურო სხვას, შენზე ნაკლებს,  
ან თუნდაც შენი თანასწორის დაიდო ვალი?

\* \* \*

ვთქვი: ამიერით აღარ მივდევ, მორჩა, შარაფსა,  
ვაზის სისხლია, როგორ დავლევ სისხლსა შარავსა<sup>18</sup>?  
- მართალს ამბობო? – შემეეკითხა ჭკუა ბებერი,  
- ვიხუმრე-მეთქი, სხვა რა ვქნა, რო ღვინო არა ვსვა!

\* \* \*

მითხრეს: სამოთხე ფერიებით დანაფერია;  
ვუთხარ: სამოთხე ყურძნის წვენთან არაფერია!  
ღვინო ნალდია, სამოთხე კი არის ნისია,  
როგორც დოლის ხმა, შორით ქარის დანაბერია.

\* \* \*

ცხოვრება ჩვენი რაკი უამის ერთი წამია,  
იცხოვრე ლალად, განიქარვე, რაც გინამია,  
ბრძენს ვისმე ჰეითხე, ის აგიხსნის, რომ შენი არსი  
მტვერია, ქარი, ცეცხლია და წვეთი წამია.

---

<sup>18</sup> შარავი სისხლი – შავი, ჩაქცეული სისხლი

\* \* \*

დილის ჟამს, ცას რომ მტრედისფერი შეეკიდება,  
კრიალა ღვინით ალავლინე ღვინის დიდება,  
ღვინო სასმელად მწარეაო, ჩივიან ზოგნი, -  
სწორია, რადგან ღვინოშია ჭეშმარიტება!

\* \* \*

ცოდნა მიყვარდა, ცოდნის ლოდი მეც მიკოდნია,  
ცოდნის ხიდანაც ყველა ტოტი დამიწოდნია,  
სამოცდათორმეტ წელიწადში რაც ვიცოდინე,  
მერედა მივხვდი, არაფერიც არა მცოდნია.

\* \* \*

მეინახენო, ღვინო მასვით, მომეცეს ძალი,  
პირს ქარვისფერი გამიღუოს, ვითარცა ლალი.  
როცა მოვკვდები, არ დამზარდეთ, გამბანეთ ღვინით,  
ვაზის კუბოში ჩამაწვინეთ მარადის მთვრალი.

\* \* \*

რად მიმიმსხვრიე ღვინის სურა ქვაზე, უფალო?  
სიამის ბჭენი ჩამირაზე, რაზე, უფალო?  
აგრძემც დავმინდე, შენც ჩემსავით ხომ არ დაითვერ? -  
ნუ შემრისხავ კი, ამ სიბრიყვის თქმაზე, უფალო!

\* \* \*

ვისაც ამქვეყნის გაეგება თუნდ ნატამალი,  
მისთვის ერთია - ჭირი, ლხინი, დარდი ნამალი,  
იქ, სადაც, ძმაო, ტოლ-სწორ გადის ავიც და კარგიც,  
გინდ დარდი იყავ, გინდა კიდევ - დარდის ნამალი!

\* \* \*

ცაო, ამ ძუნწებს რო აუწყვე კოხტად ჟამკარი -  
აბანოები, წისქვილები, კარგი სახლ-კარი,  
პურად ხალხს კიდევ ხმელა პურიც დაანატრულე,  
ფურთხის ღირსი ხარ, შენს უკულმა ბრუნვას გავკარი!

\* \* \*

რადგან ქარია ყოველივე, ქვეყნად რაც არი,  
რადგან – რაც არი, არი ნამსხვრევ-ნაქუცმაცარი,  
ჩათვალე – არსი არარსია სინამდვილეში,  
სცანი – არარსიც არსი არი . . . ტვინი გასძარი!

\* \* \*

ჭეუის კარნახით ვინც გალია კუთვნილი ჟამი,  
უქმად არ მჯდარა, ცხოვრებაში არცერთი წამი,  
ანა ცდილობდა ყოფილიყო ღმერთისთვის სათნო,  
ანდა ჩეროში ღვინით სავსე ეჭირა ჯამი.

\* \* \*

წვეთი ვიყავით, დედის საშის კენტად წვეული,  
ვნების ალმურით ერთხელ გარეთ გამოლწეული,  
ორიოდ ფშვენა დაგვრჩენია, დავლიოთ ღვინო,  
რა ვიცით, ხვალე სად გაგვაპნევს ქარი წყეული;

\* \* \*

ყოფნა-არყოფნის ვიცი ყველა ხილული სკნელი,  
ყველა საკითხი არსობისა – მსხნელი თუ მსკვნელი,  
მაგრამ ამათ რომ სჯობნებია თრობის ზარხოში,  
იმათ სწავლაში რად დავხარჯე ამდენი წელი?

\* \* \*

ბედით დევნილი, უდაბნოში ღამის მთევარი,  
ვერ ისვენებს და არც ასვენებს ბედი – მდევარი,  
დღეს სახვალიოდ რაღაც მიზეზს მოუგონებენ,  
ხვალ კი უხვდება წინ სიკვდილი, ვით სატევარი.

\* \* \*

გახმამყივარდა ჩემი სევდა, როგორც ნალარა,  
სიმთვრალე მძალავს, სიბერემაც შუბლი დაღარა,  
თუმც, საყვარელო, შენი ნაზი თმის შემხედვარეს,  
აღარც სიბერე მაგონდება, აღარც ჭალარა.

\* \* \*

სანამ დარდები მრუმე ფიქრებს შემოგისევენ,  
ტურფასთან ერთად ღვინის მაღლი შენ გაიხსენე,  
განა ოქრო ხარ, შე სულელო, მოჰკვდე, ჩაგფლან და,  
როცა დასჭირდე, ამოგილონ უკან ისევე.

\* \* \*

ბედის ქარავანს, ჩვენსას, ჩუმი გაუდის ჩქამი,  
ამ უშნო ზოზინს ლხინისა სჯობს თუნდ ერთი წამი,  
მნდეო, რას დასდევ, განკითხვის დღე დადგება როდის,  
თავს დაგვათენდა, მოდგი ღვინო, მოიტა ჯამი.

\* \* \*

კარგია ვარდი, დილის ცვარით ნაკამკამარი,  
მოლზე ტურფა და თვალთა მისთა ნახამხამარი,  
იმხიარულე, დაივინყე გუშინდელი დღე,  
დღეის დღე, ძმაო, გუშინდელზე კარგი რამ არი.

\* \* \*

ეგ მწვანე ბუსნო, ნაკადულის პირად მოსული,  
ქალწული იყო, ალბათ, როსმე, ანგელოსური.  
მანდ ცოტა ფრთხილად გაიარე, ფეხს ნუ დაადგამ,  
ეგ თავის დროზე იყო ტურფა, უმანკო სული.

\* \* \*

ხვალის საწუხარს, მოდი, ძმაო, არ ჩავეძიოთ,  
ჯამი ავწიოთ, ლხინი ვწიოთ, საქმეს ვეწიოთ  
თორემ ხვალევე შეიძლება ჩვენც ალარ ვიყოთ  
და ჩვენს წინაპრებს სულ ერთ წამში წამოვენიოთ.

\* \* \*

ვინც დააარსა ცათა ბანი და ხმელთა ქანი,  
ვინც გულს შემყარა მწუხარება, მომწია რჯანი,  
მანვე რამდენი პირმთვარე და პირიმზე ტურფა  
ჩადო მიწაში და ზევიდან დაადო ქვანი.

\* \* \*

რუს პირას, მოლზე მოცინარობს დილა კრიალა,  
ჩამოდგი დოქი, მშვენიერო, ასწი ფიალა,  
რამეთუ შენებრ პირმთვარენი ზეცამ ასობით  
ხან დოქად ქმნა და ხან ფიალად დაატრიალა.

\* \* \*

ლვინო ასხურო, სიხარულით მთაც აცეკვდება,  
მე ლვინოს ვსვამ და კარგად ვიცი მისი წესდება,  
არ ვნანობ, ძმაო, ლვინოს რო ვსვამ, არც მინანია,  
ლვინით ვლინდება კაცის არსი, ჭკვა და შეგნება

\* \* \*

დავიზარდენით უბინონი, აქ გადავგვარდით,  
მოვედით ლალნი, საფიქრალში აქ გადავგვარდით.  
თვალთაგან ცრემლით ვერ დავშრიტეთ დარდი გულისა,  
ქარს გავატანეთ ცხოვრება და მიწას ჩავბარდით.

\* \* \*

ჩვენა ვართ უფლის იმთავითვე პირველმიზანი,  
გონების თვალით გამომკრთალი შუქნი მზისანი,  
ქვეყნიერების ეს წრებრუნი ბეჭედს რომ მოჰგავს,  
ჩვენ იმ ბეჭედში ალმასნი ვართ ამქვეყნისანი.

\* \* \*

თქვეს: სამოთხეში ლვინოა და ბევრი ჰურია,  
ლხინობენ, ვისაც ტრფიალი და ლვინო სწყურია,  
ძმაო, იქაც თუ ისევეა, რასაც აქა ვიქმთ,  
მაშ რა ცოდვა გვაქვს, ეს მუნათი სადაურია!

\* \* \*

გამოზაფხულზე თუ ფერიის მსგავსი ქალწული  
ლვინოს მომართმევს ჭალისპირას, დალალდაწნული,  
ძალლთუარესი ვიყო მაშინ, თუ გამახსენდეს  
ედემის ბალი ვარდის ლობით შემოკაწნული.

\* \* \*

დილის სიოზე გაიფურჩქნა ვარდის კოკორი,  
ბულბულს სალხინო უამი უდგას, ნახე, როგორი!  
ჩამოჯექ, დატები, თორემ როცა აღარ ვიქნებით,  
კიდევ მრავალჯერ ჩამოსცვივა ვარდებს ფოთოლი.

\* \* \*

ჩვენ დაქანცულ ტანს ქამრად ერტყმის ზეცის კამარა,  
ჯეიჰუნს მეტობს – ჩვენ რომ ცრუმლი გვდის წარა-მარა.  
ჯოჯოხეთია ნაპერწკალი, ჩვენთა ოხვრათა,  
სამოთხე – შვება – მხოლოდ ერთი წამის ამარა.

\* \* \*

გახსოვდეს: ბედი მუხთალია, უნდო, მზაკვარი.  
ზურგიდან დანის დასაკრავად მუდამ მზად არი,  
ჰალვაც გაჭამოს, არ ინდომო, არ გადაყლაპო,  
შხამი იქნება – არა ყანდი, არა – შაქარი!

\* \* \*

ოთხმა სტიქიამ, ჩემო ძმაო, შენ უჭირველად,  
არსი გიბოძა თვით შენივე გასაკვირველად,  
თავის მოცემულს, დრო მოვა და, უკან მოგთხოვენ,  
კვლავ ის იქნები, რაც იყავი თავდაპირველად.

\* \* \*

აი, ეს ჯამი წრფელი სიტყვით ჩვენგან ქებულა,  
მოხატულ შუბლზე ვნებიანი კოცნით ცხებულა,  
ბოლოს კი დიდი მეჯამჭურჭლე განგების ხელით,  
ეშხით შესმულა და მიწაზე დანარცხებულა.

\* \* \*

ქვეყნის საქმეთა უმეცარო, არაფერი ხარ,  
არსით და ფუძით ოდენ ქარო, არაფერი ხარ,  
თავ-ბოლო ზღვარი შენი ყოფნის, არი არყოფნა,  
მაგ ორ ზღვარს შუა შუამდგარო არაფერი ხარ.

\* \* \*

მეტი სიხარბე კაცმა უნდა ცოდვად არ იდოს,  
თვისი – იქმაროს, სხვისას უნდა თვალი არიდოს,  
რაც დაწერილა მის სახელზე ბედის დავთარში,  
ის არის მისი და ის უნდა იჭეშმარიტოს.

\* \* \*

გითხრეს, რად გინდა, ღვინო არის უბედურება,  
განკითხვის დღეზე ცეცხლის ალი თუ გებურება,  
იქნებ სწორია, მაგრამ წამი სიზარხოშისა,  
მე მაინც მიჯობს, ქვეყნად რამე თუ მეცურება.



**საადი, XIII საუკუნე**

\* \* \*

გულო, უწყოდე მეგობარი სამი ჯურისა:  
 ერთი სულისა, ერთი-ენის, ერთი-პურისა;  
 პურის მეგობარს პურმარილით ეცი პატივი,  
 ენისას – ენით გაუქარვე დარდი გულისა,  
 ხოლო მიაგე სული შენი – სულის სანაცვლოდ,  
 თუკი ოდესმე მეგობარი ჰპოვო სულისა.

**ჰაფეზი, XIV საუკუნე****ყაზალი**

მიმხადა გონი, თმენა, რწმენა – დავრჩი ლატაკი,  
 ამ გულქვა თურქმა<sup>19</sup> უშრეტ ცეცხლში მყო დასადაგი,  
 ლამაზი არი, ამბარჩიან-ყაბაჩიანი,  
 კოხტა, ზარიფი<sup>20</sup>, ფიცხი, მკვირცხლი, თან – ავაზაკი,  
 შემომგზნებია სევდა მისი სიყვარულისა,  
 ქვაბივით ვდუღ და მწვავს სახმილი დღენიადაგი,  
 გულს დავიოკებ, როს გულდაგულ გულში ჩავიკრავ, -  
 ვითა ჰერანგი ეკვრის კაბას – მისით ნადაგი,  
 რომც შემიმუსროს სიყვარულმა ხორცი და ძვალი,  
 მაინც ვიქწები სიყვარულის მისის ქადაგი,  
 მიმტაცა სრულად გული, რჯული, მისგან სარჯული, -  
 ტან-ანაგებით, მაგ განგებით, ღმერთო, რად აგი?!  
 სალმოდღა ილმე, ჰაფეზ, მხოლოდ ერთი მალამო -  
 ისევ მაგისი ტუჩ-ბაგისი ბაქმაზ-ბადაგი!

<sup>19</sup> კლასიკურ სპარსულენოვან პოეზიაში სიტყვა „თურქი“ ხშირად გამოიყენებოდა, როგორც სიმბოლო, მძარცველის, ყაჩაღის, ავაზაკის აღ-სანიშნავად; ლამაზ ქალთან დაკავშირებით, ეს სიმბოლო გულისხმობს „გულთა მძარცველს“, „გულწარმტაცს“ და ა.შ. ამ მნიშვნელობით ეს სიტყვა ჰაფეზს თავის სხვა ლექსებშიც არაერთხელ აქვს გამოყენებული.

<sup>20</sup> ზარიფი – ლამაზი, მშვენიერი, ნატიფი

\* \* \*

სატრფოს ხილვა მიჩნს უკვდავების მტკბარის უმეტეს,  
 ღმერთო, შემყარე, ვინ მნათია მთვარის უმეტეს!  
 დანა დამცა და არ ვამხილე, არ დავძარ კრინტი,  
 თუმცა მნარი მჭირს გულს ჭრილობა, მნარის უმეტეს!  
 ჩამოვუდგები გზასავალზე ვით მათხოვარი, –  
 წყალობა მისი – განძისა და ლარის უმეტეს!  
 ჰე, განდეგილო, ნუ მაცდუნებ სამოთხის ბალით, –  
 მისი ხალი ვთქვი იმ ბალის და ზვარის უმეტეს!  
 იმ ვარდის დარდით გამღუნვია ტანი საროსი,  
 ვინ ერთი მშვენობს ყაყაჩოთა ჯარის უმეტეს!  
 რას უშველის და რით უშველის, ნეტავ, მკურნალი  
 გლას გულს, დადაგულს, სისხლი რომ სდის ღვარის უმეტეს!  
 რჩევა მოხუცის ყურად იღეთ, ჰეი, ჭაბუკნო, –  
 ჭაბუკთ ხელობას ბრძნული სიტყვა ჰემარის უმეტეს!  
 ერთხელ მეზრახა: ვისა აქვსო მსგავსი საყურე,  
 ჩემი რომ ბრწყინავს სისხამ დილით ცვარის უმეტეს!  
 მისი შემყურე მეც დავდივარ მონის საყურით,  
 მისთვის ვკვდები და ცოცხალიც ვარ მკვდარის უმეტეს!  
 ხომ ზენდე-რუდი<sup>21</sup> უკვდავების წყლად არის თქმული,  
 მაინც შირაზი ისპაპანის არის უმეტეს!  
 შაქრად იტყვიან საყვარლისას სიტყვასაც, მაგრამ  
 ტკბილი ვერ იყოს ის ჰეთეზის ქნარის უმეტეს!




---

<sup>21</sup> ზენდე-რუდი – (სიტყვა-სიტყვით: „წყალი ცხოველი“, სპარს.). მდინარეა, ისპაპანს ჩაუდის.

## თურქმენთა

**მახთუმყული, XVIII საუკუნე**

### თურქმენთა

ხაზარის ზღვისპირით<sup>22</sup> ჯეიჰუნამდე<sup>23</sup>  
 ველზე მიმოქრის ქარი თურქმენთა  
 გულისა ვარდი და თვალის ჩინია  
 ყარადალს<sup>24</sup> დაძრული ლვარი თურქმენთა.

ლვთის ჩრდილი თავს ადგათ ნათლის მთოვარი,  
 უჩანთ აქლემები, ველზე მძოვარი.  
 ტრამალი ყვავილთა სამთავრო არი,  
 ბიბინებს რეჰანში ბარი თურქმენთა.

ჩაგივლის ფერია ფერადბურვილი, -  
 ჯერ დაგბნედს სურნელი, მერე – სურვილი,  
 ალსაჭკალები<sup>25</sup> ჰყავთ სიბრძნით ჭურვილი,  
 მტკიცეა თემი და გვარი თურქმენთა.

ვაჟეაცად შობილა მტერთა მტევარი,  
 ქოროლლის თოხუმი<sup>26</sup>, თავგამწევარი.  
 ვერსად მოიხელთებს ცოცხლად მდევარი,  
 ვაჟნი ჰყავთ ლომ-ვეფხვის დარი თურქმენთა.

ერთპირ და ერთსულ და ერთგულ არიან,  
 ერთად მთას მოჰვევეჯენ, გაგიხარიან!  
 პურ-სუფრა ერთი აქვთ დიდ-პატარიან,  
 ერთურთს არ მოსტეხონ მხარი თურქმენთა.

<sup>22</sup> კასპიის ზღვის ძველი სახელწოდება.

<sup>23</sup> ამუ-დარიის ძველი სახელწოდება.

<sup>24</sup> მთის სახელი თურქმენეთში

<sup>25</sup> მხცოვანი, უხუცესი; კითხული კაცი, თემის მოთავე.

<sup>26</sup> თესლი, ნათესავი, ტომი, გვარი, ჯიში, მოდგმა

ცათაფრენას არი, ცხენზე თუ არი,  
კლდის თვალით გამლობი, შეუგუარი.  
თაფლი სდის – მდინარე თუ სად რუ არი,  
მიწაა ხილ-ტკბილით კმარი თურქმენთა.

ბრძოლაში ვერავინ უგდოს ზურგული,  
ვერცვინ შეუზაროს თვალით სულ-გული.  
არც ვარდის დამთმოა მათი ბულბული,  
არცარა ვარდია მჭკნარი თურქმენთა.

გვარ-ტომი ერთურთში ძმურად ირჯება,  
ბედი სდევს, ღმერთს აროს მოეყირჭება.  
ვინც ავად შეჰქედავს, ავად ისჯება,  
დუშმანის რისხვა, ჯარი თურქმენთა.

თურქმენი კლდეს გაჰვეშვნის გაბედულებით,  
ლალი და უშიში თქმულა თქმულებით.  
ლექსობს მახთუმყულიც თურქმენულ ენით,  
ისიც ჯიშ-ჯილაგი არი თურქმენთა.



### უზბეკეთი

ალიშერ ნავოი, XV საუკუნე

\* \* \*

თუ სატრფო ტანად ანაგებით ნაგი იქნება,  
რაღად მიკვირდეს, თუ მიჯნური შმაგი იქნება,  
შენ სანთელი ხარ ბნელ ღამეში და ვარსკვლავები  
ფარვანებივით გეფარფატონ, კარგი იქნება.  
შენი მშვენების ხოდაბუნში იმედი ვთესე,  
არ აღმოცენდეს, – ჩემთვის განა დარი იქნება.  
მარგალიტივით დამაბრმავე ელვა-ციალით,  
ღვინის სარდაფმა გადამყაროს დარდი, იქნება.  
სევდის უდაბნოს გადამაგდე, რა გენალვლება,  
წვიმა იქნება ჩემ თავზე თუ ჯანლი იქნება,  
სულის სამყარო შემიშფოთე, ახლა ჩემ თავში  
ან რა გონება, ან რა ჭკუის ბარგი იქნება.  
საწყალ ნავოის რაზედა ჰკლავ, მისი სიკვდილი  
რა ბედენაა, ან რა დიდი მარგი იქნება.

### ტაჯიკეთი

სადრიდინ აინი, XIX საუკუნე

\* \* \*

რომელი ვარდიც ბალში ეშხით არი შემკული,  
შენ სამსახურად მონასავით მოვა შეკრული.  
თვალთა მშვენებით ვერ დაგჯაბნის თავად ნარგიზი,  
რას გეჯიბრება, არ გაუსკდეს ჯიბრით ეგ გული!  
ყაყაჩოა თუ ზამბახი თუ იასამანი –  
ყველას დაათრობს სილამაზე შენი კერპული.  
როს მონარნარებ და ზღვასავით გილელავს მკერდი,  
შენსკენ მოურბით ნაპარევი მზერა გვერდული.  
ნეტა მის ვარსკვლავს, ვინც გრძელ ღამეს გვერდით  
მოგისვამს,  
არა მგონია ძილს მინებდეს, შენით შეძრული.  
აინის მოჰკლავს მხოლოდ ღამე შენთან გაყრისა,  
არადა, რა ქნას – წყალზე ტყდება კოკა ბედკრული!

**თურქეთი**

**საბაჟათინ ალი, XX საუკუნე**

## ქალის გამტაცებელი

მთანი მაღალნი .... მშრალნი წყარონი...  
 სატრფოს სახეზე გადაჰკრავს ყვითრი ....  
 მომდევს სიკვდილი ძვლების ჩხარუნით,  
 მერანო ჩემო, გასწი, გაფრინდი!  
 მთავ თოვლიანო, არ გადისვლები,  
 ჟანდარმერია მდევს შურისგებით,  
 ვერა, ვერ დავთმო სატრფო თვის ნებით,  
 მერანო ჩემო, გასწი გაფრინდი!  
 გზამ დამიქანცა სატრფო ღამითა,  
 გამოტაცებას ნანობს წამითა,  
 მეხვევა ხვევნით თანისთანითა,  
 მერანო ჩემო, გასწი, გაფრინდი.  
 მდევენ მდევრები ცხენგალექებით,  
 თუ დამენივნენ, დანას ვეგები.  
 არ შემირცხვინო ზეიბექები<sup>27</sup>,  
 მერანო, ჩემო, გასწი, გაფრინდი.



<sup>27</sup> ზეიბექები – ერთ-ერთი თურქული ტომი

### **მაჰმადიან მესხთა ფოლკლორი**

ტაბაკია თუ გობია, –  
ვაშლი თავს გადამხობია.  
ბევრი ქვეყანა მივლია,  
ჩემსას ვერცერთი სჯობია:

მტრედი გაფრინდა, რა ვუყო?  
ბაღდაძს ჩაფრინდა, რა ვუყო?  
ახალციხის და ანტურის  
დარდმა დამფლითა, რა ვუყო?

მთვარე ჩამოდგა ბინაში,  
ვით ვარდისწყალი მინაში.  
ქვეყანა მურაზს ენია,  
მეღა ვარ ოხვრა-გმინვაში.

იხვო, ლამაზო თვალადა,  
მცურავო ჭალა-ჩალადა,  
შენი მეწყვილე რა უყავ,  
რატომ დაცურავ ცალადა?

ვაშლის ხეები ჩანანო,  
ლამაზად მწკრივში დგანანო,  
ეს ანტურელი ქალები  
გიუმაჟ ჯეირნებს ჰევანანო.

ოქროს ბეჭედში ლალი ვარ,  
თვით ოქროდ მისათვალი ვარ,  
ჩემ თავსაც ძვირად ვაფასებ,  
გურჯისტანელი ქალი ვარ.

ბაღი მაქვს სავსე ლელვითა,  
შემოვიარე ფეხითა,  
სატრფო მოგდისო, მახარეს,  
გავვარდი კისრისტებითა.

ყარამფილისა კონა ვარ,  
ბულბული – ვარდის მონა ვარ,

სნეული ვწევარ, მომხედოს,  
სატრფოს უთხარით ონავარს.

თურაშაულსა ქებულსა,  
ჩანითლულ-ჩაშაქრებულსა, –  
ჩავკბეჩ და, ძმას კი არ მივცემ,  
ვაჩუქებ შეყვარებულსა.

მორზე დავჯექ, დავდე ბარგი,  
დანა ვპოვე დანაკარგი.  
რა ძალიან იპრანჭები,  
სხვა გავიცან შეზე კარგი.

ყარამფილი თავთით მედო,  
ჩემი გულის საიმედო,  
გუშინ ღამე სად იყავი,  
ეგ მითხარი, ჩემო მტრედო.

ლექსის სათქმელად მოვედი,  
ხილის საჭმელად მოვედი,  
ხილიც საბაბად მოვიდე, –  
შენთვის საცქერლად მოვედი.

გეტყვი ჩემი გულის ამბავს, –  
სიყვარულის ქსელი ლამბავს.  
ჩემ ნანადაურს ვენაცვალე,  
მაღალსა და შავთვალწარბას.

ეს ფანჯარა – ანჯამითა,  
ღვინოსა ვსვამ ამ ჯამითა.  
ჩემ საყვარელს ვენაცვალე  
ამ გულით და ამ ჯანითა.

ვარ სამშობლოში ეული,  
სევდა მკლავს შემოსეული,  
მტერო, ეგ თვალი დაგიბრმეს,  
ვერ ადგა ჩვენი სნეული.

აზერბაიჯანი

ნასიმი, XIV საუკუნე

## თუიუქები

\*\*\*

კაცი იწამე, კაცთან მიდი, კაცი იცანი!...  
წინ-წინ, წამი-წუთ ამას იტყვის კაცი ვინც არი,  
კაცში კაცისგან კაცობაა დასაფიცარი,  
კაცში ღვთის სახე, ღვთის სულია დანამტკიცარი.

\*\*\*

რაც მიწაშია, რაც – ზეცაში, კაცშიც ის არი,  
რაც თვეში არი, წელშიცა და წამშიც ის არი,  
რაც ხელში არი, სახესა და ტანშიც ის არი,  
ღვთისგან რეგვენი რაც ბოლოში, თავშიც ის არი.

\*\*\*

ესე უწყოდეთ: ადამის ძე თავად ღმერთია,  
ოცდათორმეტი ასო მასში შენაერთია.  
თავად სამყარო ღმერთია და ღმერთი – ერთია,  
ადამის შვილი მზის სახეა და მზეს შერთვია.

\*\*\*

ღმერთმა კაცს მისცა თვისი ნიჭი, შნო და უნარი,  
მისცა სახლი და ამ სახლში ჰყო წამით სტუმარი,  
ჭეშმარიტება რაკი ვერ სცნა ესე მდუმარი,  
მიტომაც დადის ეშმა დარდით დანადუნარი.

\*\*\*

თვალიც, ჯავარიც ისევ კაცის ჯავარში არი,  
კაცის საუნჯე კაცურობის ფარგალში არი,  
თუმც შეითანი კაცის წიაღ სანგარში არი, –  
ღვთის საიდუმლო კაცის სულის ტაძარში არი.

\*\*\*

მინა და წყალი როცა ღმერთმა ცომად აზილა,  
ზეცა შექმნა და კაცში ტახტი გაიხაზირა,  
ზედ სილამაზე შაპად დასვა, ტრფობა-ვაზირად,  
მეტრფეს, სატრფოს და ტრფიალს მისცა ერთი ხაზინა.

\*\*\*

ნიშნად ინიშნეთ: მე ასო ვარ ოცდათორმეტი,  
არ მყავს ზიარი, მაგიერი, დარი, ტოლ-მეტი,  
თავ-ბოლოდ მსაზღვრავს მარადი და მიუწვდომლეთი,  
თვით ვარ თავბოლო – ყოვლად ერთი და საყოვლეთი.

\*\*\*

აბდალს უწოდებს შეყვარებულს ზოგი ჭარტალი,  
ეგ იმიტომ, რომ შმაგია და უყვარს ტანტალი;  
რაყი შმაგია, მან შეიცნო არსი მართალი  
და რა შეიცნო, იმიტომაც არის აბდალი.

\*\*\*

სალამი სატრფოს, დღეყოველნამს სატრფოს სალამი ! –  
ლხენა გვიბედოს, ალარა გვყოს ცრემლით ნალამი.  
არამი იყოს უსატრფოოდ სიტყვა, არამი !  
ნიშნად კმა არის, აღარ უნდა მეტი ყალამი.

\*\*\*

წუთისოფელი მოტრიალე ჯარა ყოფილა,  
ნილი მთელის და მთელი – ნილის ჩარა ყოფილა.  
ვინც ცხოველია, ცხენი ჰქვია, სხვა რა ყოფილა,  
ფრინდა ცხენი და – ჭადრაკისა არა ყოფილა?!

\*\*\*

წალკოტში შეველ, დილა იყო, აისის ჟამი,  
ყაყაჩოს ეპყრა, დავინახე, ჯემშიდის ჯამი,  
ჟამიდან ჟამზე შროშანასი ისმოდა ჩქამი:  
წამი ჟამია, ჟამი – წამი, იწამე წამი!

\*\*\*

მარადისობის წიაღში ვარ რაკი დამრჩენი,  
მევე ვარ ქვეყნის შემოქმედი, მისი გამჩენი!  
ღმერთსაზიარო სუფრასთან ვარ თასის დამჭერი,  
ღვთის რჩეული ვარ და ბრძანების მისის დამჯერი.

\*\*\*

ვინც და რაც არის, სულ შენშია, გულო მღვივარი,  
ვისგან რას ელი, რა საჩუქრის ხარ მოჩივარი?!  
მოძებნე ვინმე – ტურფა, შენთვის გულშემტკივარი, -  
იერთგულე და უერთგულე, ეყავ ზიარი!

\*\*\*

წარბი, წამნამი, ნაწნავები – ერთად გაქვს შვიდი,  
მიწაც შვიდია, ზეცაც შვიდი, შენცა ხარ შვიდი,  
რადგან კვირაშიც სათვალავით დღე არის შვიდი,  
აქ სიბრძნეა და წმინდა წიგნიც მიტომ არს შვიდი.

\*\*\*

შენი ბაგენი თაფლს და შაქარს შეამჩივარებს,  
შენი ბაგენი ლალ-იაგუნდს დაამჭვივარებს,  
შენთა ბაგეთა ბედი ნურას უსატკივარებს,  
რადგან ეგენი აშუშებენ ყველა იარებს.

\*\*\*

შენმა თვალებმა მიყაჩალეს, დამდეს ბაჟები,  
ბაგის სიტყბოთი შეარცხვინე მთლად ჰალვაჩები!  
ანგელოსები გლოცულობენ, როგორც ჰაჯები,  
შენი ქაბის ერთი ჰაჯი, მეც გეაჯები.

\*\*\*

სამოთხე თუა, ეგ ნამდვილად შენი ტანია,  
წელი – ლერწამი და შენი თმა რეიჰანია.  
სამოთხის ბაღში სიყვარული შეგვიტანია,  
მაგრამ რაყიფი ორთა შუა შეითანია.

\*\*\*

მზეო, მე აქ ვარ, შენ-კიდეს ხარ განაკიდია,  
მე შენს უშენოს, ცეცხლი მდაგავს წანაკიდია.  
ეგ შუქი, მთვარევ, იმ პირიმზის შუქზე ჰკიდია  
და რა ჰკიდია, შენც იმ შუქში წილი გიდია.

\*\*\*

ვინაც ვერა სცნა წუთისოფლის ფანდი წამალი,  
წინ ვერ წაიგდო საქმე თვისი, ვერც წასამალი,  
მას ალარ ერთქმის არც დედალი, ალარც მამალი,  
მწარედ თითების კვნეტალაა მისი წამალი.

\*\*\*

ვინც არა უწყის თვისის არსის, თვისის ბუნების,  
წულარას ჰკითხავ, მასზე ბრიყვი წუ გეგულების!  
მიჯნურთ ჭადრაკში მისი ცხენი არ იხლტუნების  
და ტრფობის ამო შამათითაც არ იცდუნების.

\*\*\*

ურჩი, მაქცია შეითანი – გულდაკეტილი,  
ბევრი ეცადა და ვერ შექმნა ღმერთმა კეთილი,  
რა შეითანმა ვერ შეიგნო ღვთის გაკვეთილი,  
მიტომაც დაძრნის გარეგანი და მოკვეთილი.

\*\*\*

ყურანიც მე ვარ და სიტყვათა მისთა ლიანგიც,  
ქვეყნად ყველაფრის სიმშეიდეცა და ფორიაქიც;  
მწდეც ვარ, თასიც ვარ, თასსა შიგან ღვინის ციაგიც,  
თვით ვარ შხამიც და შხამისათვის წამალ-თრიაქიც.

\*\*\*

ტურფავ, ნატრული წუ გამხადე შენი სახისა,  
გული ტყვე არის მუშკ-ამბრიან ზილფთა მახისა,  
საჩუმათევის ღირსად არ მყოფ რაკი წახისა,  
ბარემ დამკიდე ერთერთ ხეზე შენი ბალისა!

\*\*\*

უშენოდ ჩემთვის ქვეყანაა თითქოს ბურანი,  
სალამი შენდა – ჩემი გულის ნაბუბუნარი!  
სამოთხის ხეო, შენი სახე თითქოს ყურანი,  
წარბ-წამწამი კი ყურანისა არის სურანი!

\*\*\*

შენი სურათხატის შენამცვიფრები ვარ,  
შენთან შეერთებას შენამძაფრები ვარ,  
იდუმალ საუნჯეს გადავფაფრებივარ,  
ცის ტახტის დიდ სულთანს გავთანაბრებივარ!

\*\*\*

ღვთის სიტყვა ნახე, თუ რაგვარი მაგალითია, -  
ვისაც არ ესმის, მისმა ჭკუამ სხვა რა იტია?!  
ბრიყვთ რა უწყიან, რა – ლალია, რა – კრამიტია, -  
ეგ ბრძენმა უწყის: მარგალიტი მარგალიტია!

\*\*\*

დამწვი, დამნავლე, რაკი მნათი, რაკი მწველი ხარ,  
აქა ხარ, იქ ხარ, თუ სადაც ხარ, ჩემი მკვლელი ხარ!  
პირად მთვარე ხარ, საბურველად სხივთა მცმელი ხარ,  
გამოდი, რადგან სულერთია. გამომსვლელი ხარ!

\*\*\*

შენი ბაგენი სულისა თქვეს ჩვენის დამლევად,  
შენი ხალები – დარდებისა ჩვენის წამლებად,  
ჩვენი გულები – შენი ტანის ნახათაბლევად,  
ჩვენი თავები – შენთვის თავზე შემოსავლებად!

\*\*\*

ჭეშმარიტება რა ვიხილე თვალჭეშმარიტად,  
ვცან ძალი მისი და ვიქეცი ძალჭეშმარიტად,  
რაკი ჭეშმარიტს ნაზიარი ვარ ჭეშმარიტად,  
გიცან და ვიცი, ჭეშმარიტო, ხარ ჭეშმარიტად.

\*\*\*

ღმრთის შესაცნობად რაზე ამტვრევ ღიათა კართა,  
ნუთუ არ იცი: ასოები სიტყვებმა მართა! –  
სხვა რამ ნიშანი არ აქვს გამჩენს ასოთა გარდა,  
მაშ, წაიკითხე და იაზრე, რაც არის მანდა.

\*\*\*

სულის მახეა, ჯადო არი შენი თვალები,  
უძედურების ღადო არი შენი თვალები!  
ასე უწყალო რატო არი შენი თვალები?  
ნეტავი, ვისთვის სანდო არი შენ თვალები?

\*\*\*

ვინ მიჯნურია, ხამს თუ რბოდეს სატრფოსთვის ველად  
ცრემლი სდიოდეს, საყვარლისთვის გადიქცეს ხელად,  
მარადიული ის სამეფოც მას ერგოს ხელად,  
ვისცა მაგ წარბთა მშვილდისარი ექმნება მკვლელად.

\*\*\*

სარო რხეული-ეგ სხეული, ლალია, ლალი  
(მიჯნურს სულისა აუზთოს და ჩაუქროს ჭალი!),  
ჰეგავს თუ გაშლილა ათასფერად სამოთხის ბალი  
და ჩამოსცქერის კიპარისის ქოჩორა თალი.

\*\*\*

ხანჯლებს წააგავს და სულს ხანჯლავს ეგ წამნამები,  
სულის სამეფოს ჩემსას ლაშქრავს ეგ წამნამები,  
ვით გიაური ჩემ სისხლს ხაპავს ეგ წამნამები,  
ქვეყნიერებას იპყრობს, ჩაგრავს ეგ წამნამები.

\*\*\*

სამიკიტნოა სამუდამო ჩვენი მეჩეთი,  
შიგ დევ-შეითანს ტყვეობისა ვბეჭეთ ბეჭედი,  
სევდა ლხინად გვიჩნს, აბრეშუმად – საფუჩეჩეთი,  
განძად, სახვეჭად – ტურფას ეშხის მოსახვეჭეთი!

\*\*\*

მოდი, უშენოდ დარდისგან ვარ შენალონები,  
ცრემლის მდის, ჯავრით ალარა ვარ შენი მგონები!  
რა სატრფო შემხვდა, მე საწყალი ვის ვემონები?  
ვარ ბედისაგან გულში ლახვარგანაწონები!

\*\*\*

ცხენს მოაფრინდი, გადაჯეგე უდაბნოს ხვატი,  
სცან ჭეშმარიტი, მართლა ცხენად თავს ნუკი ჰხადი!  
შამათს ერიდე, ცრუა ეტლი – ყოველთა მპადი, –  
არკი გაუსწრო, გვერდით მიჰყევ, მხარდამხარ წადი!

\*\*\*

უნებლივ ერთ მთვარეს მივუძღვენ გული,  
გულის სულთგამყარეს მივუძღლენ გული,  
მშვენთა უსადარესს მივუძღვენ გული,  
ყოველთა უმაღლესს მივუძღვენ გული.

\*\*\*

საწუთროს სიცრუით გაწყალდა გული,  
ამად ამაოსგან დაღალდა გული,  
ტრფიალის ხანდარში დანავლდა გული,  
ერთქმნის შარბათი სვა, განახლდა გული.

\*\*\*

შენთა თვალთა სათში ჩავარდა გული,  
ვარამში ათასში ჩავარდა გული,  
ექვსჯერ ოთხის თასში ჩავარდა გული,  
ერთზიარის ზღვაში ჩავარდა გული.

## ფუზული, XV საუკუნე

ვისაც არ ძალუძს სინატიფე აღიქვას ლექსის,  
მუზის ქურუმებს ნუ გაკიცხავს, არ არის წესი,  
სჯობს აღაროს თავი თვისი უვიცად, მართლაც  
და ხელოვნების საოცრებას ჯადოდ ნუ ნათლავს.  
“სულთნებს ფული აქვთ, დირჰემის და დინარის ძალით  
ლაშქარს შეჰკრებენ, სხვა ქვეყნებზე უჭირავთ თვალი,  
მსხვერპლით, წიოკით, ქვეყანას რომ დაიპყრობს ჯარი,  
პყრობილი იგი მშვიდობისგან უკვე შორს არი.  
შეტრიალდება ზოგჯერ ჩარხი, ჯანყი ხდება და  
განადგურდება მათი ჯარიც, მათი ქვეყანაც.  
თუმც დერვიში ვარ, მაგრამ სიტყვის, მეც ვარ სულთანი,  
ლექსებში ჩავდე არსი ჩემი, სული სულთანი.  
ლმერთის ძალ-ღონით ჩემი სიტყვა ძოჰგავს ფალავანს,  
ზოვათა და ხმელთა სამეფოებს უმტვრევს გალავანს,  
არ სთხოვენ არსად არცა ბაჟსა, არცა ხარაჯას,  
სადაც კი მივა, იქ სიავე ქრება, არა ჩანს.  
სიტყვასა ჩემსას ვერას უზამს ვერც უამთა სრბოლა,  
არც ბედის ჩარხის მას არა აქვს შიში და ძრწოლა.  
ფადიშაპები რას მომცემენ მე სანეტაროს,  
გვირგვინს რწმენისას, თავს რომ მადგას, მას შეედაროს,  
მარადისია და უკვდავი ვისიც გონება  
მოკვდავ-ნარმავალთ ის საზრდოსთვის არ ემონება,

\* \* \*

სამშობლო არის ყარიბთათვის ესე ქალაქი,  
ყველას რგებს მისი ბუნება და ჰავა-ალაგი,  
ხიბლავს იმისი აკლდამების დიდებულება  
წმინდანებსა თუ მანანნალებს, ყველას უკლებლად.  
მინა იმისი წმინდა არის, პრწყინავს სარკისებრ,  
ჩაგვრა-სიავეს გახარებას აქ ვინ აღირსებს?!  
რამდენიმე დღით ძნელბედობა თუმცა დაუდგა

სვე და დოვლათი სამეფოსი ხელპყვეს აუგად.  
 ისლამს ურჯულო ებატონა საუბედუროდ,  
 ბრძენი დამდაბლდა და უვიცი მაღალქედურობს.  
 ბედს ჩაგრულებმა დაუსველეს ქვითინით კალთა,  
 სარკეს ბედისას გლოვა კვამლად შემოეკვალთა;  
 ამ საცოდავმა სახილველმა ზეცაც შესძრა და  
 განგებას შერცხვა, ეს საქმენი თვისი შეჭარდა.  
 ღმერთმა შეიგნო უბედურთა ჭირი მთლიანად  
 და გაამართლა მან მართალნი სამართლიანად.  
 პარტას ქვეყანას მოუვლინა მძლავრი გონება,  
 ცვარი აპეურა, ალუდგინა ვარდს სახოვნება.  
 მამაც დამპყრობის ფეხის ქარი კეთილად ქრის და  
 ქვეყანას მართავს, სპარსთა სურმას კერძად ხდის მტკრისა.  
 არაბთა ძლევის თარიღს ვამბობ იმა დროიდან,  
 წმინდანთა ბურჯში ფადიშაპი როცა მოვიდა.  
 ბრწყინვას სამართლის ჩირალდანი, მოჰვავს მთოვარეს  
 და ნაკადული წყალობისა რწყავს ყოველ მხარეს.

\* \* \*

ჰოი, ფუზული, საფუძველი ბრძენთა ყადრისა  
 არარად იქცა, ცოდნის ცოდნა უნდა არვისა,  
 სწორედ ამიტომ არის ბევრი გამგონ-მნახველი,  
 არავისა აქვს ჩვენს მხარეში ბრძენის სახელი.

\* \* \*

ცოდნის, ზრდილობის, განათლების მოსაპოვებლად  
 ჯაფა გავხარჯე რაოდენი, უწყის დროებამ.  
 ხალხმა გამიგო უკუღმართად სურვილი და ცდა,  
 მისთვის დავირქვი მე ფუზული წინაშე კაცთა.

\* \* \*

ქვეყნად მარადი შვებისა და სიამის ღვინოს  
 მხოლოდ ლექსის მწდე თუ მოგაწვდის, რომ მოგალხინოს,  
 ამქვეყნად მხოლოდ სიტყვის დვრიტა არის მარადი,  
 სხვა ყველაფერი წარმავალი, წარამარადი.

\* \* \*

კაცსა, ვის გული დადაგული არა აქვს დარღით,  
ვით მოვუძებნო მე ლექსებში სიტკბო და ყანდი!  
შვება, სიამე, სიმშვიდე და ლხენა-განცხრომა  
მადლს ვერ დაატანს ლექსს, ვერ გახდის სულის მაცხოვრად.  
ლექსი დიდი და ჭეშმარიტი მაშინ იქნება,  
თუ შვა ტყივილმა, თუ შვა დარდმა, თუ შვა ფიქრებმა.

\* \* \*

თუ კაცს ბუნებით სდევს სიავე და ცბიერება,  
მას მართლმორწმუნედ ვერ მოაქცევს მეცნიერება,  
თუნდ ოქროს წყალშიც ამოავლო, რიყის ქვის ფასი  
ისევ ის არის, არ გახდება ბადახშის მსგავსი.  
თუთიყუშიც კი იზეპირებს სხვის ნათქვამ სიბრძნეს,  
მაგრამ ხომ ვიცით მისი ჭკუის განიც და სიგრძეც.

## ვაგიფი, XVIII საუკუნე

\* \* \*

ვერ ვნახე მტკვრის პირას ქალი თმაშავი,  
თმამწვანე ფერიაც აქ არსად არი,  
გულს უნდა ქორივით მთებს თავს მოევლოს,  
აქ აღარ მობრუნდეს კვალად, მზად არი.

\* \* \*

მექორნილენო, აგრემც თავზე შემოგევლებით,  
თქვით, ქალმა, მზესთან მისადარმა, იცეკვოს ერთმა;  
სახელს არ ვიტყვი, ამდენ ხალხში სირცხვილი არი:  
მავანის შვილმა, თვით მავანმა იცეკვოს ერთმა.

სახმილს გვიკიდებს მისი ეშხი დიდი ხანია,  
გულს კაეშანი შემოგვყარა, სულში ღამეა,  
იმის თითებზე თვალ-ბეჭედი მოსისხამეა, –  
ხელბეჭდიანმა ბეჭდის თვალმა იცეკვოს ერთმა.

ტანაყრილია, როგორც ალვა ანუ ჩინარი,  
შემყარა სევდა საჩინარი და უჩინარი;  
თვალით ვანიშნებ, გამგებია, ჭკუით მჩინარი, –  
მეგობრის ყადრით მეგობარმა იცეკვოს ერთმა.

მოლა ვაგიფი ვინ დაიხსნას კაეშანთაგან,  
სისხლის ცრემლები წყაროსავით დასდის თვალთაგან;  
იმ ტანკენარმა, ახალმორჩიმა, ქალმა ქალთაგან,  
ჩემმა დამწველმა ლამაზმანმა იცეკვოს ერთმა.

\* \* \*

ბაირამია და არ ვიცი, რა ვქნა, რა ვუყო,  
სავსე ტოპრაკი სახლში წამლად არსად არ არი,  
შინ გამქრალია ბრინჯისა და ერბოს ხსენება,  
ხორცი კი არა, ყველიც არსად თარსად არ არი.

ალაპს მოვძულდით უმადური მისი მონები,  
რამე ვკადრო და, ხელად სოფელს მომაშორებენ;  
ხალხი იხრჩობა შაქარ-ყანდში, არას მქონენი  
ჩვენლა ვართ, სახლში შვინდიც მარცვლად არსად არ არი.

ამ ქვეყანაზე არა ვჩანვართ არცა ქონებით,  
არცარა სახლში პირმშვენიერს ვეპატრონებით,  
ვაგიფ, ნუ მოჰკვეხ, თითქოს ვბრნყინავთ ჭკუა-გონებით,  
მადლობა ალაპს, ჭკუაც, ნავსად, არსად არ არი.

## ლეონ ბატონიშვილზე, ერეკლეს ძეზე

\* \* \*

„მეფეს რა ტურფა ვაჟი ჰყავს, სინათლე ორთავ თვალისა,  
ჩრდილი ამო და მფარველი სრულიად გურჯისტანისა,  
სარდალი სახელმაღალი, მტერთა დამცემი ზარისა;  
სამყაროს თავფურცელია სახელი ლეონ ხანისა,  
ლმერთი ჰეთარავდეს ლომგულსა დასტურ, კაი ყმა არისა.“

დგას ის ნიჭით და ლირსებით სხვა ქვეყნის ხანთა კიდეგან;  
ვაჟყაცია და შეჰვერის თვით ფადიშაპის დიდება;  
ლმერთსა ვთხოვ, ვარდი კოკორი წერას ნუმც გადეკიდება;  
ყველას ჰეთამს მისი ბრძანების მორჩილება და რიდება;  
სჯულის სვეტია იმისი ხაზები წარბ-კამარისა!

კარგად გავიცან: ბიჭია, ვით მოწყვეტილი მტევანი;  
მეკეთა მისი უბნობა, ქცევანი და შექცევანი;  
ვაშად ეტყობა მბრძანებლის და დარბაისლის ჩვევანი;  
სახით ანგელოსს ვამსგავსე, დავასკვენ ესე რჩევანი:  
რა მშვენიერი მოყმეა, რა დიდებული გვარისა !

მეფის სხვა შვილებს ვერ შევხვდით, შემთხვევა არ შეგვსწრობია;  
ეს რაკი ვნახეთ ასეთი, თუნდა ისინი გვცნობია;  
ესე ოჯახი შუქ-სხივით მნათობთა შენაძმობია;  
ვაგიფ, რომ ნახე მაინცა, ლმერთს მადლი უძლვენ, სჯობია.  
კაშკაშებს მეფის ოჯახი მსგავსად მზისა და მთვარისა!

\* \* \*

ერთ ეშმას ფანდიანს, სახეხალიანს,  
ერთ ენაშაქრიანს ვენაცვალე.  
ერთ სიტყვაყანდიანს, ფერმკრთალბაგიანს,  
ენაპირთაფლიანს ვენაცვალე.

ერთ შროშანისთმიანს, მკერდიასამნიანს,  
ერთ ალვისტანიანს, ანგელოზის ხმიანს,  
ერთ ლერწამის შრიალს, სამოთხის ნიავს,  
შიმშათის მკლავიანს ვენაცვალე.

ერთ მზერაჯავრიანს, ერთ თვალშარიანს,  
ერთ თმაზილფამბრიანს, ერთ მუშკის ცვარიანს,  
ერთ ლოყალალიანს, ოქროს ქამრიანს,  
ბაგებადაგიანს ვენაცვალე.

ერთ ლამაზ ეშხიანს, მზეჯავრიანს,  
ერთ ოქროშუკიანს, მშობელმადლიანს,  
ერთ ფერიისთმიანს, მზის ცხოველ ბრიალს,  
მთვარეს, პირბადრიანს, ვენაცვალე.



ალესკერი – აშული, 1821 – 1926

## ზარებით

კაი მონადირე ამ ზარხოშ ირემს  
დაიჭერს მახით თუ სახუნდარებით;  
აშკარად არ იწვის ეშხით დამწვარი,  
ჩემებრ ჩუმად მოსთქვამს ცრემლის ღვარებით.  
შენ გზაზე გავწირე ტკბილი სული მე,  
არ ვნალლობ, თუმცა ვარ დაისრული მე,  
დავთმე სამშობლო და ერი სრული მე,  
შენ კი რაზე მივლი გარისგარებით.  
აშულ ალესკერი, შენს გზას შემდგარი,  
ვიტყვი, გულს მიღადრავს დარდი, მედგარი,  
მე ცოლი მომიკვდეს, ქალო, შენ – ქმარი,  
ვიაროთ ეშხით და გლოვის ზარებით.

## ვიცანი

როგორც კი შევხედე ქვაში მარგალიტს,  
თვალდაწყურებულმა ხელად ვიცანი.  
გული არსავინყარს მალე ივიწყებს,  
თვალი ხარბია და დასამინარი.  
ვარდივით ლაწვი აქვს, გაუღიმარი,  
ანგელოზია თუ ნეტავ ვინ არი, -  
მარგალიტისებურ კბილთა მჩინარი,  
ბაგე-უნაბისფრად ანამტკიცარი.  
მიცნობდეთ: გოგჩელი ალესკერი ვარ,  
თუა სამღერალი, მეცა ვძლერივარ,  
აშული, დავრიში, გიჟი, ხელი ვარ,  
არ მყავს ტურფას მეტი სხვა საფიცარი.

## სულეიმან რუსტამი, XX საუკუნე

\* \* \*

რა ლამაზია, თბილისი,  
 მადლი ეტყობა განგების,  
 დილ-დილით სმენას დაუტკბობს  
 სამშობლოს ჰიმნის ჰანგები.  
 ერთ დროს მოხუცი ვაგიფი  
 ამ ადგილებში იყო და,  
 ვით ელჩი და ვით პოეტი,  
 ქართველთა ქებას იტყოდა.  
 საქართველოზე გაჰყივის  
 ან ჩემი ლექსის არწივი!  
 აქა წევს მირზა ფათალი,  
 ვით ქართულ მიწის ნაწილი.  
 აქ წერდა, მოლვანეობდა -  
 ვხარობთ ბრძენ მირზა შაფითა, -  
 ის ცეცხლოვანი პოეტი,  
 თავშემკობილი დაფნითა.  
 ჭრელად მორთულა ზაფხული  
 თქვენი ლამაზი ქვეყნისა...  
 ჩვენი ხალხები სამოყვროდ  
 მტკვრის პირას ბევრჯერ შეყრილან,  
 ქორწილ-მაყარში, ლხენაში  
 ერთად ვიყავით მეტწილად,  
 ერთი თუ ჩოგურს უკრავდა,  
 მეორეს საზი ეჭირა.  
 მოდით და ერთად გადმოვდგეთ  
 მთაწმინდას ყველა პოეტი!  
 მე მეგობრობის მიწაზე  
 უამრავ ლექსით მოვედი.  
 შენ, ჩემო ტკბილო ქალაქო,  
 გული გამიხსენ ლხენითა,  
 გზა გამინათე მილიონ

თვალების შუქთა ფენითა.  
მოველ, რომ მიცნონ ნაცნობთა,  
რომ სიყვარულში გავსწორდეთ!  
გზის პირ-პირ მე ამ ყვავილებს  
შენთვისა ვკრეფდი, გახსოვდეს.

## შენ თუ გინდა, ნუ გეყვარები

ქალო და თვალო, მე შენს გზაზე დამწყდა თვალები,  
შენს საალერსო სიტყვებს გულში ვემალმალები,  
გულს ამღერებენ ეგ თვალები, ეშნით მთვრალები.  
სანამ ცოცხალ ვარ, სული მიდგას და ვიარები,  
მე შენ მიყვარხარ, შენ თუ გინდა, ნუ გეყვარები!  
წამართვი გული, წარიტაცე თვალთაგან რული,  
სამეფო შენი სიყვარულის გახადე სრული;  
სხვა ვინ განდობდა ამნაირ გულს, დამაგდე კრული!  
ცოდვას ნუ იდებ, ამიღია ჩემზე ბრალები,  
მე შენ მიყვარხარ, შენ თუ გინდა, ნუ გეყვარები!  
კოკობო ვარდო, მოღი, ქმუნვა გადამაცილე,  
ამ გულის ბალში გაიცინე და გამაცინე;  
ენას რა დალლის შენზე ხოტბით, რა დააძინებს!  
ჩვენი ლამაზი სამშობლოის მზის მცხუნვარებით  
მე შენ მიყვარხარ, შენ თუ გინდა, ნუ გეყვარები!



## მკერდყარამფილიან პოეტის

### ქართველი ხალხის საყვარელი პოეტის ტიციან ტაბიძის ხსოვნას

კარგად მახსოვს: ზაფხულობით, რაღა ზაფხულს, – ზამთრობითაც,  
ერთ ჩემს ძმობილ ქართველ პოეტს, დარითა თუ ავდრობითა,  
რომ უყვარდა ყოველ დილას მეტყველის<sup>28</sup>;  
მის თვალებში მტკვარი ქუხდა და აფრქვევდა კეთილ ღიმილს.  
სულხორციან მომლერალი, და პოეტი იყო ისა,  
გულში ენთო სიყვარული, ჩაუქრობი შუქი მზისა,  
ვით შეჰვერის ნამუსიან შვილს, სამშობლოს სასახელოს, –  
საქართველოს გული იყო, ამშვენებდა საქართველოს.  
ერთხელ იმის ბედით ბედზე ქარი ატყდა ავი, ხელი  
და მკერდიდან ყარამფილი ააგლიჯა შავი ხელით.  
აბა, როგორ დავივიწყო მე პოეტი სიტყვატკბილი,  
ზამთარ-ზაფხულ რომ ებნია მკერდზე ნაზი ყარამფილი.

ჩემი ბალი შუვალანს<sup>29</sup> ყარამფილის გაშლისას  
როცა გადაჭრელდება პეპელების თავშლითა,  
გაზაფხული როდესაც ეფერება მიმოზებს  
და ალუჩის ფოთლები შრიალებენ სიოზე, -  
ტიციანი შემოდის, ცოცხლივ თვალწინ მიდგება,  
თავის დარდი არ ახსოვს და ჩემსას მეკითხება,  
ცისფერ თვალებს იმისას მე კაეშნით ვიუბნებ  
და გულმკერდზე ყარამფილს მარადისად მიგუბნევ.



<sup>28</sup> ყარამფილი – მიხაკი

<sup>29</sup> შუვალანი – აგარაკია ბაქოს მახლობლად.

მამედ არაზი, XX საუკუნე

## დედის წლოვანება

ვეღარ გავიგონებ დედაჩემის ხმას...  
ავაჭმე, მეც ვიქმენ ბედით ვნებული!...  
ოჳ, როგორ მამნარებს ზოგის შეკითხვა:  
რა ხნისა იყო განსვენებული.

რა ვიცი... ერია ჭალარა თმაში...  
ზრიალებს კითხვა და პასუხი თავში.  
წლებით ვინ გაზომა დარდი დედაზე,  
დედა მე დავკარგე დედის ასაკში.

სიდიადისთვის ნასროლი ტყვია  
ტყვია, რომელიც იღია ჭავჭავაძეს ესროლეს,  
ამჟამად მის სახლ-მუზეუმში ინახება

თოფის ქუხილმა ხეობაზე გადაიგრგვინა,  
გაიპო მკერდი, გადაიხსნა დიდი იარა.  
მოსწყდა პიტალო, მთას რომ ედგა თავზე გვირგვინად,  
თითქოსდა ტყვია მას ესროლეს, პოეტს კი არა.

ლერძი გამრუდდა და ფაიტონს დასძვრა ბორბლები,  
ცხენებმა ზეცა ჩამოლადრეს ბრაზით, უჩვევით....  
არ შემიკრთხესო საქართველო დანაობლები, -  
ყელში დაძრული ხმა მოგუდა მთრთოლვარ ტუჩებით.

ამოაფრქვია მენამული ვულკანმა – მკერდმა  
და მენამულად გაიფოთლა ტყე-ლრე მდუმარი;  
მკერდგაბასრული შინ წაიღეს და მასთან ერთად  
მივიდა ტყვიაც, ბოროტი და ავი სტუმარი.

არ დარჩენილა ის სტუმარი მის მკერდში დიდხანს,  
აწ სახლის პატრონს აკ დარაჯად ადგას ისევე.  
რუსთერი ღვარძლი სტენდში მოჰვავს ჩათვლემილ რისხვას  
და გაიღვიძებს... თუ ხელახლა გააღვიძებენ.

აქ, ერთ ოთახში, ერთ სამყოფში დაუდევთ ბინა  
და ქიმერაც და შთაგონებაც ერთად არიან.  
დიდების გვერდით დამწყვდეულ შურს ამ სახლსა შინა,  
სირცხვილის ცეცხლი რომ არ ადნობს, საოცარია.

თუმცა...მოიცა! მგონი, ვიცან ძველი ნაცნობი, -  
ამ ტყვიამ ბევრი ასწლეული გადინადირა, -  
ჩვენი ნასიმის ალეპოში ტყავის გამძრობი  
ჯალათის დანის ანატეხი არის ნამდვილად.

იქნებ, ბედითად რომ ისროლა ერთხელ დანტესმა,  
იგივ ტყვიაა, სიკვდილისა გზა-გზა მთესველი? -  
კავკასიაში ჯერ ლერმონტოვს მოჰყვა ანდეზე,  
მერე სხვებს მისდგა უწყალო და პირალესილი.

ვუმზერ და მიკვირს, ტყვვა თითქოს – მარცვალი ხურმის,  
დროის კვალდაკვალ რაოდენგზის პერანგებს იცვლის.  
ზოგჯერ ქორნილში გავარდება, მოიკლავს სურვილს  
და გზას დაჰყვება, რომ ხელახლა დაღვაროს სისხლი.

იგი დიდებას კუდში მისდევს, კუსებრ მიცოცავს,  
საცა კი დროა, გადუსწრებს და წინ გადუდგება...  
კაცო, თუ ძმა ხარ, მოშორებით დადექი ცოტა,  
თორემ პოეტის დანახვაზე სისხლი უნდება.



## მოხუცი და ზღვა

თმის ფერი, მის ფერს რომ უგავდა,  
ხმის ძალი, მის ხმას რომ უგავდა,  
მკერდი, მის წიაღს რომ უგავდა,  
მღერა, მის ფრთონვას რომ უგავდა -  
ზღვამ შექმნა მოხუცი ერთი.  
და მან მიმოცურა ზღვები,  
ქვეყნები - კიდითი-კიდე,  
ბეჭმა წამოტეხა ფრთონა  
და კლდეს შეამსხვრია გემი,  
მაგრამ სანაპიროს ტინებს  
შემორჩა წარნერა ესე:  
„მოხუცი წავიდა, დარჩა ზღვა“ ! ...

1961

**დარვიშ ოსმან აჰმედოლლუ, XX საუკუნე**

## პაემანზე მისვლისას

ეგ თვალები თვით ღამეზეც შავია,  
მწველი მზერით ჩემი გამთიშავია,  
დალალები მკერდზე დაიშვავია,  
როცა ჩემთან პაემანზე მოდიხარ.

ჩემი სული იყოს შენთვის ალალი.  
შენც გიძგერდეს ჩემთვის გული მალალი,  
ტებილსურნელით ფშვენდეს შენი დალალი,  
როცა ჩემთან პაემანზე მოდიხარ.

მობრნყინავდე, როგორც ცვარი ბროლისა,  
მოიმზერდე ვით ყაყაჩო მოლისა,  
ისწრაფოდე შესახვედრად ტოლისა,  
როცა ჩემთან პაემანზე მოდიხარ.

შენმა მზერამ მითხრას შენი სათქმელი,  
შენი სიტყვა იყოს გულის გამთქმელი,  
მოდი, როგორც ანთებული სანთელი,  
როცა ჩემთან პაემანზე მოდიხარ.

„ქოროლლი“ აზერბაიჯანული ხალხური ეპოსი,  
ამონარიდები

\* \* \*

აგრემც შემოგევლე, ვაჟო ქოროლლი,  
მოდი, წამიყვანე, თუ ხარ შემძლები.  
მე შენი სურვილით თმენა მიმხდია  
და კვლავაც ამ სურვილს ვერ გავეცლები.

შენ ხარ ჩანლიბელში მოყმე ცნობილი,  
შენგან დუშმანია ლახვარსობილი,  
გმირთა სარქალი ხარ, გმირთა ძმობილი,  
ჩემ გულს არავისზე არ გაეცვლები.

ხონთქარის ქალი ვარ, მქვია ნიგარი,  
ბევრ ხანს და ფადიშახს დავწვი ჯიგარი,  
წამიყვარხარ! სადაც შენ, გულიც იქ არი,  
წამიყვა, შემირთე, თავად გეძლევი!

\* \* \*

კაცი სატრფოს ძეპნა-ჭვრეტად  
ხამს, წავიდეს მარტოდმარტო.  
მუხანათის მოსადრეკად  
ხამს, წავიდეს მარტოდმარტო.

უნდა დუშმანს ხმალით ხელთ  
გულს ჩაუგდოს შიშის ელდა,  
გააქციოს დასტა მტერთა,  
ხამს, წავიდეს მარტოდმარტო.

ხმალი ჰქონდეს ფოლადისი,  
მტერი ჰყავდეს ყოლად ღირსი.  
ას მელასთან ბრძოლად ისი,  
ხამს, წავიდეს მარტოდმარტო.

მიხმობს ნიგარ ენატებილი -  
გულს შემყარა მან სახმილი...  
თუმც შორია გზა-მანძილი.  
ხამს, წავიდეს მარტოდმარტო.

ბევრიც იყოს ხონთქარ-ფაშა,  
ქოროლლის ვინ უერთბაშა?!  
მას ვაშა და ყირათს ვაშა! -  
ხამს, წავიდეს მარტოდმარტო.

\* \* \*

გამჩენს დოვლათს ვეხვეწები:  
კახეთს ერთი ბალი მქონდეს!  
მარმარილოს აუზითა  
სახლი, თახჩა-ბალი მქონდეს!

სამკლაური ფოლადბუდე!  
აქეთ-იქით - გმირთა ზღუდე!  
ცხენზე შევჯდე, გზას გავუდგე, -  
ჩანლის - იალალი მქონდეს!

ყოჩ-ქოროლლი ბუმბერაზი -  
სუფრას ვიჯდე წარბგავაზი,  
თასს მივსებდეს აივაზი  
და გუნება ლალი მქონდეს!

\* \* \*

მაღალ მწვერვალებზე ქარივით გადაჰქრის,  
ყირათი – პატრონის პატრონი, მშველელი.  
ერთი თვის გზა-მანძილს ერთ დღეში გადაჭრის,  
ყირათს, ქვეყანაზე მე ვერ შეველევი.

მისი ფეხთამტვერი ცას ღრუბლად ედება,  
მუხანათს ლეთის რისხეად თავს დაეფეთება,  
დუშმანთან ბრძოლაში ის მეიმედება,  
ყირათი ერთგული და შეურცხვენელი.

ქოროლი ცხენს იჯდეს, ეჭიროს სადავე,  
ამარცხოს დუშმანი – ბოროტის სათავე!  
რა გინდ ქერი მისცე, იჯრაზე ათავებს -  
ყირათი, ძმა ჩემი და ჩემი მრჩენელი.

\* \* \*

ვაჟკაცთა სიღნაღის – იმ ჩანლიბელში -  
ქვით მკვიდრად ამგები ყოჩ-ქოროლია,  
ფაშათა გამწვევი ბრძოლა-დავლურში  
და ანდერძო ამგები – ყოჩ ქოროლია.

მტერთა დამცემი და გამაქცეველი,  
ლომთა პირისაგან დავლის მრთმეველი,  
ხანთა ამაზრზენი, ლახტის მქნეველი,  
მტყვევი და გამგები – ყოჩ ქოროლია.

ხევ-ხუვი ჯანღებით დაჯანღიანდეს,  
მახვილი ქარქაშში დაუანგიანდეს,  
მისრეთი, სტამბოლი, შამი მიადგეს, –  
მარტოდ წინგამგები – ყოჩ ქოროლია!

ვინც მახით კლდეებზე იჭერს შევარდენს,  
ვისაც არად უჩანს – ჯგროში შევარდეს,  
სარდლებს რომ თავსა სჭრის, იქნევს ჯევარდენს, -  
მტრის ძლევის წამლები ყოჩ ქოროლია!

ჯუნუნი მას ამკობს, ვისი შიშითა  
 შაჲნი ილევიანო იხვრით, ვიშითა,  
 შვიდ ათას შვიდასი დელიბაშითა  
 მტრის მახის დამგები ყოჩ ქოროლლია!

\* \* \*

ორი ბრიყვი მეჯლისში რომ შევიდეს,  
 ვაი მაშინ იმ მეჯლისის ჯავარო!  
 ყოჩი ბიჭი მოედანს თუ ამშვენებს,  
 იმას ეთქმის: დასტურ, კაი ყმა ვარო!

ჩიტს რას არგებს შევარდენთან დარება,  
 გმირი ყველგან გმირად დაიარება.  
 მხდალი კაცი ბრძოლას გაეპარება,  
 შინ იკვეხნის: ფალავანთა ძმა ვარო!

დემირჩოლლის შიში არ მაქვს კაცისა,  
 მელაკუდა ლომს ვით უგდებს ნაცილსა?  
 ან ვინ უნდა დაიჯეროს ვაჟისა -  
 ათასიც თქვას: მგელთან მარტორქა ვარო!

\* \* \*

ყოჩი ჯერ ბატკნად იბადება, ყოჩი გახდება,  
 ყოჩ ვაჟეაცს შვილიც ყოჩალი ჰყავს, ჩემო ეფენდი!  
 ომი და ჩხუბი მას უხარის, გმირი ვინც არი,  
 თორემ ჯაბან კაცს სულს უზაფრავს, ჩემო ეფენდი!

სულს ვანაცვალებ ვაჟეაცსა და გულუშიშ მოყმეს,  
 ვინც არ დაიკრავს ხელს მუხლებზე, თუგინდაც მოკვდეს,  
 მტარვალს ქორივით დაეცემა, როს უამი მოხდეს,  
 ამოინვდის და დანას დაჲკურავს, ჩემო ეფენდი!

გმირნი ერთმანეთს მხარს აძლევენ, ერთურთს ფარვიან,  
მარჯვნივ და მარცხნივ თუმც მსტოვარნი დაიპარვიან.  
გმირს ვერ დავარქმევ, ვინც დედლურად გაიპარვიან,  
უამი ბრძოლისა როცა დაჰკრავს, ჩემო ეფენდი!

\* \* \*

ციდან გედები დაეშვნენ,  
დასხდნენ მთვარიან მთაზედა.  
ნანდაურს მოშორებულსა  
ცრემლს ვინ შეუშრობს თვალზედა.

ოხ, ბაგე – ვაშლი წითელი!  
ოხ – მოვერცხლილი თითები!  
ქარავანს ავეკიდები  
სატრაფოსკენ მავალ გზაზედა.

ქოროლის ეკვრის კრიჭები,  
გულს მიეძალა იჭვები.  
რაზე შემომწყრნენ ბიჭები,  
რად არ მოჩანან, რაზედა?

\* \* \*

დურათზე აღჯდება როცა აივაზ,  
უნდა ფრთა დაუშვან ცაში ფრინველთა!  
რომელ მუხანათსაც ტორში დაიტანს,  
დაჩოქილს ატირებს საწყლად მზირველთა!

მუჭაში მოჭმუჭჭის მტერთა ნათესავს,  
დუშმანს ბურჯს მიუნგრევს, აჟყრის, ათესავს,  
ფაშათ საფლავებზე ბოლოკს დათესავს,  
ვერცა გმირთ შეუძლონ გასაკვირველთა!

გმირებმა გაზარდეს, გმირად მოზმანეს,  
ქვეყნად ვერ შეხვდებით მსგავსის მოზმანეს,

დაივლის მისრეთსა, შამს და ოსმალეთს  
ვაჟკაცის ქება თქვან მისთა მხილველთა!

\* \* \*

ოსტატო, საჩემო ხმალი გაჭედე,  
სიგრძითაც საჩემო, ჩემი საფერი:  
სპილოსძვლისტრიანი, წყვილლარიანი,  
გულისად სიკვდილის ქარის დაბბერი.

ხორასნის ფოლადი სახმლედ კარგია, -  
კარგი მსურს, ცუდმადი რაში მარგია, -  
დაკვრა, სიკვდილისა ზიდოს ბარგია -  
სპილოა, ლომი თუ მარტორქა ბერი.

რა ვიცი, შორს მიდევს გზები, უგზური, -  
ფხა უწრთე, მწველობდეს, როგორც მუგზური!  
პირი და ნესტარი მწარე, უჟმური  
ჰქონდეს, ვით მორიელს, შხამით ნაფერი.

ქურდოლლი ცნობილი ვარ, ქამანდარი,  
ვინ არს მამაჩემის ქვეყნად სადარი?...  
პირი ბასრი ჰქონდეს, ტარი - მაგარი, -  
ვკრა და მტვრად აქციოს სუყველაფერი.

\* \* \*

დღეს ომის დღე არის, დელიბაშებო,  
დუშმანი გავხადოთ მიწისა სწორად!  
ჭრილობით განითქმის ხალხში ვაჟკაცი,  
ესე მართლად უთქვამთ და არა ჭორად!

გმირი გადერიოს კივილით მტერში,  
ქორივით მსხვერპლისა აიღოს გერში,  
ხმალი ანაგარდოს ჰაერში, მტვერში,  
დუშმანი აჩეხოს, დაყაროს მძორად.

ქოროლლის ყიუინზე, გმირნო, აიშვით,  
ოდეს მიგიძლვებათ მტერზე ტაიჭით.  
ვეზირი აჩეხეთ, ხანი დაიჭით,  
ცხედარი ცხედარზე ააგეთ ხორად.

\* \* \*

არაბისტანს ერთი ყული გამექცა,  
სადაც არის, ძებნეთ, ნახეთ, მომიყვათ,  
ხვახვრეტილში იყოს თუნდაც შემჯდარი, -  
ფარპადივით ამოტეხეთ, მომიყვათ.

ყული მირზა გადაგვიდგა რჯულზედა,  
დაეწიეთ ხელალებულს სულზედა !  
თავრიზს ყიდეთ საქონელი ფულზედა,  
ყველაფერი გაასაღეთ, მომიყვათ!

მოიძიეთ მისრეთში და ჰალაბში,  
გზა შეკარით სოფელში და ქალაქში!  
მხარგაკრული მომიყვანეთ ბანაკში,  
ცომებრ ზილეთ! დაღით დაღეთ! მომიყვათ!

დაიჭირეთ ის ქურდი და ოლრაში,  
ათიოდე მწარე მოსდეთ გოგრაში,  
ასო-ასო ხორცი სქერით თოფრაში,  
ტკივილისგან პირის მჩხახედ მომიყვათ.

ყოჩ-ქოროლლი მტერთა განმკვეთარია,  
ტკიბილი სულის ომში გამმეტარია!  
ხანს და ვეზირს თავს დაეცით ზარია,  
შუბი ახეთ, გულზე ახეთ, მომიყვათ!

\* \* \*

ვინც გმირია, უჭრის ჭკუა,  
თან მკლავითაც მძლავრი თუა, -  
არცა მისი ცხენი სტყუა,  
ხმალი კიდევ – მჭრელი არი.

ვის იმედი არ აქვს დოსტის,  
ომში შიშის ბნედა მოსდის,  
შიში დროზე თუ არ მოსპის,  
მისი საქმე ძნელი არი!

ცერზე ქორიც ეჯდეს მალი,  
ნადირობდეს, ჰქონდეს ძალი, –  
უცხო თემში კაცის თვალი,  
მაინც ცრემლით სველი არი.

უნდა საქმე საჯომარდო,  
შენ ძალ-ღონეს შეუფარდო,  
ნუ ჰკვეხ, თითქოს შენ ხარ მარტო, –  
მკლავი სხვისიც ბრტყელი არი.



### აზერბაიჯანული პაიათები

ბაიათი აზერბაიჯანული ხალხური ლირიკის ერთერთი ძირითადი და ყველაზე უფრო გავრცელებული ჟანრია. იგი წარმოადგენს შვიდ-მარცველიან, სულ ოთხტაეპიან სტროფს, სადაც ერთმანეთს ერთომება პირველი, მეორე და მეოთხე სტრიქონები, მესამე კი ურითმოდაა დატოვებული. ბაიათში მოკლედ, სხარტად, თითქმის სენტენციური სახითაა გადმოცემული ხალხის სევდა და სიხარული, ცხოვრებისეული საზრუნავი და წაგრძნობ-წაფიქრალი.

### სახასიათო

\* \* \*

ბედი ვინა და მე – ვინა,  
სული არ მომათქმევინა, –  
სხვას რომ შარბათი შეასვა,  
მე შხამი დამალევინა.

\* \* \*

რუს წყალს რომელი არ აქებს,  
ბაღჩას თუ ჩაუარაკებს,  
ხალხს უდარდელი ვგონივარ,  
დარდი კი მალაპარაკებს.

\* \* \*

წითელი ვარდი მდგარიყოს,  
უდროოდ არ დამჭერნარიყოს,  
განშორება და სიკვდილი –  
ნეტა არცერთი არ იყოს.

\* \* \*

ბედმა ისარი მწია რა,  
გულს დამაჩნია იარა,  
კარგისთვის ხიდად გავიდე,  
ცუდმაც ზედ გადაიარა.

\* \* \*

წყალო, ცვარ-ცვარ ჩამოცვარდი,  
ბაღში გელოდება ვარდი.  
დარდიანსა ნუღარ ჰეითხავ,  
თავად ათქმევინებს დარდი.

\* \* \*

თოვლი ჩამოდის ზვავადა,  
დღეს სხვა დროა და სხვა ვადა,  
ყვავი შევარდნად ქცეულა,  
შევარდენი კი ყვავადა.

\* \* \*

კარგია, ერთხელ მახარო,  
წარბი საჩემოდ გახარო;  
თვალებზე გიცნობ, ლამაზო,  
ჩვენი მთის ირემს ჰგავხარო.

### საგმირო

ვარ დარდით თვალის მფახველი,  
ზღვათოდენ ჭირის მნახველი,  
ვაჟკაცი ომში მოკვდება,  
ქვეყნადა რჩება სახელი.

\* \* \*

სატრფოს წელთ მონაკრავისა,  
ჭირიმე დალალ – კავისა.  
სიტყვის თქმა ენის საქმეა,  
ვაჟკაცობა კი – მკლავისა.

\* \* \*

გულო, რა სევდა, რა დარდი,  
სატრფოს ტარიგად ჩაბარდი.

ჯომარდის მარტო თმის ერთ ღერს  
ენაცვლოს ასი ნამარდი.

\* \* \*

აპა ვარდი – შენი დავლა,  
რაღად გინდა გვერდის ავლა.  
ნამარდისა სასახლესა  
ჯომარდისა სჯობის თავლა.

\* \* \*

მთის კალთაზე სიო ნიავს,  
ბულბულისთვის შვება მიაქვს,  
გამოცდილი მონადირე,  
უქმად არ გაისვრის ტყვიას.

## ბრძნული გამონათქვამები

\* \* \*

თუ გინდა კაცად ვარგოდე,  
ბრიყვად არ დაიკაკვოდე,  
უჭკოსთან თაფლიც არ ჭამო,  
ჭკვიანთან თუნდაც ქვა კოდე.

\* \* \*

ერთი თქვი, განა ორი თქვი,  
ახლო თქვი, განა შორი თქვი,  
მეჯლისში ჩუმად იჯექი,  
თუ რამეს იტყვი, სწორი თქვი.

\* \* \*

ცხენს შეჯექ, ცხენებრ იფრთხვინე,  
მტერ-მავნე შემოიფრთხინე.  
სუსტიც რომ გყავდეს დუშმანი,  
მაინც კარგია სიფრთხილე.

\* \* \*

არ შეცდე დაკვირვებაში,  
ძაგებაში თუ ქებაში,  
მტერი არის თუ მოყვარე,  
კაცს იცნობ გაჭირვებაში.

\* \* \*

კარგი სარჩევი გერჩიოს,  
დოსტისთვის გამოგერჩიოს,  
ნამარდის რჩეულ თაფლაკვერს  
ჯომარდის შხამი გერჩიოს.

\* \* \*

კარგია, ვინც არ აუგობს,  
ვინც ოსტატს სიტყვა გაუგოს,  
დოსტი ის არის, თავის დოსტს  
ლუკმას რომ სწორად გაუყოფს.

\* \* \*

ოჳ, ძვირფასო, გულს ნუ მღადრი,  
არ მაკადრო შეუკადრი.  
ულირსებმა რა იციან  
ლირსეული კაცის ყადრი.

\* \* \*

ჩემი სათქმელი მძალავსა,  
არ ვამბობ დასამალავსა:  
უქალო კაცი ამ ქვეყნად  
ქვაბსა ჰგავს მოსაკალავსა.

\* \* \*

ძუნწო, თუ გაგეგონება,  
ნუ გჭირს ქონების მონება,  
არც შენ სჭამ, არცა სხვას არ აჭმევ,  
ოხრად დაგრჩება ქონება.

\* \* \*

ღირს ამის აღიარება,  
მოსმენა, გაზიარება:  
კაცსა თუ კარგი ცოლი ჰყავს  
თავმალლად დაიარება.

\* \* \*

საით აღარ ვიმთაბარე,  
ბევრისა ვარ შემტყობარე.  
სხვათა წალკოტს მირჩევნია  
თუნდაც მწირი ჩემი მხარე.

\* \* \*

ციხის წვერი სწვდება ცამდის,  
ჯანლი-მანლი თავს გადასდის.  
ვინც არ უნდა ზედ გადაგყვეს,  
ვერ დაიჭერს დედის ადგილს.

\* \* \*

შავ-შავ ხალთა მიყვარს მზერა,  
ეგ სიძავე მიყვარს, მკერა.  
წყალი ყველა ლაქას რეცხავს,  
ოღონდ პირშაობას ვერა.

\* \* \*

ჩვენი წისქვილის ფრთაო,  
წყალი ჩაუდის ლრმაო.  
ხალხმა რომ პირი შეკრას,  
ვერ დაუდგება მთაო.

\* \* \*

ეგ რა ძალ-ღონე გქონია,  
სხვა შენთან – მონაგონია, –  
თუკი ხალხისთვის დახარჯავ,  
გულში ხარ ჩასაკონია.

\* \* \*

გზა არ სჯობს, ეს გზა რო არი,  
ამ გზას გაუყვეს მგზოვარი.  
ყველაზე ტკბილი ამ ქვეყნად  
დედა და სამშობლო არი.

\* \* \*

თუნდაც ეკლებში იხარო,  
ვარდო, დედოფლად ზიხარო.  
მდიდარ ქალს, გონჯიც რომ იყოს,  
ეტყვიან, ლამაზი ხარო.

\* \* \*

თუ დოსტი გყავს შესაფერი,  
კარგად მიგდის ყველაფერი,  
ჭკვიანი მტერი გერჩივნოს,  
ვიდრე მეგობარი, შტერი.

\* \* \*

კაცი თუ თავს ძალს დაატანს,  
დარდს და ვარამს ქარს გაატანს.  
მართალი და სწორი სიტყვა  
კლდეს გახვრეტს და ქვას გაატანს.

\* \* \*

ამ მთებს აუხვალ-დაუხვალ,  
მაინც ვერსაით წაუხვალ,  
განგებამ იცის თავისი,  
განგებას ვერსად წაუხვალ.

\* \* \*

ვინც საქმეს მისდევს სანავსოს,  
ღირსია ღმერთმა დანაკსოს,  
რაღა ბელურას უმიზნებ,  
ბატსა ჰყარ, ქვაბი გაავსოს.

\* \* \*

იმწამშივე გამაჩუმე.  
ცუდად გითხრა რამე თუ მე:  
სადაც სიტყვა არ გაგიდის,  
სიტყვა გულში დაიდუმე.

\* \* \*

ენა რომ გაგილესია,  
გეტყვი, რაც უმჯობესია:  
ბევრის ცოდნა და ცოტას თქმა  
ჭკვიანი კაცის წესია.

\* \* \*

მებალეს თავს ვინ ადრისა,  
გასხვლა თუ იუკადრისა,  
ვინც ფუტკრის მოვლა არ იცის,  
რა იცის თაფლის ყადრისა.

### მეგობრობაზე

ახლოა ჩვენი უბნები,  
ვმეგობრობთ, არ ვართ უბრები,  
ქვეყანა ჩემი მგონია,  
როცა შენ გესაუბრები.

\* \* \*

კარგია, ვინც არ აუგობს,  
ვინც ოსტატს სიტყვა გაუგოს,  
დოსტი ის არის, თავის დოსტს  
ლუკმას რომ სწორად გაუყოფს.

\* \* \*

ხე-ქვას მახეთქოს ქარმა მე,  
მაფურთხოს მეგობარმა მე,  
გფიცო და სიტყვა გავტეხო,  
წყალმა წამილოს, ღვარმა – მე.

\* \* \*

ნერგი ზარდე, ნუ ხარ ურგი,  
რო მოისხას მწვანე ქურქი.  
ძმად მივიღებ მე ისეთ კაცს,  
ჭირში გამიმაგროს ზურგი.

\* \* \*

რა კარგი ხარ, რა შემკული,  
რა დოსტი ხარ, რა ერთგული!  
რამე გითხრა, ენა მეწვის,  
არ გითხრა და – მეწვის გული.

\* \* \*

ბუჩქის ძირას ლამაზ იებს  
დილა ცვარ-ნამს დაამძივებს.  
ორთა შუა მეგობრობას  
არაკაცი გააცივებს.

### ცხოვრებისეული

\* \* \*

ვერ გავიგე, რა ხარ, მთაო,  
კლდე, ტინი და ქვა ხარ, მთაო,  
თაობანი გარდავიდნენ,  
შენ ისევა დგახარ, მთაო!

\* \* \*

ბოსტანში დავიარები,  
ცვარ-ნამით დავიცვარები.  
დარდს მარტო ვეღარ ვერევი,  
დარდს უნდა გამზიარები.

\* \* \*

მთაზე ქარია მძახველი,  
ცვარითა მშვენობს ძახველი.

ღარიბს ქონება არა აქვს,  
მქონიარეს კი – სახელი.

\* \* \*

გედს უხდება ტბაში ცურვა,  
არკი უწყის, ელის ურვა, –  
ზედ მის თავზე დაპოინობს  
შევარდენი შვილი თუ რვა!

\* \* \*

დარდი მწვავს უჯერ-მაჯერი,  
როგორც ყინულის ნაჭერი.  
ჩემი ძმა კარში შემოდგა,  
განათდა ფუძე და ჭერი.

### სამიჯნურო

\* \* \*

გიყურებ ტანად ტატანსა,  
ტანი მიგიგავს ლატანსა,  
ვინც თუნდაც ერთხელ შეგხედავს,  
ცეცხლს უდებ ჯანსა და ტანსა.

\* \* \*

გედი ხარ თუ ფერია,  
შენგნით მიმხდა ფერია,  
ენას შენი სახელი  
მუდამ ზედ აკერია.

\* \* \*

ეს წყალი ღრმა და ხამია,  
სასმელად კაი რამეა.  
ბულბულის ბალში მოფრენა  
ვარდების ბაირამია.

\* \* \*

სადაც გოგმანებ ნარნარი,  
ჩემი გონებაც მანდ არი,  
სადა ხარ, მოდი, შეგხედო,  
ზაფხულად მექცეს ზამთარი.

\* \* \*

მოგინატრებ და მშივდები,  
მკლავს შენთა წარბთა მშვილდები,  
რომელი ბალის ვარდი ხარ,  
არ ჭკნები, უფრო ფშვინდები.

\* \* \*

ტურფას შევხვდი – ერთი ერთსა,  
ჩამოვსხედით გვერდიგვერდსა,  
ვერცა ბაგეს ბაგე ვაგე  
ვერცა კიდევ მკერდი მკერდსა.

\* \* \*

ტურფავ, ვეღარ გაგიძლეო,  
სულთანი ხარ, ხანი მძლეო,  
თუ გინდა რომ გადამრიო,  
გაიხსენი საკინძეო.

### რძალ-დედამთილზე

\* \* \*

ზოგი რძალი – ენამწარი,  
სახეძმარი, მოუხმარი,  
მე ამ ჩემ რძალს ვენაცვალე,  
გულით უყვარს თავის ქმარი.

\* \* \*

მოვლო ზღვის საკვირველეთი,  
გემმა დალანდა ხმელეთი,

რძლის ერთმა სიტყვამ დედამთილს.  
მოგვარა ელეთ-მელეთი.

\* \* \*

რძალსა შვერის რიდი, კრძალვა,  
ნამუსიან კვალზე კვალვა,  
თუნდ – არცარა ლამაზი და  
არცა ტანად იყოს ალვა.

\* \* \*

არ ვარსკვლავი, მთვარე ვარ,  
მზისა შესადარი ვარ,  
ავი დედამთილი მყავს,  
იმის ხელში მკვდარი ვარ.

\* \* \*

რძალი მყავს თვალით მთარსავი,  
დაიწვას მაგის ჩარსავი,  
ეგ არის ჩვენი დალაქი,  
ძალად თავების მპარსავი.

\* \* \*

მთა ზვავებით იმუქრება  
ზეცა შავად იქუფრება,  
თუმც დედამთილს არ ვუყვარვარ,  
მის ბიჭი ჩემთვის სული ჰქონება.

## დედა-შვილობაზე

\* \* \*

აქედან ცული დავკარი,  
ხეს იქით მოსძვრა ბლარტანი.  
დედას რო ბიჭი ეყოლა,  
სულთანს მიუგავს მხარ-ტანი.

\* \* \*

მთაზე ციხე ჩანს ჩენითა,  
ჩემს დარდს ვინ იტყვის ენითა.  
რომელს – ქონება ალალებს, –  
შვილო, მე ვლალობ შენითა.

\* \* \*

ზღვა ფართოდ გადაშლილია,  
ძირს – ცივი, მაღლა – თბილია.  
ხომ ძვირფასია დედ-მამა,  
შვილი სულზედაც ტკბილია.

\* \* \*

ნანინას გეუბნებოდი,  
მთვარის სხივებში ვდნებოდი,  
ჯანი და სული გამცვივდა,  
სანამ შენ გაიზრდებოდი.

\* \* \*

შვილი – ტბაა თუ ზღვა არი,  
ყაჩალია თუ ყმა არი,  
რაც უნდა იყოს, რაც არა,  
ჩემთვის კი სულისდგმა არი!

\* \* \*

შვილი ხარ ჩემი, რა ხარო,  
იმედი, სულისდგმა ხარო!  
მე შენი ტკბილი დედა ვარ,  
გაიზარდე, რომ მახარო.



**საიათნოვა, XVIII საუკუნე  
აზერბაიჯანული ლექსები**

**თოხენოვანი ლექსი**

(ქართულ – სპარსულ – აზერბაიჯანულ – სომხური)

**ეს რა მამივიღა**

ეს რა მამივიღა, ბიბინ, ჩი ქარდამ,  
ვარ, გეთ ბოინი ბურუხ, ტანენ დუს არან.  
ჭყვა წავაგებინე აზ ეშყი ნარდამ,  
დივანა გეზირამ ბანენ დუს არან.

მე ხომ გავამწარე ტკბილი თუთა,  
თაყსირი მან დარამ ქალაგი ქუთა,  
ჩუნქი ქან ყათმიშამ ოლ შირინ სუთა,  
ბას ენდუ ჰამა იმ ნანენ დუს არან.

ბულბული ვარ, ვარდს ეფარა ალალი,  
ბიბინ, ჩი ქარდ ჰურიზადა ჯალალი,  
ითურმიშამ ჯავაირი ვა ლალი, -  
მადანჩუ ჰის ბადეშხანენ დუს არან.

ნიადაგ ვიტირე, ვიძახე ვიში,  
ჩი ფაიდა, ჯან დადამ, ნამიად ფიში.  
ბუ დარდ ქი მან ჩაქტუმ, ჩაქმასუნ ქიში,  
ოჩოვ ჩილი სირეკანენ დუს არან.

მოდი, საიათნოვავ, შენ ცოდვილი ხარ,  
ყურბანათ მიმირამ რაჲი ბარადარ,  
ბუნა მან ყაბულამ ეი ფარვარდიგარ,  
ჰოქის ჩანის დრახტი ჯანენ დუს არან.

### ქართულად

ეს რა მამივიდა, თავს რა დავმართე,  
ვიქმენი სახლიდან გაძევებული.  
ჭკვა წავაგებინე ტრფობის კამათელს,  
გიუივით დავდივარ დაზეზებული.

მე ხომ გავამწარე ტკბილი თუთა,  
საქმე დავაშავე, ცოდვამა მხუთა,  
სისხლით შევამღვრიე დედის რძე სუფთა,  
დედა მისთვისა მყავს განრისხებული.

ბულბული ვარ, ვარდს ეფარა ალალი,  
საყვარელი მძარცვავს, როგორც ჯალალი.  
დამიკარგავს ჯავაირი და ლალი, -  
ბადახშნის მაღნებში ამოღებული.

ნიადაგ ვიტირე, ვიძახე ვიში,  
სული მას შევწირე, მან მიგო იში.  
ნუცავინ იქნება ჩემნაირ ჭირში,  
მე რომ ვარ ტურფასაგან მოძაგებული.

მოდი, საიათნოვავ, შენ ცოდვილი ხარ,  
მოძმის გულისათვის დაფერფლილი ხარ,  
გამჩენის იმითაც კმაყოფილი ხარ,  
სული შეგარჩინა მიკნავებული.

## ნურასა სთხოვ

ნურასა სთხოვ კაცსა ახალგამდიდრებულს,  
მაგისათვის ხალხი ქეპით დაგამშვენებს;  
დამიჯერე, ქალს ნუ ანდობ საიდუმლოს,  
ვირზე შეგსვამს, დურიაზე გაგაჭენებს.

ფირისაგან<sup>30</sup> ღვინო მისვამს ძველისძველი,  
ყური მიგდე, რჩევა მოგცე უეჭველი:  
ობოლი რომ შეინახო ასი წელი,  
სულერთია, ბოლოს დანას დაგალერებს.

ყველა მხედარს როსტომ-ზალად არ იტყვიან,  
თუნდ ადუღე, შხამსა თაფლად არ იტყვიან;  
სხვათა სარჩოს შენთვის არად არ იტყვიან, –  
უსაფქვავოდ წისქვილში ვინ დაგაყენებს.

სულს ევედრე, პურს ნუ აკლებ არსობისას,  
როდის წახვალ, რას გაიგებ ამსოფლისას.  
ყური მიგდე: რჩევას ენდე მარტო მისას,  
ვინც დაგბადა, ვინც გზარდა და დაგაბერებს.

საათნოვავ, სიტყვა გვითხარ სიტყვის დარი,  
შეიცანი, ვინ – ლაქათა<sup>31</sup>, ვინ – რა არი,  
აგაცილოს კაცის მტრობა, ქალის შარი, –  
დამიჯერე, აგრემც ღმერთი აგაშენებს!

<sup>30</sup> ფირი – 1, მოხუცი, ბერი (ბერიკაცი)

<sup>31</sup> ლაქათა – ლაქლაქი, მოლაყბე, ამავე დროს ცბიერი, ქლესა და ფარი-სეველი ადამიანი.

## ამბობენ

ვინ სატრფო არი, ვინ-დოსტი და ვინ-მეგობარი,  
ზოგს ვარდი უყვარს, ზოგსაც – ამბრი, – ამას ამბობენ.  
ზოგი – ბულბული, თუთიყუში არი ზოგიცა,  
ვისას – ლაბლაბოს, ვისას ყანდის<sup>32</sup> ჭამას ამბობენ.

ზოგი ილხენს და ზოგს აცვია სევდის თათმანი,  
ერთს მისხალი აქვს, მეორეს კი ხუთი ბათმანი.  
ორსა დააღრჩობს ერთმანეთის მტრობა, ათმავი –  
სიკვდილ-სიცოცხლეს, – თვალის ცრემლით ბანას ამბობენ.

ოქროს ეჯვნისთვის ჩაუვლია ზოგიერთს ჭანგი.  
ზოგი ღვინოს სვამს, ზოგსაც ჯავრით დაათრობს ბანგი,  
ზოგი საზს უკრავს, ზოგსაც ხელში უჭირავს ჩანგი,  
ვინ დროს ატარებს, ვინ – შხამსა სვამს, – ბალლამს ამბობენ.

ზოგსა სძინავს და ზოგიერთი არი მღვიძარი,  
ზოგი მთვრალია, ზოგიერთი ფხიზელიც არა,  
ვინ ხელით არი, ფეხით არი, ვინ, სახიჩარი,  
კვერცხის მალამოს დაადებენ, – ჩარას ამბობენ.

ვინ ემშობლება საიათნოვას, ვიკითხოთ ბარემ,  
ინდოეთის თუ ჰამადანის არე და მარე, –  
ჩემი სამშობლო თბილისია, ქართველთა მხარე,  
დედას – ჰავლაბრელს, ჰალაბელსაც მამას ამბობენ.

---

<sup>32</sup> ყანდი – არაბ.სპარს. დაწმენდილი თეთრი შაქარი. (ქვლ), თავი შაქა-  
რი.

## საიათნოვა, სომხური ლექსები

### ქამანჩა

ყველა საკრავს მირჩევნიხარ, ერთთან ასი ხარ ქამანჩა<sup>33</sup>.

უნდაურ კაცს რად უნდიხარ, მისთვის ნასი ხარ ქამანჩა.

რა კარგი და მხიარული, რა ხალასი ხარ, ქამანჩა.

შენი თავი ვინ წამართვას, ჩემი ხასი<sup>34</sup> ხარ ქამანჩა.

ყური ვერცხლით დაგმშვენდება, თავი – ჯავაირის<sup>35</sup> ქვითა,

ტარი – თეთრი სპილოსძვლითა, მუცელი კი – სადაფითა,

ზედ გაბმული ოქროს სიმი, ტარზე რკინის ფარდებითა,

შენი ყადრი ვინ გაიგოს, ლალ-ალმასი ხარ ქამანჩა.

ხემი გინდა მოოქრული, ირჩეოდეს ფერით, რანგით,

რაშის კუდის ძუა გინდა, რომ ამღერდე ტკბილი ჰანგით;

ზოგს დილამდე ამღვიძარებ, ზოგსაც დააძინებ ბანგით, –  
მათრობელა ლვინით სავსე ოქროს თასი ხარ ქამანჩა.

დამკვრელისას მღერას ასდევ შაირზე და კაფიაზე,

ხან რაფაზე დაბძანდები, ხან გამოხვალ აიგანზე,

ვაჲ, რამდენჯერ მოგიხიბლავს მეჯლისობა ხალხით სავსე!  
მეჯლისებში გვერდს გიმშვენებს ლამაზთა დასი, ქამანჩა.

ნაღვლიან გულს გაახარებ, სენს მოურჩენ ურჩენელსა,

ამღერდები ტკბილის ხმითა, მოიღერებ კოხტად ყელსა,

ისე ქენი, ხალხმა რო თქვას: “ვენაცვალე შენს დამკვრელსა”•!

სანამა გყავს სადათნოვა, შენცა გაქვს ფასი, ქამანჩა.

<sup>33</sup> ქამანჩა – სპარს.ჭიანური.

<sup>34</sup> ხასა (ხასი) – სპარს. წმინდა აბრეშუმი.

<sup>35</sup> ჯავაირი – პატიოსანი ქვა, ძვირფასი თვალი, ჯავარი.

## გიყვარდეს

გიურ გულო, მოდი, ყური დამიგდე:  
კრძალვა, რიდი, ქცევა წყნარი გიყვარდეს!  
ქვეყანაც რომ შენი იყოს, რას აქნევ, –  
ღმერთი, სული, მეგობარი გიყვარდეს!

ღვთისმოშიში იყავ პირველთავათა,  
ამას გვირჩევს ცხოვრებანი მამათა;  
სამმა რამემ სულით ხორცი ანათა:  
ნერა, კითხვა და დავთარი გიყვარდეს!

ნრფელი იყავ, სუფთა, დაუფარავი,  
არ ინდომო ლუკმაპური არამი,  
საქმე ქენი – არ დაგცინოს არავინ,  
რჩევა, თმენა, იხტიბარი<sup>36</sup> გიყვარდეს!

ნუ იქნები უშნო ამპარტავანი,  
არ სთქვა: ჩემზე მცირე არი მავანი!  
ერთი გვიდგას ყველას სული მთავარი, –  
მწირი, მცირი და სტუმარი გიყვარდეს!

საათნოვავ, ნეტარ შენ თუ გასძელი  
და სულისთვის ხორცს მიაგე სარჯელი!  
იმქვეყნად რომ აიცდინო სასჯელი, –  
ქვა, უდაბნო, ღვთის ტაძარი გიყვარდეს!

<sup>36</sup> იხტიბარი – არაბ.არჩევანი, ნება, უფლება ვინმეს ან რაიმეს მიმართ, იგივე-იხტიბარი, შდრ. ქართული გამოთქმა „იხტიბარი არ გაიტეხა“.

## თვალწარბი რომ მოგიზიდავს

თვალწარბი რომ მოგიზიდავს ჩემზე შვილდისარივითა,  
ნეტავი რა დაგიშავე, რას ამიტყდი შარივითა!  
ვინც შენ ცერად შემოგხედოს, გული ექცეს ჩვარივითა,  
ან მომკალ ან დამარჩინე შენს კარზე ნოქარივითა!

კარზე ნოქარს არ ინახავ, ხელმწიფე ხარ ყულის მკვლელი,  
კიდევ გეტყვი: ცისკარი ხარ ნისლის დაბურულის მკვლელი,  
ბალში გადაშლილი ვარდი, საბრალო ბულბულის მკვლელი,  
სანამა სჭრის, აჭრევინე შენს მახვილს სარდალივითა.

რამე გზაზე დამაყენე, ვიყო ხათრიჯამივითა<sup>37</sup>,  
დღე და ღამე ცრემლი დამდის, თვალები მაქვს ნამივითა,  
დაე, ვეგდო შენს კარებზე უცხო მეგობარივითა,  
ფარპად-შირინს ბებერი ჰკლავს, ავკაცი კი არი ვითა?!

გაზაფხულის სუნთქვაზედა გაიშლება ბალში ვარდი,  
შენს მებაღეს არად უჩანს ბულბულისა ცრემლი, დარდი.  
ბაგეთაგან თაფლი გწვეთავს, ქვემოთ საყელოზე დაგდის,  
ტკბილად მისთვის ლაპარაკობ, ენა გაქვს შაქარივითა.

კაცი სიტყვით იცნობება – იყოს შაჰის ვაზირიცა,  
ხეპრე ისევ ხეპრე არის, გახდეს ვექილ-ნაზირიცა.  
თუ გინდა, რომ შენი სიტყვა არ დაუშვას ხალხმა ძირსა,  
საშათნოვავ, სიტყვა გვითხარ განთქმულ ქამანდარივითა<sup>38</sup>!

<sup>37</sup> ხათრიჯამი – არაბ. სპარს. დარწმუნებული, იმედიანი, დაარხეინებული, გულშეჯერებული.

<sup>38</sup> „ქამან“ – სპარს. მშვილდი. ქამანდარი – 1. მშვილდოსანი; 2. მეჭიანურე, მექამანჩე; 3. თავის საქმეში სახელგანთქმული ოსტატი.

## ნეტავ გული ვინ ჩაგიდგა

ნეტავ გული ვინ ჩაგიდგა ეგრე მწყრალი, ბრაზიანი?  
 კაცი ლვინომ რო დაათროს, დამნაშავე ვაზი არი?  
 ტურფავ, შენთვის რა მიქნია, მოგაყენე რა ზიანი?  
 ეშხის მანგანით<sup>39</sup> გამწურე ბეჩავი, თავაზიანი!

შენმა გაყრამ დამიქცია, ტურფავ, სულის ბალავარი,  
 შენგამოა, რომ ჩემ თავში ჭკვა და გონი აღარ არი!  
 იტყვი, ქალაქს ოთხი წელი აღარ მოდის ქარავანი, –  
 ვაჲ მებაჟეს: არც იჯარა, არცა სადმე ბაჟი არი!

ნეტავ რაზე მამიძულა, რა ვქნა, აღარ გაიგება!  
 ოთხი წლისა ყმაწვილივით სატრფოს უნდა დარიგება,  
 რას დასდევს თუ ჩემი გული მის დანაზე დაიგება!  
 ბევრი ვნახე, ჩემებრ ტირის, მიზეზი კი – ნაზი არი!

თუმცა ბევრი წამიკითხავს ბრძენთა იგავ-არაკია,  
 ეშხის მაინც გამახელა, ვხარჯე გულის ვარაყია.  
 ვინ გაუძლო ეშხის ცეცხლსა, მე გაფუძელ განა კია? –  
 სისხლში ვგდივარ ჯეირანი, გული ისრის ფხაზე არი!

შემოდგომა მიიწურა, შაშვს გალობა მოესურვა,  
 გაზაფხულდა, ბულბულს ვარდზე აუტყდება ურვა, მდურვა,  
 უმეგობრო სადათნოვას მოემატა ცრემლის წურვა, –  
 ჯანდაკარგულ ხონთქარისა ჯავრი – ხაზინაზე არი!

---

<sup>39</sup> მანგანა – მჭედლის იარაღი, ყანჩი, მოსაჭერი

## ბეზარს მამიყვანა!

ეს ქვეყანა ფანჯარაა, – თაღმა ბეზარს მამიყვანა!

მზირალს გულზე დალს დააჩნევს, – დალმა ბეზარს მამიყვანა!

გუშინდელ დღეს მივსტირ, ხვალის ფახმა ბეზარს მამიყვანა!  
სულ ერთ ჭკვაზე ხომ არა ვარ, – საზმა ბეზარს მამიყვანა!

დოვლათს არ აქვს იხტიბარი, – როგორც მოვა, ისე წავა,

კაი კაცი ქვეყნაზე მარტო იხტიბარით გავ!

ეს სოფელი არ შეგვრჩება, დღე გვექცევა ბოლოს შავად, –  
მსურს გავცილდე ბულბულივით – ბალმა ბეზარს მამიყვანა!

საღამომდის ვიცოცხლებო, დილით იტყვის აბა ვინა!

ჩვენი მოსვლა-წასვლის საქმე ღმერთმა თავად დაადგინა!

სიმართლე ვერ გავიყვანე, ყველგან ტყუილს უდევს ბინა!

ერთ ყულს<sup>40</sup> ოცი აღა<sup>41</sup> მადგა, – აღამ ბეზარს მამიყვანა!

თუნდ საწუთრომ სულ გვალხინოს, ჩვენად ნუკი გვეგულება, –  
უმ რძით გაზრდილ ადამისძის არ მინახავს ერთგულება!

ვეღარ ვიტან, ლაზლანდარა ხალხის ხმა რო მეურება,  
დოსტნი მმტრობენ, მტერთა პირის ჩმახმა ბეზარს მამიყვანა!

საათნოვა იტყვის: გულში დარდის თესლი მომემატა,

გუშინდელი გაპქრა შართი, ნაცვლად გესლი მომემატა,

ჩემ ვარდს ჭია შეეჩია, ბულბულს ცრემლი მომემატა,

ჯერ უფურჩქნელ კოკორს მწყვეტენ, – ხალხმა ბეზარს მამიყვანა!

<sup>40</sup> ყული – მონა; ყმა; მსახური

<sup>41</sup> აღა – 1.პატონი, პატრონი; 2.სოვდაგარი, დიდვაჭარი

სომხეთი

ვაჰან ტერიანი, XX საუკუნე

\* \* \*

რა ნაზი ხარ, რა პირიმზე ქალი,  
ტოროლა ხარ, ჩიტი ოქროსთვალი!  
მტერი – შენზე ავად შენამსჭვალი!  
გაქრეს, ვითა შარშანდელი კვალი.

გული გქონდეს მუდამ ლხენით სავსე,  
ფარვანისა ფრთები შეითავსე,  
იფარფატე სატრფო სანთლის თავზე,  
აგცილდეს კი ალი მისი ნავსი.

ცეცხლი ხარ თუ ნაწილი ხარ მზისა?  
ფერ-სურნელით და ხარ ზამბახისა,  
სულ იშვებდე, მეუფემან ცისა  
აგაშოროს ჯადო ავთვალისა.



## ტრიოლეტი

დღეს ჩემი სატრფო მოვა,  
გულო, ათრთოლდი ლხენით.  
მაისის დღეა მშვენი,  
დღეს ჩემი სატრფო მოვა.  
გუშინ – იანვრის თოვა,  
დღეს მაისია მშვენი.  
დღეს ჩემი სატრფო მოვა,  
გულო, ათრთოლდი ლხენით.

## ტრიოლეტი

კვლავაც ყმაწვილობს გული,  
კვლავ სიყვარულით იშვებს,  
ლექსებს ვარდებად გიშენს,  
კვლავაც ყმაწვილობს გული.  
ოჟ, სიყვარული კრული  
ითმენს ვაებს და ვიშებს.  
კვლავაც ყმაწვილობს გული,  
კვლავ სიყვარულით იშვებს.



## ლაზელი

ვუძღვნი დაუკინწყარ სტეფანე შაუმიანის უკვდავ ხსოვნას

ვით ჩირალდანი, კვლავაც გული გეჭიროს მაღლა!  
ბნელში სხივებად გაფანტული გეჭიროს მაღლა!

გული მშფოთვარი, მეშფოთარი, გეჭიროს მაღლა!  
ვითარცა ფარი, სიყვარული, – გეჭიროს მაღლა!

ბოროტის მსხვრევად, ძველის ძველად – გეჭიროს მაღლა!  
ვით დროშა, სისხლით გაბასრული, გეჭიროს მაღლა!

კოცონზე მდგარი, ბობოქარი, – გეჭიროს მაღლა!  
გული – მზესავით ანთებული, გეჭიროს მაღლა!

## შირაკის ველებზე

ვარსკვლავნი ცაზე ნაზად ჭვივიან,  
მდუმარე ველებს მწუხრი დაეცა;  
სიზმრეულ ფიქრით შებოჭილი ვარ  
და ის მაწვალებს დღეც და ლამეცა.  
მთიებნი თითქოს დაბლა დაეშვნენ  
და მიღიმიან შენი თვალებით;  
მეც მივანებე გული კაეშანს  
და ყველაფერში გეძებ მთვრალივით.

## ელიშე ჩარენცი, XX საუკუნე

\* \* \*

ბევრნაირი ლექსი მითქვამს, კარგი მაინც ტაღი<sup>42</sup> არი, –  
საიათოვას ლექსის დვრიტა უკვდავი და ლალი არი.  
ხილს დუქანში რა გამოლევს, რაც გინდა და როცა გინდა,  
მაგრამ ხილი საცა ხილობს, შაჰინშაჰის ბალი არი.  
ბალჩას თუნდა წყლითაც მორწყავ, მაგრამ უფრო უპრიანად  
მისთვის დილის ცხვარ-ნამია ნათქვამი და ნაღიარი.  
ფრანგისტანშიც რომ გახვიდე, ნახო დიდი გამზირები,  
მაინც რასაც გული ელტვის, სატრფოს უბან-თაღი<sup>43</sup> არი.  
ეს უწყოდე კარგა, ჩარენც, ყური აპყარ მიჯნურს მუდამ,  
ყველა დაღზე უფრო ტკბილი გულზე სატრფოს დაღი არი!

\* \* \*

ო, მოიგონე, გიყვარდა როგორ  
ის თვალმცინარი ლამაზი გოგო,  
მასთან ხვევნა და ალერსი ცხარი;  
უყვარდი, იყო და აღარ არი.  
თუ გახსოვს მაშინ, ნაზი ლიმილით,  
განშორების ჟამს იმ სიმძიმილით  
გითხრა: – ნუ გტანჯავს სევდა-ნაღველი,  
გახსოვდეს ჩემი სახე ნათელი!“

<sup>42</sup> ტაღი – ლექსის სახეობა.

<sup>43</sup> თაღ – სომხურად უბანს ნიშნავს.

\* \* \*

ჩემი ტკბილი ჰაისტნის ენა მზეგამჯდარი მიყვარს,  
ძველისძველი ჩვენი საზის მოტირალი ლარი მიყვარს,  
სისხლისფერი ყვავილების მათრობელი სურნელი და  
ნაირელი ქალწულების ნარნარი შუშპარი მიყვარს.

მიყვარს ჩვენი ლურჯი ზეცა, ფშა კამკამა, ტბა ჭვირვალი,  
მზე ზაფხულის და ზამთრული გველებაპი ქარიშხალი,  
ბნელში დანთქმულ ქოხთა ძველთა შავ-ყომრალი კედლები და  
ათასწლოვან ქალაქების ქვა ძველი და მყარი მიყვარს.

ვერარაი დამავიწყებს ჰანგთა ჩვენთა გლოვის ღადოს,  
ასომთავრულ ძველ წარწერებს, სალოცავს და საღალადოს,  
რაც არ უნდა გული მიწყლას, სევდამ სული ამომხადოს,  
მაინც ჩემი ობოლი და ტურფა ჰაისტანი მიყვარს.

კაეშნიან ამ გულისთვის სხვა ზღაპარი არა ზღაპრობს,  
ჩემთვის ლამპრად ნარეკელის და ქუჩაკის შუბლი ლამპრობს,  
არარატის მსგავსად თეთრი სხვა მწვერვალი ვინ ინატროს!  
დიდების გზა მიუწვდომი – მასისის მთის მხარი მიყვარს.

## ოვანეს შირაზი, XX საუკუნე

საქართველოვ, ღია არი შენთვის ჩემი კარი,  
ჩემი გულის ბრონეული გეპყრას ღვინის თასად;  
ფე კოცნიდნენ მუდამ ერთურთს არაზი და მტკვარი,  
სხვებს უყვარდეთ ერთმანეთი ნეტავ ჩვენდა მსგავსად.

## სილვა კაპუტიკიანი, XX საუკუნე

### სიყვარულის სიმღერა

ვეხეტებით ქუჩა-ქუჩა,  
გულში სევდამიფარული,  
შენ გაწვალებს სხვაზე ფიქრი,  
მე მკლავს შენი სიყვარული.  
გვწვავს სახმილი გაუძლისი:  
მე – შენი და შენ კი – სხვისი.

ხანა ვდარდობთ, ხანა ვჭმუნავთ,  
ხანაც ვლალობთ ყმაწვილურად,  
თუმცა გული ჩემი – შენთვის,  
შენი – სხვისთვის განწირულა.  
სევდა გვტანჯავს, რომელს ვისი? –  
მე – შენი და შენ კი – სხვისი.

ეს საწუთრო, როგორც უნდა,  
იმნაირად გვაბურთავებს,  
მაინც მინდა, მაინც მინდა,  
რომა გვწვავდეს ჩვენ ორთავეს,  
სიყვარული გაუძლისი –  
მე – შენი და შენ კი – სხვისი.

\* \* \*

დაგვბედებია სევდა ულევი:  
 მე შენი ტრფობით და შენ კი – სხვისით;  
 ცეცხლში იწვიან ჩვენი გულები:  
 მე – შენი ცეცხლით და შენ კი – სხვისით.  
 ველტვით, ვკაეშნობთ, ბალღურად ვხარობთ:

მე – შენი სიტყვით და შენ კი – სხვისით;  
 ტქბილთა სიზმართა გვხიბლავს სამყარო:  
 მე – შენი ხილვით და შენ კი – სხვისით.

საწუთრო, ეს ცრუ და უპირული,  
 არც გაგვიხსენებს ამქვეწად, ვიცი,  
 მაგრამ ვიცხოვროთ ჩვენ სიყვარულით –  
 თუნდაც მე შენით და შენ კი სხვისით.

**დალესტანი, რასულ გამზათოვი, XX საუკუნე**

### შენი სახელი

გქვია არწივთა მაღლად ყივილი, -  
 ვინ მოიხელთებს არწივს, ნეტავი!  
 გქვია ჩაფერფლილ ცეცხლის ტკივილი  
 და ჩემი ოხვრა გულის მკვეთავი.

გქვია ფშანებში რუთა ლიკლიკი,  
 გულის სასო და სულის აისი,  
 თუმც ჭავლთა შენთა ნაზი ციგლიგი,  
 არცა ჩემია, არც არავისი.

გქვია მერნულად გამოჭენება,  
 ფეხვეშ რომ იგებს კლდეებს, ქანჩახებს,  
 დაჰქრის ქედებზე ვით მოჩვენება  
 და წავარნებზე ელვად ჩახჩახებს.  
 კიდევ რა გქვია? – მესამე ზარი!  
 და რა შემესმის სპილენძის ძგერა,  
 ვგრძნობ, თითქოს უკვე დაძვრაზე არი  
 და მატარებელს მივუსწრებ ვერა.


სხვა რა დაგარქვა? – ურდულის თათი,  
 ცხვირწინ მიკეტავს კარებს რომელი;  
 ანუ სასწორი, ანუ საათი –  
 ჩემი ცხოვრების წონა-მზომელი.

შენი სახელი სხვაზე მეტია,  
 სევდას და ლხენას ერთად მიბედებს;  
 ის ჩემთვის ტუჩის მოსაკვნეტია  
 და სათქმელადაც ვერ გავიმეტებ.

შენი სახელი მძრავს, როგორც ელდა,  
 ძრწოლვად და თრთოლვად ჩემ გულს აქეზებს,  
 თუმცა უბრალოდ და სულ ადვილად  
 უღერს ის რატომლაც სხვათა ბაგეზე.



ყოფნა-არყოფნის ვიცი ყველა  
ხილული სკნელი



*პოლიტიკი*  
*ეროვნული გამარჯვები*



## ესტონეთი

### ენო რაუდი

#### ძველი არლანი და მაგნიტოფონი

სარდაფში, ათასგვარ ხარახურაში, ერთი ძველი არლანი იდგა. ვინ იცის, რამდენი წლის წინ ჩამოტანილსა და მიგდებულს მტკაველზე ედო მტკერი. სარდაფში აპა რა გონივრულ გასართობს მოსქებნიდა, მარტოობა სტანჯავდა საცოდავს. ერთი ისეთი ნივთიც კი არ ჰყავდა მეზობლად, ორიოდე სიტყვით რომ გამოლაპარაკებოდა. წლების განმავლობაში არლანს მხოლოდ მოგონებანი ანუგეშებდა, მოგონებანი იმ ძველი, კეთილი დროისა, როცა ის მეარლენესთან და პატარა, ოინბაზ მაიმუნთან ერთად ქალაქებს უვლიდა და ეზოებში თავის საყვარელ სიმღერას უკრავდა.

მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს, მოულოდნელად სარდაფის კარი გაიღო და არლანს ნარმოუდგენელი და საოცარი ამბავი დაემართა. ყველაზე უწინარეს, გულმოდგინეთ გადასწმინდეს მტკერი. მერე ხელახლა შეუდებეს ძველი მოჩითული მოკაზმულობა, დიდსა და ნათელ ოთახში აიტანეს და უთხრეს, ეს იქნება შენი ახალი ბინაო!

ძველი არლანი ცას ეწია სიხარულით, მეტისმეტი ბედნიერებისაგან შიგანმა წკარანკური დაუწყო და, თავისდა გასაკვირველად, არლანმა ჰანგით ინიშნა – ეს ის ძველი სიმღერა იყო, წლების წინ რომ უკრავდა ხოლმე, როდესაც ქალაქ-ქალაქ და ეზო-ეზო მოგზაურობდა მეარლენესთან და პატარა, ოინბაზ მაიმუნთან ერთად. სიმღერა წყნარი იყო და ნაზი; მის ნელად მუღერ მელოდიას სევდა დაჰკრავდა, მაგრამ მოსმენა მაინც გესიამოვნებოდათ.

– ოჳო! – მოისმა უცებ გაჯავრებული ხმა ოთახის კუთხიდან, – ვუს-მენ და მიკვირს! ვერ კი გამიგია, რას უნდა ნიშნავდეს ეს ძილმორეული ბუტბუტი. ან ბუსარში ჭრიჭინები გაჩდნენ, ან რაღაც საშინელება მოხდა!

ეს თქვა მაგნიტოფონმა, მუსიკის დიდ მცოდნედ რომ მოჰქონდა თავი და იბლინძებოდა.

– მაპატიეთ! – კილოში წყენა შეეტყო არლანს და დაკვრა შეწყვიტა, – მე, უბრალოდ, ჩემს სიმღერას ვიხსენებდი და მეტი არაფერი.

მაგნიტოფონმა გაიცინა და დასცინა:

- მაშასადამე, შენ რომ გამოსცემდი, ეგ ხმები მუსიკა იყო?

- დიახ, - მიუგო არღანმა. – ეს იყო არღნის სიმღერა.

- მე მაგაზე უკეთესის დაკვრა შემიძლია! – ამაყად განაცხადა მაგნიტოფონმა და მაშინვე შეუდგა ფირის გადახვევას, რათა არღნისთვის თავისი ხელოვნება გაეცნო.

არღანმა უური მიუგდო, როგორი წრიპინითა და სივილით ეხვეოდა მაგნიტოფონის ლენტი.

- ჩემი ბებრული სმენისათვის თქვენი მუსიკა ძალზე სწრაფია, – უთხრა მან მაგნიტოფონს.

- მაგარი ვინმე ყოფილხართ! – გაეცინა მაგნიტაფონს, – მე ახლა მხოლოდ უკანვე გადავხსევი ლენტი.

- რომელი ლენტი? – განცვიურდა არღანი, – განა სიმღერისთვის ლენტი გჭირდებათ?

- რაღა თქმა უნდა! – ჩაუხმაბოხა მაგნიტოფონმა, – სხვანაირად როგორ შეიძლება? მთელი ჩემი სასიმღერო მუსიკა ლენტზეა ჩაწერილი, – და დაუკრა.

მუსიკა იყო შმაგი და ხმამაღალი, ისმოდა შემაძრნუნებელი დარტყუმები დოლზე და გამაყრუებელი შეკივლებანი რომელიღაც საკრავისა, ბუკს რომ წააგავდა. იყო შრიალი და ჩურჩული, გრუხუნი და ტკაცუნი, მელოდიისა კი თითქოს სულაც არა ეცხო-რა.

როგორც იქნა, მაგნიტოფონმა სული მოითქვა.

ჰა, ხომ ზორბა რამეა!..

არღანი მეტად მოკრძალებული იყო და ცდილობდა ისეთი პასუხი გამოეძებნა, რომ თანამოსაუბრისათვის არ ეწყენინებინა. ბოლოს ამოისუნთქა და თქვა:

- ურვეულო მუსიკაა. უეჭველად, იმ ხნის განმავლობაში, რაც მე სარდაფში გავატარე. ძალიან ბევრი რამ შეიცვალა.

მაგნიტოფონმა ჩაიფრუტუნა.

- კაი, ბატონო! თუ თქვენ ეგ არ მოგწონთ, ახლავე რომელიმე სხვას მოგიძებნით. მე ყველაფრის დაკვრა შემიძლია, სულ ერთია რისა, ყოველგვარისა!

- როგორ? - გაუკვირდა არღანს, – განა სულ ერთია, რას დაუკრავთ?

- სულ ერთია, მაშ რა არის! – გოროზად ჩაეცინა მაგნიტოფონს, – მთავარი ის არის, მუსიკა იყოს ჩაწერილი ლენტზე, აი, მოისმინე კიდევ!

მაგნიტოფონმა კიდევ დაუკრა, მაგრამ ამჯერად არღანსაც მოეჩვენა, რომ მუსიკა მართლაც ლამაზი იყო, მასში განსაცვიფრებლად მშვენიერი ბერები ხმიანობდა, აქაც კი ბრახუნობდა დოლი და გაჰკიოდნენ რომელიდაც საკრავები, არღანს რომ სასულე ორკესტრის ნაღარებს მოაგონებდა, მაგრამ ახლა ყოველი სხვანაირად უღერდა და არღანიც დიდი სიამოვნებით უსმენდა.

- ახლა ხომ ხედავ, როგორი ყოფილა ახალი მუსიკა? – გამარჯვებულის იერით შეეკითხა მაგნიტოფონი და ბოლომდე ჩამთავრა დაკვრა,
- რაღაც არღანი თავისი ერთადერთი სიმღერით ჩვენს დროში გროშიც კი არა ღირს.

ძველი არღანი დაფიქრდა და იფიქრა საკმაოდ დიდხანს.

- შეიძლება, თქვენ მართალიც იყოთ, მაგრამ მე ჩემს საკუთარ სიმღერას ვმღერი, თქვენ კი მხოლოდ ლენტის ტრიალი შეგიძლიათ, რომელზეც სხვისი მუსიკა ჩაწერილი; თქვენთვის სულ ერთია, რა მუსიკა იქნება ის, ჩემი სიმღერა კი ჩემს შიგნით არის. ასე ვარ ანყობილი და ეს ჩემი საკუთარი სიმღერაა.

მაგნიტოფონი გაჩუმდა, რადგან საპასუხო ვეღარ მოახერხა. არღანმა კი ისევ დაუკრა ის თავისი ერთადერთი სიმღერა, რომელსაც მღეროდა მრავალი წლის წინათ, როცა ჯერ კიდევ ქალაქ და ქალაქ, ქუჩა-ქუჩა და ეზო-ეზო მოგზაურობდა მეარღნესთან და პატარა ოინბაზ მაიმუნთან ერთად.

## სომხეთი

### ოვანეს თუმანიანი

### იდუმალი მოხუცი

- ეს შენა ხარ? – თქვა მან, თავზე მსუბუქად გადამისვა ხელი და, არც კი შეჩერებულა, თავის გზას გაუყვა.

- შენ მე საიდან მიცნობ, მოხუცო?

- შენი დაბადების დღიდანვე.

- მაშასადამე, შენ მიცნობ მე!

- მე მამაშენსაც ვიცნობდი.
- ვაპ, ნუთუ?..
- მე პაპაშენიც მინახავს; ო, რა ცელქი იყო ბავშვობაში!
- როგორ, შენ პაპაჩემის ბავშვობაც გახსოვს?
- ეჱ! პაპაშენის პაპა კიდევ უფრო მოუსვენარი ბავშვი იყო.
- შენ ჩემი პაპის პაპაც გინახავს?
- ჰა-ჰა-ჰა! გიკვირს? მე იმათი პაპების პაპებიც კი ...
- თუ ასეა, მომიყევი, გთხოვ, მომიყევი მოხუცო!..როგორი ხალხი იყო? რა იცი იმათი?

- როგორი და ... ისინიც შენსავით ადამიანები იყვნენ, შენსავით ოცნებობდნენ და დიდ-დიდ იმედებს ელოლიავებოდნენ. მოდიოდნენ ასე შთაგონებულნი და ეს ოცნება-იმედები გზადაგზა სათითაოდ ეფანტებოდათ. ზოგნი მალე წარიკვეთდნენ სასოს და გადაიწყვეტდნენ იმედს, ზოგნი კიდევ უფრო მედგრად და შემართებით მოდიოდნენ, სანამ არა-ქათგამოლეულნი არ დაეცემოდნენ... ო, რამდენს ვიცინოდი მათზე!

- ვაი, საწყალი ბაბები!
- მაგრამ მე მინახავს მათი სატრაფიალო ოინებიც, მინახავს მათი ცელქი შვილების თამაში, მსმენია მათი პირველი ტიტინი, მონაწილე ვყოფილვარ მათი მხიარული ლხინისა და ჩემი ხმა შემიერთებია მათი გამარჯვების ყიუინისათვის, მე დამიგვირგვინებია მათი სიქველენი და გმირობანი...
- ჰო, კეთილო მოხუცო!...

- ჰო, ისინი ჩემთან ერთად იყვნენ. ცოტა ხანს კი მომყვნენ, მერე ერთი ერთგან ჩავიდა საფლავში, მეორემ მისგან ცოტა მოშორებით მიდო თავისი ჭაღარა თავი, ვინ – ჯერ ყრმამ, ვინ – მოხუცმა, ვინ – შეყვარებულმა და ვინ კიდევ – მწუხარემ ... ყველა შენს პაპას ჩემთან ერთად უვლია და ყოველი მათგანი სადმე ჩამომრჩნია.

- უჱ, რა დიდი ხარ შენ!..
- დიდი! რასაც კი შენი თვალი გადასწვდება, იმისი საწყისი ვარ მე; სადაც კი შენი აზრი გადასწვდება, იმას იქითა ვარ მე; რომელ ქვას იტყვი, იმის ქვეშ არა ვმჯდარიყავ, რომელ მკვდარს მეტყვი, ჩემი და-საფლავებული არ იყოს!

- და კიდევ ასე სწრაფად მიდიხარ? მე ვეღარ გეწევი...
- ჰა-ჰა-ჰა! დაიღალე? .. ვხედავ, შენც უნდა მიგატოვო. ო, შენ ძალიან მალე დაბერდი...მოდი, მოდი!..
- მოიცა, მოხუცო! შენ გამომწურე მე ძალა და მხნეობა, დავიღალე, ვეღარ მოგდევ...
- მოდი, მოდი...

## ოვანეს თუმანიანი

### დედა

გაზაფხულის საღამო იყო. ვისხედით და ვმასლაათობდით, როცა ეს ამბავი მოხდა. მას მერე ის გაზაფხულის საღამო არა და არ მავიწყდება.

ჩვენი სახლის ჭერზე მერცხალს ბუდე გაეკეთებინა. ყოველი წლის შემოდგომაზე გაფრინდებოდა, გაზაფხულზე მოფრინდებოდა, ის ბუდე კი იყო და იყო მიკრული ჭერზე.

ახალ გამოზაფხულებულზე ის რომ სოფელში გამოჩნდებოდა და მხიარული ჭყივილით ჩვენს სახურავქვეშ შემოფრინდებოდა, სიხარულისგან, ალარ ვიცოდით, რა გვექნა.

ჰაი, რა კარგი იყო, დილაობით ტკბილად რომ აჭიკეტიკდებოდა ან-და კიდევ საღამოობით ლატანზე მწკრივად ჩამომსხდარ თავის ამხანაგ მერცხლებს რომ მიუჯდებოდა და „მიმწუხრისას“ გვიგალობდა.

ჰოდა, ერთ გაზაფხულზეც ის კვლავ კვლავინდებურად თავის ბუდეს დაუბრუნდა, კვერცხები დადო, ბარტყები დაჩეკა და მთელი დღე მხიარული ჭყივილით აღმა-დაღმა დაფრინავდა, საჭმელს უზიდავდა შვილებს.

იმ საღამოსაც, რომელზეც ახლა მოფრინდა და ნისკარტით საჭმელი მოუტანა თავის ბარტყებს. ბარტყებმა ბუდიდან ჭივჭივით გადმოყვეს ყვითელი ნისკარტები.

ამ დროს, როგორ იყო, როგორ არა, ერთი ყველაზე გაუფრთხილებელი თუ ყველაზე მშიერი ბარტყი აჩქარდა, ბუდიდან სხვებზე შორს გადმოიწია და დაბლა გადმოვარდა.

დედამ შესჭყივლა და ფრენით დაედევნა დაღმა იმ წუთას, სად იყო, სად არა, კატა გამოვარდა და ბარტყეს პირი დასტაცა.

ციც, კატავ

ციც! ციც! – წამოვცვივდით ყველანი მერცხალიც დააცხრა კატას, თავს დაპფრენდა და უნისკარტებდა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. კატამ მოცოცხა და ბეღლის ქვეშ შევარდა. ყოველივე ისე სწრაფად მოხდა, რომ ვერაფერი მოვასწარით.

საწყალი მერცხალი ჭყლოპინითა და ერთი ამბით გარს უფრენდა ბეღლელს. ჩვენ, ბალლებმა, ვინც იქ ვიყავით, თითო-თითო ჯოხი თუ შეშის ნაჭერი ავიღეთ და ბეღლის ქვეშ იმდენი ვიძრომიალეთ, სანამ კატა გარეთ არ გამოვაგდეთ. კატამ ახლა მარნისკენ მოუსვა დრუნჩის ლოკვით.

მერცხალმა კატა უბარტყოდ რომ დაინახა, ერთი დაიჭყივლა ხმა-მალლა, გაფრინდა და შორიახლო, მოპირდაპირე ხის შტოზე ჩამოვდა. იქ ჩუმად იჯდა კარგა ხანს და, ერთიც ვნახოთ, ქვის ნატეხივით ჩამოვარდა ძირს.

გავიქეცით, დავხედეთ, – მკვდარი გდია ხის ძირას.

გაზაფხულის სალამო იყო, როცა ეს ამბავი მოხდა მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა მაგრამ ის სალამო მაინც არ დამავიწყდება. მაშინ პირ-ველად მივხვდი, რომ მერცხლის დედაც დედაა და მისი გულიც გულია, როგორც ჩვენი, ადამიანებისა.

## გაბრიელ სუნდუკიანი

ჰამბალის მასლაათები

### მასლაათი პირველი

გაგიმარჯოს და სიკეთე მოგცეს, მუშა ძმაო! სად იყავ, კაცო, აქამ-დე? გეძინა და ეხლა იღვიძებ? თუ ქვეყნიერებაზე ირაოდ ეხეტები და სამშობლო ახლალა მოიგონე? ვაჲ, მე ველარა მცნობ? – შენს მეკურტნეს, შენს ძველ ჰამბალს.<sup>44</sup>

<sup>44</sup> ჰამბალი – უფრო სწრად ჰამბალ, არაბულია და მეკურტნეს ნიშნავს; სუნდუკიანი ჰამბალ-ის ფსევდონიმით წერდა თავად;

- ენას რაღაც ვერ მიგიხვდი, ეგ რა ჰანგზე ლაპარაკობ?

- ენა, ჰო, ჩემი ენა! სადღაა ჩემი ტკბილი ენა! სულამც დამავიწყდა.

ბავშვობას აქეთ აქ დავბერდი და აქაური ენა ვისწავლე. ბევრს ისეთ სიტყვას გაიგებ ჩემგან, რომ, ნამდვილად, სომხური სიტყვა არ არის, როგორც: ჩუნქი<sup>48</sup>, მითამ, ვის ეკადრება, მაგირ, ჩალიშ<sup>49</sup> და სხვა ათასი. რას იზამ, აქ სხვანაირი სომხურით ლაპარაკობენ და მეც ეგრე მაქვს ნასწავლი აქა. ჯეელი ალარა ვარ. რომ წნელივით მომქნა, ბებერი ხის სიმრუდეს კი რანდაც ვეღარ გაასწორებს. ხომ გაგიგონია:

მრუდე ხეს რანდა ვერ გაასწორებს,

დურგალო საიათოვა.

ენა შემცვალა, მაგრამ გული ისევ ისევ მაქვს. შენთვის ისევ ის ჰამბალი ვარ, შენ ოლონდ ჩემი ლაპარაკი გაიგე. გაიგებ, ჭკვიანი კაცი ხარ. ბევრი გინახავს და ბევრი გაგიგონია, ეს ჩემი ენაც ნახე და გაიგონე.

ბევრის ცოდნა ზარალი არ არისო, უთქვამთ და ეხლა მე რომ შენი ხათრით ენას ძალა დავატანო და მითამის მაგირ ვთქვა თითქოს, ჩუნქის მაგირ – რადგანაც, მაგიერის ადგილას – ნაცვლად, – აქედან რაღა გამოვა. ამით ჩვენი ქალაქის ენა არ გაასწორდება, ჩვენი ხალხი ისევ იმ ჩუნქისა და მითამს იტყვის. არ გეწყიონს, თუ ძმა ხარ!

ერთი მერცხალი გაზაფხულს ვერ მოიყვანსო, ნათქვამია.

ჩვენ ეგრე ვლაპარაკობთ და ახლა შენ იცი, როგორც ეცდები, რომ ჩვენმა შვილებმა ჩვენზე ცუდი არა თქვან.

ტანსაცმელიო? ტო, ჩემს მორთულობასთან რა გაქვს სადაო, ძმაო! დღეს ასე მიყურებ, ხვალე ხარაზი ვიქწები, ზეგ კალატოზი, მაზეგ სხვა ხელობისა და როცა ძალიან გამიჭირდება, ეს ჩემი კურტან-ფალანი ხომ აქ არის და აქა! მაგრამ, რა ხელობისაც არ უნდა ვიყო, ისევ ის ჰამბალი ვარ. ეს მეტსახელი დამეკერა და ეს არის! ჩვენს ქალაქში ეგეთ, ჩვეულებაა, ყველას თითო-თითო მეტსახელი მაინც დაარქვან, მაგალითად: ხბოჭამია, კატიჭერია, ქონიყლაპია, ძვალიხვრეტია, ნავსი, უფასონო და

<sup>45</sup> ჩუნქი – სპარსულია; ნიშნავს: რაკი, რადგან, რამეთუ-ს;

ჩალიშ – თურქულია, ნიშნავს: იმუშავე (ბრძან.), აქედან არის ქართული ჩალიზი; საერთოდ, აქ სუნდუკიანი ალნიშნავს იმას, რომ თბილისის სომხურ დიალექტში უამრავი სიტყვაა შესული ახლოალმოსავლური თუ ქართული ენებიდან; ამის გმო სომხურ ლიტერატურულ ენაზე თუ სხვა სომხურ დიალექტებზე მოლაპარაკეებს ძნელად ესმოდათ თბილისელ სომეხთა ენა-კილო.

რა ვიცი... ერთ დღეს შუა-ქუჩაზე ან ოთხო-ბაზარში გაიარე, ეგეთ მეტ-სახელებს ბევრს გაიგებ.

გაგიმარჯოს და სიკეთე მოგცეს, ძმაო! შენი ნახვა ძალიან გამიხარ-და, მაგრამ ისე ქენი, რომ ძილმა არ წაგიღოს. აქედან ცალი ქალამნით არ გაგაქციონ და შენი ფალას-ფულასი სხვებმა არ დაიტაცონ. მუყაითად იყავ, შენ ჯერ ხამი ხარ, ძმაო, აქაურ ხალხს არ იცნობ; აქ ერთბაშად იმდენს აგკიდებენ, რომ წელი მოგწყდება, იცი თუ არა შენ? მე ისეთი რამეები მინახავს, ისეთი ამბები გადამხდენია, რომ მოგიყვე, თმები ყა-ლყზე დაგიდგება.

ერთ ამბავს მოგიყვები მაგალითად. ერთ დღეს ერთმა პატივცემულ-მა კაცმა მეიდანში ფქვილი იყიდა, ერთი უზარმაზარი ბარდანა ტომარა.

- ტო, ეს რომ სახლში წამილო, რას გამომართმევ?

- სად – მეთქი, აღა ჯან?

- აი, ამ ქუჩის თავშიო.

- სამი შაური დაჯდება, აღა ჯან, – ვეუბნები მეცა.

არაო, ბევრიაო, მითხვა; თუ გინდა, ორ შაურს მოგცემო. მეცა ვფიქ-რობ გუნებში, ამ ქუჩის თავი ხომ შორს არ არის-მეთქი... ავიღე ეს თორმეტფუთიანი ბარდანა, მოვიდე ზურგზე და დამაყარა კიდეც ოფლი!

- აბა, აღა, აქ არის?

ცოტა კიდევ მოიცაო.

ის ცოტაც გავიარე.

კიდევ ცოტაა.

- ვაჲ, აღაჯან, – ვეუბნები, – უკვე მესამე ქუჩა გავიარეთ, რაღა!

- ხმა ჩაიწყვიტე, თორემ მაგ ტომარას ჩამოგახსნევინებ ამ წუთში და სულაც არაფერს არ მოგცემო, – მეუბნება.

იმ მძიმე ტვირთაკიდებულმა ისე ამოვიოხრე, რომ ცხვირიდან ძმა-რი წამომივიდა. თავი დავანებო, ჩამოვიხსნა, ვფიქრობ, – შრომა დამე-კარგება; არა და, ვატყობ, ეგ არის, სული გამძვრება. ის დაწყევლილი ქუჩებიც ისე წაეწყო ერთმანეთს, ერთს რომ გავამთავრებ, მეორეც სულ იმასა ჰერც. რაც იყო, იყო, ხელი ჩავიქნიე და რაკი შრომა მქონდა გა-წეული, ჯანი აღარ დავზოგე. ამაგის დაკარგვაზე ძნელი ხომ არაფერია, ძმაო! ვახსენე ღმერთი და იმ პატივცემულ კაცს ისევ უკან გავყევი. ისე, ნამდვილი აღას შესახედაობა ჰქონდა და ვიფიქრე, მართალია, ორ შაურს დამპირდა, მაგრამ სიამაყის გულისტვის იქნებ ერთი-ორიც სხვა

მომცეს-მეთქი.აბა ამასავით პატივცემული კაცი რას იზამს, ჩემსავით საწყალსა და უბედურს რაც ერგება, ხომ არ დაუჭერს-მეთქი. თავი და-ვაჯერე და ტვირთქვეშ ფეხი უფრო მოვიმაგრე. იმ სიცხე-პაპანაქებაში პირზე ოფლი ღვარივით ჩამომდიოდა. ჩემი ნავალი გზა ვინმეს რომ ენახა, იტყოდა, ხალხის გასაგრილებლად ქუჩა წყლით მოურწყავთო; ივლისი გასული იყო, სამი კვირა წვიმა არ მოსულიყო და ქუჩაში ქვაფენილს ცეცხლი ეკიდებოდა. ბოლოს, რაღა გავაგრძელო, ამ ჩემთა პატივცემულ-მა აღამ ერთი დიდი, ახალაშენებული სახლის კარებზე დააკაკუნა. ეს სახლიც რომ დავინახე, ნალდად ერთ აპაზს მაჩუქებს-მეთქი, ვიფიქრე. სანამ კარებს გააღებდნენ, გულიდან უნებურად ერთი ოხვრა აღმომხდა.

- ჰა, რა მოგივიდა, მოკვდი? – გაბრაზებით დომიბლავლა აღამ.

პასუხი არ გამიცია და ერთხელ კიდევ ისეთი ამოვიოხრე, რომ მო-პირდაპირე მთამ ხმა მომცა.

- აი, ზახრუმბალა! – ცხვირში ჩაიდუდლუნა აღამ და სახლში შევიდა.

რაც ლოცვა-კურთხვევა გავუგზავნე იმას იმ წუთში, ღმერთმა ნუ გამოუწყიტოს და ნუ გამოულიოს!

- ალაყაფი გაალე! – უთხრა ბიჭს სახლში შესვლისას.

ის კარები ისევ მომიკეტეს და სანამ ალაყაფს გამიღებდნენ, ეგრე აკიდებული ვიდექი. იმ მუდრეების სახლის წინ ერთი ისეთი ადგილიც არსად იყო, რომ ტვირთი ჩამომედონ და ცოტათო მაინც სული მომეტება.

გულში ღმერთს ვუსაყვედურე: ღმერთო, ეს ქვეყანა ასე როგორ მოაწყე, რომ მე ორი შაურის გულისათვის ასე მტანჯავ და ის აღა თითო ნაბიჯის გადადგმაზე ორ მანეთზე მეტს მაინც იგებს-მეთქი. რას იზამ, იმათ შეუძლიათ!

ალაყაფის კარებიც გაიღო. შევედი და ერთ დიდ ეზოში აღმოვჩნდი.

- უკან გამომყე, – მითხარი ბიჭმა და ერთ გრძელ კიბეზე მაღლა აირბინა.

როგორც იყო, იმ კიბეზეც ავედი.

- აქეთ, აქეთ! ჩვენ მაღლა ვცხოვრობთ, – დიდი გულით მითხრა ბიჭმა.

- ყოვლისმხედველმა გაგსაჯოთ! – ვთქვი გულში. – ალბათ, ჩემი წერა ესა ყოფილა და გაუშვი, ტვირთქვეშ მოვკვდე-მეთქი, ვფიქრობდი.

კიდევ ორი კიბე ავიარე, მაგრამ როგორ ავედი, ეგ მარტო ღმერთ-მა იცის. ასე მეგონა, ზურგზე ბარდანა კი არა, ის უზარმაზარი სახლი

მკიდია მეთქი. ავედი მაღლა. ბალკონი გამატარეს და პირდაპირ კარები მიჩვენეს.

- ხალიჩაზე ფეხი არ დაადგა! – ხაფად დამიბლავლა ჩემმა პატივ-ცემულმა აღამ:

ბალკონის მოაჯირზე ერთი ისეთი უშველებელი ხალიჩა ჰქონდათ გაშლილი, რომ მისი ერთი ბოლო ეტაჟნახევრით დაბლა იყო ჩამოშვებული და ერთიც მთელი ბალკონის სიგანაზე ზედ იყო გადაფენილი, ალბათ იმიტომ, დაბლა არ ჩამოვარდესო.

ხალიჩა იქით გასწიეთ-მეთქი და: – რა გაწევა უნდა, კედლის ძირ-ძირ გაიარეო, მითხრეს.

მეც გავიარე კედლის ძირ-ძირ, ბარდანა კედელს მოვახვედრე და ჩემი ტვირთიანად იმ დაწყევლილ ხალიჩაზე წავპირქვავადი.

კიბეზე, როგორცა ვთქვი, ბედისწერამ მიწია-მეთქი, მეგონა, მაშინ კი, წაქცეულმა ვიფიქრე, ეგ არის, სული მივაბარე-მეთქი. ერთი მაინც, ან აღა მომშველებოდა ან ის ბიჭი! პირიქით, კარგადაც შემომიკურთხეს: ბრიყვო, დაბლავ, დაბდუროო, – რაღა არ მითხრეს და მამაჩემსაც მის-წვდენ. საწყალმა მამაჩემმა რაღა დააშვა? ალბათ ისა, რომ ამ ქვეყანაზე ეგრე სატანჯველად გამაჩინა.

ჩხუბითა და აყალ-მაყალით, ფურთხვითა და თათხვით ის ბარდანა მაინც მიმატანინეს და ამბარში დამაცლევინეს.

- ჰაა, რა პირი დაგიღია!
- ჩემი ფული-მეთქი, – ვეუბნები.
- რის ფული! ხალიჩა გამიფუჭე და ფულს მოგცემ? დაიკარგე აქე-დან-მეუბნება აღა.

მადლობა ღმერთს, ბიჭი ჩამოგვერია.

- დიდი ამბავი არ არის, აღა, დავპერტყავთ და გასუფთავდება.

იმსასაც ხმა ჩააკერძინეს. უცბად, არ ვიცი, იმ ჩემს პატივცემულ აღას გულში რა ჭია აუჩურუნდა, მეუბნება:

- კარგი, ის ხალიჩა დაბერტყყე და შენი ორი შაური წაიღე.

დამაბერტყინეს ის ხალიჩაც და მომიგდეს ორი შაური.

გარეთ გამოვვარდი. ჰარაქათი აღარა მქონდა და სახლის პირდაპირ ქუჩაში ჩამოვჯექი. იმ ჩემი პატივცემული აღის სახლში ყოფნისაგან თვალები მქონდა აჭრებული. რას ვუყურებდი, რეებს ვხედავდი, რეებს ვფიქრობდი, აღარ ვიცი. როცა თავი გამოვალწიე და ოფლით წაშოვნ იმ ორ შაურს დავხედე, თვალებიდან ცრემლები წამომცვივდა.

- ღმერთმა გაგასამართლოს! – ვთქვი გულში და გავშორდი იქაურობას.

აი, ამაზე გეუბნებოდი ჩემო მუშა ძმაო, რომ იმდენს აგკიდებენ, წელი მოგწყდება-მეთქი, ამას გიმუყაითებდი.

- ეს რა რეგვენსა და სარსალს შევხვდიო, იძახი ალბათ. ვინ იტყვის ჩემზე მუშაო, განა მეც მეიდანში ბარდანა ტომრები უნდა ვზიდო! მე რომ მუშა ვარ, ჭუუისა და ნამუსის მუშა ვარ. ჩემო ჰამბალო ძმაო, ეგ მაგალითი რა საჩემო მაგალითია?!

ვიცი, ვიცი, მუშა ძმაო, რომ ჭუუისა და ნამუსის მუშა ხარ. ღმერთმა შეძლება მოგცეს და მტერს რომ უნდა, ისე ნუ გამყოფოს. მე ჩემს თავზე გადახხენილი გითხარი და შენ, როგორც გინდა, ისე გაიგე. მაინც იმას გეტყვი, რომ ეს მაგალითიც კარგად დაიხსომე; ამნაირ რამეებს, ჭუუით იქნება თუ ზურგით, გულითა თუ ნამუსით, ბევრსა ნახავ. ჭუუითა და მუყაითად იყავი!

ჩვენს ქალაქში საცხოვრებლად ჩამოსულხარ. კაცმა რომ გყითხოს, როგორ ცხოვრებას აპირებ? ჰალალსა და ნამუსიანს? მაშ ამთავითვე იცოდე, რომ მშიერი მოკვდები და თუ გინდა მაძლარი იყო, ამისთვის კარგად დაიხსომე, რასაც გეტყვი.

პირველი: შენს დღეში სიმართლე არ ილაპარაკო, – სიმართლეს ჩვენში ყადაღა ადევს;

მეორე: აღა ჯან, რამდენსაც კი შესძლებ, სულ იცრუე, – სიცრუე არის მარილი და პილპილი ჩვენი ცხოვრებისა;

მესამე: შენი ჭირიმე, სწორი გზით არასოდეს იარო, – სწორი გზა ცხოვრებას ამოკლებს –

და მეოთხეც: შენ ხარ ჩემი ბატონი, თაღლითობის გარეშე ნაბიჯვს ნუ გადადგამ, – მოტყუება ეხლა ადათია და წესია. თუ ვინმესგან რამე გინდა იყიდო, უთხარ, სხვაგან უფრო იაფად იძლევიან, მაგრამ რაკი თქვენი მუშტარი ვარ, თქვენგან მინდა ვიყიდო-თქო; თუ ვინმეს გინდა რამე მიჰყიდო, უთხარ: მუშტარი ბევრი მყავს, მაგრამ შენი ძვირფასი ხათრის გულისთვის შენთვის მომიცია-თქო!<sup>46</sup>

უყურე, მუშა ძმაო, რეები მცოდნია. რამდენი წელი გაივლიდა, სანამ

<sup>46</sup> ნამდვილად კი, სიცრუე და თაღლითობა იმთავითვე სჩვევია ადამიანიშვილის მაგრამ ჩვენს დროში უფრო გაძლიერდა, გაიზარდა და გამრავლდა (ავტორის შენიშვნა).

შენ ამეებს ისწავლიდი და ჩემთან კი პირველ შეხვედრაზევე გაიგე. მე რომ შენს ადგილზე ვიყო, ჩემნაირ კაცს, ამ შემთხვევაში – მე, კალთაში ხელს ჩავავლებდი და ალარც მოვშორდებოდი. თუ გინდა, მოდი, დავამ-სანაგდეთ, ძმაო. ამგვარი ამბები კიდევ ბევრი ვიცი, – გამოგადგება. ისე კი, თუ გამოდგომაა, ისევ შენ უნდა გამომადგე, თორემ მე, აბა, რაში დაგჭირდები. ჩემი ჭკუის ამბავს რას გაიგებ! სიტყვით კი, შენმა მზემ, კაი-კაი ხალხიც მეხვენება, რომ დაკუამხანაგდე, მაგრამ შენი ძვირფასი ხათრის გულისხმის შენი ლაგაში ვარ, თუ გინდა! ჰამაც ერთმანეთს კარგად მოვუხდებით: შენ-მუშა, მე – ჰამბალი. იფიქრე, ძმაო, ამბობენ ამხანაგობა კარგიაო, მაგრამ საქმე ის არის, ჩვენს ქალაქში ჰალალი ამხანაგობა არ გადის.

## ნარ-დოსი

მე და ის

„დაკარგული კაცის“ დღიური

ეს დღიური ერთი უშველებელი რვეული იყო. მე იგი სრულიად შემთხვევით ჩამიღარდა ხელში. „დაკარგული კაცი“ (ასე უწოდებდა თავის დღიურში) მასში აღნერდა თავისი ცხოვრების თთოქმის ყოველდღიურ თავგადასავალს მთელი რიგი წლების განმავლობაში.

დღიური წავიკითხე და მრავალი საინტერესო ჩანაწერიდან ამოვარჩიე რამდენიმე, რომლებიც ხსნიან „დაკარგული კაცის“ ტრაგედიას და წარმოადგენ დღიურის, ასე ვთქვათ, გულსა და ტვინს; ესენი ერთ მთლიან მოთხრობად შევკარი.

ამასაც დავსძენ: „დაკარგულ კაცს“ თავისი დღიურის ის წაწილი, რომელიც მისი დაცემის ტრაგედიას ეხება, დაუსათაურებია ასე – „მე და ის“. ამ სათაურითვე ვაქვეყნებ მას.

მე

მე იგი მიყვარდა.

ლირს კი გავიმეორო ის სამიჯნურო სიტყვები, რომლებიც ასე სა-საცილოდ და მოსაწყენად ეჩვენებათ ცხოვრებაზე გულაყრილ სკეპტი-

კოსებს? მაგრამ თითოეული ეს სიტყვა ხომ პირველი შთაგონებაა ნორჩ შეყვარებულთა გულებისთვის!

როცა ვუცქერდი მის საოცრად გაბრწყნებულ თვალებს, რომელიც შეიც თითქოს ცხრათვალა მზე ციალებდა, როცა ვისმენდი გაზაფხულის ცელქი ნაკადულივით ხალისიან მის სიცილს, როცა ვეხვეოდი და მეს-მოდა მისი ქალწულებრივი გულის ძეგრა, როცა ლოყებზე მეხებოდა და ურუანტელს მგვრიდა მისი ხავერდოვანი რბილი თმა, — მეუფლებოდა ისეთი გიური გრძნობა, რომ მზად ვიყავი, ჩამედინა უდიდესი გმირობა ან უდიდესი დანაშაული, ოლონდ კი იმას ეპრძანებინა.

ახლა არ ვიცი, მასაც ასევე ვუყვარდი თუ არა, მაგრამ მაშინ, რო-  
ცა მარწმუნებდა თავის სიყვარულში და მეტიცებოდა, სიკვდილსაც არ  
შეუძლია ჩვენი დაშორებაო, სავსებით დარწმუნებული ვიყავი – არ მა-  
ტყუებდა.

მაშინ იურიდიული ფაკულტეტის უკანასკნელი კურსის სტუდენტი ვიყავი. ჩემ ახალგაზრდულ მჩქეფარე ძალებში დარწმუნებული და ფართო საზოგადოებრივ მოღვაწეობას ძალუმად მოწყურებული, ვგულისხმობდი ბედნიერი სიყვარულითა და სახელოვანი მომავლის ცხოველი იმედებით. დაუღალავად და დიდი შთაგონებით ვამზადებდი სადიპლომონაშრომს, რომელიც, ჩემი ფიქრით, ჩემი მომავალი დიდებისა და კეთილდღეობის მტკიცე ევაკუაციური უნდა გამხდარიყო.

მაგრამ...

ოპ, ეს „მაგრამ“...

ახლაც, როცა ყველაფერი სამუდამოდ და დაუბრუნებლად დაღუპულია, ახლაც, როცა ვისტენებ იმ დღეებს, ლამის ვიღრიალო აუტანელი სულიერი ტკივილისაგან. იმ დღეთა მოგონებებს დღემდისაც არ დაუკარგავთ ჩემთვის თავიანთი სიმწვავე.

მაგრამ გავაგრძელებ მოთხოვთას...

ერთხელ, როცა შორეულ ჩრდილოეთის დედაქალაქში, პატარა სტუ-  
დენტურ ოთახში ჩაკეტილი, ჩემი სადიპლომო შრომის უკანასკნელი თა-  
ვებს ვწერდი, მივიღე წერილი. იგი შეუბრალებელი გულწრფელობითა  
და პირდაპირობით მწერდა, რომ ყოველივე, რაც ჩვენს შორის მოხ-  
და, სამწუხაროდ გაუგებრობად მიმეჩნია და დავიწყებისათვის მიმეცა,  
რადგან მალე სხვისი ცოლი გავხდებიო. “ვიცი, ეს ამბავი არც თუ ისე  
გესიამოვნება, მაგრამ, რას იზამ, ქვეყანაზე ბევრი რამე ხდება და ბევ-

რიც შეიძლება მოხდეს“ ასეთი ირონიული, უფრო სწორად, დემონური სიტყვებით ამთავრებდა იგი წერილს.

პირველად ამ ამბავს იმდენი მნიშვნელობა არ მივეცი. მისთვის ჩვეული მორიგი ხუმრობაა-მეთქი, ვიფიქრე, ალბათ, ამ ახტაჯანას უნდა გამათამაშოს და სიყვარულში გამომცადოს-მეთქი. მაგრამ რაოდენი იყო ჩემი განცვიფრება, შემდეგ სიბრაზე და ბოლოს სასონარკვეთილება, როცა შემდგომში მისთვის გაგზავნილ წერილებსა და დეპეშებზე ვერავითარი პასუხი ვერ მივიღე.

ამ ჭკუაზე შემშლელი დუმილის შემდეგ, როცა უკვე უკიდურესმა სასონარკვეთილებამ შემიპყრო და რა მექნა ალარ ვიცოდი, მოულოდნელად მივიღე ლაკონური დეპეშა: „გავთხოვდი“. მხოლოდ ერთი სიტყვა და მეტი არაფერი. ესეც, ეტყობა, იმიტომ გამომიგზავნა, რომ ალარ შემეწუხებინა ახალი წერილებითა და დეპეშებით.

პირველად მანცა და მანც ვერ იმოქმედა ამ დეპეშამ ჩემზე, რადგან ამისთვის უკვე წინასწარ მომზადებული ვიყავი, მაგრამ შემდეგ შევნიშნე რაღაც სულიერმა აპათიამ და გაქვავების მაგვარმა გრძნობამ შემიპყრო. ძილი გამიკრთა, კოშმარულ ზმანებებში ვპორგავდი და ხანდახან მეგონა, სადაც არის, გავგიუდები-მეთქი.

წინათ, როცა მის სიყვარულში სრულებით არ ვიყავი დაეჭვებული, მისი სავსებით მჯეროდა და დარწმუნებული ვიყავი, ის განუყრელად, ის სამარადისოდ ჩემია-მეთქი, – არ მეგონა თუ ასე ძლიერ მიყვარდა. ახლა, რაც მან მიღალატა და სამუდამოდ დავკარგე, დავრწმუნდი რაოდენ მყვარებია იგი. ასეა ხოლმე: სიყვარულის საგანი ორჯერ უფრო საყვარელი გერვენება მისი დაკარგვის შემდეგ.

უკვე ვეღარ ვხვდებოდი, რა მემართებოდა. სულში და გარშემო საშინელ სიცარიელეს ვგრძნობდი, თითქოს თავის ქალიდან ტვინი ამომაცალეს და ისე გამაგდეს უკიდეგანო უდაბნოში სახეტიალოდ, დამცალეს ყოველივე აზრისა და მიზნისაგან, მისწრაფებისა და იდეალისაგან, წამართვეს გადარჩენის ყოველივე იმედი. ერთსლა ვგრძნობდი ნათლად და გარკვევით : ეს შურისძიების შხამი იყო, რომელიც წვეთ-წვეთად გროვდებოდა ჩემს დაწყლულებულ გულში იმ ქალიშვილის დასაგესლავად, რომელმაც ასე ვერაგულად გათელა ჩემი ყოვლად სათუთი და წმინდა გრძნობები, შეურაცხყო ჩემი ადამიანური სინდისი, ნამსხვრევებად აქცია ყველა ჩემი იმედი და ამასთან ჩემი მომავალიც.

სანამ იგი მიღალატებდა, მწვერვალებზე მონავარდე არწივი ვიყავი, ახლა კი ფრთებდაჭრილი საწყალი ბეღურა, მიწაზე რომ ხტუნავს საცოდავად.

განა შემეძლო მეპატიებინა მისთვის ეს? და გადავწყვიტე მოვქცეოდი ისევე შეუბრალებლად, როგორც იგი მომექცა.

“ხომ აღარ ვარსებობ, – დაე, ისიც ნუ იარსებებს!“ – გადავწყვიტე. მივატოვე უნივერსიტეტიც, სადიპლომო შრომაცა და მაშინვე შევუდექი სამზადის ჩემი განზრახვის სისრულეში მოსაყვანად, მაგრამ თურმე ისე-თი იმედგაცრუება მელოდა, რომლის შესახებ წინათ სულაც არ მიფიქრია. მოღალატე ქალი თავის ძალიან მდიდარ ქმართან ერთად საზღვარგარეთ გამგზავრებულიყო.

კვლავ დამეუფლა საშინელი სასოწარკვეთილება და იმდენად ძალუმად, რამდენადაც შურისძიების დაუკმაყოფილებელი გრძნობა მოითხოვდა დაოკებას.

იმის შეგნება, რომ საბოლოოდ განიარაღებული ვიყავი, პირდაპირ მაგიუბედა. იყო წუთი, როცა თვითმკვლელობაც განვიაზრე, რომ ამ აუტანელი სულიერი ტანჯვისათვის, ერთხელ და სამუდამოდ, ბოლო მომელო, მაგრამ ეს გადამეტებული სულმოკლეობა იქნებოდა, და, გარდა ამისა, იმედი მქონდა, ადრე თუ გვიან სადმე შევეყრებოდი და ჩემთვის მოყენებულ შეურაცხყოფისათვის სამაგიეროს მივუზღავდი.

ასეთ სულიერ განწყობილებას ხელახლა მოჰყვა უკიდურესი გულ-გრილობა და უგრძნობელობა ყველაფრისადმი.

ასეთი მდგომარეობიდან გამოსაყვანად ძლიერი ბიძგი იყო საჭირო. ეს ბიძგი ვერაფერმა ვერ მომცა და ლოთ ამხანაგებსა და მეძავ ქალებს დავუახლოვდი. წელ-წელა ვინთქმებოდი ცხოვრების ჭაობში, მე კი ამას ვერ ვამჩნევდი. როცა შევნიშნე, ძალიან დაგვიანებული იყო – უკვე დაღუპული კაცი ვიყავი.

ამ დროს იურიდიული ფაკულტეტის უკანასკნელი კურსის სტუდენტი, ბრწყინვალე მომავლის იმედებით სავსე, ფართო საზოგადოებრივ მოღვაწეობაზე ოცნებებით ფრთებშესხმული, ახლა სასამართლოს წერილ მოხედეთა ბინძურ მაგიდებზე კლიენტებს ვუწერდი შარიან თხოვნის ქაღალდებს და ვიცავდი სხვადასხვაგვარ ბეჭედ საქმეებს, ვიყავი მუდამ მთვრალი და უძილობით თვალებდასიებული აბლაკატი, – ეს საზიზღარი ტიპი ყველა თავისი უარყოფითი ნიშნით.

და მთელი ჩემი ტრაგედია ის იყო, რომ სავსებით ვგრძნობდი, შეგნებული მქონდა ჩემი საშინელი დაცემა, მაგრამ ცხოვრების სიბინძურიდან გამოსვლას ვერ ვახერხებდი. ჭაობში უკვე ყელამდე ვიყავი ჩაფლული. რაკი ერთხელ კისრად ვიღე წამების ჯვრის ზიდვა, მკვდრეთით აღდგომა შეუძლებლად მიმართდა.

ჩვენი ურთიერთობის განყვეტიდან უკვე ხუთი წელი გავიდა და ერთხელ ქუჩაში, სრულიად შემთხვევით, პირისპირ წავაწყდი ჩემს პირველ სიყვარულს.

ეს შეხვედრა ჩემთვის იმდენად მოულოდნელი იყო, რომ მეხდაცემულივით ადგილზე გავშეშდი მის წინ და გაოგნებულმა ტაში შემოვკარი. ეტყობოდა, მასაც გული ვადაუქანდა, თუმცა პირველად, მგონი, ვერც მიცნო. ან საიდანლა მიცნობდა? სუფთად ჩაცმული და ფართო მხარბეჭიანი 24-25 წლის წარმოსადეგი სტუდენტის ნაცვლად ხელში შერჩა ააფი ღვინის, თუთუნისა და ნივრის სუნით აყროლებული, მკერდჩავარდნილი, ბეჭებში მოხრილი ახმახი ლოთის წითელი ცხვირით, მოუპარსავი წვერითა და ჭუჭყისაგან მბზინავი ძველი, გაცვეთილი პალტოთი.

თვითონ სრულებითაც არ შეცვლილიყო, უფრო სწორად, ქცეულიყო ისეთ ბანოვანად, რომ ვერც ერთი ხელოვანი მხატვარი მასში ვერავითარ ნაკლს ვერ აღმოაჩენდა. ოდნავ გამხდარი, ახტაჯანა გოგონა ქცეულიყო საროსტანიან ბრწყინვალე ქალბატონად, რომლის გვერდზე არ შეიძლებოდა ჩაგევლო და უკან არ მოგეხედა.

ახლა ტანსაცმელს აღარ იკითხავთ?! ალბათ ვერასდროს შევძლებდი ასე ფუფუნებით ჩამეცვა მისთვის; ვერასდროს შევძლებდი შემეტკო მისი ყურები, მკერდი და თითები ასეთი ბრილიანტებითა და მარგალიტებით, თუნდაც გამართლებულიყო ადრინდელი იმედები ჩემ ბრწყინვალე მომავალზე. ყველაფრიდან ჩანდა, ისეთი კაცის ხელში ჩავარდნილიყო, რომელიც არაფერს არ ზოგავდა მისთვის.

გაოგნებასთან ერთად უნებურად შემიპყრო დაბნეულობამ და მოკრძალებამ მისი ყოვლისშემძლე ბრწყინვალების მიმართ და არასოდეს არ მიგრძნია თავი ასე არარად, საწყალობლად და საზიზლრად, როგორც ახლა.

ერთი კი ვცადე სულის სილრმეში გამომეწვია შურისძიების ის გრძნობა, ერთ დროს რომ მოსვენებას არ მაძლევდა და რომლის გავლე-

ნითაც თავს ასე მართლად და ამაყად ვგრძნობდი, მაგრამ ჩემს სულში ვერაფერი აღმოვაჩინე, – სამუდამოდ დაცარიელებულიყო.

როცა აღელვებულმა, აკანკალებული, მაცედრებული ხმით ვცადე მისთვის თავი გამეხსენებინა, ის განცვიფრდა, აღელდა, აირია და ხმა ველარ ამოიღო. მერე უცბად ზურგი მაქცია, ეტლში ჩაჯდა და გამშორდა, თითქოს შეეშინდა – უკან არ გამოვდგომოდი.

ის დღე ღვინის სარდაფში გავატარე, საიდანაც ძლივს გამომიტანეს ამ შესვედრის შემდეგ, დროის იმ მცირე შუალედებში, როცა ნასვამი არ ვიყავი და შემეძლო ხანდახან მაინც ჩამეხედა ღრმად ჩემს სულში, ვცდილობდი მეპოვა ჩემი ასეთი დაცემულობის თავი და თავი მიზეზი. მიზეზად, რა თქმა უნდა, ვერ ჩავთვლიდი ჩემს გაცრუებულ სიყვარილს, – მას, დიდი-დიდი, შეეძლო მხოლოთ დროებით დავეჩაგრე და არა სა-მუდამოდ დაველუპე.

ძირითადი მიზეზი სხვა უნდა ყოფილიყო და დავიწყე მისი ძიება შეყვარებული ქალიშვილის ღალატის გარეთ ჩემივე არსებაში, რადგან ჩემი დაცემის საწყისი რომ ჩემშივე არ ყოფილიყო მოცემული, ასე არ დავეცემოდი.

მაგრამ რა იყო ეს პირველსაწყისი მიზეზი, საიდან მოხვდა ის ჩემში და რა ედო საფუძვლად? აი, ამაზე ფიქრით კიდევ დიდხანს ვიტანჯე-ბოდი, სანამ შემთხვევით არ მივაგენ ამ საკითხის ახსნას ერთ იტალიურ ნოველაში, რომლის წაკითხვამ უცბად გაანათა ჩემი აქამდის ბნელი შინაგანი სამყარო.

იმ იტალიური ნოველის სათაური იყო „შურისძიება“.

აქ მომყავს ამ სასიყვარულო ნოველის სიტყვა-სიტყვით თარგმანი, ოლონდ ნოველას სათაური შევუცვალე და დავარქვი “ის”, რომ ნოველის გმირი ჩემთვის დამეპირისპირებინა.

## ის

### 1.

ვენეციაში – დოჟების, სანაოსნო არხებისა და ხელოვანთა ამ ულა-მაზეს ქალაქში ერთი ძველი აზნაურის ოჯახში ცხოვრობდა ერთადერთი მემკვიდრე, მშვენიერი ჯულიეტა, მის მშვენიერებას მიწიერს ვერ დაარ-ქმევდი, იგი ფერიას ჰგავდა, ზღვის ქაფიდან ამოსულს. მისი თვალებით

თვითონ იტალიის ლურჯი, კაშკაშა ზეცა იღიმებოდა. გამოხედვა ჰქონდა მხიარული და უნაპირო, ვითარცა ადრიატიკის ჰორიზონტები; ოქროსფერი ნაწნავები წარმტაცი კულულებით აგვირგვინებდნენ მის პატარა და მოხდენილ თავს. როცა იღიმებოდა (და განა როდის არ იღიმებოდა?!), მის მშვენიერ ლოყებზე პატარა ფოსოები ჩნდებოდა და ვარდისფერი ბაგებიდან კი სპილოს ძვლისფერი წვრილი, მიჯრილი, მაგარი კბილები გამოკრთოდა. მუდამ მხიარული იყო გაზაფხულის მზესავით, პეპელა-სავით ცელქი და ბავშვივით მოუსვენარი. ორი ფერი უყვარდა, წითელი და თეთრი და მის მკერდს ყოველთვის ამკობდა ამ ორი ფერის ყვავილი: მიხაკი და შროშანი. ის თავადაც ნორჩ და სურნელოვან ყვავილს მოგაგონებდათ, წითელს ან თეთრს, იმის მიხედვით თუ რა ფერის კაბას ჩაიცვამდა – მიხაკივით წითელს თუ შროშანივით თეთრს.

## 2.

ერთხელ, გაზაფხულის ერთ მშვენიერ დილას, როგორიც იცის ხოლ-მე მხოლოდ ადრიატიკის ნაპირებზე, როცა ჯულიეტა პალატის ზემო სართულზე მდებარე მამის პატარა თოახში თეთრ კაბაში გამოწყობილი მკერდზე მიხაკის წითელ ყვავილს იბნევდა. რომ სასეირნოდ ნასულიყო პონტე-რიალტის არხზე. – გარედან რაღაც დაკვრის ხმები შემოესმა. ვიღაცის ოსტატური ხელი ვიოლინოზე სერვნადას უკრავდა. ჯულიეტამ ღია ფანჯარასთან მიირბინა და ქუჩაში გადაიხედა. ვიოლინოს უკრავდა ერთი ჭაბუკი, რომელსაც იტალიური ფართოფარფლებიანი ქუდი ეხურა. მელოდია ისეთი მშვენიერი და მიმზიდველი იყო, რომ ჯულიეტას მოეწვენა, თითქოს მისი გულის სიმებზე უკრავდნენ. ის თითქმის ნახევრად გადაეკიდა ფანჯრიდან და მელოდიას დიდი ყურადღებით უსმენდა. იგი მთლიანად შეეპყრო და გაუმაძლრად ნთქავდა ამ ურუანტელის მომგვრელ, მომჯადოებელ ჰანგებს, რომლებიც წყაროს წყალივით თავისუფლად მორაკრაკებდნენ. სუნთქვაშეკრული უსმენდა, რომ არცერთი ბგერა არ გამოპარვოდა. აღფრთოვანების ცრემლი მარგალიტივით ეკიდა თვალზე.

ბოლოს ვიოლინოს ხმებიც მიწყდა და მასთან ერთად თითქმის ყოველივე დადუმდა ბუნებაში.

- ვინ ხარ, ჭაბუკო მაესტრო, ამოიხედე მაღლა, – გადასძახა ზევიდან ჯულიეტამ.

ახალგაზრდა მუსიკოსმა მაღლა აიხედა.

-ქუდი მოიხადე, შენს სახეს კარგად ვერ ვხედავ.

ჭაბუქმა არტისტმა ფართოფარფლებიანი ქუდი მოიხადა, გრძელი თმა თავის გაქნევით უკან გადაიყარა და მაღლა აიხედა. ჰო, რა მომჯა-დოებელი თვალები ჰქონდა! მაგრამ რა სერიოზული, ჩაფიქრებული და ნალვლიანი, როგორც ის მელოდია, რომელსაც ცოტა ხნის წინ უკრავდა. რა მიმზიდველი სახე ჰქონდა! მაგრამ ფერმკრთალი და სევდიანი, რო-გორც მარმარილოს ქანდაკი. რა მაღალი და ამაყი შუბლი, რომელზედაც არაამქვეყნიური სიდიადე უკრთოდა.

-რა გქვია! – ჰკიათხა ჯულიეტამ.

- ანტონიო.

- ანტონიო, დაუკარი კიდევ რამე ჩემთვის! – და ისევ აუღერდნენ სიმები, წინანდელზე უფრო მეტი ძალითა და ჯადოთი. ჯულიეტა ფან-ჯარას მიჰკროდა, ვერ ძებოდა სმენით და უსმენდა, სანამ სიმებმა არ დაამთავრეს თავიანთი სევდიანი ოხვრა.

-ანტონიო, მითხარ, ვინა ხარ?

-ობოლი ვარ.

- ვინ იყო მამაშენი?

- უბრალო მუშა იყო, მანქანამ გაიტანა.

- დედაშენი?

- ისიც მამაჩემის კვალს გაჰყება.

- და არა გყავს?

- არცერთი მახლობელი

- გინდა, მე შენი და ვიქენები, შენ ჩემი ძმა იყავი! მე ვთხოვ მამას ჩვენ სახლში გაცხოვროს და ჩემთვიდ ასეთი მელოდიები დაუკრა. მამაჩემი კეთილი კაცია, ძალიან ვუყვარვარ და ყველა სურვილს მისრულებს. შენც ამის შემდეგ იძულებული აღარ იქნები ლუკმა-პურისთვის ქუჩა-ქუჩა იხეტიალო. ჩვენ ძალიან მდიდრები ვართ.

- მე ძალიან ამაყი ვარ, სინიორინა.

- მე ჯულიეტა მქვია.

- მე ამაყი ვარ, მშვენიერო ჯულიეტა.

- ჩვენ ხომ არ წაგართმევთ სიამაყეს, ანტონიო?

- წამართმევთ, როცა ერთ ლუკმა პურს მომცემთ.

ჯულიეტამ ფული გადაუგდო და გაბრაზებული გაშორდა სარკმელს, მაგრამ მაშინვე ისევ მიბრუნდა ფანჯარასთან.

- ანტონიო! – დაუძახა მან.

ჭაბუკი მუსიკოსი, რომელსაც ფული აეღო და წასვლას აპირებდა, შეჩერდა და ზევით აიხედა.

- იმაზე მაინც ნუ მეტყვი უარს, რომ ყოველ საღამოს, სწორედ ამ დროს, მოხვიდე და დაუკრა ჩემი ფანჯრის ქვეშ.

- მოვალ, მაგრამ არა ისევ ამისთვის, – თქვა ანტონიომ და ფული დაანახვა.

- აბა?

- სილამაზისთვის.

ამჯერად ჭაბუკის ფეხებთან დაეცა მშვენიერი ქალიშვილის მკერ-დიდან მოწყვეტილი წითელი მიხაკი.

### 3.

და ისიც მოდიოდა.

ყოველ საღამოს, როცა მზის უკანასკნელი სხივები ელამუნებოდა პალატების ფანჯრებს, ჯულიეტას სმენას ეალერსებოდა მუდამ ახალი, მომჯადოებელი ბერები.

- ანტონიო, ნუთუ იმდენად ამაყი ხარ, ჩემთანაც არ ამოხვალ და ჩემს ოთახში არ დაუკრავ?

ანტონიო მდუმარედ ავიდა ჯულიეტას სენაკში.

- ანტონიო, ნუთუ იმდენად ამაყი ხარ, ჩემთან ერთად ზღვაზე არ გაისეირნებ?

მთვარის რძისფერ სინათლეზე, ზღვის მდორედ მოქანავე ტალღებზე ნელა მიცურავდა პატარა ნავი და ზღვის გალურსულ ღამეულ ჰორიზონ-ტებზე რიალებდა ჯადოსნური ბერები. მთელი ბუნება თითქოს სმენად ქცეულიყო. მსუბუქი და ლივლივა ბერები ეფინებოდა ირგვლივ და ინთქმებოდა მშვიდი ზღვის ჭავლებში, კრიალა, გამჭვირვალე ჰაერში.

- ანტონიო, ნუთუ იმდენად ამაყი ხარ? რომ ნებას არ მომცემ შენს მუხლებზე თავი დავდო?

- ო!.. – მხოლოდ ოხრავს ჭაბუკი არტისტი აგზებული თვალებით და მის ჯადოსნური ხემის ქვეშ ვიოლინო ახალი ძალით წნავს აქამდე არგაგონილ ღილინს.

ჯულიეტას ოქროსკულულებიანი თავი ანტონიოს მუხლებზეა მის-ვენებული და მისი ხავერდისფერი თვალები აღტაცებით, სიყვარულითა

და ბედნიერებით ქვემოდან შესცექრიან ახალგაზრდა მუსიკოსის შთა-გონებულ სახეს. ქალიშვილის თეთრი და მსუბუქი ტანსაცმელი, მთვა-რის რძისფერი სხივებით განათებული, თოვლივით ბრწყინავს და ზღვის ქაფში ჩაფლულ ფერიას ამსგავსებს ქალს.

ჭაბუკი დაჰპურებს მის მუხლებზე მისვენებულ საოცნებო სილამა-ზეს და თავადაც უკვირს, თუ რა უცნაურ ხმებს გამოსცემს მისი ხელის მოძრაობით ვიოლინო.

- ანტონიო, ნუთუ ისეთი ამაყი ხარ, ერთ კოცნასაც არ მაჩუქებ?

ვიოლინო დუმდება. ჭაბუკი არტისტი ნელა იხრება, მათი თმები ერთმანეტში იხლართება და მათ ათრთოლებულ ბაგეებს ცეცხლოვანი კოცნა აერთებს.

- ანტონიო, ანტონიო!..

- ჯულიეტა!.. ჯულიეტა!..

#### 4.

ერთ საღამოსაც, ჩვეულებრივად, ახალგაზრდა მუსიკოსი მაღალ-სარკმელებიან, გოთური სტილით ნაგებ სახლის წინ იდგა და ტყუიუბრა-ლოდ-ლა ცდილობდა ჯადოსნური ჰანგებით გარეთ გამოეწვია თავისი სირინოზი.

ფანჯარა დაკეტილი იყო.

ახალგაზრდა მუსიკოსი გულს მაინც არ იტეხდა, ვიოლინო ხან მბრძანებლურად მოუწოდებდა, ხან ვედრებით მოსთქვამდა, ხან ტირო-და და ოხრავდა სასონარკვეთილებით. ფანჯარა მაინც დაკეტილი იყო.

და როცა ვიოლინომ უკანასკნელად ამოიკვნესა. ფანჯარა ნახევრად გაიღო და ჯერ ერთმა მონეტამ გაინკრიალა ქვაფენილზე, შემდეგ ჭაბუ-კის ფეხებთან ფრიალ-ფრიალით დაეშვა ქაღალდის ნაგლეჯი.

ჭაბუკმა ქაღალდი აიღო და წაიკითხა:

,,მამაჩემმა თქვა, რომ ჩვენს შორის გაუვალი უფსკრულია. ჩვენ მაღლა ვართ, შენ – დაბლა. ნუღარ მოხვალ, დამივიწყე“.

წაიკითხა. ცოტა ხანს ნამეხარი ქანდაკებასავით იდგა ერთ ადგილზე, შემდეგ ერთი ძლიერად შეირხა და სასახლეს მრისხანე მზერა სტყორც-ნა. ბოლმა-მოსულს უნდოდა ქაღალდი ნაკუნებად ექცია, მაგრამ თავი შეიკავა, ფრთხილად დაკეცა და უბეში ჩაიდო; მონეტას ფეხი ნაჟერა, შორს გასტყორცნა, მერე ვიოლინო მაგრამ მიიკრა დაჭრილ გულზე და შეურაცხყოფილი, უარყოფილი გაეცალა იმ ადგილს მჭმუნვარე, მაგრამ

ამაყო გულით.

იმ დღიდან ვენეციის ქუჩებში აღარავის უნახავს ყველასათვის ნაც-ნობი ახალგაზრდა მევიოლინე.

გავიდა წლები.

ისევ ვენეცია.

ქალაქის პრესამ საზოგადოებას აუწყა სახელგანთქმული მევიოლი-ნის ანტონიო ბონვინის ჩამოსვლა. მას მხოლოდ ერთი კონცერტი უნ-და გაემართა ქალაქის დიდ თეატრში. უკანასკნელ წლებში არა მარტო იტალიის, არამედ ევროპისა და ამერიკის მთელი პრესა ლაპარაკობდა მუსიკის ზეცაზე გამოჩენილ ამ ახალ მოკაშქაშე ვარსკვლავზე.

კონცერტის საღამოს თეატრში ნემსი არ ჩავარდებოდა. აქ ესწრე-ბოდა ქალაქის მთელი მაღალი საზოგადოება.

ანტონიო ბონვინი... ყველა მოუთმენლად ელოდა მის გამოსვლას.

და აი, ბოლოს, ისიც გამოვიდა სცენაზე.

დარბაზმა თითქმის ერთხმად ამოისუნთქა.

განა ეს ის ანტონიო არ არის, რომელსაც სცნობდა ყოველი ვენე-ციელი? ის ახალგაზრდა მუსიკოსი, რომელიც შუა საუკუნეების ტრუ-ბადურივით ეხეტებოდა ქალაქიდან ქალაქში, ქუჩა-ქუჩა და სარკმელთა ქვეშ სერენადებს უკრავდა?

დიახ, ნამდვილად ის არის! აი, ძველი და ნაცნობი ბგერები, მაგრამ უკვე მომწიფებული, დავაჟეაცებული, თავდაჯერებული და გაუბზარავი, ხან ნაზი და სევდიანი, ხანაც საომარი შეძახილივით ვაჟკაცური შემარ-თებით სავსე.

და რამდენადაც ეს ჰანგები იყო მომჯადოებელი, იმდენად მშვე-ნიერი და მოხდენილი იყო თავად ანტონიო ბონვინი: თვალადი, ტანადი, ცეცხლოვანი თვალები, შთაგონებული სახე, მაღალი და ნათელი შუბლი, გრძელი, შესანიშნავი თმა. ეს ყველაფერი ჰარმონიულად ერწყმოდა მისი ჯადოსნური ვიოლინოს ბგერებს.

კანკალით მიწყდა ვიოლინოს უკანასკნელი ბგერა და სამარისებურ სიჩუმეში არტისტი სცენიდან გავიდა. დარბაზი, თითქოს ტკბილი და ლა-მაზი სიზმრით ყოფილიყოს მოჯადოებული, ჩუმად ყოფნას განაგრძობდა და უცბად, თითქოს მეორედ მოსვლაა, დარბაზი შეინძრა და დაიქუშა: ბონვინი!... ანტონიო!... ანტონიო! ... გენიოსი... ახალი სტრადივარიუსი...

ყველა მიიჩქაროდა კულისებისაკენ, რომ პირადად ჩამოერთმია ხე-

ლი ახალგაზრდა გენიოსისათვის, მადლობა ეთქვა და აღფრთოვანება გამოეხატა.

ახალგაზრდა მაესტრო დალლილი იყო. ჩაიკეტა თავის ოთახში და გამოაცხადა, არავისი მიღება არ შემიძლია.

მაგრამ აი, შემოვიდნენ და უთხრეს, რომ ერთ ქალს სურდა მისი ნახვა.

- არავისი მიღება არ შემიძლია!
- ძალიან იხვეწება. ის ერთი ცნობილი პიროვნების მეუღლეა.
- და დაუსახელეს მაღალი ჩამომავლობის და მაღალი თანამდებობის ერთი პიროვნება, რომლის ხელშიც ათასობით კაცის ბეჭი იყო.
- კარგი, შემოვიდნეს.

რაფაელის მადლონასავით მშვენიერი და დედოფალივით ჩაცმული ახალგაზრდა ქალი საჩქაროდ შემოვიდა და მაშინვე მუხლებზე დაეშვა ახალგაზრდა გენიოსის წინაშე.

- ანტონიო, შენი ჯულიეტა ვარ, მიყვარხარ...

ახალგაზრდა მაესტრო შეჩქვითდა და ბანოვანი საჩქაროდ წამოაყენა. თვალები რაღაც უცნაურად უბრნებინავდა, სწორედ ისე, როგორც ოდესალაც მაშინ, როცა საწყალმა ყმაწვილმა მუსიკოსმა ამაყად აჰედა მაღალი პალატის სარკმელს, მისი მდაბიური წარმოშობის და ქედმაღლობის ამაყადვე უარმყოფელს.

არც ერთი სიტყვა არ უთქვამს. ხელი გულის ჯიბეში ჩაიყო, ამოიღო უბის წიგნაკი, ხოლო იქიდან მზრუნველობით შენახული ქალალდის პატარა ნაგლევი და ჯულიეტას გაუწოდა.

- წაიკითხეთ, სენიორა, წაიკითხეთ! – უთხრა ანტონიომ.

უკიდურესად აღელვებული ჯულიეტა ვერ ბედავდა თავის მაღლა აღებას. მერე წერილი ჩამოართვა, უცბად სახეზე ცეცხლი შემოენთო და ძლიერ გასაგონი ხმით წაიკითხა თავისი დაწერილი:

„მამაჩემმა თქვა, რომ ჩვენ შორის გაუვალი უფრსკრულია. ჩვენ მაღლა ვართ, შენ – დაბლა. ნუდარ მოხვალ, დამივიწყე“.

ანტონიომ დასუსტებული თითებიდან წერილი უკანვე გამოართვა, მზრუნველად დაკეცა, ისევ უბის წიგნაკში ჩადო და უთხრა:

- აფსუს, სენიორა, მაპატიეთ, რომ არ დაგიჯერეთ და არ დაგივიწყეთ. თუმცა იმის შემდეგ აღარასდროს მოვსულვარ თქვენთან, მაგრამ არც დამვიწყებიხართ; ასე რომ არ ყოფილიყო, ამ წერილს ასეთი მზრუნვე-

ლობით არ შევინახავდი. ეს წერილი ჩემთვის ფასდაუდებელი განძია, რომელიც თქვენ მომიძლვენით. ამ განძს სიკვდილამდე თვალისჩინივით გავუფრთხილდები, რადგან ეს თქვენი წერილი, სენიორა, მე ის არ ვიქნებოდი, რაც ვარ. დიახ, არ დამვიწყებიხართ, მაგრამ, როგორც ჩანს, თქვენ დაგვიწყინიათ ის უფსკრული, ჩვენ რომ გვაშორებს. თქვენ მაღლა იყავით, მე დაბლა და ეს თქვენ უფლებას, გაძლევდათ ზიზღით გეცქირათ დაბლა. თქვენ არ გაითვალისწინეთ, რომ დაბლა მყოფი ხანდახან ფრთხებს შეისხამენ და მაღლა აფრინდებიან შურისძიების გრძნობით სავსენი. იმ დღეს, როცა თქვენ თქვენი სიმაღლიდან უარმყავით მე, დაბლა მყოფი, დავიფიცე, შური მექია და ამისთვის სხვა საშუალება ვერ ვნახე გარდა იმისა, რომ მეც ავმაღლებულიყავი, დაუცხრომლად მეშრომა და მევლო სულ აღმა და მიმედნია ამ სიმაღლისთვის, სანამ თქვენი სასახლეების სიმაღლიდან გამომზირალი ქედმაღლობა არ მოვიდოდა და არ დაიჩოქებდა ჩემი შრომით შექმნილ სიმაღლის წინაშე. დღეს მივაღწიე ჩემს მიზანს, მაგრამ ხელმეორედ შევიყვარო ის, ვინც სხვისი სათუთი გრძნობებით თამაშობს და დაბლა და მაღლა მყოფებს შორის მხოლოდ განსხვავებას ხედავს, რა ვენა, სენიორა, არ ძალმიძს.

ასე მთავრდებოდა იტალიური ნოველა, რომელიც ჩემს სამიჯნურო ამპავს ჰყავდა, მაგრამ ერთი ძირითადი განსხვავებით: აქ მე ვიყავი ბურუჟუაზის ღვიძლი შვილი, ფუფუნებით ცხოვრებას შეჩვეული, განებივრებული და უნებისყოფო ინტელიგენტი, რომელიც პირველივე დარტყმამ დასცა ისე, რომ წამოდგომა ვეღარ შესძლო. ის კი – მშრომელი ხალხის წიაღიდან გამოსული, მიუსაფარი, მოხეტიალე ჭაბუკი თავისი წარმომშობი გარემოს რკინის ნებისყოფით და მოთმიწებით აღჭურვილი, რომელიც ჩემსავით კი არ დასცა პირველივე დარტყმამ, არამედ პირიქით, ვინ იცის, რა სიძნელეების გადალახვით მიაღწია თავბრუდამხვევ სიმაღლეს, რომ იქიდან თავისი შურისძიების შხამი გადაენთხია მისი კაცური ღირსების შემლახველთა და დამამდაბლებელთათვის.

წინსვლა, სულ წინსვლა და დაუცხრომელი მაღლასვლა.. მართლაც და შესანიშნავი შურისძიებაა, რომლის განხორციელებისთვისაც მე ვერ გამოვდექი.

ამის შემდეგ როგორ დავიჯერო ჩემი კლასის ბედისწერა. იგი თანდათან ქვეითდება, იქცევა ხის დამპალ კუნძზე ამოსულ პარაზიტად და მაღლევე გაქრება, ადგილს დაუთმობს მათ, ვისაც შეუძლია ასვლა მაღლა.

## ხაჩატურ აბოვიანი

### შვილის სიყვარული და დიდსულოვნება

ერთი ყმაწვილი კაცი, სახელად რობერტი, ზღვის პირას თავის ნავზე ჩამომჯდარიყო და ზღვაზე სასეირნოდ გამოსულ მუშტარს ელოდებოდა. ერთი უცნობი კაცი მოვიდა, ჩაჯდა ნავში, მაგრამ მალევე წამოდგა და წასვლას დაეპირა, ალბათ, იფიქრა, ნავის პატრონი აქ არ არისო. „რაკი მენავე არა ჩანს, წავალ, სხვა ნავს დავიჭრო“, – ხმამაღლა ჩაილაპარაკა ნავიდან გადასვლისას.

- მოწყალეო ხელმწიფევ, – შეეხმიანა რობერტი, – ეს ჩემი ნავი გახლავთ. თუ გნებავთ, დაბრძანდით და გაგასეირნებთ.

- არა, ბატონი, – უპასუხა უცნობმა, – შორს შესვლა არ შემიძლია, დაღამებამდე ერთი საათილა დარჩა. მე მინდოდა მხოლოდ აქვე, ნაპირის სიახლოვეს მესეირნა, საღამოს სიოთი და სილამაზით დავმტკბარიყავი. ისე კი განცვითრებული ვარ: როგორლაც, მენავეობა არ გეტყობათ; არც ხმა, არც სახე, არც მეტყველება მენავისას არ გიგავთ!

- მართალს ბრძანებთ მენავე არ გახლავართ, მაგრამ ფული ძალიან მჭირდება და კვირა – უქმე დღეებში ამნაირად ცოტ-ცოტას ვმუშაობ ხოლმე, – უპასუხა ჭაბუკმა.

- ვაი, ვაი, ვაი!.. ცოდო არ არის, მაგ მშვენიერი სახის, მაგ ლამაზი ენისა და ასაკის პატრონი სიწუნეება და სიხარბე ასე დაგძლიოს?! ნუთუ არ გეაფსუსება შენი უმანკო სული, შენი ჯეელი სიყმე?! ხალხი კვირა დღეს ისვენებს და შენ ფულის გულისთვის ეგრე იტანჯები?

- ახ, მოწყალეო ხელმწიფევ, რომ იცოდეთ, ამას რა მაძულებს, ალარ ისაუბრებდით ასეთი სიტყვებით. კიდევ უფრო მეტი ტკივილი მოგეყენებინათ ჩემთვის და ალარც იფიქრებდით, თითქოსდა მართლაც ასე ცუდი ბუნებისა ვიყო! – მიუგო რობერტმა.

- შეიძლება, მართლაც უსამართლოდ გატკინეთ გული, – თქვა უცნობმა, – თქვენც ხომ სულაც არაფერი გითქვამთ ჩემთვის! წავიდეთ, გავისეირნოთ და გთხოვთ, თქვენი ამბავი მომიყვეთ.

უცნობი ისევ დაჯდა და ნავი ზღვაში შესრიალდა,

- რაღას უყურებ, მიამბე, რა გაწუხებს! შენმა სიტყვამ ძალიან გა-  
მაოცა და შენთვის გული შემტკივა.

- მე მხოლოდ ერთი სატკივარი მაწუხებს, ბატონო ჩემო: საყვარე-  
ლი მამა ბორკილგაყრილი ციხეში მეტანჯება; ვერც თვითონა შველის  
თავის თავს და ჩვენ ხომ ვერავითარი საშუალება ვერ გვიპოვია მის  
გასათავისუფლებლად! ის ამ ქალაქში დალალობას ეწეოდა, ამ ხელო-  
ბით ცოტაოდენი ფული ჰქონდა მოქუჩებული და იზმირში გამგზავრებას  
აპირებდა. ზღვაში მეკობრებს გემი ხელში ჩაეგდოთ და სხვებთან ერ-  
თად მამაჩემიც თან წაეყვანათ, ეგვიპტეში. ამჟამად დაჭერილია და იქ  
არის. ორი ათასი მანეთი სჭირდება მის გამოსყიდვას, თვითონაც თავს  
ვერ აღწევს ტყვეობას და ჩვენ ხომ სულ ცარიელ-ცარიელები ვართ.  
ამიტომაც დედაჩემი და ჩემი დები დღე და ღამე მუშაობენ. მეც ჩემს  
ოსტატთან ჯანს არ ვიზოგავ, კვირა-უქმე დღეებში კი ამ საქმეს მივდევ,  
რომ ორიოდე გროში ზედმეტი ვიშოვნო. გარდა უაღრესად საჭიროსი და  
აუცილებლისა, სახლში არაფერს ვყიდულობთ, ყველაფერს ვიკლებთ,  
ერთ პატარა ქოხში ვცხოვრობთ. ერთი პირობა მინდოდა წავსულიყავ და  
ტყვეობაში მამას მე შევნაცვლებოდი, ის კი გამეთავისუფლებინა. უკვე  
გამზადებული ვიყავ წასასვლელად, რომ, არ ვიცი საიდან, დედაჩემს  
ეს ამბავი გაეგო და გემთმეპატრონები გაეფრთხილებინა – ჩემი ბიჭი  
ასე და ასე აპირებს და არ წაიყვანოთო. ახლა ვართ ასე ოთხედელშუა  
მარტოდმარტო დაყრილები.

- ხანდახან მაინც არ მოგდით მამათქვენისგან რაიმე ამბავი? არ  
იცით, ვისთან არის მამათქვენი და როგორ ექცევა თავისი პატრონი?

- მისი პატრონი მეფის ბალის ზედამხედველია. მამაჩემს სიყვარუ-  
ლით ეპყრობიან და საქმეს მაინცა და მაინც არ აძალებენ, მაგრამ რა  
გამოვიდა: ჩვენ ახლო არა ვყავართ, რომ ვუშველოთ, ან რაიმე შვება  
ვაგრძნობინოთ. შორს არის და ჩვენ, მისი საწყალი ცოლ-შვილი, აქ დარ-  
დით ვიხოცებით.

- რა სახელი ჰქვია მამაშენს იქა?
- სახელი არ გამოუცვლია, ისევ რობერტი ჰქვია.
- რობერტი?.. ჰმ... ბალის ზედამხედველთან...
- ასეა, მოწყალეო ხელმწიფე.
- შენი უბედურება გულსა მწვავს, საბრალო ჭაბუკო! ასეთი გულის  
პატრონი რომ ყოფილხარ, ღმერთი უეჭველად შეგეწევა და გიშველის.

შენი გულისთვის მეც შევეხვენები ღმერთსა. ახლა კი, სანამ ჯერ არ დაღამებულა, მოდი, ცოტას დავისვენებ.

როგორც კი დაბნელდა, რობერტს უთხრა, დავბრუნდეთო. წასვლისას რობერტს ერთი ქისა ჩაუდო ხელში, მადლობის გადახდასაც აღარ მოუცადა და თვალის დახამხამებაში გაეცალა იქაურობას ქისაში ორმოც-ზე მეტი ოქროს მონეტა ჩჩრიალებდა. ჭაბუკს თვალები გაუშტერდა. ისიც ვერ გაიგო, ვინ იყო ეს დიდსულოვანი და ლვთისინირი კაცი. დასაწევად გამოუდგა, მადლობა მაინც გადავუხადოო, მაგრამ ვეღარსად ნახა.

გავიდა შვიდი კვირა. ერთ სალამოს რობერტის ოჯახში, როცა ყველანი შინ იყვნენ და ვახშმობდნენ, უცბად კარი გაიღო და რობერტის მამა, ცოცხალი და სალ-სალამათი, სახლში შემოვიდა.

რომელი თვალი და გული იქნებოდა, ასეთი ამბავი ენახა, გაეგო და არ გაჰკვირვებოდა. ერთმანეთში აირია ცრემლი და სიცილი. მამა-შვილმა სიხარულისაგან აღარ იცოდნენ, რა ექნათ, კარგა ხანს იდგნენ ერთმანეთს გადახვეულები. გულკეთილმა მამამ ბოლოს დიდი მადლობა გადაუხადა ცოლს მისთვის იმოდენა ფულის გაგზავნისათვის, მისი გზის, გემის, ტანსაცმლისა და ჭამის ხარჯის გაწევისათვის. აღარ იცოდა, რა ხოტბა შეესხა მათი სიყვარულისა და მოწადინებისათვის.

აქეთ ცოლ-შვილი იყო უარესად გაკვირვებული, ყველა ერთმანეთს შესჩერებოდა სახეზე. ბოლოს დედამ ამოილო ხმა და ეჭვი გამოთქვა: ეგ ყველაფერი ჩემი ბიჭის ნამოქმედარი იქნებაო. ბოლოს მამას მოუყვა, რას აკეთებდა რობერტი მამის ტყვევდ ჩავარდნის შემდეგ, როგორ უნდოდა წასულიყო და მამის მაგივრად დარჩენილიყო ტყვეობაში და როგორ შეუშალა ამაში ხელი თვითონ. არა და, მის გამოხსნას ორი ათასი მანეთი სჭირდებოდა.

- ჩვენ ცოტაოდენი ფული მოვაგროვეთ, – განაგრძო დედამ, – და დიდი ნანილი აქედან რობერტის ნაშოვნი იყო. თავისი ამხანაგებიც ეხმარებოდნენ.

მამა ჩუმად იჯდა, თავზაქინდრული და სახემოლუშული გულისყურით უსმენდა დედას, მაგრამ მისი უკანასკნელი სიტყვები რომ გაიგონა, შემოტრიალდა და თვალები შვილს მიაპყრო.

- უბედურო შვილო ჩემო! ეგ რა გიქნია?! სინანულის გარეშე როგორ დაგიმადლო ჩემი გამოხსნა. თუ ეგ ფული ცუდი გზით არა გაქვს ნაშოვნი, მაშ, დედას რატომ უმალავდი მაგ ამბავს? შენ ასაკში, ჰოი, შე

დატყვევებულისა და სვეგამნარებულის შვილო, როგორ უნდა გეშოვნა მაგდენი ფული? იმის გაფიქრებაზე, რომ შენმა შვილობრივმა სიყვარულმა მხოლოდ ეგ ერთი გზა გასწავლა, გული მიკვნესის! ტყვეობაში მოვმკვდარიყავი და ნურც შენ გნახავდი, თუკი ჩემ სისხლს არამი ფულით გამოისყიდდი! ნუ დამიმალავ, სიმართლე მითხარ, შვილო, რანაირად იშოვნე მაგდენი ფული? დამამშვიდე როგორმე უბედური მამაშენი!

-დაწყნარდი, მამი! თქვენი შვილი ისეთი ულირსი არ არის, რომ თავისი თავისთვის ეგ ჭუჭყი მოეცხო და თქვენთვის იმის დამტკიცებასაც შესძლებს, რამდენად ბედნიერია იგი, რომ თქვენნაირი მამა ჰყავს! მე არ გამომიხსნიხართ, მაგრამ ვიცი, ვინც არის ჩვენი კეთილისმყოფელი. დედაჩემო, ახლა მაგონდება ის უცნობი კაცი, მე რომ ქისა მაჩუქა, მას ხომ მოვუყევი ჩვენზე? მთელი ცხოვრება რომ დამჭირდეს, ქვეყანას მოვივლი და იმ კაცს მაინც ვიპოვნი, მინდა თავისი დათესილი სიკეთის ნაყოფი იზილოს და გაიხაროს.

მერე მამას იმ კაცთან შეხვედრაზე და ზღვაზე გატარებულ საღამოზე მოუყვა.

რობერტის მამამ მონახა თავისი ძველი მეგობრები. ყველას უხაროდა მისი დაბრუნება. რობერტის მამაც გახარებული იყო, არ ეგონა თუ ასე უყვარდათ მეგობრებს.

ორმა წელმა განვილო. ოჯახმა წელი მოიდგა და ფიტი მოიკრა. შვილებმა სამუშაო იშოვეს. ყველანი ყველაფრით კმაყოფილი იყვნენ, ერთი გამონაკლისით: თავიანთი კეთილისმყოფელი ვერა და ვერ ნახეს, რომ, უბრალოდ მადლობა მაინც გადაეხადათ და მისთვის თავიანთი ბედნიერება დაენახვებინათ.

ერთი დღეც იყო, როდესაც რობერტი ზღვის პირას მარტოდმარტო სეირნობდა, უცბად თვალი მოჰკრა იმ კაცს.

- ო, ყოვლისშემძლე ღმერთო! – ეს კი აღმოხდა პირიდან და იმ კაცის ფერხთა წინაშე უგონოქმნილი დაეცა. უცხო კაცი წამოსაყენებულად მივარდა. ბოლოს, როგორც იყო, რობერტმა თვალი გაახილა და იმ კაცს ტირილით შეეხმიანა:

- ჩემო ბატონო! არ მიცნობთ განა, თქვენს გაცოცხლებულს, თქვენ მონას? ნუთუ დაგავინყდათ რობერტის სახელი და მისი ოჯახი, რომელიც საფლავიდან ამოიყვანეთ, ახალი სული ჩაუდგით და მათი სვეგამნარებული მამაც მათვე უსაჩუქრეთ?! ჩვენო გადამრჩენელო, ჩვენო ღმერთო!

როგორც გენებოთ, ისე გვიმსახურეთ! მარტო ისე კი არა, რომ ცარიელ მადლობას გიხდიდეთ! ჩვენი ცრემლი და ლოცვა-კურთხევა ზეცამდის ავიდა, მგრამ თვალი და გული თქვენს ლოდინში გაგვიცვდა, ვერ გნახეთ ვერსად!

- ცდებით, ო, ჭაბუკო, – თავაზიანად მიუგო უცნობმა, – მე თქვენ პირველად გხედავთ, მე არ გიცნობთ თქვენ და თქვენც არ გეცნობებით, რადგან რამდენიმე დღე თუ იქნება, რაც ამ ქალაქში ვიმყოფები.

- საესებით შესაძლებელია, ბატონო ჩემო, მაგრამ მაინც გაიხსენეთ: თქვენ აქ იყავით ამ 26 თვის წინათ, ზღვაზე ნავით გაისეირნეთ და მითანაგრძნეთ ჩემს უბედურებაში, გამომკითხეთ ჩვენი მდგომარეობა და ჩვენი კეთილისმყოფელი გახდით – გაათავსუფლებონეთ მამაჩემი, გაგვათავისუფლეთ მთელი ოჯახი და იქეცით სინათლედ იმ ოჯახისა. ჩვენ იმის მეტი არაფერი გვინდა, თქვენ გიხილოთ, ჩვენს ოჯახში გნახოთ. გთხოვთ ჩვენი ოჯახის თხოვნასა და ვედრებას ფეხქვეშ ნუ გათელავთ, მობრძანდით, თქვენი თვალით ნახეთ თქვენივე ნაწყალობევი ბედი და დიდება! მობრძანდით, ჩვენი თავი იყოს თქვენი ფერხთა მტვერი! ან არადა – მომკალით აქვე!

- მე შენ, ეს არის, გითხარი, საყვარელო ყმაწვილო, ცდებით და მე არ მიცნობთ-მეთქი.

- თქვენ არ გიცნობთ? ნუთუ დავბრმავდი? თქვენი სახე ისე ჩაიბეჭდა ჩემს გულში, რომ არასდროს დამავიწყდებით! ჩემი თვალები რომ საფლავში ლპებოდნენ მინადქცეულნი, ჩემი სული მაინც თქვენ უნდა გეთაყვანოთ, ჩვენო პატრონო და მფარველო! ლვთის გულისათვის, გთხოვთ ოჯახში გვეწვიოთ ან აქვე მომკლათ!

ამ სიტყვაზე ხელი წაავლო და უნდოდა ძალით წაეყვანა თავისთან. ირგვლივ ხალხი შეიყარა. უცნობმა რომ ეს ნახა, ცივ და მკვეთრ ტონზე გადავიდა:

- ბატონო, ვხედავ, ჩემი გათამაშება გადაგინყვეტიათ. იქნებ ვინმეში გერევით? გონი მოიკრიბეთ, შინ წაბრძანდით და დაისვენეთ, შეჭირვებული ჩანსართ.

- ახ, უფალო ღმერთო! ასეთი უგულობა გაგონილა?! – დაილაპარაკა ისევ ყმაწვილმა კაცმა, – თქვენ ჩვენი ოჯახის კეთილისმყოფელი ხართ და რატომა გვხოცავთ? რატომ არ გინდათ თქვენი ნახვით გააბედნიეროთ ოჯახი, რომელიც თავის გადარჩენას თქვენ გიმადლით? განა უადგილო

ადგილას ჩაგივარდით ფეხქვეშ? ისეთი რა უნდა გავაკეთო, რომ თქვენი გული მოვალბო და ჩვენც ჩვენი ვალი გადავიხადოთ?! მობრძანდით და გვნახეთ ერთხელ, ჩვენ გელით! ხალხო, ვინც აქა ხართ, თქვენა ხართ მოწმენი, როგორი გაგიჟებული ვარ ახლა. ნუთუ არც თქვენა გტკივათ გული? რაიმე ტკბილი სიტყვა უთხარით ამ კაცს, რომ გულში ცეცხლი დამიშრიტოს და მიშველოს რამე! სახლში როგორ მივიდე, მააჩემს როგორ შევხედო თვალებში? თუ ღმერთი გწამთ, მიშველეთ, შემწეობა აღმომმიჩნეთ!

უცნობი, ჩანდა, ძლივსლა იკავებდა რაღაც შინაგან განცდას, მაგრამ, სანამ სხვები რაიმეს მოიაზრებდნენ, მან მთელი თავისი ნებისყოფა მოიკრიბა, რომ მოჩვენებითი გულგრილობით შეეხედა ამ მართლაც გულისამაჩუყებელი სურათისათვის, მერე კი ისარავით გავარდა სახლიდან და ერთ ნუთში გაუჩინარდა.

შეიძლებოდა ამ დიდსულოვანი კაცის სახელი იმ ოჯახისთვის სამუდამოდ უცნობი დარჩენილიყო, რომ მის საქმეთა აღმასრულებლებს მისი სიკვდილის შემდეგ ერთი ნუსხა არ ეპოვათ. ამ ქაღალდში ერთი ყადის სახელზე გადასაგზავნად აღნიშნული და დამტკიცებული იყო 7500 მანეთი. ეს საბუთი უკვე დასაწვავად იყო გადადებული და როცა შეეკითხნენ, ეს რა ქაღალდიაო, ბანკირმა უპასუხა: ეს ფული უფალ ბარონ მონტესკიეს ბრძანებით აფრიკაში იყო გადაგზავნილი, რომ ერთი ტყვე, ვინმე რობერტი, გაეთავისუფლებინათ.

ცნობილია, რომ სახელგანთქმული სწავლული მონტესკიე ბევრს მოგზაურობდა და ხშირად ეწვეოდა ხოლმე მარსელში გათხოვილ თავის დას.

## ავეტიქ ისააკიანი

აი, ეგ არაფერი – მე ვარ!

(იგავი)

აღმოსავლეთის ერთ ქალაქში, ზაფხულის პაპანაქება შუადღეს, ქუ-ჩაში, კედლის ჩრდილქვეშ წამოწილი ყოფილი ერთი მოხუცი დერვიში.

ჩამოძონძილ დერვიშს თითქმის მთელი ფილაქანი დაეჭირა და მის-ვენებულს დაქანცული თვალები ელულებოდა.

იმავე ფილაქანზე ამპარტავნული სიამაყით, მძიმე ნაბიჯით მოემარ-თებოდა მდიდრული სამოსით კაზმული ტარულა, ქალაქის მმართველი, გარსშემოხვეული ბრწყინვალე ამალით.

ქუჩაში ჩამომსხდარი ხალხი ფეხზე დგებოდა, აეკვრებოდნენ კედელს და ტარულას მოწინებით თავს უკრავდა.

ბრწყინვალე ამალის წინამძღოლი კვერთხის ქნევით მივარდა დერ-ვიშს და დაუყვირა:

- რას გაჩხირულხარ შუა გზაზე, ვერა ხედავ, ვინ მოდის?! აეთრიე ახლავე, შე რეგვენო!

- მე მხოლოდ ჩემზე დიდის წინაშე წამოვდგები ფეხზე, – აულელვე-ბლად მიუგო დერვიშმა.

ტარულა ძალიან დაანტერესა დერვიშის პასუხმა, მიუახლოვდა მას და შეეკითხა:

- განა მე შენზე დიდი კაცი არა ვარ?

- რა თქმა უნდა, არა! შენზე მაღლა კიდევ ბევრი თანამდებობაა.

მართალია თუ არა?

- მართალია.

- შენ ქალაქის თავი ხარ, რომ დაგანინაურონ, რა გახდები?

- ოლქის მმართველი, – უპასუხა ქალაქის მმართველმა.

- შემდეგ?

- შემდეგ ვეზირი.

- შემდეგ?

- შაჰისნაცვალი.

- შემდეგ?

- საზღვარი ეგ არის. შაპი ყველაზე მაღალია, ის არის ყველაზე დიდი.
- ვთქვათ, შაპი გახდი, შემდეგ? – შეეკითხა კვალად დერვიში.
- შემდეგ არაფერი. – უპასუხა ტარულამ.
- აი, ეგ არაფერი მე ვარ! გაიარე ახლა ჩემს ფერხთა ქვეშე და გასწი შენი გზით. – იმავე აულელვებლობით მიუგო დერვიშმა და მოღლილი თვალები მინაბა.

### **აზერბაიჯანი**

#### **ფარმან ქერიმზადე**

#### **ქალწულის კოშკი**

შავი წარბებივით ერთმანეთზე გადაბმულ თაღებთან კოშკის ჭიშკარში შევიდნენ. გოგომ ხელი დაუჭირა:

- მოდი, გავიქცეთ!
  - ნაცნობები დამინახავენ, უხერხულია!
  - უპასუხა ბიჭმა და ისევ მძიმე ნაბიჯით განაგრძო სვლა.
- „ქალწულის კოშკის“ სანახავად მიდიოდნენ კოშკის შინამო ბიჭს ადრეც ენახა, გოგოს კი – ჯერ არა.

სულ ცოტა ხნის წინ გაეცნოთ ერთმანეთი, გოგო ანცი იყო, გიუქმაჟი და ცქრიალა, შინაც ასეთი იყო და სამუშაო ადგილზეც, ასეთი იყო ამ ახალგაცნობილ ბიჭთანაც.

- მეგობარ გოგოს დარიგება დაედევნებინა:
- აბა, შენ იცი, ბიჭთან მძიმედ მოიქეციო.
  - არაფერსაც არ მოვიქცევი. როგორიცა ვარ, დაე, თავიდანვე ასეთი მიცოდესო, – ეპასუხნა ამას.

... მარჯვნივ მდგარი შენობის ჩრდილში სამი გოგონა თამაშობდა. ორი თოკს ატრიალებდა, ერთი კი სკუპებით ახტი-დახტოდა. გოგომ ესენი შეამჩნია თუ არა, ბიჭს გამოეყო და მოთამაშე გოგონებთან მიირბინა. ბიჭის მოსვლამდე ამ უცნობ გოგონებთან თამაშში ჩაება.

„თავქარიანია“, – გაიფიქრა ბიჭმა.

ხტომაში გოგოს კაბა მუხლებზემოთ აურბოდა, მკერდი უთამთა-  
მებდა, თმა სახესა და მხრებზე ეშლებოდა, ბიჭი გოგოს სახეზე სულ არ  
უყურებდა, თვალები მოთამაშე ფეხებსა და ტატან ტანზე მიეშტერებინა.

გოგო გაჩერდა. ღრმად ამოისუნთქა, გაიცინა და ბიჭს ხელი გაუ-  
წოდა.

- წავიდეთ!

ბიჭის წინ მჩეულია, სიცოცხლის სიყვარულით სავსე ქალიშვილი  
იდგა, იმ თოკის მოძრაობასთან შეწყვილებული ქალიშვილი...

კოშკაც მიაღწიეს. გოგომ კოშქს აჰედა. ბიჭს ხელით ანიშნა:

- ხედავ?

- რას?

- მტრედებს.

- ჰოო, წაიბურტყუნა ბიჭმა, – მეც არა ვთქვი, რას მიჩვენებდი. ეგ  
კი არა და, აქ რომ წარწერა იპოვო სადმე, იცი, რამდენს მოგცემენ?

გოგო გოგმანით უვლიდა ციხე-კოშქს გარშემო...

- მე რომ ის წარწერა ვიპოვო, არავითარ ფულზე არ გავყიდო. იცი,  
რა წარწერაზე გეუბნები? აი, სადაც ცრემლებით ქვაზე ნაწერი დარდი  
იქნება იმ ქალნულისა, კოშკიდან ზღვაში რომ გადაიჩეხა, რათა თავისი  
ლირსება დაეცვა... ახ, ნეტავი კოშქის კარი ღია ყოფილიყო!

„ამას თან ბავშური ქცევა აქვს, თან ჭკვიანი ქალიშვილისა“ – გაი-  
ფიქრა ბიჭმა და ხელი გამოუშალა, ხელისგულზე გასაღები ედო. გოგოს  
გასაღების დანახვა გაუხარდა, გამოართვა და კლიტე გახსნა შეირპინა  
და კოშქმი შევიდა. შესულმა თავი ასწია და მაღლა აიხედა. თავზემოთ  
მრგვალი ცა მოჩანდა კოშქის კედლები თითქოს თავის გარშემო დაუ-  
ტრიალდა.

- აუუუ...

კოშკმა ექო გამოსცა: „აუუუ...“

უი, რა კარგი ყოფილა! თითქოს შიგ ერთი კი არა, ორი გოგო ლა-  
პარაკობსა: ერთი – ჩქარ-ჩქარა, მეორე კი, მისი სიტყვების მოსმენის  
შემდეგ – მძიმე მძიმედ გოგომ ბიჭს უთხრა:

- გესმის?? კოშქიდან რომ გადაიჩეხა, იმ გოგოს ხმა არის.

ბიჭი შეესიტყვა:

- ეს შენივე ხმის ექოა.

გოგომ არაფერი უპასუხა, ორივე ხელი მაღლა აღაპყრო და ერთ ნაჭერ ცას შესძახა:

აუუუ...

ხმა გაიწელა. კოშკმა დაიგუგუნა.

გოგო გაიქცა და კედელში დატანებულ ტალანში შევიდა. იქ კოშკის თავანზე ასავალი კიბე იწყებოდა. ბიჭიც უკან გაჰყვა. სავალი ვიწრო იყო, ბნელი და გრილი. ბევრი იარეს მაღლა-მაღლა.

გოგოს ბიჭის ხმა მოესმა:

- ვეღარ გეწევი, სადა ხარ?
- აქა ვარ, არ ჩამორჩე!
- დაიცა, ხელი შემაშეელე, ფეხი მისხლტის.

გოგო შედგა.

- ვეღარ მოდიხარ? განა ამის ამშენებლები შენისთანა ბიჭები არ იყვნენ! იმათ ააშენეს და შენ კი ამოსვლაც არ შეგიძლია.

ბიჭმც მოაღწია, ხვეწით გასცა პასუხი:

- ეს შენისთანა მშვენიერის გულისთვის ააშენეს.

მან გოგოს შიშველი მკლავი დაუჭირა.

დაიცა, სად მიხვალ, ცოტა შევისვენოთ.

ამ სიბნელეში? არა, რა სათქმელია! გავიდეთ მზის სინათლეზე, იქა სჯობია.

- ამ კოშკიდან გადავარდნილი იმ ქალწულისა არ იყოს, შენც რომ სელში ჩაგდება მოგინდომონ, რას იზამ?

- რაო?

- მე შენ მიყვარხარ...

გოგომ გაიცინა. ამ სიტყვის ასე იაფად გახარჯვამ გააცინა. არა, მისი სიყვარული ამ გოგოს არა სჭირდება. ერთმანეთს ვერ გაუგებენ ვერასდროს!

მან ბიჭს განზე უბიძგა და კიბეს შეუყვა. ბანზე ავიდა. კოშკის ძირიდან დანახული მრგვალი ცა ახლა ფართოდ გადაეშალა თვალწინ. სახეზე მზის ნათელი დაეფინა. სიო თმებზე გაეთამაშა. გოგომ ქვემოთ ჩაიხედა. ზღვა, სანაპირო, მაღალ სახლები მის ფერხთა ქვეშ იყო გაშლილი მერე მიწაზე გართხმულ თავის ჩრდილს დახედა და რატომდაც კოშკიდან გადავარდნილი ქალწულის ნახატ სურათს შეუდარა. ეს სურათი მუზეუმში ჰქონდა ნანახი, სადაც თავადაც მუშაობდა. შეუდარა და... არა, არ ჰგავდნენ ერთმანეთს.

ბიჭი კიბის ჩასავალთან დამჯდარიყო კოშკიდან მტრედების გუნდი ავარდა ცაში. ერთი თეთრი მტრედი კედლის ქიმზე ჩამოჯდა. გოგო ფეხისწერებზე მიუახლოვდა. მტრედმა მოჰქედა და გაფრინდა გოგომ ქალაქს ერთიც მოავლო თვალი და დაბლა ჩამავალ კიბესთან მივიდა. საფეხურებს ხტუნვა-ხტუნვით ჩაუყვა. ბიჭი წამოენია და წელზე ხელი მოხვია. გოგო თავისკენ შემოაბრუნა და თითები მარწუხივით მოჭიდა ბეჭებზე. ბიჭის ნიკაპი გოგოს მკერდს დაეწაფა.

გოგომ გაიბრძოლა.

ნუ გავიწყდება, რომ ეს „ქალწული კოშკია“, – უთხრა ბიჭს.

ბიჭმა უფრო მჭიდროდ მიიკრა მკერდზე.

გოგოს სილაქმა ბიჭის სახეზე გაიტკაცუნა. ბიჭს ფეხი აუსხლტა, წაიქცა, თავი ქვას მიარტყა.

გოგო სწრაფად ჩავიდა დაბლა.

## ისა პუსეინოვი

### მცირე რამ რომანტიკა

ზაფხული, დიდი ხანია, აკრეფილიყო. პლაზი დაცარიელებული. ქვიშნარიც სიცივით სუნთქავდა. ისინი გვერდიგვერდ იწვნენ ქვიშაზე გაფენილ ხალიჩაზე.

შარგიმ თავი ასწია და მზერა მძიმედ მიმოატარა ვაჟის სახეზე; მურადს მოეწევენა, თითქოს მის თვალებშიც ისეთივე სიჩუმე და სიწყნარე სუფევდა, როგორც ზღვაზე და მთელ სანაპიროზე. იგი ოცნებით ეამბორა ამ თვალებს და გაიღიმა.

- სიჩუმეზე ფიქრობ, შარგი?

- მე შენს მანქანაზე ვფიქრობ. თეთრი „ვოლგა“ ძალიან მომწონს. აბა, მიბრუნდი და შეხედე, შენი აზრით, რასა ჰგავს?

მურადმა ცოტაზე წამოენია და მხრები აიჩინა.

- ჩემი აზრით, ისევ „ვოლგას“ ჰგავს.

- ერთიც შეხედე.

- შევხედე.

- ეგრე არა. ლოყა მინას მიადე და ქვემოდან შეხედე. ცალი თვალი კიდევ დახუჭე ისე, რომ ცის ფონზე მანქანის მეტი არაფერი ჩანდეს.

- რაღაც ოინს მიწყობ, შარგი. შენ რა, კოსმოსურ ხომალდს ამსგავსებ ამ მანქანას თუ რა არის?

- ყოჩალ, ყოჩალ! – ხელი ხელს შემოჰკრა გახარებულმა შარგიმ, – მე მგონია, ერთმანეთის ახლობელ ადამიანებს გრძნობაც, გემოვნებაც და ფანტაზიაც მახლობელი უნდა ჰქონდეთ... ჰა, რას იტყვი, მართლა ჰგავს თუ არა?

- გინდა მართალი გითხრა

- მაშ სხვას რას გეხვეწები?

- მართალი ის არის, შენ რომ ცა არ გეხსენებინა, მე კოსმოსური ხომალდი სულაც არ მომაგონდებოდა.

შარგი ჯერ თითქოს შეცპა, მერე განგებ წყენა აისახა ტუჩ-პირზე. მურადმა, ახლა უკვე გულწრფელად, რაღაცის თქმა მოიწადინა, მაგრამ შარგიმ ტუჩებზე თითო მიაფარა.

არ გინდა!.. ის მითხარი: ვთქვათ და, ამ წუთში მანქანის მაგივრად მართლაც კოსმოსური ხომალდი იდგეს, თანაც სასტარტოდ გამზადებული... გაფრინდები?

- არა.

შარგიმ წარბები აზიდა:

- რატომ?

მურადი თითებით მიეფერა წარბებზე.

- რაც შენ შეგხვდი, აღარ მინდა მინას მოვცილდე.

შარგი გაიბუსხა.

- ქათინაურს მეუბნები?...

- ეს ქათინაური არ არის, შარგი.

- კარგი, არც ჩემთან ერთად გაფრინდები?...

- არა.

- რატომ?

- იმიტომ, რომ კოსმოსში შენთან ერთად ასე თავისუფლად ვეღარ ვიღაპარაკებ.

შარგიმ ტკბილად ჩაიკისებისა და მურადს სახეზე ხელი მოუთათუნა.

- ნეისპრავიმი რეალისტ!

მურადმა სერიოზული გამომეტყველება მიიღო.

- მაგრამ, ერთი სათხოვარი მაქვს შენთან.

- ბრძანე.

- ჩემთან რუსულად ნუ ილაპარაკებ.

- ვაი... რატომ?

- იმიტომ, რომ ძალიან სუფთა გამოთქმა გაქვს და უხერხულობას ვგრძნობ.

- ვერაფერი გამიგია.

- შენი რუსული რომ მესმის, თავი ძალიან შეზღუდული მგონია.

- ვზღდორ!.. ვითომ, შენ ცუდად იცი ენა?

- ძალიან ცუდად! თანამედროვე დონესა და მოთხოვნებს თუ გავითვალისწინებთ, შეიძლება ითქვას, სულაც არ ვიცი.

შარგიმ თავზე ხელი გადაუსვა.

- ბედნენჯი! გინდა შენი მასნავლებელი ვიყო?

- ორმოცი წლის კაცი რომ მეზურნეობის სწავლას დაიწყებს, ის ალბათ, საიქიოში დაუკრავს, შარგი... – მურადი შეეჭვდა, სწორად გაიგო თუ არა ეს ხალხური ანდაზაო და უფრო გასაგებად თქმა დააპირა, მაგრამ შარგიმ დაასწრო.

- შენ ხომ ჯერ ორმოცი წლისა არა ხარ?

- ვარ, შარგი.

- შეუძლებელია.

- ორმოცი კი არა და, ცოტა მეტისა ვარ.

- ვერ დავიჯერებ. თავზე ერთი თეთრი თმაც კი არა გაქვს.

- კარგად არ დამკვირვებიხარ.

- აპა, ეს შენი თავი და ეს – ჩემი თვალები!

- ახლა ვერაფერს დაინახავ.

- რატომ?

- იმიტომ, რომ ჩამობნელდა უკვე.

- ჩამობნელდა?... – შარგიმ გედივით ყელი აიღერა, გაკვირვებით მიმოიხედა გარშემო და უცებ გადაიკისკისა, – ჩვენ რომ მოვედით, რომელი საათი იყო? – და პასუხისთვის არ დაუცდია, ისევ გადაიკისკისა.

უყურებდა მურადს და უმიზეზოდ, ბედნიერად იცინოდა. ხელები მურადის მკერდზე მიებჯინა, აღერილი კისერი უკან გადაეგდო და წკრიალა ხმით იცინოდა...

მუქ, ცისფერ ცაზე მსხვილ-მსხვილი ვარკვლავები გამობრნყინებულიყო. ლბილი ბინდბუდის მარმაშით დაფარული ქვიშნარი, საწირის თეთრ ფონზე შავად დამწკრივებული მეთევზეთა ჩარდახები და სანაპიროზე იკლიბაკლოდ აჩონჩისილი შორეული კლდეები, ყველაფერი, ყველაფერი, სიჩუმეში ჩაძირულიყო. მხოლოდ შარგი იცინოდა. მისი წვრილი საყურეების მძივებზე უცხო არილად ირეკლებოდა საიდანლაც დაცემული უხილავი სხივები. უბრნყინავდა ზღვის სინესტისაგან შენამული ღანვებიცა და პირისახესთან შედარებით ოდნავ მოსქი ქვედა ტუჩიც. სიცილისაგან მოთახთახე ღია ყვითლად ატალლული თმები შიშველ მხრებზე უბრნყინავდა, მურადმა ეს კოხტა მხრები თავის ხელებში წარმოიდგინა და ტალლისავით ერთბაშად მოაწვა საამო გრძნობა, თვალები აუჭრელდა, თითქოს რაღაც ჯადოქრობით მოვლენილი ამ ციური ფერის, ამ სილამაზის ქალმერთის გულში ჩაკვრას, მიალერსებას დაეშურა, მაგრამ შარგი მკლავებშუა გაუძვრა და გაქრა.

მურადს უნებური ოხვრა აღმოხდა. როცა გამოერკვა და თავი ასწია, ფერების სინათლე ეცა სახეში. მანქანის კარი რბილი ჩხაკუნით დაიკეტა. ხშირბინდში ნაზმა, მოთეთორო სილუეტმა გაიღვა და უცებ სინათლის შედედებულ ღვარში გამოჩნდა გედივით ყელმოლერილი შარგი. ფეხ-საცმელი ხალიჩის გვერდით დაეტოვებინა და მანქანამდის ფეხშიშველი წასულიყო. ახლაც ფეხშიშველი მოდიოდა უკანვე. სანაპირო წვრილი ნიუარით იყო მოფენილი, ნიუარები ფეხებსა სტკენდნენ. ხელები აქეთიქით გაეშალა და წონასწორობის დაცვით, ფეხშიშველად, ალაგ-ალაგ ბორძიეთაც, ნიუარების ჩხარუნში ფრთხილად მოუყვებოდა გზას.

ანზად იგი სინათლის ჭავლის მთლად შუაგულში მოხვდა და ისეთი შარავანდით შეიკრა, ქოლგისებური ჩითის კაბა სულ აღარ ეტყობოდა ტანზე. ქალის სხეულზე ყოველი ნაკვთი მთელი სიცხადით და სილამაზით მოჩანდა. მურადს თითქოს შერცხვა თავისივე ფიქრებისა – ამით ჩვენ წმინდა ურთიერთობას ხომ არა ვძლალავო. რაღაც შეუსაბამობა ინიშნა და თავი ჩაღუნა.

- სინათლე რატომ აანთე?

- შენი თმა უნდა ვნახო.

- ოი!.. შარგის ფეხი ატკინა ქვიშამ. მურადმა ნაზი ქმნილების უხეშ ხვინჭაზე ტანჯვას. ვიღარ გაუძლო, ერთი ნახტომით მასთან გაჩნდა, – ჰოპ! – ციმციმ აიყვანა ხელში, წამოიყვანა და ფრთხილად დასვა ხალიჩაზე.

პირისპირ ისხდნენ, ოდნავ გვერდულად, ახლა შარგი მის თმას ძალიან ყურადღებით აკვირდებოდა. მურადი კი, თითქოს შარგი ახლაც აყვანილი სჭეროდა. მარცხენა ხელში წელანდელივით გრძნობდა მისი წელის მოქნილობას, მარჯვენაში კი მისი ტანის სიმძიმეს.

- ერთი... ორი... სამი... - ჩურჩულით მარცვლავდა შარგი და თან ჩუმად იცინოდა. ბოლოს ისევ გადაიკისკისა და ხელები მუხლებზე შემოიჭდო, - ზუსტად რვა ლერი ჭალარა! - განგებითი სინანულით თავი ჩაღუნა და თქვა: - იტაკ, ია ვიხაუჟ ზამუჟ ზა სტარიკა!

მურადმა წამოიწია და თვალებში ჩახედა.

- სმენა ხომ არ მატყუებს, შარგი?

- რატომ?.. რაზე?.. - როგორლაც გაუცნობიერებლად შეეკითხა შარგი.

,, მაშასადამე შემთხვევით წამოსცდა!“

- გაიფიქრა მურადმა და იმავე წამს კვლავ მოესმა ბედნიერებით სავსე შეძახილი:

- ია ვიხაუჟ ზამუჟ! - შარგის ხელები გაეშალა და ტალღების ხმაურში ზღვისკენ პირმიქცეული გაჰყვიროდა: - ია ვიხაუჟ ზამუჟ!...

მურადმა თავი ველარ შეიკავა და მხრებზე მოეხვია. პირველად მოხდა, რომ შარგის წინააღმდეგობა არ გაუწევია, ის კი არა და, მურადს ორივე ხელი კისერზე მოხვია და ლოყით მკერდზე ჩაეხუტა.

ამ წამს მათ აღარ ახსოვდათ არც ზღვა, არც ქვიშა, არც ის მკაცრი კლდები, რომელსაც ინტერესით უმზერდნენ ბინდებამდის.

ცოტა ხნის შემდეგ შარგიმ ისევ ჩაიკუჭკუჭა და შემკრთალივით უცებ თავი ასწია.

- ოი!..

- რა მოხდა?

- მანქანა გვიყურებს.

თხელი ნისლის უკან მანქანას ფართოდ დაეხილა ცეცხლოვანი თვალები და მართლაც მათ შემოსცექეროდა. ბავშვებივით ხელი ხელს ჩაჰკიდეს და მანქანისკენ გაიქცნენ. მურადმა სინათლე ჩააქრო გარშემო სიბნელემ დაისადგურა. ზღვაც, ქვიშაც, კლდეებიც, მეთევზეთა ჩარდახებიცა მათთან ერთად შარგიც, სიბნელეში ჩაინთქნენ. მურადი როგორლაც გაუგებარმა და უცნაურმა მოუსვენრობამ შეიპყრო. მოეჩვენა, თითქოს როგორც ამ ხუთი დღის წინ შემთხვევით გაიცნეს ერთმანეთი,

ახლაც იმავე შემთხვევის წყალობით გაიყარნენ და უიმისოდ ქვეყნიერება წყვდიადმა მოიცვა... მაგრამ ბნელმა ნელ-ნელა გაცრეცა დაიწყო და მურადმა ჯერ შარგის თვალები, მერე მისი პრეტინავი ქვედა ტუჩი და შემდეგ კი მთელი მისი სახეც დაინახა. ამ სახეზე შარგისთვის ჩვეული სიანცის ნატამალი ალარ დარჩენილიყო. იგი გულდაჯერებით, ღრმად მგრძნობიარე სიყვარულითა და შეჰვერთვინვით შესცექეროდა მურადის ფალავნურ აღნაგობას. მურადმა თავი დაირნმუნა, რომ ისინი ერთმანეთისთვის იყვნენ გაჩენილნი. ღრმად ამოისუნთქა, მიბრუნდა და ზღვას გახედა. შორს ზღვის გოლიათური მკერდი ირწეოდა. ახლოს ტალღების შრიალთან ერთად მურადის ჩურჩულიც გაისმა.

- შარგი, მე ბანაობა მინდა.


- რა?.. - „წყალი ცივია, ბანაობა როგორ შეიძლება!“ - შარგის უნდოდა დაეშალა, მაგრამ ამის მაგივრად უცებ ბავშვივით გაიხარა: - მომიცადე მეც მოვდივარ!..

კლდეებთან მქრქალსინათლიანი ერთი ძველი მოტოროლერი გაჩერდა, ცოტა იტრახტრახა და ჩაჩუმდა. კიდევ ცოტა ხნის შემდეგ ქუდი-ან-ლაბადიანი მოყვარული მეთევზე თავისი ნემსკავით კლდის თავზე გადმოდგა და ერთბაშად გაოცებისაგან გახევდა: ამ შუა შემოდგომაზე, ყინულივით ცივ წყალში ორნი ბანაობდნენ. ერთმანეთს სახეზე წყალს ასხამდნენ, წუნაობდნენ, იცინოდნენ, მათი მხიარული სიცილი მთელ იმ უნაპირო, ცისფერ სივრცეს ეფინებოდა.

ბეპერმა მეთევზემ თავისი თავი წყალში წარმოიდგინა და ტანში ჭიანჭველებმა დაურბინეს.

- ბრრრრ!

ნუოკება  
მუსებნება  
მოგონება



მარადისობის  
ბინადარი



## ამონარიდები ზეზვა მედულაშვილის წერილებიდან მწერლობის შესახებ.

\*\*\*

ყოველი წესიერი კაცი თავისი სამშობლოს, თავისი ხალხის შემაწევა-  
რი უნდა იყოს, რითაც, როგორც და რა ზომითაც შეუძლია, რაღა თქმა  
უნდა, თავისი ნიჭის, ცოდნისა და უნარის კვალობაზე; თანაც, კარგია,  
ეყოს შემომქმედ კაცს გონიერება, პატიოსნება და პირუთვნელობა საკუ-  
თარ შესაძლებლობათა სწორად შეფასებაში, რომ ის თავისი ნიჭი, ცოდნა  
და უნარი სწორედ იმ სარბილზე გამოიყენოს, სადაც უფრო უპრანი  
იქნება მისთვის და მისი ქვეყნისთვისაც.

მეც ვწერდი ბავშვობიდანვე ლექსებსაც და მოთხოვბებსაც, მაგრამ  
შემდეგ თარგმანზე გადავინაცვლე, ასე ვარჩიე. უკვე თითქმის ოცი წელია  
ვთარგმნი ტაჯიკურ-სპარსული, თურქულ-აზერბაიჯანული, კავკასიური,  
სომხური ენებიდან.

ლიტერატურა ხომ დიდი სილამაზე და სიკეთეა. ყოველი ხალხიც  
ხომ თავისი ლიტერატურის, თავისი ენის სახით საკუთარ სიკეთეს ეფო-  
ფინება, მაგრამ განა ცუდია სხვის სიკეთეს შენი შეაგებო, შენსას –  
სხვისი, როგორც ირემმა ირემს ბალახი გაუნოდა? ცუდი კი არა, კარ-  
გია, ძალიანაც კარგი. აი, ამისთვის ვცდილობ შეძლებისდაგვარად. ჩემი  
სარგებელიც ეს არის. ხოლო, თუ ჩემმა სიტყვამ, ჩემი თარგმანის ერთმა  
პწერმაც კი ვინმეს სიხარული ან ტკივილი მოჰვევარა, საერთოდ, სიკეთეს  
აზიარა, მაშინ ჩემი სარგებელიც იქნება და მისიც. ამ ორმხრივ სიხარულს  
კი ქვეყნად არაფერი შეედრება, რადგან კაცი ბედნიერი მაშინ არის, როცა  
მისი სიხარული გაზიარებულია.

\*\*\*

ათასი ენაც რომ იცოდე, თუ ამ საქმეს მოკიდებ ხელს, რასაც ლი-  
ტერატურა და მთარგმნელობა ჰქვია, უპირველესად შენი ენა უნდა შეის-  
წავლო, შენი ენა უნდა გიყვარდეს.

გაგიგონიათ, ალბათ მიხეილ ჯავახიშვილის სიტყვები: კარგ მწერალს  
ჭირდება კარგი ქართულიო, მერე კარგი ქართულიო და მერე და მერე  
კიდევ, კარგი ქართულიო. ეს ზოგადად არის ნათქვამი, რა თქმა უნდა,  
მაგრამ დიდი სიმართლეა. არსებობს გამოთქმა: ძარღვიანი ქართულიო.

მე არ მესმის ეს გამოთქმა რას ნიშნავს ძარღვიანი ქართული? ამ ძარღვიანობაზე აქცენტირება არ მომწონს. ეს არ უნდა იყოს თვითმიზანი. სიტყვას აქვს ერთადერთი ფუნქცია, რომ თავის ადგილზე აღმოჩნდეს ტექსტში, ბუნებრივად გამოიყურებოდეს, თავისუფლად სუნთქავდეს. თუ ამას მოახერხებს მწერალი, მთარგმნელი, მაშინ მის ნაშრომს უკვე ღირებულება ექნება.

\*\*\*

ბუნებრივად თავის ადგილზე მორგებული სიტყვა ძარღვიანიც იქნება და თავის ფუნქციასაც სწორად და ზუსტად შეასრულებს. ეს არის სწორედ კარგი თარგმანის საიდუმლო.

\*\*\*

მთარგმნელი უნდა იცნობდეს დედნის ფაქტურას, რადგან თარგმნის დროს ავტორის მეტოქე და იგივე დროს, მეგობარიც ხარ. ხანდახან შეიძლება შეუსწორო კიდევაც რამე.

სომეხი მწერალი აღასი აიგაზიანი არის ცნობილი რეჟისორი, მხატვარი, სცენარისტი. თბილისში, ჩუღურეთში გაზრდილი კაცია. 38 წლისა გადასახლდა სომხეთში ქართულიც შესანიშნავად იცის. სულ თბილისზე წერს. მისი ათიოდე მოთხრობა მაქეს თარგმნილი. ერთ-ერთ მოთხრობაში აღწერილი იყო მზის ჩასვლა და წერს: მზე რომ გადავიდა, ჩრდილები აღმა აუყვა მტკვარსო. ამ დროს პირიქითაა. ჩრდილები დაღმა მიიღეს მზის ჩასვლისას, ასეც ვთარგმნე. ეს რომ ვუთხარი, ძალიან გაეხარდა. ასეც ხდება ხოლმე.

\*\*\*

არსებობს თარგმანისა სხვადასხვაგვარი თეორიები, ძირითადად მაინც ორი: სიტყვასიტყვითი (ზუსტი) თარგმანისა და თავისუფალი თარგმანისა. სიტყვასიტყვითი თარგმანის თეორია მხარს უჭერს დედნის მეორე ენაზე გადატანას ლინგვისტურ შესატყვისობათა სრული დაცვით, თავისუფალი თარგმანი კი გულისხმობს დედანთან ესთეტიკურ შესატყვისობას. მთავარი კი ერთია, მხატვრული თარგმანი ერთი ენიდან მეორეზე უნდა იყოს დედნის შესატყვისი, მისი ადექვატური ლინგისტურადაც და ესთეტიკურადაც. ცალცალკე არცერთი თეორია არ ვარგა, საჭიროა როგორმე

მათი ერთად მომარჯვება. ეს უკვე მთარგმნელის ნიჭიერებასა და ცოდნაზეა დამოკიდებული, იმაზე თუ რამდენად კარგად იცის ორივე ენა – თავისიცა და დედნისაც, რამდენად კარგად იცნობს იმ ერის ისტორიას, ლიტერატურას და ეთნოგრაფიას, იმ მწერლის შემოქმედებით სულსა და ინდივიდუალობას, ვისაც თარგმნის.

\*\*\*

არიან წიგნის (ჩვენს შემთხვევაში – თარგმნილის) მკითხველები და გადამკითხველები. თარგმანის გადამკითხველისათვის წიგნი არსებობს მხოლოდ გადასაკითხავად და ავად თუ კარგად, აზრის გამოსატანად. მისთვის საკითხი ამაზე შორს არ მიდის. ეს არის გართობა, ან არადა, დროს გაყვანა, დროის მოკველა წიგნის წაკითხვით, მაგრამ არის მკითხველიც, ნამდვილი მკითხველი, რომელიც გარკვეულად შემოქმედებითად უდგება თავად ამ პროცესსაც – კითხვას, და თუ იგი გონიერი, ჭკვიანი, ნაკითხი მკითხველია და უყვარს თავისი მშობლიური ენა და ლიტერატურა, არ შეიძლება თარგმანის კითხვისას არ დაებადოს იგივე ჩხრეკისა და შედარების სურვილი. ეს, რა თქმა უნდა, იმ შემთხვევაში, თუ ხედავს, გრძნობს და ხვდება, რა კარგი წიგნი უჭირავს ხელთ და აგერ, თურმე რა ცუდად უთარგმნიათ. თუ თარგმანი მაღალმხატვრულია, ენა გამართული ქართულია, მხატვრულ სახეთა დედნისეული სისტემა ქართულად შესატყვისი დახვეწილ აკინძულობითა გადმოცემული, მაშინ მკითხველი თარგმანს აღიქვამს როგორც მშობლიურ ენაზე დაწერილს, წყალივით სასიამოვნოდ მორაკრაკეს და არავითარი ჩხრეკისა და შედარების სურვილიც არ ებადება. იგი მხოლოდ ტკბება ნაწარმოებით. გამონაკლისია ასეთი სურვილის დაბადებაც და ეგ უკვე აღტაცებისა იქნება – თუ დედანშიც ასეა, ბარაქალა მთარგმნელოო!

\*\*\*

იშვიათად, რომ თარგმანმა ორიგინალს გადააჭარბოს ყველაფერში. მაგრამ, თარგმანი შვილივით არის. ზოგს თავისი თავი მოსწონს თარგმანში... რაკი პატიოსანი მთარგმნელი ვარ, ამას ვალიარებ და არა მცხვენია. პატიოსანად ვთარგმნი და ათ-ხუთმეტ ვარიანტს ვაკეთებ ხოლმე, რომ ძალიან მივუახლოვდე დედანს. სიყვარულითა ვთარგმნი, უნდა გაითავისო ის, რასაც თარგმნი, უნდა გიყვარდეს... უნდა შეეჯიბრო, მთარგმნელი არის პოეტის – დედნის ავტორის მეტოქე. ვიტყვი, რომ

ზოგიერთი თარგმანი შეუძლიათ აიღონ და აქედან იქით თარგმნონ, რა თქმა უნდა ნახევრად ხუმრობით ვამბობ. იგივე ქოროლლი ისეთი სიყვარულითა მაქვს გაკეთებული, – პირდაპირ ვმონანილეობდი...

\*\*\*

ტრადიციული კლასიკური მწერლობა ის მძლავრი ფესვია, რომელ-ზეც ამოიზარდა მოაზროვნე მსოფლიო. კლასიკურობასთან წილიანაყარი მწერალი თუუ ნანარმოები უკვე მთელ მსოფლიოს ეკუთვნის. ამდენად, შექსპირი, სერვანტესი, რაბლე თუ ხაიამი, იმდენადვე ჩემი, რამდენადც რუსთაველი, ვაჟა თუ გალაქტიონი – ინგლისელისა, ესპანელისა, ფრანგისა თუ სპარსელისა.

\*\*\*

მე, როგორც მწერალს, მთარგმნელსა და მკითხველს კლასიკურმა მწერლობამ მასწავლა ჩვენი ერთს და მწერლობის ყადრიცა და სხვა ერების ენათა და მწერლობათა პატივისცემაც. ჩემი სამაგიდო კლასიკოსების რიცხვი საკმაოდ დიდია, მაგრამ რუსთაველი, გურამიშვილი და ვაჟა მაინც ყოველთვის თვალწინა და ხელწინა მაქვს.

\*\*\*

კარგ წიგნს მკითხველი მუდამ ეყოლება, ახლაც და მომავალშიც, ხოლო ქალალდის ფურცლებზე წაიკითხავენ, თუ კომპიუტერში, ამას ჩვენს ტექნიზებულ დღევანდელობაში და, მით უმეტეს, მომავალში, არც ისე დიდი მნიშვნელობა აქვს.

\*\*\*

სიტყვას აქვს სული და გასულიერება არ უნდა შეეწიროს ხელოვნურ ტექნიკას. ზედმეტი ხელოვნურობა ზოგჯერ კლავს ამ სულს, ამ დვრიტას, ლვთიურობას, რომელიც მასშია ჩადებული.

\*\*\*

დღეს ალარ არსებობს ენის გასულიერებული განცდა და ამ დროს ენაა ყველაზე ცოცხალი არსება. ისე შევხარი სხვის ნაპოვნ სიტყვას, ან კარგ ლექსს, თითქოს ჩემი იყოს. თუ ვისიმე რამე მომეწონა, შინაგანადაც მეც მისი თანაავტორი მგონია თავი.

## საიათნოვა

საიათნოვას შემოქმედების მიმოხილვა ლენინგრადის, ბაქოს, ერევ-ნის, თბილისის ხელნაწერთა ინსტიტუტებიდან მოძიებული მასალების საფუძველზე

დიდი თბილისელი აშულისა და სახალხო მგოსნის, უბადლო საზან-დარ-მომლერლისა და თავისი დროის თბილისური ბოჭემის ერთ-ერთი უპირველესი კოლორიტის-საიათნოვას სახელსა და მის სამენოვან შემოქ-მედებას, მის მშვენიერ სიმღერებსა და ჰანგებს-XVIII საუკუნის თბილისში, ავლაპრისა და „თათრის მედნის“ ჩაიხანაში, აუდგამს ენა და ფეხი, მერე და მერე, კარგახნობით თბილისა თუ თელავში, ქართლ-კახეთის მეფეთა პალატებშიც კი უუღერია, ალუფროვანებია მსმენელი თუ მაყურებელი, შემდგომ და შემდგომ ბედის უკუღმართობით, მრავალი ათეული წლის განმავლობაში, დასავინყებლადაც კი ყოფილა განწირული, მაგრამ იმავე ბედის წყალობით, ნაღდი პოეზიის მცნობელ-დამფასებელთა ხელისწა-ველებითა და პატრონობით, კვლავ თავი უჩენია, ჩვენამდის მოუღწევია და ახლაც გვატებობს თავისი, ერთი შეხედვით სადა, უბრალო, მაგრამ დიდი პოეტური ოსტატობითა და, რაც მთავარია წრფელად ამოთქმული აზრთა და გრძნობათა მომხიბლაობით. ამ ლექსებს უკვე დიდი ხანია, არა მარტო მგოსნის მშობლიური თბილისი ან, თუნდაც მთლიანად საქართ-ველო-სომხეთ-აზერბაიჯანი, არამედ მთელი კულტურული მსოფლიო იცნობს და ალიარებს.

აშულური პოეზია რთული უანრული ფენომენია ლიტერატურისა. თავად აშულის ცნებაც კლასიკური გაგებით ლიტერატურისა და ხელოვ-ნების სხვადასხვა სახეობათა კომპლექსურ ერთიანობას მოიცავს. (ლექსი, მუსიკა, სიმღერა, სახიობა).

საიათნოვა წერდა და მღეროდა სამ ენაზე: ქართულად, სომხურად, აზერბაიჯანულად (თავისიც გამოთქმით-„თათრულად“). იყო კლასი-კური ტიბის აშული: თვითვე მთხზველი, თვითვე დამკვრელი, თვითვე მღერალი და ჰანგისაც თავად შემწყობელი. (დღევანდელი ტერმინით-კომპიტიტორი).

საიათნოვა სამ ენაზე წერდა და მღეროდა, მაგრამ სამ ენაზე წერა საიათნოვას შემთხვევაში არ ნიშნავს მისი პოეტური მრნამსის სამსახოვ-ნებასაც, იგი უფრო სამენოვანი ერთსახეობაა და ეს ერთსახეობა იმდე-ნად განიყოფა და განსხვავდება ერთმანეთისაგან, რამდენადაც ქართული

სომხური და აზერბაიჯანული ენები განსხვავდება, ვითარცა ერთი აზრის ერთნაირად, მაგრამ სამი სხვადასხვა გამოხატვის სამუალებანი.

საიათნოვამ პირველად იმღერა „სპარსულ ხმებზედ“ ქართული სიტყვით და ამით სათავე დაუდო ჩვენში აშულური პოეზიის ქართულენოვან შტოს (და არა-ქართულს, რადგან „ქართული აშულური პოეზია“, როგორც ერის მიერ სისხლხორცეულად მიღებული კულტურული ფაქტი, როგორც ეროვნული ტრადიციით შემტკიცებული სპეციფიკური ლიტერატურულ-უანრული ცნება, ქართულ სინამდვილეში არც მანამდე და არც შემდეგ არასდროს არსებულა). ამ შტომ ძველი აშულური პოეზიის კლასიკური ნიშნებისაგან დაცლილმა და შინაგანად დაშლილმა, გასული საუკუნის თითქმის ოციან წლებამდეც კი მოატანა, რომ აქ საბოლოოდ ჩაჰარებოდა ისტორიას.

საიათნოვა თავისი სამენოვანი შემოქმედებით, ამ შემოქმედების ფორმის თუ შინაარსისმიერი ხასიათით, საერთოდ, ყველა შინაგანი თუ გარეგანი სალექსო აქსესუარით (განსაკუთრებითაზერბაიჯანულ ლექსებში), ღვიძლი შვილია აღმოსავლური (ძირითადად თურქულენოვანი) აშულური ტრადიციებისა, ერთგულად იცავს და მიჰყვება ამ პოეზიისთვის დამახასიათებელ კანონიკურ სალექსო სქემებს, პოეტურ სახეებს და იდეულ მიმართულებას, მაგრამ უზარმაზარი პოეტური ოსტატობის წყალობით მგოსანმა შესძლო ძველ ყალიბში ახალი, სულ სხვა სიმკერივის შენადნობი ჩამოესხა, სულ სხვა ფერ-სურნელი მიენიჭებინა საუკუნეების განმავლობაში ათასგან ნახმარ-ნაცვეთი პოეტური ტრაფარეტებისთვის. დიდი უშუალობითა და გრძნობიერებით გასხივოსნებული პოეზიით, ცინცხალი პოეტური ფერებითა და ვერსიფიკაციული ნოვატორობით საიათნოვამ თავი დააღწია აშულურ პოეზიაში გაბატონებულ მხატვრულ-ვერსიფიკაციულ სქემატიზმს და თავისი შემოქმედების საუკეთესო ნანილით სრულიად დამსახურებულად გვერდში ამოუდგა ქართული, სომხური და აზერბაიჯანული კლასიკური ლექსის ნიმუშებს.

საიათნოვამ იცის პოეტური სიტყვის ყადრი, თუ – „ზოგი კაცი ღვინის სმას ეხვენება, ზოგი მეჯლისისა ზმას ეხვენება, – ჩემი ენა გამოთქმას ეხვენებაო“, გვეუბნება იგი ერთ ქართულენოვან ლექსში. მან იცის, აგრეთვე, თავისი, როგორც ოსტატისა და გამომთქმელის ყადრიც და ამიტომ უთქვამს თელავში ვინმე მოპაექრისათვის:

ნურვინ იტყვის – საზანდარი ვინა ვარ, –  
ანა-ბანა ვიცი, სიტყვით წინა ვარ,

საიათნოვა მქვიან, არუთინა ვარ,  
სიტყვას ვიტყვი – ცამ ქუხილი დაიწყოს!<sup>47</sup>

საიათნოვას, როგორც თბილისური ბოჭემის ნალდ წამომადგენელს, ასეთი ყარაჩილული შემართებაც ახასიათებს და ძალიც შესწევს ქადილი-სა. მსგავსი მხატვრული მაგალითები, უზარმაზარი პოეტური ენერგიით დამუხტული სიტყვიერი მარგალიტები, მგოსნის სომხურ და აზერბაიჯა-ნულ ლექსებში კიდევ უფრო მრავლადაა მიმობნეული.

საიათნოვას პოეზია ძირითადად სატრფიალო თემას დასტრიალებს თავს, თუმცა მისთვის უცხო არ არის მოქალაქეობრივ-სოციალური და რელიგიური მოტივებიც. ამას გარდა, სამივე ენაზე მრავლად მოეპოვება დიდაქტიკური ლირიკის ნიმუშებიც.

„გიყვარდეს“ – ლექსში წერს:  
ღვთისმოშიში იყავ პირველთავათა,  
ამას გირჩევს ცხოვრებანი მამათა;  
სამმა რამემ სულით ხორცი ანათა:  
წერა, კითხვა და დავთარი გიყვარდეს!

საიათნოვამ როგორც სიტყვის დიდოსტატმა და ნიჭმრავალმა ხელო-ვანმა, დიდი გავლენა მოახდინა თავის შემდეგდროინდელ თბილისელ და არა მარტო თბილისელ აშულთა პოეზიაზე, თუმცა მისი დარი და ფარდი მის შემდგომ არავინ გამოჩენილა ამ ასპარეზზე. ასე რომ, თუკი აშულურ პოეზიასა და ხელოვანებას ხარისხოვნების კრიტერიუმებით მივუდგებით, საიათნოვა იყო თბილისური აშულური სკოლის შემქმნელიცა და მისი დამასრულებელიც. მგოსანს თავის დამსახურება მიუძღვის ქართული ლიტერატურის ნინაშეც, იგი ითვლება მუხამბაზური ლექსის დამაკვი-დრებლად ქართულ პოეზიაში. მან პირველმა შემოიტანა და დაამკვიდრა ქართულ პოეზიაში სპარსული სალექსო ზომები და ფორმები.

საიათნოვას ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ, სამწუხაროდ, მეტად მნირი წყაროები მოიპოვება. ყოფილა დედისერთა. ცხრამეტი წლისას აღმოსავლეთის ქვეყნები მოუვლია, პირადად უნახავს ნადირ შაჰი. ოცდაათ-წლამდე თავი დაუდვია ყოველგვარი სამუსიკო საკრა-

<sup>47</sup> (ეს ლექსი ამონერილია კ. კეკელიძის სახ. ხელნან. ინსტ. ც-1926, მინანერ-ით „საიათ-ნოვას ერთი იშვიათი ლექსი“, ნათქვამი ჩლნა წ. – 1751 წ.)

ვის (ჩონგური, ქამანჩა, თამბურა და სხვ.) შესასწავლად და ამ ასაკში უკვე დასრულებული აშული ყოფილა. კიდევ ცნობილია, რომ პყოლია აგრეთვე, ცოლი, სახელად მარმარა და ოთხი შვილი. მელიქსეტი იოანე, სარა და მარიამი – ეს იოანე ის ივან სეიდოვია, თეიმურაზ ბატონიშვილის დავალებით რომ თავის მამის საიათნოვას ლექსები ჩაუწერია 1823 წელს. ზოგიერთ ავტობიოგრაფიულ ცნობას ისევ მისივე ლექსებში და ლექსებზე მინანერებში ვხვდებით. ამ ცნობათა და მისი სიკვდილის შემდგომ მოპოვებულ სხვა მცირეოდენ მონაცემთა თანახმად, იგი იყო თბილისელი, ტომით სომეხი. თავის თბილისელობას მგოსანი საგანგებოდ აღნიშნავს ერთ აზერბაიჯანულ ლექსეში:

ჩემი სამშობლი თბილისია,  
ქართველთა მხარე,  
დედას – ჰავლაბრელს,  
ჰალაბელსაც მამას ამბობენ.

- დედა ავლაბრელი მყავს, მამა-ალეპოელიო. მეორეგან კვლავაც აზერბაიჯანულ ლექსეში გვეუბნება: „გურჯისტანის (საქართველოს) მხარეში, თბილის- ქალაქში, საიათნოვას სიყვარულის ამხანაგად იტყვიანო“. სხვა აზერბაიჯანულ ლექსებშიც ახსენებს თბილისსა და „თბილისის მეიდანს“. იგივე „თათრის მოედანს“ რომელსაც ხან უბრალოდ, „მეიდნობითაც“ მოიხსენიებს. საიათნოვას სომხურ ლექსებშიცა აქვს მოხსენიებული თბილისური რეალიები, რაც გარკვეულად ხაზს უსვამს მის არა მარტო ყოფითს, არამედ სულიერ კავშირსაც თავის მშობლიურ ქალაქ თბილისთან, თბილისელებთან და საერთოდ, ქართულ გარემო-ყოფიერებასთან. ასე, რომ საიათნოვას ცხოვრება-შემოქმედების ფართო პლანში განხილვისას და მისი ლექსების ტექსტთა დადგენისასაც კი, ერთ-ერთ ძირითად კრიტერიუმად უნდა მივიღოთ მისი თბილისელობაც, როგორც თავისებური იმპულსი თუ ბერკეტი – თუნდ სოციალურ-ყოფითი, თუნდ ტრადიციული, თუნდ ენობრივი (ეს ეხება საიათნოვას სამივე ენას) და თუნდაც ეთიკურ-ესთეტიკური გაგებით.

მგოსნის გვარი უცნობია, საიათნოვა აშულური ტრადიციისამებრ შერქმეული (თუ შერჩეულ) ფსევდონიმია, სახელად კი არუთინა რქმევია.

საიათნოვა, ერთი (ცნობით, ყოფილა საბატონიშვილო ყმა შემდგომში საქართველოს (ქართლ-კახეთის) უკანასკნელი მეფის გიორგი XII-ისა, მაგრამ უფრო ხშირად ერეკლეს ხლებია.

ერეკლეს კარზე, როგორც აშულ-ხელოვანს, დიდად გამოუჩენია თავი  
და მეფის დიდი პატივისცემითაც სარგებლობდა თურმე. მალე, რაღაც  
მიზეზის გამო, ერეკლე აშულს გასწყრომია და სასახლიდან დაუთხოვ-  
ნია. შემდგომში საინათნოვა საინგილოში მლვდლად გაუმწესებიათ ხოლო  
მეუღლის სიკვდილის შემდეგ ბერად აღუკვეციათ ახპატში. სასახლი-  
დან დათხოვნისა და ძალდატანებით სასულიერო წოდებაში გადაყვანის  
სიმნარჯ აშულის ამ პერიოდის ლექსებში დიდი გულისტყივილით არის  
ასახული.

საიათონოვა სასახლის კარიდან თავისი დათხოვნა-გაძევებას უფრო თავისი ენას აპრალებდა და ერეკლეს წინაშე თავი დამნაშავედ არ მიაჩინა. „ნეტავ არ გაგეგდე, კარგად გეცემა, ჩემი სულიერი დედ-მამა ხარო!“ მიმართავს აშული ერეკლეს იქვე:

თუ გინდ დამიმტვრიონ წიბო-გვერდები,  
ცოცხალი თავით შენ ვერ მოგშორდები,  
თუ მტკვარი ვერ მომსპობს, ზღვას ჩავვარდები,  
ენით მოიმატე შენი დარდები,  
საიათოვავ, ნადველისთვის მზა ხარო!

„ენით მოიმატე შენი დარდებიო!“ – მიმართავს აშული თავის თავს. ასე რომ, სიტყვათამამი და სამეფო კარის ნებიერი აშული, შეიძლება რაღაც მომენტში ფრთხილად ვერ მოიქცა, სადღაც რაღაც ვერ მოზომა, ზედმეტი რამ წამოსცდა და სახელიან კაცს მოშურნეს რა დაულევს, მითუმეტეს-სამეფო კარზე, მიიტანეს მისი ნათქვამი სადაც საჭირო იყო და საიათოვაც სასახლის გარეთ აღმოჩნდა.

\* \* \*

ლენინგრადის სახელმწიფო სალტიკოვ-შჩედრინის საჯარო ბიბლიოთეკის ხელნაწერთა ფონდი, იმანე ბატონიშვილის ფონდი, ხელნაბ. N44. გვ 6V.

სავათნამისგან ნათქომი მუხანბაზი. ბერათ რომ შედგა, მაშინ თქ.

შე საწყალო ჩემო თაო რა იქნენ,  
ქვეყანაში სასაცილო შეიქნენ,

საითაც გაიქეც, იქით წაიქეც  
ბოლოს დროსაც ბედოვლათი შეიქენ  
რომელს დავაპრალო რისაგან არი  
ეს საქმენი ჩემის ჭკუისგან არი.

თითქმის ვიყავ, ქვეყანაში ქებული  
ტიქასავით, ოქროს ყუთში დებული.  
ეს რა მომივიდა ახირებული.  
ეს საქმენი ჩემის ჭკუისგან არი.

\* \* \*

ბრინჯი ვიყავ, ქერობა რად მინდოდა.  
ტრედი ვიყავ მწყერობა რათ მინდოდა.  
მოდი მითხარ ბერობა რათ მინდოდა.  
ვეჭობ ჩემის უბედურის დღისაგან არი.  
რომელს დავაპრალო რისაგან არი.  
ეს საქმენი ჩემის ჭკუისგან არი.

\* \* \*

საათლამა შეინახე შენთანა.  
საჯინიბოს დააყენე ცხენთანა.  
ველარ წავა. ხონთქართან ყენთანა,  
ნაქებია სუფრაშია ჩვენთანა,  
ჩემი ჭიანური ხისაგან არი.  
რომელს დავაპრალო, რისაგან არი  
ეს საქმენი ჩემის ჭკუისგან არი.

\* \* \*

აგერ მიღმა ურმებიცა ამართეს.  
საფრანგეთის ტურფა საზი გამართეს.  
ალთმი შული სატარულოთ წამართვეს  
ამიტომ რომ ერთსა ქოხში სდგეხარო.  
რაც მომიხდა განუსჯელობით არი.  
რომელს დავაპრალო რისაგან არი  
ეს საქმენი ჩემის ჭკუისგან არი.

**იოანე ბატონიშვილის კრებული, შიფრი 44. ეს კრებული სც.ტაბიძის გადაწერილია (შედგენილია ხის ს-ში)**

საიათნოვას პირველი შემსწავლელი იყო თეიმურაზ ბატონიშვილი, რომელიც ასე აფასებს მას: „საადამა, რომელსა ქართველნი სავათნამას უხმობენ, ...დიახ კარგი საზანდარი (ე.ი. მესაკრავე) იყო, სხვათა და სხვათა ინსტრუმენტთა (ე.ი. საკრავთა) უკრავდა და იმღეროდა, ლექსაცა თვითვე სთხზვიდა. ... სომხურსა და თათრულს სიმღერებსა და ლექსებსაცა სთხზავდა სხვათა და სხვათა შემთხვევათ უამსა. თვითეულის შემთხვეულების შესაბამი სტიხები სიმღერად საკვირველად უთქომს აზრიანი და შესაბამიერი; თუმცა ლიტონი სტიხებია მდაბიურს გვარზედ, მაგრამ დიდად მოსაწონი“.

**„თეიმურაზ ბატონიშვილის წიგნთსაცავის კატალოგი“, 1948**

**ს. იორდანიშვილის გამოც. გვ.40. ხელნაწერი №1091**

საიათნოვას ცხოვრება მონოგრაფიულად პირველად შეისწავლა ი.გრიშაშვილმა და მგოსნის ლექსებთან ერთად გამოსცა 1918 წელს. 30-იან წლებში საიათნოვას მონოგრაფიები უძღვნეს გ.ლეონიძემ და ლ. მელიქსეთბეგმაც, აშულის შემოქმედებისთვის ფასეული შრომები აქვთ მიღლვნილი აგრეთვე კაკელიძეს, ა.ბარამიძეს, გ.ჩიქოვანს, ლ.მენაბდეს, გ.შაყულაშვილს და სხვებს. 1963 წელს მეორედ დაიბეჭდა საიათნოვას ქართული ლექსები ა.ბარამიძის ბოლოსიტყვაობით, ტექსტების ისტორიით და ლექსიკონით.

მგოსნის პოეტური მემკვიდრეობა ძირითადად შემონახულია ორ ხელნაწერ კრებულში. ერთი კრებული „დავთრად“ წოდებული და თვით მგოსნის სიცოცხლეშივე შედგენილი, ნაწილობრივ სხვათა დახმარებით, დღეს ერვანში ინახება. დავთარში შესულია მხოლოდ აზერბაიჯანული და სომხური ლექსები, ქართული ნაწილი აკლია. აზერბაიჯანული ლექსების ნაწილი დაწერილია სომხური ანბანით, ნაწილი-ქართულით, სომხური ლექსები კი, ქართული ანბანით.

მეორე კრებული საიათნოვას შვილს, ივან სეიდოვს თეიმურაზ ბა-

ტონიშვილის დავალებით შეუდგენია 1823 წელს პეტერბურგში. ეს კრებული შეიცავს მგონის ლექსებს სამივე ენაზე და სწორედ ამ კრებულმა (ლენინგრადში) შემოგვინახა საიათოვას დღეისთვის ცნობილი ქართული ლექსების ორ მესამედზე მეტი. ცალკეულ ლექსთა ხელნაწერები, მეტნილად ფრაგმენტული, გადადამნერთაგან დამახინჯებული, გაბნეულია თბილისის, ლენინგრადისა და ერევნის ხელნაწერთსაცავებში. ამ ხელნაწერების თავსა თუ ბოლოს გადამწერთაგან დართული კომენტარებით, მნირი, მაგრამ მაინც შემონახული სხვადასხვა პირდაპირი და არაპირდაპირი წყაროებით, თვით მგონის ლექსებში ალაგ-ალაგ გაბნეული ავტობიოგრაფიული რეალიებით შესაძლებელი ხდება ავად თუ კარგად, მაგრამ ზოგად ხაზებში მაინც ალვადგინოთ აშულის ბიოგრაფია.

საიათოვას ცხოვრება-შემოქმედებაზე, მისი ბიოგრაფიის ცალკეული მომენტების დადგენაზე, პოეტური ტექსტების მოძიება-გაშიფრვაზე, მათი გამოქვეყნების ისტორიაზე და, საერთოდ, მრავალუმრავლეს საკითხზე, რომლებიც კი ამ არაორდინალური პიროვნების ცხოვრებასა და შემოქმედებას ცოტათო მაინც უკავშირდება, დღემდის ზღვა ლიტერატურაა დაგროვილი მონოგრაფიებისა, სამეცნიერო შრომებისა თუ საგაზითო წერილების სახით, ქართულ, სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ და აგრეთვე სხვა საზღვარგარეთულ ენებზე, ევროპულზე თუ აღმოსავლურზე.

გერმანელი მწერალი, მთარგმნელი – არტურ ლაისტიც განიხილავს საიათოვას შემოქმედებას. ლაიფციგში გამოცემულ წიგნში – „ლიტერატურული ესკიზები“, ლაისტი საიათოვას ფილოსოფოსს უწოდებს და წერს: „საიათოვა გადაჭარბების გარეშე უნდა მივაკუთვნოთ აღმოსავლეთის უგამჩენილეს პოეტთა რიგს“.

მიუხედავად სხვადასხვაენოვან მკველევართა მრავალწლოვანი გარჯისა, მგონის ცხოვრება და მოღვაწეობა, მისი დრამატული ბიოგრაფია, პოეტური ტექსტები (სამივე ენაზე), ტექსტების დიალექტური თავისებურებანი და სხვა მრავალი რეალია ჯერ კიდევ არ არის ბოლომდე შესწავლილი და დამაჯერებლად დაზუსტებული. ამის მიზეზი მრავალია: ტექსტების ხელნაწერთა მრავალვარიანტულობა, ჩამწერთა და გადამწერთა მცირემცირდნეობა, აშულური პოეტიკის ტერმინოლოგიაში გაურკვევლობა და ა.შ მკვლევართა უმეტესობა, ძირითადად, იკვლევდა მგონის ბიოგრაფიულ მომენტებს და ნაკლებ ყურადღებას აქცევდა ტექსტოლოგიურ საკითხებს, არადა, ლექსთა ტექსტებში და ტექსტებზე მინაწერებში, ხან

ღია და ხან-დაშიფრული ფორმით, ქარაგმულად თუ მინიშნებულად ნათევამში, მოიპოვება ძვირფასი ცწობები საიათნოვას სხვადასხვა ბიოგრაფიულ ამბებზე. სათქმელია ისიც, რომ ტექსტების გაგებას ართულებს მათში დახვავებული აღმოსავლური ლექსიკა: აზერბაიჯანულში-სპარსულ-არაბულ-ქართულ-აზერბაიჯანული და ქართულში-სომხურ-არაბულ-სპარსულ-აზერბაიჯანული. საქმეს ართულებს ისიც, რომ საიათნოვას სახელს, როგორც სხვა გამოჩენილი ადამიანების ბიოგრაფიისთვისაც არის დამახსასიათებელი, იმთავითვე თან აჰყვა ათასი ქორ-მართალი და ლეგენდა, რასაც ბევრი მისი მკვლევარი უცილობელ ჭეშმარიტებად მიიჩნევდა და სავარაუდოს სასურველად ნარმოსახავდა. ეს ეხება მგოსნის მძიმე ბიოგრაფიის სხვადასხვა მომენტებს: მისი სიყვარულის ობიექტის ვინაობას, სამეფო კარიდან მისი გაძევების მიზეზებს, მისი სიკვდილის მიზეზსა და თარიღსა და ა.შ.

მიუხედავად ზემოთქმულისა, საიათნოვამცოდნეობაში არსებული პრობლემატიკის დიდი ნაწილი დღესდღობით უკვე დაძლეულია. ეს ეხება მგოსნის ბიოგრაფიასაც, შემოქმედებასაც და ლექსების ტექსტოლოგიასაც, მაგრამ ამავე ასპარეზზე ჯერ კიდევ მრავალი რამა საკვლევი და განსამარტავი. განსაკუთრებით აზერბაიჯანულ ლექსებში. აზერბაიჯანული ლექსები რიცხვით მეტია, ვიდრე ქართული და სომხური ლექსები, ერთად აღებული, შესწავლით კი ნაკლებადაა შესწავლილი და გამოცემითაც მათი მხოლოდ მცირე ნაწილია გამოცემული.

საიათნოვას შემოქმედების შესწავლა უნდა მოხდეს კომპლექსური წესით, სამივე ენაზე დაწერილი ლექსების შინაარსობრივ, მხატრულ-სახეობრივ და ლექსიურ ურთიერთ კავშირში, აღმოსავლური (არაბული, სპარსული, თურქულ-აზერბაიჯანული, სომხური, აგრეთვე-ქართული) ფოლკლორისა და ყოფითი რეალიების (ზღაპრული გმირების, ლეგენდარული პერსონაჟების, ისტორიული პირების, გეოგრაფიული სახელებისა და სხვა მრავალი მსგავსი ფაქტორის) ცოდნითა და აშუღური პოეზიის ზოგად კანონთა (ლექსთნების ზომები და ფორმები, ლექსის სახეობათა ნაირგვარობა, მათივე ამსახველი ჭრელი ტერმინოლოგია, აშუღური ლექსის მეტნილად ექსპრომტული ხასიათი და ა.შ.) გათვალისწინებით. ამათთან ერთად (და, ყველაზე უფრო მეტადაც კა!) ტექსტების შინაარსის დადგენისას, ანგარიში უნდა გაეწიოს და ერთ-ერთ მთავარ კრიტერიუმად იქნას მიღებული იმ ენა-კილოთა (საიათნოვასდროინდელი თბილისური ქართული, თბილისური სომხური, თბილისური აზერბაიჯანული) დია-

ლექტური თავისებურებანი, მათი კონგლომერატული ბუნება, აგრეთვე ის სოციალურ-კულტურული გარემო, რომელშიც უხდებოდა ბრუნვა ამ დიალექტებს. ასეთი კი იყო საიათნოვას საგაზრდილო ქალაქი თბილისი, თავისი ცხოვრების ნირით, თავისი დუქან-ბაზრითა და „მეიდნით“, ამ დუქან-ბაზარში მოტრიალე ჭრელი ხალხითა და ამ ხალხის ასეთივე ჭრელი ლექსიკით, რითაც გაელენითილია საიათნოვას ლექსები სამივე ენაზე. ასე რომ, საიათნოვას შემოქმედების შემსწავლელმა უნდა იცოდეს ყველა ის ენა და დიალექტი, რასაც ფლობდა თვით საიათნოვა, რათა სწორად გაიგოს მგონსის ნახმარი ამა თუ იმ სიტყვისა თუ მთელი სტრიქონის მნიშვნელობა, რადგან მცდარი წაკითხვა მცდარი დასკვნების საფუძველი ხდება ხოლმე. ამგვარი მაგალითები კი საიათნოვას ტექსტოლოგიაში საკმაოდ ბევრია.

## ზეზვა მედულაშვილის მონაყოლი მედულაშვილებზე და არაშენდაზე

მედულაშვილების ძირი და ფესვი, რამდენადაც ვიცი და ვხედავ კიდეც და დადასტურებულიც არის, და მაინცდამაინც ვარაუდიც აღარ არის – ეს არის სოფელი არაშენდა, კახეთში, გურჯაანის რაიონში. დანარჩენი მედულაშვილებიც აქედან არიან გაფანტულები საქართველოს სხვადასხვა მხარეში, ძირითადად – კახეთში. თუმცა, როგორც ვიცი, თუმცა პირადად არავის ვიცნობ, ზესტაფონშიც ყოფილა რამდენიმე ოჯახი და ისინიც ყოფილან გადასულები სოფელ ახალსოფლიდან, ყვარლის რაიონიდან. და ის კაცი, ვანც გადასულა ახალსოფელში ჩემი ნაცნობი ოჯახის, ბასილა მედულაშვილის ძმა ყოფილა. თვითონ ახალსოფლელებს, ძელ გავაზელებს, მიაჩნით, რომ ჩვენი სოფლის არაშენდის სანახებიდან გადასულან და იქ გამრავლებულან ახალსოფელში. არიან სხვა მედულაშვილებიც, რომლებიც ახალსოფლიდან გადასულან წინანდალში, ოლონდ ისინი უკვე მედოლიშვილები არიან, მაგრამ მედულაშვილობენ. მე ვიცნობდი მამა-შვილს არჩილ და კაკო მედოლიშვილებს. ერთხელ მე შევიარე მათთან წინანდალში მთელი ავტობუსით, მაშინ

რაღაც დელეგაციას ვხელმძღვანელობდი, თელავში ჩამოვიარე და ავტობუსით შევუარე მილეთის ხალხით. არჩილა ალარ დამხვდა ცოცხალი. კაკო წასული ყოფილა სადღაც საზღვარგარეთ სამუშაოდ. გამოვპრუნდი უკან. იქ ქალებმა იცოდნენ ჩემს შესახებაც, მომიკითხეს კიდეც. მეც მოვიკითხე, პირადად არავის ვიცნობდი. მედულაშვილობები ისინი, ოლონდ მედოლიშვილები არიან.

პაპაჩემი იოსებას, იგივე ბუქიას თქმით, თითქოს წინანდლელები პაპიროზიანთი ყოფილან. ისევე, როგორც ზედმეტსახელად ჩვენ მედულაშვილების ერთი შტო შინათიანთი ვართ. არ ვიცი, რამდენად მართალია.

ახლა ის არჩილა ძია ალარ არის ცოცხალი. კაკოც, დიდი ხანია, არ მინახავს, არ ვიცი ჩამოვიდა, თუ ისევ საზღვარგარეთ არის.

მუზიკანტს ეძახიან, ალბათ უკრავს. ის არჩილა ძია აქეთ მამაჩემის ბიძაშვილის ბეჟანა ძიას გადანაჭერი იყო, ისე ჰევდა ფერით, სახით. ის კაკო წანახი მყავდა ადრე ახალსოფელში. მედოლიშვილები ახალსოფელელ მედულიშვილებთან წათესაობენ და ხშირად ჩადიან ერთმანეთთან რელიგიურ დღესასწაულებზე და იქ გავიცანი ახალსოფელში 45-46 წლის წინ წინანდლელი მედულაშვილები არჩილა ძია და კაკო, რომლებიც ჩვენს არაშენდელ მედულაშვილებსა თვითმმართველები არის ძალიან, ფერ-ხორცით და შესახედაობით, ის არჩილა ძია აქეთ ბეჟანა ძიას, პაპაჩემის ძმიშვილს ჰევდა და ის კაკოც, გადაჭრილი ქუჩო მედულაშვილი იყო, ჩვენი – არაშენდელი. ანუ ეს ნიშნავს გენის ერთობას. ეს საკითხი გადაჭრილად მიმაჩნია. მაგრამ, ეს გვიანდელი საკითხებია, საიდან მოვდივართ, – აი ეს საძიებელია .... მხოლოდ ვარაუდები შეგვიძლია გამოვთქვათ.

შეიძლება ჩვენი გვარი სხვა მსგავსი გვარისგან არის წარმოებული, მაგ. მედულაურებისაგან. ის, რომ მთასთან კავშირი გვქონდა, დიდად სავარაუდოა.

აქვე ორიოდე კილომეტრში არაშენდასთან არის სოფელი – ფხოველა. ძველი ისტორიული სოფელი იყო, სადაც ახლა ერთი კაციც არა ცხოვრობს.

მეოცე საუკუნის 50-იან წლებში ის სოფელი ფხოველი და იქვე ზიარიც, არაშენდის საბჭოში შემოდიოდნენ. ეს ხალხი, ვითომ უგზოობის გამო გადაასახლეს გურჯაანის რაიონში, თვითონ გურჯაანშიც. იქედან მოკლე ჩასასავლელი გზა არის გურჯაანამდის, არაშენდიდან გურჯაანამდის დაახლ. 10 კმ. იქნება, ტყეზე ბევრჯერა ვყოფილვარ ბავშვობაში, ფეხითაც.

აქედან მცირე აღმართია ლაკბის ხეობამდის არაშენდიდან, არაშენდის მიმდებარე გვერდზე სოფელს ქოდალას რომ გასცდები, ჩახვალ, ჩაღმართია ლაკბემდე. ლაკბიდან ერთი კმ იქნება ზიარამდის, გადახვალ, დაეშვები და გურჯაანამდის არის სულ დაღმართი. სოფელი ფხოველიც იქვეა, გვერდით. ზიარსა და ფხოველს შეუა ეხლა მოცარიელებული მინდორია. მახსოვს ბებერი კაკლის ხეები ამ მინდორზე ბავშვობაში, იქ სავარგულები იყო კოლმეურნეობისა მხოლოდ. ამ ადგილს ნანიანს ეძახიან ქოდალელებიც, არაშენდელებიც, ზიარელებიც და ფხოვლელებიც. საქმე ის არის, რომ ეს ნანიანი, სოფელი უკვე სხვა ადგილს არის, ქვევით კაჭრეთის მიმართულებით. არაშენდის ქვემოთ მიბმულია ნანიანი. ეს ბადებს ეჭვა, რომ ნანიანი ჩვენს ქვემოთ, ეტყობა, თავის დროზე იქა სახლებულა ზიარსა და ფხოველს შორის. ანუ ეს რამდენიმე სოფელი არაშენდის გარშემო იგივე ფხოველი, ზიარი, ქოდალა, დარჩეთი, არაშენდის ოდნავ ჩრდილო-დასავლეთით. ეს ყველა სოფელი შემოდიოდა არაშენდის სასოფლო საბჭოში. საერთოდ, ყველანი ესენი ამოსულები არიან ფხოვლიდან და ეს ერთიანად იყო საანდრონიკაშვილო, თავადი ანდრონიკაშვილების სამფლობელო. ანდრონიკაშვილები, ძმები, გაყრილები იყვნენ, ზოგს ქოდალაში ჰქონდა სასახლე, ზოგს არაშენდაში. არაშენდა დიდი სოფელი იყო. ზოგიერთი რაიონული მასშტაბის დაწესებულება იყო არაშენდაში. მახსოვს, ჩემს ბავშვობაში, როცა არაშენდა იყო არა გურჯაანის, არამედ კაჭრეთის რაიონი. კაჭრეთი არაშენდის ქვემოთ არის. ისიც მცირე ზომისა, მაგრამ რაიონული ცენტრი იყო, შემდეგ დაიშალა კაჭრეთი და ისევ გურჯაანს შეგვიერთეს. ეს სოფელი ყველა ერთმანეთს ვიცნობდით, ჩვენი სოფლის სკოლაში სწავლობდნენ ზიარელები, ქოდალელები, დარჩეთელები, ხან ჯიმითელებიც კი. ის კი არა და, იორმულანლოს, დუზაგრამის თათრებიც კი მაშინ კაჭრეთის რაიონში შემოდიოდნენ 60 – იან წლებში და მათაც ბევრს ვიცნობდით. სარაიონო კომისარიატიც კი არაშენდაში იყო მაშინ.

ასე რომ, არაშენდელები ვართ, ძირითადად, მედულაშვილები, ერთ-ერთი მრავალრიცხოვანი გვარი არაშენდაში. როგორცა მსმენია მედულაშვილები ყოფილან ასევე სოფ. მელაანში. ერთი მედულაშვილია ცნობილი, რომელიც მართლა მელაანელი იყო, ხოხობა მედულაშვილი, რომელიც არაშენდაში მოკლეს აქ ჩასაფრებულმა სტრაჟნიკებმა მეოცე საუკუნის 20-იან წლებში. ის ყაჩაღი ყოფილა, თუ ტყის ძმა. მასთანვე იყო პაპაჩემის ძმა ილია მედულაშვილი, იგივე შანათიშვილი. ჩვენი შტო

მედულაშვილებში შანათეს შტო ვართ. შანათიანთ გვეძახიან, ვიღაცა შანათე გვყოლია. ამისი ვერსიები არსებობს.

ჯიმითშიც უცხოვრიათ მედულაშვილებს. აქედანვე არიან გადასულები გურჯაანში. ორი-სამი მეც ვიცოდი, რეროაანი იყვნენ, იქით თაგვანთი მედულაშვილები, გიორგი პაპა იყო აქეთ ჭრილოაანთ მედულაშვილი. ჭრილოაანი სახლეულებად არიან დაყოფილი, იყვნენ კვირიანთები, ხოხონაანთები – იგივე თაგვაანთები, ჩვენ – შანათიანთ მედულაშვილები, არიან ჭუკიაანთები. ნანიანში არიან ხარაანთი, ტიტლიკანაანთ მედულაშვილები. სხვებიც ყოფილან. სხვებსაც უნდა შევეკითხოთ, ყველა თავისას რომ იტყვის შემდეგ უფრო მეტს გავიგებთ მედულაშვილების შესახებ.

შესაძლოა რამდენიმე ქართულ გვარს ერთი წარმოშობა ჰქონდეს, მედულაშვილებს, მედოლიშვილებს, მედულაურებს, მიდელაშვილებს, მედელაშვილებს, მეგულაშვილებს (თეთრ წყაროში სოფ, სალრაში).

ეხლა რაც შეეხება ჩვენს წარმოშობას, ჩვენ წარმოშობით ფხოვლიდან ვართ. ფხოველი თავის დროზე დიდი სოფელი იყო. ეკლესიაც ჰქონდა. მეცა მაქეს ნანახი ნანგრევები. ადრე წაკითხული მაქეს, სულ სხვა თემებზე ვმუშაობდი მაშინ არქივში და სამეფო აქტებს ეძახიან, რუსეთმა რომ ჩაიპარა (მიიტაცა) ტრაქტატის საფუძველზე საქართველო, იქ ძველი საბუთები ათარგმნინეს რუსულად. ეს აქტები არის არქივში და იქ ამოვიკითხე დისერტაციის მასალებზე მუშაობის დროს. 1802 და 1804 წლებში რომ იყო აჯანყება რუსეთის მთავრობის წინააღმდეგ, მგონი ფარნაოზ ბატონიშვილის თაოსნობით, კონსპირაციული შეკრებები მაშინ ტარდებოდა სოფ-ფხოველში, რომელიც შედარებით ჩაყუული მთებში და შეიძლება ამის გამოც აირჩიეს შტაბად. ამ სამეფო აქტებიდან ჩანდა, რომ შეთქმულები თითქოს გაუყიდია ვიღაც ბოდბელ მღვდელს, შემდეგ ეს აჯანყება ჩაიშალა. ჩააქრეს ყველა აჯანყება, ასევე 1810 წლისაც.

ასე რომ, ამ ფხოვლიდან ვყოფილვართ ჩვენ. ჩემ ბალლობაში არც ერთი მედულაშვილი აღარ ცხოვრობდა იქ, მხოლოდ ფხოვლის ბოლოს ბაკებიღა ჰქონიათ მედულაანთ და ეძახიან მედულაანთ ყურეს. ბუქია პაპა მედულა ყურეს ეძახდა. ლაკებე მაშინ წყალსავსედ მოდიოდა, კარგი გასადევარი ჰქონდა სოფელს, ტყე გვერდზე იყო. საძოვრებიც იყო. აქ, ალბათ, ანდრონიკაშვილებმა დაგვასახლეს, ერთ-ერთმა ძმამ. ერთი ზიარში იყო, მეორე – ფხოველში, მესამე – ქოდალაში. ფხოვლელები 4 წლამდე ქოდალის სკოლაში დადიოდნენ და შემდეგ არაშენდის სკოლაში

მოდიოდნენ საშუალო სკოლაში, სადაც რვანწლედი იყო. არაშენდელები ქოდალის წმინდა გიორგში ლოცულობდნენ. ძველი საეკლესიო ჩანაწერებიც იქიდან არის შემორჩენილი.

ასე რომ, ერთხორცი ვიყავით ეს 5-6 სოფელი. არაშენდა ზეგანზე იყო, ფხოველი ხეობაში, დაბლა, ზიარი მაღლა, იქით საალაზნოს გადასახედით და აქეთ საივრო გადასახედით. ყველა ერთმანეთს იცნობდა, ნათესაობდნენ, ამხანაგობდნენ. თავადებმა გაყოფისას თავისი ყმები ფხოვლიდან წამოიყვანეს თავ-თავის კარმიდამოსთან ახლოს. არაშენდაში უზარმაზარი შენობა ჰქონდა აბელიანთ (აბელ ანდრონიკშვილი, ერეკლეს გამზრდელი). ეტყობა პაპაჩემის მამა ბოლოს წამოიყვანა, იმიტომ, რომ ამათი მახსოვრობა კარგად ინხავდა ფხოველს. მედულა ყურეში მეც მახსოვს, საცურაო იყო, ჩავდიოდით და ვბანაობდით, იქ ბუღლუტს ეძახდნენ, დაგუბებული იყო, ადრე მორევი ყოფილა. ლაპეზე ადიოდა გზა-ბილიკი მელანზე. მაგ. ცნობილი ქართველი მწერალი ნათიძე იყო, რომელიც ერთადერთი მოთხოვობით გახდა ცნობილი, მოთხოვობით „ბეჭლო“. ფსევდონიმად ჰქონდა მელანია. პაპაჩემის ბებიაც ნათიძე ყოფილა, მაგრა დედაკაცი. გადმოცემით ცნობილია, რომ ქურდები დასცემიან საქონლის გასარეკად, მაგრამ მას ტყვია დაუყრია ბერდენკით და გაუქცევია ქურდები.

ჩვენ მედულაშვილები ვართ, მაგრამ ერთ ნაწილს შანათიშვილებს გვეძახიან, ბებიის გამო, რომელსაც დაარქვეს მეტსახელად შანათე..

მაშინ ფხოველში იყო ლაპეზის უბანი და პაპაჩემის ბებიას მელანელ ნათიძეს, რომელსაც თავისმა დედამთილმა უთხრა „შანათე“ სოფიო, შაანათეო, რომ საქონელი დაეთვალიერებინათ გომში და ქურდები შეეშინებინათ“.

თვითონ ეს სიტყვა – ფხოველი რას ნიშნავს. სიტყვა ფხოვი ფშავს ნიშნავს ძველქართულად. ფხოვი საერთოდ ქართულ მთიანეთს ერქვა აქეთ ფშავ-ხევსურეთს. „ფხ“ ძირი მაინც ქართველსა ნიშნავს, ჩეჩინურად – „ფხია“. მოხევესაც ნიშნავს ფხია და ქართველსაც ზოგადად. ფხოვი – ფშავი. მაინც ხევს უკავშირდება, ხევი ნიშნავს მდინარესაც, ჩაღრმავებულ, ჩავარდნილ გამოხრულ ადგილს და თვითონ წყალიც ხევია. ჩეჩინები ფხიას მოხევეს უწოდებენ, ეს ალექსანდრე ყაზბეგსაც აქვს ნახსენები; „ფხ“, ფხოვი, ფშავი, ფშა არის წყარო ფშანი, ნაკადული პატარა. მთიელი – ფხოველი.

ეტყობა, ან კომპაქტურად ჩამოსახლდნენ, რაღაცას გამოექცნენ, სისხლის ალებას, ან სხვას, ისევე როგორც ალუდა ქეთელაური თემმა განდევნა. მთა მაინც მწირი ადგილია, დიდი შრომა უხდება იქ კაცს, რომ გაძლოს, თავი და ოჯახი შეინახოს. ჩამოსახლდნენ ბარში.

შეიძლება სოფელი უკვე იყო, ფხოველებიც ჩამოსახლდნენ, შეიძლება ჩამოსახლებულები უფრო მეტნიც იყვნენ, ვიდრე ბარში დახვედრილი ადგილობრივები და დაერქა ფხოველი სოფელს.

ფხოველი ნახსენები აქვს დავით გურამიშვილს, რუსის სტანიცაში კაზაკებთან რომ მივიდა, იქ იგონებს:

„როგორც რომ რუსის კაზაკმა მე ერთმა მამიარაო, როცა რომ მყვანდა, მივლიდა მეც მამაჩემი არაო, ადგა და გულზე მიმიკრა, მკოცნა და ცრემლი ღვარაო, სწრაფად მოენედ მომგვარა ფხოვლელი იანვარაო“.

მაშასადამე, ფხოველი ნიშნავს ფშაველს, მაგრამ ფხოვლელი ნიშნავს სოფ. ფხოველის მკვიდრს.

მაშასადამე ფხოვლელი აღმოჩენილა რუსეთში, როცა დავით გურა-მიშვილი გაექცა ლეკებს და იქ დახვდა ფხოვლელი იანვარა.

თუმცა იანვარაშვილებიც არიან; ასევე იაგანაშვილები ცხოვრობდნენ ფხოველში ბევრი, ბებიაჩემი ნატო იაგანაშვილი იყო და ჩემს ბავშვობაშიც მიხნიას ვიცნობდი იაგანაშვილს, მერე ისინიც გურჯაანში გადასახლდნენ. გამიგია, თითქოს – იანვარა ძიაო, ბებიაჩემი ნატოს და ოლა იხსენებდა.

სულ ოთხი-ხუთი გვარი ცხოვრობდა ფხოველში: ძირითადად მედულაშვილები, იაგანაშვილები, ჯავახიშვილები და ჯავარაშვილები.

მახსოვს სკოლიდან ექსკურსიაზეც წაუყყავნივართ, გურაზას ქვას-თან, სოფელში, დიდი კლდე-ლოდია. ადრე ცნობილი სოფელი ყოფილა ერეკლეს დროს და ადრე, ბოდბელმა მღვდელმა რომ გასცა შეთქმულება, იქ ერთი ფრაზა იყო „ლაკბეზედ შევიყარენითო“.

ადრეც ყოფილა ეს სახელები. ლაკბე უერთდებოდა იორს, იორი-ალაზანს, ალაზანი – მტკვარს და მტკვარი-მინგეჩაურის წყალსატევს.

თავის დროზე გზა რომ გაეყვანათ ზიარში და ფხოველში, შერჩებოდა ხალხი. ახლა უკვე ბრუნდება ხალხი თავის ძველ საცხოვრისზე და ისევ ძველ მიწებს ეპატრონება. ჩვენი ძველი ხალხი ამბობდა, რომ მედულაშვი-

ლებს იქ ზედაშეები გვექონია ფხოველში. იქ იგონებდნენ წინაპრების სულებს და აწყობდნენ ნადიმს. ახლა უნდა შევეკრიბოთ ინფორმაცია ჩვენი წინაპრების შესახებ და არ უნდა ჩამოვრჩეთ ევროპელებს, რომლებმაც ხშირად 7-8 თაობა იციან და შვილებს გადაცემენ ამ ინფორმაციას.

ახლა, რატომ ჰქვია ჩვენს სოფელს არაშენდა, იმ ვარაუდებზე ვისაუბროთ. მედულაშვილების გვართან დაკავშირებით კიდევ ერთი ვერსიაა: არაშენდაში ცხოვრობს კიდევ ბანელაშვილის გვარის ხალხი. მაშინ არაშენდის ტოპონიმებს ვაგროვებდი 70-იან წლებში. ამ გვარის უხუცესმა კაცმა გიო ბანელაშვილმა (ისემებმ) დაახლოებით 95 წლის კაცმა მომითხოვ წინა საუკუნის 70 წლებში : „ შვილო, პაპაჩემისაგან ვიცი, და იმან თავისი მამისაგან იცოდა, რომ ჩვენა ვართ მედულაშვილებიო. ჩვენ გვყოლია უფროსი წინაპარი ჩვენი შტოს საფუძველდამდები ბანელა მედულაშვილიო“. როგორც ეტყობა ეს ბანელა შერქმეული სახელი უნდა იყოს იმ მედულაშვილებისა, გამოცვლილი სახელი „ბან“ ნიშნავს ლეკურად, ხუნძურად, ანუ ავარულ ენაზე მგელს. ბანელაუ ნიშნავს მგლის ლეკვს, რაც, სავარაუდოდ, მეტსახელად დაურქმევიათ ლეკებს იმ კაცისთვის, რომლის ნამდვილი მეტსახელი იმ გიო პაპამაც არ იცოდა. კახეთში ჩვეულებრივი ამბავია მეტსახელის შერქმევა.

ამ გიო პაპამ მითხრა რომ ეს გიო მედულაშვილი მაგარი კაცი და „სოფლის შემნახავი“ იყოო, ანუ მოჭირნახულე ფიზიკურად, მოქმედებით და სიტყვიერად ძლიერი ადამიანი. ეს კაცი ყოფილა დაახლ. ზვიადაურივით, სტუმარ-მასპინძელიდან. გარეთ მავალი კაცი, სოფლის გუშაგი.

რაკი ბანელა მედულაშვილი ასეთი გამორჩეული კაცი ყოფილა და თვითონ ბანელაშვილმა გიო პაპამ შემონახა, ბანელაშვილების მედულაშვილებიდან წარმოშობის ამ ვერსიას სრული უფლება აქვს იარსებოს. ეს ადასტურებს მედულაშვილების სულ ცოტა ორი საუკუნის ისტორიას ამ გვარით.

## რას ნიშნავს ჩემთვის სოფელი

ჩემთვის სოფელი მუდამ იყო, არის და დარჩება როგორც ქართული ყოფისა და არსებობის თავი და თავი, ქართული ძირ-ფესვის, ენის, ტრადიციების, ზე-ჩვეულებების შემნახავი და გამაგრძელებელი, თაობათა აღმზრდელ-მასნავლებელი და წინაპართა ხსოვნის პატივმცემელი, მიწის

მუშაკი, მეურნე და მეურვე, მამულის მედგარი დამცველი და მოყურიადე. რას ნიშნავს ჩემთვის სოფელი?

როცა ამ მცირე საურნალო წერილის დაწერა შემომთავაზეს, ჯერ ძალიან გამიხარდა, „კი, ბატონო-მეტქი“, დავთანხმდი. სოფელში დაბა-დებულ-გაზრდილი კაცი ვარ და სოფლის ყადრსა და სიკუარულს როგორ დავკარგავდი! მერე, თავი რომ დავიმარტოვე და იმის ფიქრსა და განსჯას შევუდექი, რა დამენერა, როგორ დამენერა, საიდან დამენყო, როგორ ამენყო, რით დამემთავრებინა ერთი სიტყვით, წერილისთვის რა ფორმა მიმეცა, – აქ უკვე ძალიან დავიბენი, რადგან ერთბაშად იხუვლა და ურდოსავით გარს შემომადგა ათასი მოგონება და განცდილ-გადატა-ნილი, ჩემი ბავშვობისდროინდელი სოფლის ყოფა-ცხოვრების სურათები, მშობელთა და პაპა-ბებიათა შრომა, ჯაფა, გაჭირვების ჭაპანი და მაინც იმედიანობა, სოფლელთა ურთიერთობა, ურთიერთ-გატანა, სამამულო ომის დროინდელი სიძნელენი, შიში, სიღარიბე, ნაკლებულობა, ცეცხლის სესხება, უსაპნობა, უასანთობა, ტილიანობა და სხვა კიდევ უამრავი – კარგიც და ავიც!

აი, ამდენ საგონარში და ემოციათა ალყაში დავიბენი და აღარ ვიცოდი, ქოთნისთვის ყური საიდან მომება. რამდენიმე დღე ფუჭ რჩევა-რჩევაში და თავ-ბოლოს მოსინჯვაში გავატარე მაგრამ ამითაც არა გამომივიდა-რა. თან, არც იმდენი უურნალისტური ცოდნა და გამოცდილება მაქვს, რომ მოცემული თემა საგაზირო და, თუნდ, საურნალო წერილის ჩარჩოებში ჩავტიო, არადა, მასალა და სათქმელი უამრავი მაქვს, მცირე ნარკევეს კი არა-და, ტომებს ეყოფა. ბოლოს მივხვდი, რომ, როგორც წერილის სათაურში უბრალოდ და ნათლად დასმული კითხვა მომინოდებს – თუ „რას ნიშნავს ჩემთვის სოფელი?“, – მეც ასევე უბრალოდ და ნათლად უნდა გავცე პასუხი, არათუ გლობალურ-ისტორიულ, ყოფით-ეთნოგრაფიულ ან ფილოსოფიურ-ესეისტური ნარკევესის ხვეულებში გავიხლართო, თავსაც საქმე გავუჭირო და მყითხველსაც.

მაშ, ასე: რადგან ყველანი, როგორც იტყვიან, ჩვენ-ჩვენი ბავშვობიდან მოვდივართ, მეც ჩემი ბავშვობის დროინდელ მოგონებებსა და განცდებს გამოვიხმობ ნამყოს არქივიდან.

მეტრიკით, დაბადებული ვარ 1940 წლის 3 იანვარს, სინამდვილეში კი დაგრძელებულვარ 1939 წლის 20 დეკემბერს. ამის აღნიშვნას საჭიროდ მივიჩნევ, რადგან მამაჩემი სწორედ ამ წელს და ამ დღეს გაუწვევიათ ჯარში, ოლონდ სანამ ახალწვეულთა ეშელონი გავიდოდა გურჯაანიდან

თბილისში, მეც დავპატებულვარ. ასე რომ, მამაჩემი ვერ მოსწრებია ჩემ დაბადებას. პაპაჩემ ტიმოს, ქასქასით, ძლივს ჩაუსწრია მატარებლისთვის არაშენდის ბაქანზე, ფანჯრებიდან თავგამოყოფილ წვეულებში შვილის სახე მოუთვალებელია და შეუძახნია: „შვილო, კოლავ, ბიჭი გეყოლა, ბიჭიო!“ მამაჩემს ქუდი მოუხდია და დაძრული მატარებლიდან გადმოუგდია: რომ გაიზრდება, დაახურეთო. ქუდისთვის, ქამარიც მოუყოლებია, იქნებ რა ხდება და ველარც დავპირუნდე, გაზარდეთ და შემოარტყოთო. მაშინ ფინეთის ომი იყო, 39-ში. მამა დიდ, სამამულოდ წოდებულ ომში დაიკარგა 1941 წელს, ბელორუსიაში, უგზოუკლოდ. მისი ორი წერილი შემოგვრჩა დღემდის, ერთი ძმისადმი მიწერილი, ერთი – ქვისლისადმი. მეც მიხსენიებს ერთ-ერთ წერილში: „ჩემი ზეზოს თითები სულ კოცნით გავცვითეო“. რა თითებზეა ლაპარაკი? – თურმე დედაჩემმა მე, თო-თო ბალდს, პატარა ცაცები, თითებგაშლილად ქალალდზე დამადებინა, ფანჯრით შემომიხაზა და ჯარისკაც მამაჩემს გაუგზავნა წერილით, – აი, ამოდენა ბიჭი გყავს ამ ხელებით და ამ თითებითო. ზემო-თქმულიც ჩემ თითებზე, მამაჩემის საპასუხო წერილია, ოჯახში გამოგზავნილი, სამკუთხა ჯარისკაცული ბარათი, ფანჯრით ნაწერი. ხანდახან, კვლავაც რომ გადავხედავ ხოლმე ამ წერილებს, მათი კალიგრაფიიდან და შინაარ-სიდან გამომდინარე, ვასკვნი: ლამაზი ხელი ჰქონია მამაჩემს და დიდი იუმორი, აგრეთვე მხატვრულად აზროვნების უნარი, სკოლაშიც კარგად უსწავლია. მისი საშუალო სკოლის ატესტაციც შემოგვრჩა, ყველა საგანში ფრიადები აქვს ჩამოწიკნიკებული, ერთადერთი სამიანი უნერია – ქიმია-ში. არადა ყველაზე მაგარი ქიმიაში ყოფილა, მენდელეევს ეძახოდნენო – მამადაჩემმა. სამიანის საქმე კი ასე ყოფილა: ქიმიის მასწავლებელი ჰყოლიათ ერთი, უნიჭო, ჭინჭყლი და უხასიათო. მისთვის ერთი ეპიგრა-მა, თუ გნებავთ, ჩვენებურად – ფუნაგორია, სოფლურ-კაურად კი – სამასახარა შაირი გამოუთქვაშს მამაჩემს, რომელიც სხვათა და სხვათა-გან მასწავლებლის ყურსაც ჩასწვეთებია, რის შემდეგაც სამიანი აღარ მოუშორებია მისთვის. იმ მასწავლებლის სახელიც ვიცი, გვარიც, მაგრამ ვერ დავასახელებ, რადგან ჩემი კარგი მეგობრის სიმამრი აღმოჩნდა, იმ ფუნაგორიასაც არ ვაკადრებ მკითხველის თვალყურს, საკმაოდ უწმანუ-რია. მამიდაჩემის გადმოცემით, მამაჩემს კარგი ლექსებიც ჰქონია, მთელი ერთი საერთო რვეული, კოტაც გადაწერილი, რომელიც აქ, თბილისში, საშუალო სკოლაში სწავლის პერიოდში (არასრული საშუალო მშობლიურ სოფელ არაშენდაში დაამთავრა) ი. გრიშაშვილისთვის უჩვენებია. გა-

მოჩენილი პოეტი არ დაზარებია ყმაწვილს, რვეული წაუკითხავს, ზოგი ლექსისთვის იქვე, რვეულშივე, საგულისხმო რჩევა-შენიშვნებიც მიუწერია, ზოგიერთვის კი, თავისებურად, გრიშაშვილურად ასეთი საქებარი მინაწერებიც დაუტანებია: „აფერუმ!“, „ყოჩალ!“ და ა.შ. ეს რვეული ჩემს გამოზრდილობაში მე არ მინახავს, მამაჩემის ბიძაშვილს წაულია წასაკითხად, მერე სხვისთვის მიუცია წასაკითხად, იმ სხვას – სხვისთვის და, ასე დაკარგულა, ვეღარ მოიძიეს. ასევე არ მინახავს ზემოთნახსენები ის ქამარიცა და ქუდიც, სად გადაიქავა ან ერთი ან მეორე, მერე და მერე ვერავინ ამიხსნა.

მოკლედ, დაიკარგა მამაჩემი სამამულო ომში და დავრჩი ობლის კვერით, რომელიც ცხვა, ცხვა და დღემდისაც კი ვეღარ გამოცხვა რიგიანად. ქუდებით კი დავბადებულვარ, მაგრამ რაღა ქუდებიდი იყო, ისიც დაუკარგავთ, ვერ შეუნახავთ. არადა, ქუდები, როგორც ამბობენ, ოჯახში უნდა იქნეს შენასული ბავშვის სიცოცხლის ბოლომდის, რათა ადამიანს ბედი არ დაეშრიტოს და სულ თანა სდევდეს. მერე და მერე, უკვე მოზრდილს, როცა უფროსები ამ თემაზე ლაპარაკობდნენ, მათგან ასეთი ეჭვიც მსმენია: ის ქუდები ბებიაქალმა ხომ არ გააყოლა ხელს, მეზობლის ბებერმა, რომელსაც შვილიშვილი ჩემზე ერთი თუ ორი კვირით ადრე დაეპადა, იმის საბედოდო. ასე იყო თუ ისე, ალბათ ის მოხდა, რაც უნდა მომხდარიყო და ბედიც ეგ არის. ახლა, უკვე სამოცდაათს მიტანებული კაცი, ხანდახან ხუმრობით ვიტყვი ხოლმე, იქნებ ჩემივე ბრალიც იყო – მეთქი ეგ ამბავი, მე რაღას მეჩქარებოდა ამ ქვეყანაზე მოვლინება, დათქმული ვადა ვეღარ მოვითმინე დედის მუცელში და ორი თვით ადრე მოვევლინე – მეთქი ქვეყნას, – შვიდთვიანი ვარ! იმიტომ ხომ არ ვისულსწრაფე, რომ მამაჩემს ჩემი დაბადება აქვე გაეგო, სანამ სამშობლოს ფარგლებს გასცდებოდა. რა ვიცი!...

ოცი წლისა იყო მამაჩემი, ჯარში რომ გაიწვიეს, თექვასმეტისა იყო დედაჩემი, როცა მშობა და დააწვა თექვასმეტი წლის გოგოს, უკვე მშობელს, მაგრამ მაინც ყმაწვილქალს, უმძიმესი ტვირთი დედობისა, იმოდენა იჯახის მოვლა-სამსახურისა, შინ თუ გარეთ მოსაქმეობისა, ბალ-ბოსტან-ვენახში შრომისა, კოლმეურნეობაში მუშაობისა თუ ათასი სხვა საოჯახო-სასოფლო საქმისა. „იმოდენა ოჯახი“ ვახსენე, მაგრამ ჩვენი სახლის ზომა-მოცულობას კი არა, იჯახის წევრთა სულადობას ვგულისხმობ. ახლაც მიკვირს, იმ ერთსართულიან, ერთოთახიან პატარა სახლში, რომელსაც ქოხი უფრო ეთქმოდა და ფართიც ოცი ან

ცოტა მეტი კვადრატი თუ ექნებოდა, როგორ ვეტეოდით ექვსი სული: პაპა-ბებია, უმცროსი ბიძაჩემი, (უფროსი ფრონტზე იყო), მამიდაჩემი, დედაჩემი და მე. თუმცა ჩემი მოზრდილობისას ბევრჯერ მინახავს, რომ იმ ჩვენს პატარა ოთახი ათი-თორმეტი სტუმარიც მოუთავსებიათ და დაუძინებიათ. მახსოვს მიჯრით გაშლილი ქვეშაგები იატაკზე, მაგიდის ქვეშაც და ზედ მაგიდაზეც კი. მრავალრიცხოვანი ნათესაობა გვყავდა და გვყავს პაპა-ბების მხრიდანაც და დედაჩემის მხრიდანაც, ოთხ-ხუთზე ნაკლები დედმამიშვილი არცერთს არ ჰყავდა, იმათი განაყარ-ნაბლარ-ტი კიდევ სხვა იყო. მთელ კახეთსა და ქიზიუში მოდებული. ასე რომ, ხშირი სტუმრიანობა გვქონდა და, ჩვენი სილარიბის მიუხედავად, რაკი ძელებურ-ქართული, ნათესაურ-პატრიარქალური სიყვარული საოცარი სითბოთი ღვიოდა ჩვენს შორის, ჩვენი პატარა ბინა-ბუდე საკადრისად უხვდებოდა ყველას და იმავე ზიარი სიყვარულის გამო დაუტევარს იტევდა. რას არ ჰყებოდნენ, რას არ იგონებდნენ თავიანთსა თუ სხვათა თავგადანახადს ის ჩვენი სტუმრები თუ ნათესავები! ან როგორი ქართულით მეტყველებდნენ, თან-რა უბრალოდ, მაგრამ როგორი ხატოვნებით! რა სიტყვათა მარაგი ჰქონდათ, რა ფრთიანი ქართული! ბავშვი ვიყავი, მაგრამ ძველი ამბების მოყვარული, ქართულ სიტყვაზე შეყვარებული, პაპა-ბებისგან და დედაჩემისგანაც ხომ ამგვარსავე ლექსიკაზე ვიყავ გაზრდილი, ამიტომ ყური სულ მზირად მეჭირა, რომ მათი საუბრებიდან არაფერი გამომპარვოდა, საგულისხმო სიტყვა იქნებოდა თუ ამბავი, დამემახსოვრებინა.

ეჭ, სიტყვამ გამიყოლა!... დღეს აღარც ბევრი მათგანია ცოცხალი, ვისგანაც მაშინ ენას, ქცევას თუ ცხოვრებასა ვსწავლობდი, აღარც პაპა-ბებია, აღარც დედაჩემია და აღარც ის ჩემი შობლიური ქოხი, სადაც დავიბადე და გავიზიარდე, – დედაჩემის გარდაცვალების შემდეგ (1988წ.) ველარ ვუბატრონე, 80 წლის წინ აშენებულს კავ-კრამიტი გამოეფიტა, წვიმა-თოვლებმა სახურავი ჩაუქცია და ნელ-ნელა საკუთარ თავში ჩაიქცა.

ჩემს უხეირობას და უგერგილობას ვამბობ, სხვისას ხომ არა! ჭამა ქონებაზე ჰკიდიაო, უთქვამთ. კი, ბატონო, ვეთანხმები ნათქვამს, შეძლებაზე ბევრი რამაა დამოკიდებული, მაგრამ მე, წიგნის ჭიამ და უბრალო ლიტერატორმა, უკვე გაქალაქებულ-გაზანტებულმა, თანაც საკმაოდ ასაკმიყრილმა, ისლა შევძელი, რომ მეზობელ სოფელში კარგახნის ნახმარი და შინამოგამოლადრული ძველი „ვაგონეტკა“ ვიყიდე და

ჩემი მშობლიური, ან დაქცეული ქოხის წინ ჩავდგი: იმედს ვიტოვებ, ჩემი პენსიონერობის კვალობაზე, ახლოხანში შიგნიდანაც გავმართო, ერთი საწოლი, ერთი მაგიდა, ორიოდე სკამი და წიგნების კარადა ჩავდგა, იქნებ შაბათ-კვირაობით მაინც ჩავიდე და მივეტყბარუნ იმ კარმიდამოში დარჩენილ ჩემს ბავშვობას და კვლავ განვიცადო ჩემი კბილა თანაკლასებთან თუ მეგობარ-მეზობლებთან შეცვედრის სიხარული, არადა, მათი რიცხვიც საოცარი სისწრაფით თხელდება.

სანამ ჩემი მცირე სახლაკი იდგა და დედაჩემიც ფეხზე იდგა, ბევრი მეგობარი ჩამყავდა ხოლმე სტუმრად სოფელში, მწერალი თუ მეცნიერი, მხატვარი თუ სხვადასხვა დარგის მუშაკი. ამათგან-ქართველები ხომ თავისთვად და, მყოლია რუსი, სომეხი, აზერბაიჯანელი, თურქმენი, უზბეკი და ტაჯიკი მეგობრები, პოეტები და მთარგმნელები (განათლებით აღმოსავლეთმცოდნე ფილოლოგი ვარ). დედაჩემი ბრნყინვალე კულინარი იყო, გარდა ამისა, შესანიშნავად უკრავდა და მღეროდა ჩონგურზე და გიტარაზე, არაჩვეულებრივი ხმა ჰქონდა რეპერტუარიც – ამოუჩურავი,

იმ ჩემი ნასტუმრევი მეგობრებიდან დღეს ბევრი ცოცხალი აღარაა, ცოცხალთაგან კი (ღმერთმა კიდევ უფრო დიდხანს აცოცხლოთ!) ქართველი მწერლები – ლერი ალიმონაკი, გივი შაპნაზირი და ვანო შატბერაშვილიც დამემონმებიან ამაში, ამათაც მოუსმენიათ დედაჩემის დაკვრა და სიმღერა. ხუთი და ჰყავდა დედაჩემს და ისინიც დედაჩემივით კარგად უკრავდნენ და მღეროდნენ ჩონგურ-ფანდურზე თუ გიტარაზე.

ბებიაჩემი – ნატო იაგანაშვილი ნაკითხი და განათლებული ქალი იყო. კენინა ნადიას (ანდრონიკაშვილი) გიმნაზია ჰქონდა დამთავრებული, 38 წლისას დაუკარგია მხედველობა, მაგრამ თითქმის ზეპირად შეეძლოვ ვეფხისტყაოსნისა და ვაჟას უკვდავი პოემების მოყოლა. ახსოეს, სკოლაში თითქმის არ მჭირდებოდა ვეფხისტყაოსნის სწავლა, რადგან ნატო ბებიას უკვე მოყოლილი ჰქონდა მოელი შინაარსი. ნაწილს ზეპირად მიყვებოდა, ხანდახან კი თხრობაზე გადადიოდა.

პაპაჩემი ტიმოთე გასულ-გამოსული კაცი იყო. სიტყვა ეთქმოდა, ყოჩალი, ლირსეული პიროვნება იყო. ერთხელ, ლეკებს არაშენდელების ცხვრის ფარა გაუტაციათ, ამ ამბის შეტყობისთანავე ტიმო დასდევნებია მათ, პაპაჩემს თან გაჰყოლია სოფლიდან ოთხი ძლიერი ვაჟკაცი. ლეკების მეზობლად, სასაზღვრო სოფელში, ცხოვრობდა ტიმოს მეგობარი ერთი ქართველი კაცი, რომელსაც „ფეხშიველა ლეკს“ ეძახდნენ. ამ კაცმა ასწავლა ჩვენებს ის გზა-ბილიკები, საიდანაც შეიძლებოდა ცხვარი წაეყ-

ვანათ ლეკებს, დიდი მოხერხებით, ჩუმად გამოაპარეს არაშენდელებმა ცხვარი იქიდან და სოფლის კუთვნილი ცხვრის გარდა თან ლეკების ცხვარიც გამოაყოლეს. სოფელში რომ დაბრუნდნენ, ყველამ თავ-თავისი ცხვარი დაიბრუნა. ლეკების ცხვრის ნანილი ქვრივ-ობლებს გაუნაწილეს, დარჩენილი ცხვრით კი ერთი კვირა გადაბმული ქეიფობდა სოფელი.

ბავშვობიდანვე ჩემს მეხსიერებაში ბევრი ლამაზი, ტკბილი მოგონება მაქვს ტიმოსთან და ნატოსთან. ორივენი პოეზიის დიდი მოყვარულნი იყვნენ და ნატო ბებო ხომ ამოუწურავი იყო ლექსების, ზღაპრების თუ ძველი საინტერესო ამბების ცოდნით.

მეორე კლასში ვიყავი, რვა წლისა ვიქნებოდი. სალამო იყო. ტიმო და ნატო ლოგინში იწენენ ერთად. მე კვარის შუქზე ლექსსა ვწერდი. ჯერ წინასარ ჩამოვწერდი ხოლმე სათაურებს, ვთქვათ: გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა, ზამთარი და ა.შ. შემდეგ, ამ სათაურებს მიეუსადაგებდი ხოლმე ლექსებს. ერთხელაც, გამზადებული მქონდა ლექსის სათაური „თაგვების ლხინი“. დაგწერე პირველი და მეორე სტრიქონი:

თაგვებმა ლხინი გამართეს,  
მოიწვევენ ყველასა

პაპაჩემმა მკითხა: – დაწერე რამე? აბა შვილო რა დაწერე?  
მე ვუთხარი ჩემი დაწერილი ორი სტრიქონი. პაპამ შემანია:

თამადად ამოირჩევენ იმ დაღუპულ მელასა.  
მე ისევ მივუმატე ორი სტრიქონი.

მელა თაგვებს შეუძახებს,  
იწყებს სიმთა ჟღერასა.

პაპამ დამადევნა:

ასწია, დაალევინა სადლეგრძელო ყველასა.

დიდი არაფერი, აქ არც ლექსი გამოვიდა, მაგრამ ხაზგასმულია „დაღუპული მელა“, ძველი სოფლური, პატრარქალური წარმოდგენებით – მელა უარყოფითი პერსონაჟია. აქ ჩანს ტიმო პაპას დამოკიდებულება ქართულ ენასთან, ლექსიკასთან, სიტყვის შერჩევასთან, იუმორთან.

ის ნაცნობი გარემოდან, ნაცნობი საგნების, პერსონაჟების გამოხმობით უცებ მოიგონებდა ხოლმე სიტუაციებს, ზღაპრებს.

## ჩემი სოფელი

ჩემს სოფელს არაშენდა ჰქვია. ამ სახელით საქართველოს სხვა-დასხვა კუთხეში მრავალი სოფელი ყოფილა ცნობილი, დღესდღეობით კი, რამდენადაც გამიგია, ამათგან ხუთიღა ყოფილა შემორჩენილი, სამი-ქართლში და ორიც-კახეთში, ქართლში ერთი ამათგანი, გორის რაიონშია, ერთი-მცხეთის რაიონში და ერთიც-თეთრი წყაროს რაიონში, თუმცა ეს უკანასკნელი დღეს სოფელი კი აღარაა, არამედ სოფელ ბოგვის ერთ მცირე უპანს ნარმოადგენს. ეს ის ადგილია ალგეთის პირზე, სადაც გმირი სიმონ მეფე გამყიდველ და მეფის მოღალატე ყორლანაშვილის ვერაგული გამცემლობით თურქებმა ტყვედ ჩაიგდეს.

ჩემი სოფელი არაშენდა კახეთშია და ადმინისტრაციულად გურჯაანის რაიონს ეკუთვნის (არის კიდევ სხვა არაშენდაც ახმეტის რაიონში, სადაც უმეტესწილად ოსები ცხოვრობდენ) ეს სოფელი ანუ ჩემი სამშობლო სოფელი, მეფის რუსეთის მმართველობის დროს სილნალის მაზრას ეკუთვნოდა, საბჭოთა პერიოდში – ორმოციან წლებამდე გურჯაანის რაიონში შედიოდა, მერე - კაჭრეთის რაიონის შექმნის შემდეგ-კაჭრეთს გადაეცა, ხოლო სამოციანი წლებიდან, როცა კაჭრეთის რაიონი დაიმალა, ადმინისტრაციულად ისევ გურჯაანს დაექცემდებარა, სადაც იმყოფება იგი ამჟამადაც.

ასე რომ, მე ვარ გურჯაანის რაიონის სოფლ არაშენდას მკვიდრი. დავიბადე ამ სოფელში და მიყვარს ჩემი სოფელი. ის ლამაზი სოფელია, შეფენილია გომბორის ქედის აღმოსავლეთ კალთაზე, შიგნი – გარეკახე-თისა და ქიზიყის გასაყარზე, კახეთის ცენტრალური ტრასიდან ჩრდილო მხარეს, ექვსი კილომეტრით ზევით,

სოფელს, როგორსაც მისი სახელიც ამხელს, დალხინებული წარსული არა ჰქონია : ხალხი აშენებდა, მტრები ანგრევდნენ! ასევე უნდა ვი-გულისხმოთ, ალბათ, ამავე სახელის მქონე ზემოთ უკვე სსენებული, სხვა ქართული სოფლების ისტორიული ხვედრიც. არადა, სოფლის სახელად იშვიათად თუ შეგხვდებათ სხვა მსგავსი სიტყვა, რომელიც უფრო მეტი

ნიშანდობლიობით ღალადებდეს იმ სოფლის, ანუ იმ სოფელში მაცხოვ-რებელი ხალხის ჭირ-ვარამიან თავგადასავალს, ვიდრე ეს „არ-აშენდაა“. სწორედ ამასვე გულისხმობდა დიდი ქართველი პოეტი გიორგი ლეონიძე, რომელმაც მოზრდილი წერილი უძლვნა საქართველოში „არაშენდად“ სახელდებული სოფლების ისტორიული ძირების კვლევას და თვით ამ დასახელებაში ჩაბუდებულ ეროვნულ ტკივილს. წერილის ბოლოს დიდი პოეტი საკითხს აყენებდა, იქნებ თანამედროვე ყოფის შესაბამისად ახლა „არაშენდა“ „აშენდად“ გადაგვეკეთებინაო.

სოფლის სახელის შეცვლა ოფიციალურად არ მომხდარა, არაოფიციალურად კი, რა თქმა უნდა, პოეტის წერილის გამოისობით, ემოციურმა ახალგაზრდობამ სოფლის ბოლოს, კახეთის ტრასაზე, სადაც არაშენდა გზისპირა ფირნიშანზე „არაშენდა“ ანერია, წინა ორი ასო ამოკანრა, ამოშალა და მრავალი წლის განმავლობაში ზედ „აშენდა“-და იკითხებოდა. ის წარწერა მერე ისევ აღადგინეს, მაგრამ დღესაც ისევ ეტყობა შესწორების კვალი. ზემოთქმული უფრო იმიტომ მოვიტანეთ, რომ ჩვენი არაშენდელებისათვის დიდი მამულიშვილის ის სიტყვიერი თანაზიარობა და ყურადღება გარკვეულად საამაყოა.

სოფელს შერჩა ძველი სახელი „არაშენდა“, იყოს ამ სახელით, რა უშავს. ხალხმა უნდა იცოდეს თავისი ისტორიული გზა, ისტორიული სახელი, სახელში მოქცეულია ისტორია.

არაშენდა დღეს აშენებული სოფელია, ღონიერი სოფელი. მართალია მასაც ბევრი პრობლემა ანუხებს, როგორც სხვა ქართულ სოფლებს და, საერთოდ, სხვა მთელ საქართველოს, მაგრამ ამ სახელის პატრონი და ამ სახელით დღემდე მოსული, დღეს უკვე წელგამრთული სოფელი, აღბათ კვლავაც ღირსეულად იშრომებს, იბრძოლებს და იმრავლებს თავის სამშობლოს საკეთილდღეოდ.

არაშენდა საქმიანობ დიდი სოფელია, 600-ზე მეტი კომლი მოითვლება. მის სოფლისაბჭოში ადრე ოთხი სხვა სოფელიც შემოდიოდა: ზიარი, ფხოველი, ქოდალო, და დარჩიეთი. ამათგან ქოდალო და დარჩიეთი უშუალოდ ემეზობლებიან არაშენდას (ჩრდილო-აღმოსავლეთით და ჩრდილოდასავლეთით), ფხოველი და ზიარი კი ცოტა მოშორებით, ორ-სამ კილომეტრში სახლობენ (ჩრდილოაღმოსავლეთით). ხსენებულ სოფლებში მხოლოდ დაწყებითი სკოლები აქვთ, ამიტომ მათი მასწავლებლები დაწყებითის გასრულების შემდეგ არაშენდის საშუალო სკოლაში განაგრძობენ სწავლას.

დღეს არაშენდის საბჭოში (ამჟამინდელი ტერმინით – საგამგებლოში)

მხოლოდ ქოდალო და დარჩიეთი დარჩა, რადგან ამ ორმოცი წლის წინ კაჭრეთის რაიონის დაშლისა და ამ სოფელების გურჯაანზე მიწერის გამო ზიარ-ფხოველი აიყარა და გურჯაანში გადასახლდა (თუმცა ახლა მათი უკუმიგრაცია ხდება და ნელ-ნელა უბრუნდებიან მამა-პაპურ ფუძეს).

არაშენდას და მის მიმდებარე ქოდალოს ზიარ-ფხოველისგან მდინარე ლაკებე საზღვრავს ამ ლაკების ხევის გაღმა-გამოლმა ცხოვრობენ და ერთმანეთს გაჰყურებენ.

არაშენდასთან ეს ფხოველი და ზიარი იმიტომ ვახსენე, რომ არაშენდის ისტორია და, შესაძლოა, სახელიც კი, გარკვეული აზრით, სწორედ ამ ფხოველთანაა დაკავშირებული. არაშენდელებს მიაჩნიათ, რომ ისინი ფხოვლიდან არიან ამოსულები. ფხოველი უფრო ძველი, ისტორიული სოფელი იყო და თავადი ანდრონიკაშვილების საგამგებლოს წარმოადგენდა. ასევე მათი საგამგებლო იყო ზიარიც, ქოდალოც, დარჩიეთიც, არაშენდის სამხრეთ-აღმოსავლეთით უშუალოდ მიმდებარე (300 მეტრში) სოფელი ნანიანიც და, რაღა თქმა უნდა, ის ადგილებიც, სადაც შემდგომ არაშენდა დასახლდა.

უფრო გარკვეულად რომ ვთქვა, არაშენდის ამ ადგილას დაფუძნებისა და მისი სახელის თაობაზე ხალხში რამდენიმე გადმოცემა არსებობს. ერთი ვერსიით, ვითომ, ძმები ანდრონიკაშვილები რომ გაყრილან, ერთ-ერთ ძმას თავისი კუთვნილი ყმები ფხოვლიდან, რომელიც შედარებით დაბლა, ლაკების ხევში მდებარეობს, მაღლა, არაშენდის ზეგანზე ამოუყვანია და აქ დაფუძნება გადაუწყვეტია. დაუწყია სასახლის შენება. გაუმწერივებია, ვითომ, თავისი ყმები ამ მშენებარე სასახლიდან (რომელიც დღეს არაშენდის საშუალო სკოლის შენობას წარმოადგენს) ლაკების ხევამდე და ეს ყმები ხევის რიყეზე აკრეფილ სამშენებლო ქვას ხელიდან ხელში გადაცემით ზემოთ (ხევი დაბლაა, არაშენდიდან სამ კილომეტრზე) კალატოზს აწვდიდნენ. ხევში მყოფი პირველი ქვის მომკრეფი ყმა, რომელიც ვეღარ ასწრებდა ქვის მოძიებას, აღებას და გადანდებას, დაღლილა თურმე და უთქვამს : „აღარ აშენდა ეს ოხერიო, არ აშენდაო? ბოლოს და ბოლოს“ ვითომ ეს „არაშენდა“ დასდებია საფუძვლად სოფლის სახელს.

მეორე ვერსიით, ვითომ ახალმოშენე სოფელში ყმები არ დგებოდნენ და ისევ უკან ლაკების ხეობაში გარბოდნენ, რადგან იქ ტყეცაა და წყალიც უფრო ახლო იყო (არაშენდის ზეგანზე ტყეცა და წყალიც შედარებით ნაკლებად იყო) და მესაქონლე-მეურნე ხალხს იქ უფრო ერჩივნა ცხოვრება.

ასე რომ თავადიშვილს, ვითომ ყმები გაჰქცევია და ძმას ნიშნი მიუგია მისთვის: „ეგე, შენი სოფელი „არ აშენდაო“

რაღა თქმა უნდა, არცერთი ეს ვერსია მისაღები არ არის და ხალხური ფანტაზიის ნაყოფს წარმოადგენს. მართალი კი ის უნდა იყოს, რაც ზოგადად ყველა ამ სახელის მქონე სოფელს მიესადაგება მთელსაქართველოში: ხალხი აშენებდა, მტერი-აოხერებდა; კიდევ და კიდევ, – ხალხი აღადგენდა ნაოხარს, დანგრეულს, მტერი ისევ ანგრევდა აი, ეს უნდა იყოს მართალი. ეს სახელი თავისი წარმოშობის ისტორიას თვითონვე გვამცნობს.

არაშენდა უფრო ძველი სოფელია, ვიდრე ამას ხალხში არსებული გულუბრყვილო გადმოცემები ითვალისწინებენ. ეს სოფელი, ჩვენს წელთაღრიცხვამდეც, ქრისტიანობამდეც არსებულა, ოლონდ კაცმა არ იცის, პირველდაარსებისას რა ერქვა, ან რამდენჯერ იცვალა სახელი, ვიდრე მრავალჯერ აოხერებულს და ხელახლა გაშენებულს საბოლოოდ ის სახელი არ შერჩა, რაც ახლა ჰქვია. ამას ის მაფიქრებინებს, რომ სოფლის ბოლოს, სოფელ ნანიანის მხარეს, დღესაც არის ეკლესიის ნანგრევები, რომელსაც ხალხი თელეთის ეკლესიას ეძახის. არა მგონია ჩვენ „თელეთს“ რაიმე კავშირი ჰქონდეს თბილისის ახლოს არსებულ, ცნობილ თელეთის ეკლესიასთან, ეს სახელი, ალბათ, უფრო იმიტომ ეწოდა, რომ არაშენდასა და მის მიმდებარე სოფელ ნანიანს პატარა ღელე ჰყოფს ერთმანეთისაგან, რომელსაც თელეთ-ღელე ჰქვია (ამ ღელეში და მის აქეთ-იქით ბევრი თელა დგას). ამ ჩვენს თელეთის ეკლესიას თავისი სასაფლაოც ჰქონდა, რომელიც რამდენიმე წლის წინ, სავენახედ თუ სხვა მიზნით, დიდი ტრაქტორით ღრმად დაუბრუნებიათ (მე მაშინ დაბადებულიც არ ვიყავი, ოღონდ ეს ამბავი პაპაჩემს კარგად ახსოვს, რადგან ხსენებული სასაფლაო სწორედ ჩვენი ბოსტის გასადევარზეა) და მოხვნისას გუთნის ფრთხებს ძველისძველი პიტალო ქვებით ამოშენებული სამარხები ამოუყრია. სამარხებში დაკრძალული მიცვალებულთა ჩინჩებს გარდა უნახავს მათთვის ჩატანებული უამრავი კერამიკული ნიმუში თუ სხვადასხვა სამკაული, ზოგი დამლილ-დამტვრეული და ზოგიც მთლიანი სალი. პიტალო სალებით ამოყვანილი სამარხები უძველეს ნამოსახლარზე მიუთითებს, ქრისტიანული ეკლესია კი, შესაძლებელია, უფრო მოგვიანებით, ქრისტიანულ პერიოდში, აშენდა, თანაც, შეიძლება, რამდენჯერმე დაინგრა (მტრისაგან) და ისევ აშენდა (ხალხისაგან), სანამ საბოლოოდ დაინგრეოდა და მიწასთან გასწორდებოდა, როგორც არის

კიდევ ამჟამად. ასე რომ, სოფელ არაშენდის წარმოშობაზე და მისი სახელის რაობაზე არსებული ხალხური ვერსიები ისევ ხალხურ ფანტაზიას და დროთა შორის კავშირის განცვეტას უნდა მივაწეროთ.

ხოლო, რაც შეეხება თავად ანდრონიკაშვილების კავშირს არაშენდასთან, ამაზე შემდეგია ცნობილი: ანდრონიკაშვილები იყვნენ საქართველოს ისტორიაში კარგად ცნობილი კახელი თავადები, მეომრობითა და მამულიშვილობით განთქმულები. ისინი იყვნენ კახეთის უკანა მხრისა და ქიზიყის მოურავები. მათი სამკეთრო იყო სწორედ სოფელი ფხოველი, ზიარი, ქოდალო, არაშენდა, დარჩიეთი, ნანიანი და სხვა რამდენიმე სოფელიც. დღესაც არის შემორჩენილი მათი ყოფილი სასახლეები არაშენდაში (ერთში საშუალო სკოლაა, მეორეში – სარაიონთაშორისო ტუბასავადმყოფო, რომელშიც ორმოციან წლებამდის ე.წ. სამეურნეო სკოლა იყო გახსნილი, გერმანიასთან ომის წლებში კი უპატრონო ბავშვთა თავშესაფარი („პრიუტი“). ქოდალოს დაწყებითი სკოლის შენობა, ასევე, ანდრონიკაშვილების ყოფილი სახლია. ამ გამოჩენილმა თავადურმა გვარეულობამ ბევრი გმირი, საზოგადო მოღვაწე და კულტურისა თუ ხელოვნების ასპარეზზე სახელოვნებით გამორჩეული პიროვნება მისცა საქართველოს. არაშენდელებს ეამაყებათ, რომ სწორედ მათი სოფლიდან იყვნენ საქართველოს ისტორიაში ცნობილი ისეთი სახელოვანი პიროვნებანი, როგორებიც იყვნენ ერევლე მეფის გამზრდელი და თანამებრძოლი დოდი აბელ ანდრონიკაშვილი, მისი ჩამომავალი – ზაქარია („მიწის მგელი“), მალხაზ და ივანე ანდრონიკაშვილები. ივანე ანდრონიკაშვილი, ვის სახლშიც დღეს არაშენდის საშუალო სკოლაა, იყო მეცხრამეტე საუკუნეში ცნობილი პიროვნება და ვაჟაცი, კაგალერიის გენერალი, ბაშკადიკლართან ომის გმირი, დასაფლავებულია არაშენდაში საგვარეულო სასაფლაოზე. ასევე ანდრონიკაშვილი იყო ქართული კინოს მშვენება ნატო ვაჩინაძე, რომელიც ფხოველში დაიბადა.

ყველა სახელოვან ადამიანს, რომელიც არაშენდაში თუ საარაშენდოში დაბადებულა და სამშობლოში სახელი გაუტანა, ვერც ჩამოვთვლი და, მოცემული თემის განსაზღვრულობის გამოისობით, არცაა საჭირო; მთავარია, რომ არაშენდელებს ეამაყებათ სახელოვანი ნინაპრებიცა და თანამედროვე სახელიანი თანასოფლელებიც.

არაშენდასთან ერთად ზემოთჩამოთვლილი სოფლები, რომლებიც არაშენდის სასოფლო საბჭოში შემოდიან (ქოდალო, დარჩიეთი, რამდენიმე ათეული წლის წინ აყრილი და დღეს ნელ-ნელა განახლებადი ზიარი და

ფხოველი) ერთი საწუხარითა და სალხინარით ცხოვრობენ, ტერიტორიული სიახლოვის გამო ყველა ერთმანეთს იცნობს, მეგობრობს, მეზობლობს და ნათესაობს, ამიტომ საამაყოც და საწყინარიც ერთი აქვთ, თუნდაც იმიტომ, რომ, რაც არაშენდაში საშუალო სკოლა დაარსდა, მას აქეთ ყველა მეზობელ სოფლელ ახალგაზრდას არაშენდის საშუალო სკოლა აქვს დამთავრებული და ამათგან რომელიმე სახელგამოტანილი კაცი ყველა სოფლისთვის თანაბრად საამაყოა.

არაშენდის საშუალო სკოლას მრავალი თაობა გამოუზრდია, რომელთა უმეტესობაც მეცნიერების, ტექნიკის, კულტურისა თუ სოფლის მეურნეობის დარგში, ან, უბრალოდ, ცხოვრების სხვადასხვა ასპარეზზე, დღესაც წარმატებით იღწვის და შრომიბს. სოფელმა თავის თავსა და ქვეყანასაც მისცა ბევრი ინჟინერი, ექიმი, აგრონომი, ფიზიკოსი, ფილოლოგი, არტისტი თუ სხვა დარგის მუშაკი, რომელთაგან ზოგი რესპუბლიკის მასტებითაც და მის გარეთაც გახდა ცნობილი. ყველას ვერ გავწვდები, ზოგი არც მე ვიცი და ზოგიც ვერ მოვიძიე, რამდენიმეს კი, მაგალითისთვის, დავასახელებ: გიორგი ხარაზიშვილი (მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი), ლიგური მოსულიშვილი (ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი), ჯემალ მეშვეოლიშვილი (ბიოლოგის მეცნიერებათა კანდიდატი), ნოშრევან დუღარიძე (მათემატიკურ მეცნიერებათა კანდიდატი), ზაზა ბანელაშვილი (მწერალი, მსახიობი, საქართველოს დამსახურებელი არტისტი), მიხო მოსულიშვილი (ახალგაზრდა, მაგრამ ცნობილი მწერალი, ლიტერატურული პრემიის ლაურეატი), ზეზვა მედულაშვილი (მწერალი, მთარგმნელი, აღმოსავლეთმცოდნე, სომხეთის ელიშე ჩარენცისა და საქართველოს მაჩაბლის, საბას ლიტერატურული პრემიების ლაურეატი)

აღარ გავაგრძელებთ. დაე, გვეპატიოს მათგან, ვინც ამ სიაში ვეღარ მოვახვედრეთ მათი სიმრავლის გამო, ოლონდ უნდა ალვნიშნოთ, რომ არაშენდის საშუალო სკოლას, რომელსაც წლების წინათაც, როგორც გამიგია, შესანიშნავი პედაგოგიური კოლექტივი ჰყოლია, უეჭველი მადლობა ეკუთვნის ასეთი პიროვნებების გამოზრდისათვის.

სოფელში ყოველთვის დიდი სიყვარულით იხსნიებენ ან განსვეებულ ვასილ გიორგილს, ანუ უბრალოდ, ვასო მასწავლებელს, მაღალნიჭიერსა და ბრძენ კაცს, რომელიც ათეული წლების მანძილზე დირექტორობდა და ხელმძღვანელობდა არაშენდის საშუალო სკოლას. არაშენდა ასეთივე მადლიერებით იგონებს სხვა მასწავლებლებსაც (არჩილ გიორგილს, ლილი

ჩარგეიშვილს, სანდრო ბაწელაშვილს, იოსებ ტუნკიშვილს და სხვ.), ვინც დღეს ცოცხალი აღარ არის, მაგრამ სიცოცხლეში მაღალი პედაგოგიური შეგნებით ემსახურებოდნენ საყვარელ საქმეს – ბავშვების აღზრდას – და ბევრი კარგი შვილი გამოუზარდეს საქართველოს.

არაშენდის სკოლაში, ოცდაათიან წლებში, მასნავლებლობდნენ აგრეთვე შემდგომში თბილისის უნივერსიტეტის პროფესორები პავლე ზეგარია (მათემატიკოსი) და სოლომონ ხუციშვილი (ფილოლოგი, უურნალისტი). არაშენდელების უფროსი თაობა დღესაც მაღლიერებით იგონებს მათ.

ბატონი სოლომონი, ძველ მოგონებათა ნაკვალევზე, ერთხელ სტუმრადაც კი ეწვია არაშენდის საშუალო სკოლას. ეს 70-იან წლებში მომხდარა. მე მაშინ ჯერ დაბადებულიც არ ვიყავი, მაგრამ ჩემი ოჯახის უფროსებსაც და სოფელში ბევრსაც კარგად ახსოვს, თურმე როგორ ცრემლმორეული ეალერსებოდა მხცოვანი პროფესორი არაშენდის ცენტრში, საბჭოს შენობის კედელზე გამნკრივებულ, თავისი ყოფილი მოსწავლეების სურათებს, რომელთა პატრონებიც სამამულო ომში დაიღუპნენ. სოფელმა კი ბევრი, ბევრი შვილი დაკარგა იმ დიდ ომში.

არაშენდაზე, ჩემს მშობლიურ სოფელზე, კიდევ ბევრის თქმა შეიძლებოდა (ბევრი დამავიწყდა, ბევრი რამ მე თვითონაც არ ვიცი), მაგრამ ის ყველაფერი, შეიძლება, ერთ დიდ ტომშიც არ ჩაეტიოს, არამცთუასეთ მოკლე წერილში, თანაც, გარემოების გამო, ასე მშრალად გადმოცემულში.

არაშენდა, თავისი სახელის ტრაგიკული ელფერის მიუხედავად, მტრის საქტუინარად და მოყვრის გასახარად, დღესაც დგას, არსებობს, ცხოვრობს, შრომობს, იბრძვის, სწავლობს, სტუმრიანობს, მრავლდება და იმედიანობს სამომავლოდ, ეგ კი არა და, სულაც არ ეფიქრება თავისი სახელის სევდიანად დამაფიქრებელი წარმომავლობა.

## ინტერვიუ ზეზვა მედულაშვილთან

**„ისე შევხარი სხვის ნაპოვნ სიტყვას, თითქოს ჩემი იყოს“**

– ბატონი ზეზვა, „ჩვენი მწერლობის“ ფურცლებზე გამოქვეყნებულმა თქვენს მიერ თარგმნილმა ხაიამის რობაიებმა დიდი მოწონება და ინტერესი აღძრა მკითხველებში. ამაზე მეტყველებს გიორგი ლობჟანიძის გამოხმაურებაც, სადაც მან არ დაიშურა აღმატებული ქება არა მხოლოდ ამ თარგმანების, არა-მედ საზოგადოდ თქვენდამი, როგორც ერთ-ერთი გამორჩეული თარგმნელისად-მი, აღმოსავლური ენებისა და სამყაროს ჩინებულად მცოდნე პიროვნებისადმი. რობაიების თარგმნას ქართულ სინამდვილეში დიდი ტრადიცია აქვს. ჯერ კი-დევ პავლე ინგოროვას დაკვეთით თარგმნა იუსტინე აბულაძემ პროზაუ-ლად. არსებობს ამბაკო ჭელიძის, მაგალი თოდუას, თამაზ ჩხენკელის, ვახუშ-ტი კოტეტიშვილის, ნომადი ბართაიას, გიორგი ლობჟანიძის თარგმანებიც. როდის გაგიჩნდათ სურვილი თქვენც აგემეტყველებინათ ქართულად ხაიამი?

– აი, ვინც თქვენ ჩამოთვალეთ, ეს შესანიშნავი მთარგმნელები, რომლებიც, რა თქმა უნდა, ყველა დედნიდან თარგმნიდა, ან ჩემი მას-წავლებლები იყვნენ ან მეგობრები, რაღა თქმა უნდა – ამბაკო ჭელიძის და იუსტინე აბულაძის გამოკლებით, რომელთაც ჩემს სტუდენტობაში არ მოვსწრებივარ; ეგ კია, სწორედ პროფესორ იუსტინე აბულაძის, ირანო-ლოგის ამ პატრიარქის, სახელმძღვანელოთი ვისწავლე სპარსული ენა.

ომარ ხაიამის თარგმნას ყოველთვის ვერიდებოდი, თუმცა ხანდა-ხან ჩემთვის ვთარგმნიდი და ეს ნიმუშებიც, რომელიც თქვენს გაზეთში დაიბეჭდა, ადრინდელია, დაბეჭვდა არასოდეს მიფიქრია.

ორი წლის წინ ათიოდე რობაიაც გადმოვაქართულე, მერე კი ვიფიქ-რე, მეც მოვსინჯავ-მეთქი.

– მაინც რა იყო თქვენი ყოყმანის მიზეზი? ამ სალექსო ფორმის სირ-თულე?

– მართლაც ძალიან რთულია, არავის ეგონოს, რომ ფორმის სიმ-ცირის მიუხედავად, სულ ოთხი სტრიქონია, ადვილი იყოს რობაიების თარგმნა. ეს სპეციფიკური ფორმაა, რომელიც თავის სივრცეში იტევს ფილოსოფიურ სიღრმეს, სატრფიალო მოტივს, დიდაქტიკას ... სენტენ-ციური პოეზიისათვის შესაფერისი კლასიკური ფორმაა და ძალიან დიდ

ცოდნას, გამოცდილებასა და შრომას მოთხოვს მთარგმნელისაგან, რათა აზრის სიღრმე, გრძნობის სინატიფე არ დაიკარგოს, სენტენციად დაინუროს. ამ ოთხი სტრიქონიდან სამი გარითმულია.

ადრე მითარგმნია და წიგნადაც გამომიცია აზერბაიჯანული ბაიათები, რომელიც აგრეთვე მსგავსი ფორმისაა, დიდი პასუხისმგებლობით ვეეიდები ჩემს საქმეს და ზოგჯერ ერთი და იგივე რობაის რამდენიმე თარგმანი მაქვს. აღარ ვიცი, რომელი ამოვირჩიო, რადგან არცერთი არ მომწონს ბოლომდე და ზოგჯერ ისეც ხდება, ყველაზე უარესს ამოვარჩევ ხოლმე.

ახლაც ვფიქრობ, რომ რობაიების უკეთესი ვარიანტები შინ მაქვს.

**– სხვა თარგმანები თუ გაქვთ სპარსული ლიტერატურული ნიმუშებისა?**

– ადრე ვთარგმნე ორიოდე მოთხობა, არცთუ ძალიან ცნობილი თანამედროვე მწერლებისა. ირანელებს არა აქვთ ძლიერი პროზა. შეიძლება დღეს ჰყავთ კარგი მწერლები, ახალგაზრდები, მაგრამ მე ველარ ვადევნებ თვალს. მაქვს აგრეთვე საადისა და ჰაფეზის ცალკეულ ლექსთა თარგმანები, ბატონმა გიორგი ნატროშვილმა დამიბეჭდა „მნათობში“ გვერდიგვერდ: სპარსულიდან, თურქმენულიდან, აზერბაიჯანულიდან და სომხურიდან შესრულებილი თარგმანები. სპარსული კლასიკური მწერლობა ძალიან მიყვარს და ხაიამის თარგმნაც ამ სიყვარულმა გამაბედინა. ისე კი – ჩემი ვიწრო სპეციალობით – არმენოლოგი გახლავართ და ამიტომ ჩემი მთარგმნელობითი ინტერესიც წლების მანძილზე სომხური ლიტერატურისაკენ იყო ძირითადად მიმართული.

**– დიახ, თქვენს მიერ თარგმნილი ჰრანტ მათევოსიანის მოთხობებიც საუკეთესო თარგმანებად ითვლება.**

– მათევოსიანი დიდებული მწერალია. თუმც ადრე, საბჭოთა კავშირის დროს, არანაირ სოცრეალისტურ კონიუნქტურას არ მიტმასნებია, მისი მოთხობები მაინც მსოფლიოს მრავალ ენაზეა თარგმნილი. თავისებური ხედვა, თავისებური ხელწერა აქვს, საოცრად თვითმყოფადია.

აგერ, ჩვენი მეზობელი ლორედან არის წარმოშობით, ერთ მიყრუებულ სოფელში, აპინიძორშია დაბადებული. თვითონ წერს ერთგან, რომ მისი წინაპრები მარნეულიდან XVIII საუკუნის ბოლოს გადასახლებულან ამ სოფელში.

– მაინც რა სტილის მწერალია, ვის შეადარებდით, ვთქვათ, იგივე ჩვენთვის ნაცნობ მწერალთაგან?

– რაღაცით ფოლკნურს მოგვაგონებს, რაღაცით ჰემინგუეის, ან ამ ორთა სტილის თავისებური ნაზავი წარმოვიდგინოთ, ოღონდ ისე არ გამიგოთ, რომ რომელიმეს ბაძავდეს, არა.

აქვს საოცრად დიდი იუმორი, დინამიური თხრობა. ოთხი წიგნი მაქვს მისი თარგმნილი და ძალიან მიყვარს. სწორად ამიტომ, სომხებმა და-მაჯილდოვეს ელიშე ჩარენცის სახელობის ლიტერატურული პრემიით (ჰყავდათ ასეთი დიდი პოეტი, 37-ში დახვრიტეს).

მისი საყვარელი თემა სოფლისა და ამიტომ „სოფლის“ მწერალს უწოდებდნენ. იყო ხელოვნური ტენდენცია 60-იან წლებში ასეთი დაყოფისა;

– ახლაც არის, სოფლის მწერლობასა და ქალაქურ პროზას რომ განარჩევენ ფსევდოკრიტიკოსები.

– დიახ, ეს არასწორი ტენდენციაა. ამაზე შესანიშნავი წერილი აქვს მათევოსიანს დაწერილი: „ეგრეთ წოდებული სოფლის მწერლობის შესახებ“. მასში ბრწყინვალედ განმარტავს ნამდვილი მწერლობის არსა.

– ამ წერილის თარგმნა არ გიცდიათ?

– თარგმნა ერთმა ადამიანმა, მაგრამ არ დაუბეჭდავს.

– სხვა მწერლებზე რას გვეტყვით, საერთოდ რა პრინციპით ირჩევდით მწერალს სათარგმნელად?

– საბჭოთა კავშირის პერიოდში, როცა ყველანი მოძმე რესპუბლიკებად ვიყავით შეყრილები, კულტურულ კონტაქტებს კამპანიური ხასიათი ჰქონდა. იგივე თარგმანები, ვთქვათ, რაღაც საოუბილეო დღეებისთვის უნდა მომზადებულიყო დამკვრელური წესით. მაგალითად, შეა აზის დღეები, უზბექეთის დღეები ან რომელიმე მწერლის იუბილე მზადდებოდა და სასწრაფოდ შეარჩევდნენ მთარგმნელებს, მწერლებს, გაანაწილებდნენ ლექსებს...

მიუხედავად ამისა, რომ ყველაფერი ერთ ყალიბში მიდიოდა, იშვიათად, მაგრამ მაინც იქმნებოდა ლირებული თარგმანებიც. იგივე სომები მწერლების ნაწარმოებები, პოეზიაც, პროზაც, ძველიც და ახალიც მეტ-ნაკლებად ამ გზითაა ცნობილი ჩვენთვის.

ჰყავთ სომხებს გამოჩენილი მწერლები. თუნდაც მე-19 საუკუნეში არაერთი: შიომვან-ზადე, ოვანეს თუმანიანი, ნარ-დოსი მათი დიდი მწერლები, თითქმის ყველანი, თბილისში ცხოვრობდნენ და აქვე არიან დაკრძალულები, ხოჯევანქის სასაფლაოზე (ელიაზე). შეიძლება ითქვას, ეს არის სომქე მწერალთა პანთეონი.

XIX საუკუნის გამოჩენილი სომხები მწერალი ნარ-დოსი თავის სიცოცხლეში თბილისიდან არც კი გასულა. უბრალო ბუღალტერი გახლდა. ძირითადად თბილისურ ყოფას აღწერდა.

დღესაც საკმაოდ მნიშვნელოვანი მწერლობა ჰყავთ. პროზაიკოსები ჰერჭ ზეითუნციანი, მუშედ გალშოიანი, ალასი აივაზიანი – შესანიშნავი მწერლები არიან.

პოეტები: რაზმიკ დავოიანი, პარუირ სევაკი, ოვანეს შირაზი, ჰამი საპიანი და სხვაც რამდენიმე; თუმცა ამათგან ზოგი უკვე ცოცხალი აღარ არის.

– ჩვენი, ქართული მწერლობის ნიმუშები თუ არის სომხურად გადატანილი?

– საკმაოდ. მაგალითად, „ვეფხისტყაოსანი“ თარგმნილია ოთხი სხვადასხვა პოეტის მიერ. პოემის რამდენიმე თავი სულ პირველად ბასტამიანმა თარგმნა, თბილისელმა სომქმა, ოღონდ თბილისურ სომხურ დიალექტზე.

შემდეგ სხვა თარგმანებიც შეემატა: ვაჰან ტერიანისა, გევორქ ასა-ტურისა, ოვანეს კარაიანისა. ყველა ამათ ქართული ენა კარგად იცოდნენ. ვაჰან ტერიანის თარგმანი „ვეფხისტყაოსნისა“, ნამდვილად, დიდებულია. დიდი ნიკო მარი ამ თარგმანს „მზის ნატეხს“ უწოდებდა (ტერიანი მარის სტუდენტი იყო პეტერბურგში). სავალალო კია, რომ ვაჰან ტერიანმა, თავადაც ბრწყინვალე პოეტმა ლირიკოსმა, პოემის პროლოგის მხოლოდ 12 სტროფის თარგმანი მოასწრო თავის სიცოცხლეში. სრულიად ახალგაზრდა გარდაიცვალა, 35 წლისა. იგი ჯავახელი სომები იყო, სოფელ განძაში დაბადებული.

გევორქ ასატურმა პოემის სრული ტექსტი თარგმნა და გამოსცა, მაგრამ შაირის ფორმა არ არის შენარჩუნებული, რუსთველური შაირი წყვილეულებითაა გადაღებული.

„ვეფხისტყაოსნის“ ბოლო თარგმანი ოვანეს კარაიანს ეკუთვნის. კარაიანი თბილისელი სომხები პოეტი იყო და ქართულიც შესანიშნავად იცოდა. მისი თარგმანი დაბეჭდვამდე მე შევადარე დედანს და თითქმის

**40** გვერდი შენიშვნები ჩამოვუწერე. დიდი მადლიერებითა და ყურა-დღებით იღებდა ჩემს შენიშვნებს და მათ მიხედვით ასწორებდა თავის თარგმანს. უაღრესად ობიექტური და პატიოსანი კაცი იყო. მისეული თარგმანი საყურადღებო მოვლენად მიმაჩნია „ვეფხისტყაოსნის“ სხვა სომხურ თარგმანთა შორის.

იყვნენ სხვა მთარგმნელებიც, რომლებიც ბრწყინვალედ თარგმნიდნენ ქართული პოეზიისა და პროზის ნიმუშებს სომხურად. მათგან მინდა გამოვარჩიო პრაჩია ბაირამიანი. ისიც ლორედანაა. დაამთავრა ერევნის უნივერსიტეტში აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი და შემდეგ თბილისის უნივერსიტეტში გააგრძელა სწავლა ასპირანტურაში. ბ-6 სოლომონ ხუციშვილის ასპირანტი გახლდათ. ძალიან ღრმად შეისწავლა ქართული ლიტერატურა. თარგმნა: რევაზ ინანიშვილის, ნოდარ დუმბაძის (ორ ტომად), ლადო მრელაშვილისა და სხვა მრავალ ქართველ მწერალთა მოთხოვნები და ცალკე წიგნებად გამოსცა. სომხეთში მუშაობს რუსთაველის სახელობის კაბინეტში. არის ასეთი კაბინეტი იმათ უნივერსიტეტში. მოკლედ იგი დიდ საქმეს აკეთებს. ჩემი ნება რომ იყოს, ივანე ბაჩაბლის პრემიას მივანიჭებდი.

**– როცა ჩამოვა საქართველოში, გვასტუმრეთ ჩვენს რედაქციაში, გავესაუბრებით.**

**– უეჭველად. ვერ წარმოიდგენთ, როგორი კულტურული ქართულით მეტყველებს. საერთოდაც ძალიან კულტურული კაცია.**

**ახლა კონტაქტები ძალიან გაძნელდა. იქაც ისევე აირია ყველაფერი, როგორც ჩვენთან. ვეღარ ვადევნებ თვალს წიგნებს, პრესას.**

**– უზბეკურ და ტაჯიკურ ენებთან რა შეხება გაქვთ?**

**– უზბეკურითურქული ოჯახის ენაა. რამდენიმე ლექსი ვთარგმნე 70-იან წლებში ალიშერ ნავოისა და „ლიტერატურულ საქართველოში“ დავბეჭდე. ტაჯიკური ცალკე ენაა, მაგრამ ძირი ერთი აქვს სპარსულთან. ტაჯიკურ-ირანული პოეზია მაინც ერთი კულტურული ფენომენია. ტაჯიკი მწერლის ფულოდ თოლისის მოთხოვნები ვთარგმნე და ცალკე წიგნად გამოვეცი ოცი წლის წინათ.**

**ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ცოცხალ ურთიერთობებს, ჩემს მთარგმნელობით საქმიანობაში ძალიან მეხმარებოდა ის გარემოება, რომ მე პირადად ვიცნობდი და ვმეგობრობდი ჩემს ავტორებთან. იმიტომ, რომ**

სანამ რამეს თარგმნი, უნდა კარგად გაეცნო არა მხოლოდ ნაწარმოებს, არამედ იმ პიროვნებას, იმ გარემოსაც, სადაც ეს პიროვნებები (თუნდაც იგივე მათევოსიანი თუ სხვები) ცხოვრობდნენ და ქმნიან. უნდა გაეცნო და შეიყვარო.

მთარგმნელი უნდა იცნობდეს დედნის ფაქტურას, რადგან თარგმნის დროს ავტორის მეტოქე და, იმავე დროს, მეგობარიც ხარ. ხანდახან შეიძლება შეუსწორო კიდევაც რამე.

ზემოთ ვახსენე სომეხი მწერალი ალაზი აივაზიანი. იგი, ამავე დროს, არის ცნობილი რეჟისორი, მხატვარი, სცენარისტი. თბილისში, ჩუღურეთში გაზრდილი კაცია. 38 წლისა გადასახლდა სომხეთში, ქართულიც შესანიშნავად იცის.

სულ თბილისზე წერს. მისი ათიოდე მოთხრობა მაქვს თარგმნილი. ერთ-ერთ მოთხრობაში აღწერილი იყო მზის ჩასვლა და წერს: მზე რომ გადავიდა, ჩრდილები აღმა აუყვა მტკვარსო. ამ დროს პირიქითაა: ჩრდილები დაღმა მიინევს მზის ჩასვლისას, ასეც ვთარგმნე. ეს რომ ვუთხარი, ძალიან გაეხარდა. ასეც ხდება ხოლმე.

– ბატონი ზეზვა, აი, თქვენ მეტოქეობა ახსენეთ. თქვენი ქართული კოლეგებისადმი თუ გაგჩენიათ ასეთი გრძნობა. რობაიების თარგმანისას ცოტათი მეტოქეობაც ხომ არ გამოძრავებდათ თუნდაც ვახუშტი კოტე-ტიშვილისადმი?

– სრულიადაც არა. ვერ წარმოიდგენთ, ისე მიყვარს ვახუშტის თარგმანები. საერთოდ ვახუშტი კოტეტიშვილმა მთელი ეპოქა შექმნა მთარგმნელობით საქმიანობაში. მისი თარგმანები დიდებულია. გნებავთ, სპარსულიდან და, გნებავთ, სხვა ენებიდან (რილკე, ბროდსკი).

ძალიან არ მომეწონა ის გამოხდომა, როცა თარგმანები დაუწუნეს, თანაც უვიცად. გვარიც არ მახსოვს ვინ იყო, – ასეთი ბრალდება ჰერნდა: რითმები „ჯამი-წამი-ნამი“ ბევრჯერ აქვს გამეორებულიო. ის კი იცის, რომ დედანშიც ასევეა და თვითონ ხაიამი ამ სარითმო ტრაფარეტებს უამრავჯერ იმეორებს. სხვადასხვა ადგილას: „ჯამ-წამ-დამ“. სამივე ეს სიტყვა სპარსულია. „დამ“- წამიც არის, უამიც და თუნდა ერთი მნიშვნელობით გადმოვა ქართულში და თუნდა მეორეთი. არ ღირს იმ ჩასაფრებულ კაცზე ლაპარაკი, მას მშვენიერი პასუხი გასცა გიორგი ლობჟანიძემ.

ძალიან მიყვარს გიორგი ლობჟანიძე. მასზე ამბობენ, პერსპექტიული ახალგაზრდააო. მე კი ვთვლი, რომ ჩამოყალიბებული მეცნიერი და

მთარგმნელია. ბრწყინვალედ იცის სპარსული ენა და კულტურა. არა მხოლოდ მის თარგმანებს, მის ორიგინალურ პოეზიასაც ვიცნობ, ვაფა-სებ და მოხარული ვარ, რომ ასეთი ყმაწვილეაცობა გვეზრდება – ისინი არა მხოლოდ ნიჭიერები არიან, არამედ ფუტკარივით მოფუსფუსე და გამრჯვნი.

– სხვათა შორის, არაჩვეულებრივი ენით თარგმნის, ვკითხე კიდევაც: სად ისანავლე ასეთი ქართული-მეთქი. ქართლელი კაცი ვარო, – მიპასუს ...

– დიახ, აღმოსავლური დიალექტები მდიდარი საუნჯეა ენისა. რამ-დენი დიდებული მთარგმნელი გვყავს, ვინც ქართული ენის უხვსა და უშურველ საუნჯესაა დანაფებული, სხვასაც არწყულებენ ამ საუნჯის მადლით და თავიანთი მთარგმნელობითი შემოქმედებითაც არანაკლებ ჰმატებენ ამ საგანძურს! რომელი ერთი ჩამოვთვალოთ: თამაზ ჩხერიელი, იგივე ვახუშტი კოტეტიშვილი, ზურაბ კიკნაძე, გურამ გოგიაშვილი, დათო წერედიანი!.. ახლა ახალგაზრდული კოპორტაც წამოვიდა – იგივე გიორგი ლობჟანიძე, ზვიად რატიანი სხვაც რამდენიმე, მაპატიონ, ამ მოკლე ინტერვიუში ყველას რას გავწვდები და მაინც დათო წერედიანზე მინდა აღვნიშნო: გასაოცარია მისი სწრაფვა ლექსის თარგმანის სრულყოფისა-კენ. იშვიათად აქვეყნებს, მაგრამ მის სიტყვას ყოველთვის ბრილიანტის დახვეწილობა ახასიათებს. მისი თარგმანების თუ ლექსების გამოქვეყნება განსაკუთრებულ მოვლენად იქცევა ხოლმე.

როსტომ ჩხეიძე არაერთხელ გამოხმაურებია მის თარგმანებს. მართლა, თვითონ როსტომის თარგმანები... ეს კაცი იმდენ რამეს აკეთებს, ლამის დაგვავიწყდა, ჩვენ კი არა, მგონი თვითონაც დაავიწყდა, რომ მანაც თარგმანით დაიწყო და თავის ბიძაშვილთან პაატა ჩხეიძესთან ერთად არაერთი მშვენიერი ნიმუში დაგვილაგა ქართულ ენაზე ინგლისური და ამერიკული მწერლობისა. ამის დასტურია მათი ერთობლივი წიგნები: ინგლისური და ამერიკული ესეები, ვირჯინია ვულფის ესეები, უილიამ ფოლკნერის საუბრები, ანგლო-საქსური საგმირო ეპოსი „ბეოვულფი“... ეს, რაც მე მახსოვს და, კიდევ ექნება ყულაბაში რამე ...

– ბატონო ზეზვა, ცნობილია თქვენი ექსპრომტები, ზეზვაურები – თავისებური ნიჭია, უეცარი, სწრაფი თხზვა ... აი, დღესაც გადმოაბიჯეთ თუ არა ჩვენი რედაქციის ზღურბლს, მაშინვე ჩვენს თვალწინ კიდევ ერთი ექსპრომტი დაიბადა. თუ ნებას მომცემთ, გავიმეორებ:

როგორც კი გამოსახელდა,  
მაშინვე მიქეს „ომეგა“.  
ვთქვი: ასი მტერიც გაუჩნდეს,  
ყველას მოუგებს ომ ეგა!  
რამდენ უსახსრო შემოქმედს  
უსახსრა, მოექომეგა,  
მაღალმა ღმერთმა დალოცოს,  
უფალმა იესომ ეგა!..

– არ ვიცი, შეიძლება ნიჭიც არის, მაგრამ გამონაკლისი არ გახლავთ. ცხონებულ ზაურ ბოლქვაძეს ჰქონდა მშვენიერი ექსპრომტები, ლექსო ჭინჭარაულის და ვახუშტი კოტეტიშვილის „მოღვაწეობას“ ამ მხრივ ხომ ბადალი არ მოეპოვება.

მე არასოდეს არც ვიწერ და არც დამიმახსოვრებია, ან რა საჭიროა? ექსპრომტის მთელი ხიბლი ისაა, რომ რაღაც განსაკუთრებულ მომენტს ვუსადაგებ, და მასში ყოველთვის დევს „ იმწუთიერი “ განწყობა, გარკეული ემოციური მუხტი, ეს უფრო ხშირად სუფრაზე ხდება. ჩემი მეგობრების წრეში ლიმილის, ხალისის, მხიარულების შესაქმნელად, სალალობოდ. და საერთოდ, ეს ჩემი ბუნებაა – ლექსი რომ მიყვარს, განსაკუთრებით მცირეფორმიანი ლექსები, ქართული, ძველი შაირები საერთოდ კი მიყვარს, როცა ადამიანები იღიმებიან

– თქვენ არც თქვენი ლექსების ჩაწერა გყვარებიათ. ისიც თქვენმა ახლობლებმა და მეგობრებმა ჩაიწერეს.

– ნამდვილად ასე იყო. ჩემმა უნივერსიტეტელმა მეგობრებმა ლაბორანტმა გოგონებმა ჩაიწერეს და შემიყვროვეს. ამ ექსპრომტებსაც ლევან ბრეგაძემ მოუყარა თავი. მაღლობის მეტი რა მეთქმის.

– ბატონობ ზეზვა, ახალგაზრდობაში სპორტით ყოფილხართ გატაცებული, ბევრი სახეობაც მოგისინჯავთ: რაგბი, ალპინიზმი, ჭიდაობა ახლაც თუ გრჩებათ დრო სპორტისთვის?

– არა, ახლა მხოლოდ სიტყვასთან ვჭიდაობ... სიტყვასთან და ... ჭიქასთან.

– გარედან სულაც არ იგრძნობა ეს ჭიდილი, იმდენად მსუბუქია და ფრთიანი თქვენი სიტყვა.

– ათასი ენაც რომ იცოდე, თუ ამ საქმეს მოკიდებ ხელს, რასაც ლიტერატურა და მთარგმნელობა ჰქვია, უპირველესად შენი ენა უნდა შეისწავლო, შენი ენა უნდა გიყვარდეს. გაგიგონიათ, ალბათ, მიხეილ ჯავახიშვილის სიტყვები: კარგ მწერალს ჭირდება კარგი ქართულიო, მერე კარგი ქართულიო და მერე და მერე კიდევ, კარგი ქართულიო. ეს ზოგადად არის ნათქვამი, რა თქმა უნდა, მაგრამ დიდი სიმართლეა. აი, არსებობს გამოთქმა: ძარღვიანი ქართულიო. მე არ მესმის ეს გამოთქმა. რას ნიშნავს ძარღვიანი ქართული? ამ ძარღვიანობაზე აქცენტირება არ მომწონს. ეს არ უნდა იყოს თვითმიზანი. სიტყვას აქვს ერთადერთი ფუნქცია, რომ თავის ადგილზე აღმოჩნდეს ტექსტში. ბუნებრივად გამოიყურებოდეს, თავისუფლად სუნთქვადეს. თუ ამას მოახერხებს მწერალი, მთარგმნელი, მაშინ მის ნაშრომს უკვე ღირებულება ექნება.

ბუნებრივად, თავის ადგილზე მორგებული სიტყვა ძარღვიანიც იქნება და თავის ფუნქციასაც სწორად და ზუსტად შეასრულებს. ეს არის სწორედ კარგი თარგმანის საიდუმლო.

სიტყვას აქვს სული და ეს გასულიერება არ უნდა შეენიროს ხელოვნურ ტექნიკას. ზედმეტი ხელოვნურობა ზოგჯერ კლავს ამ სულს, ამ დვრიტას, ლვოთურობას, რომელიც მასშია ჩადებული.

ნუგზარ შატაიძე ამას წინათ ერთ ინტერვიუში წერდა: ჩემს ბავშვობაში, ჩემს სოფელში ფანტასტიკური ქართულით ლაპარაკობდნენო. ასე იყო ჩემს სოფელშიც, კახეთში, და სხვა სოფლებშიც.

სავალალოდ, ეს ფანტასტიკური ქართული იმ ჩვენს პაპებთან და დიდედებთან ერთად გაქრა. ამ ბოლო ათწეულებში მაინც საოცარი გაღარიბება ხდება ქართული ენისა.

როგორც მონღოლთა ურდო, ისე შემოიქრა ჩვენს რეალობაში ლექ-სიკური სილატაკე. ახალგაზრდობა, განსაკუთრებით ქალაქში მცხოვრები ახალგაზრდობა (ეს მათ ჩანაწერებიდან ჩანს) ძალიან ღარიბი, მნირი ქართულით აზროვნებს. ეს ძალზე დასანანია. სხვათა შორის, თქვენი გაზეთის ფურცლებზე ამაზე ხშირადაა საუბარი. ეს კარგია. უნდა გავაცნობიეროთ ჩვენი ენის ეს სავალალო მდგომარეობა. ახალგაზრდებს მეტი კონტაქტი უნდა ჰქონდეს ცოცხალ ენასთან, იმ გარემოსთან, სადაც ის კიდევ ცოცხალია ანუ სოფელთან.

მე სოფელში დავიბადე და გავიზარდე, ახლაც ჩემი ფესვებით მჭიდროდ ვარ სოფლის გარემოსთან დაკავშირებული და მიუხედავად ამისა, ვგრძნობ და სინანულს განვიცდი, რომ მავიწყდება ბევრი რამ: ბალახის, ყვავილის, ადგილის თუ მოვლენის სახელი. იმის მეოთხედიც არ ვიცი,

რაც ჩემმა პაპამ და ბებიამ იცოდა. დაინგრა ძველი ყოფა, გაქრა ის ფაქტურა და მდიდარი სიტყვიერი სალაროც დაიწრიტა.

აბა, ჰკითხეთ დღევანდელ ყმაწვილებს რა არის კალო, კევრი, საწნა-ხელი ... კიდევ ბევრი სხვაც თუ იციან. მათ ეს ყველაფერი ეგზოტიკადღა მიაჩნიათ... დღეს ალარ არსებობს ენის გასულიერებული განცდა.“

და ამ დროს ენაა ყველაზე ცოცხალი არსება.

ისე შევხარი სხვის ნაპოვნ სიტყვას ან კარგ ლექსს, თითქოს ჩემი იყოს. ვისიმე რამე მომენტონა, შინაგანად მეც მისი თანავაჭორი მგონია თავი.

...ისე კი ენა არ არის მხოლოდ პრაგმატისტების საფიქრალი, მასზე ყველამ – მწერლებმა, ლიტერატორებმა, უურნალისტებმა – ერთად უნდა ვიზრუნოთ.

– დიდი მაღლობა, ბატონო ზეზვა, საინტერესო საუბრისათვის. მინდა იმედი გამოვთქვა, რომ თქვენს ორიგინალურ ლექსებსაც მალე ვიზილავთ „ჩვენი მწერლობის“ ფურცლებზე.

ესაუბრა მარინე რევიშვილი  
„ჩვენი მწერლობა“, 9 – 16 მარტი, 2001

## ბონდო არველაძე

### საიათნოვა ქართულად

(ზეზვა მედულაშვილის თარგმანის გამო)

გასული საუკუნის 10-იან წლებში ტიციან ტაბიძე დიდი თბილისელი აშულის საიათნოვას სამენოვანი ლექსების ერთად გამოცემას ნატრობდა. ამის განხორცილება მაშინ არ მოხერხდა. გავიდა თითქმის საუკუნე და ქართველი პოეტის ნატვრა ახდა. ახლახან გამოვიდა საიათნოვას ლექსების კრებული, რომელშიც ქართული ლექსების კრებულის გარდა შესულია აშულის სომხური და აზერბაიჯანული ლექსების ქართული თარგმანები.

კრებული გამოსცა „კავკასიურმა სახლმა“. პროექტის ავტორია ნაირა გელაშვილი. მხატვარი ლულუ დადიანი, რომელსაც წიგნის გარეკანი მხატრულად გაფორმებაში გამოუყენება გრ. გაგარინის (1816-1893) და ლ. ლაგორიოს (1827-1893) ძველი თბილისის სურათები. მხატვრობა ორგანულად ერწყმის კრებულის შინაარსს და მკითხველი ბუნებრივად შეჰვერებს საიათნოვას პოეზიის მომნიბლავ სამყაროში.

სომხური და აზერბაიჯანული ლექსების თარგმანი შეუსრულებია ზეზვა მედულაშვილს, მასვე ეკუთვნის წინასიტყვაობა, რომელშიც მოკლედ მიმოხილულია საიათნოვას პოეზია და მისი ადგილი აშულური პოეზიის თბილისურ ნაკადში. ზეზვა მედულაშვილი რამოდენიმე ათეული წელია თარგმნის აღმოსავლურ პოეზიას და ამიტომ ქართველი მკითხველის წინაშე წარდგენა არ სჭირდება. იგი სრულყოფილად ფლობს აღმოსავლურ ენებს და ამავე დროს უზადოდ იცის ქართული და მარჯვედ იყენებს ამ ცოდნას თარგმანის დროს.

მარტო მის მიერ შესრულებული აზერბაიჯანული ეპოსის „ქოროლ-ლის“ თარგმანი გამოდგება ზეზვა მედულაშვილის მთარგმნელობითი ტალანტის დასტურად. ალარას ვამბობ ცნობილი აშულის ალესკერის ლექსებისა და ბაიათების შეუდარებელ თარგმანებზე.

რაც შეეხება აშულურ პოეზიას, რომლის ტიპიურ წარმომადგენელია საიათნოვა, ტიციან ტაბიძე მის ძირებს შორეულ ანტიკურ სამყაროში, ანაკრეონტის პოეზიაში ხედავდა. ეს არის თუ არა ასე, ამის გარკვევას აქ არ შევუძგებით. ერთი კი ფაქტია: აშულური პოეზია აღმოსავლეთიდან მოგვიანებით შემოვიდა ჩვენში. ვერ ვიტყვი ეს ლიტერატურული მიმდინარეობა ორგანულად შეერწყა ქართულ პოეზიას და მისი სისხლხორცეული

ნაწილი გახდა-მეტქი, მაგრამ ერთი კია, აშულური პოეზიის ქართულმა ნაკადმა ფართოდ მოიცვა თბილისის ბოჭემური სამყარო და აშულთა მთელი თაობები გაზიარდა. თბილისელი აშულები ნაირეროვანი იყვნენ – ქართველები, სომხები, აზერბაიჯანელები, ბერძნები და ებრაელებიც კი. აშულური პოეზიის ქართულ ნაკადს სათავეში ედგა ბესიკთან ერთად საიათნოვა. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს – ბესიკის პოეზია მაღალი დივ-ნურია, საიათნოვას ლექსების ფესვები კი ფოლკლორული წყაროებით საზრდოობს. იგი ისე პოპულარული ყოფილა XVIII საუკუნეში, რომ თუ ი. გრიშაშვილს დავესესხებით თბილისის ხებს ფოთლების ნაცვლად საიათნოვას ლექსები ესხა. ამ ლიტერატურული მიმდინარეობის ქართული ნაკადის გავლენა იმდენად ფართო და ძლიერი გამოდგა, რომ XIX ს-მდე მოაღწია. რომ არა 6. ბარათაშვილის გენიალური პოეტური ტალანტი, შეიძლება ამ საუკუნეშიც ჰქონოდა ფრთხები გაშლილი. სათვალავში არ არის ჩასაგდები გრ. ორბელიანის და აკაკის ერთი-ორი მუხამბაზური ლექსი. 6. ბარათაშვილის გენიამ ქართული პოეზიის განვითარება დასაგლეთისკენ ნარმართა და ქართულ ლიტერატურაში ევროპეიზმს ფართოდ გაუღო კარი.

მოვიდეთ და მოკლედ მიმოვიხილოთ საიათნოვას ლექსების გამოცემის ისტორია, რომლის გაგრძელება არის წინამდებარე კრებული-ჯერ ქართული ლექსების შესახებ. XVIII ს-ში ეგზომ პოპულარული საიათნოვა XIX-XX სს მივიწყებული იყო, თითქმის აღარავის ახსოვდა. 1914 წლის 15მაისს ოვ. თუმანიანის ინიციატივით თბილიში, მეიდნის თავზე მდებარე სუფგევორქის ეკლესიის ეზოში, მას დიდი ციხის ეკლესია ეწოდებოდა, შეიყარა მაშინდელი ქართველი და სომხები ინტელიგენციის წარმომადგენლები და საიათნოვას სიმბოლური საფლავი გახსნეს. სიმბოლური იმიტომ, რომ ლეგენდის მიხედვით თითქოს ამ ეკლესიაში მოკლეს საიათნოვა აღა-მაჰმად-ხანის ჯარისკაცებმა. ამ დროს დააწესეს საიათნოვას ხსოვნის აღნიშვნა – ყოველი წლის მაისის ბოლოს. აქ შეკრებილ ინტელიგენციას მაშინ დაებადა აზრი, საიათნოვას ქართული ლექსების გამოცემის შესახებ.

ეს საქმე დაავალეს ახალგაზრდა პოეტს იოსებ გრიშაშვილს, რაც წარმატებით შეასრულა კიდევ. 1918 წელს, პირველად ქართულ ენაზე გამოვიდა იოსებ გრიშაშვილის მონოგრაფია საიათნოვაზე. წიგნის პირველ განყოფილებაში წარმოდგენილია საიათნოვას ცხოვრების და პოეზიის

მიმოხილვა. მეორეში 28 ქართული ლექსი, რომლებიც გაფანტული იყო არქეოგებსა და სხვადასხვა გამოცემებში.

საიათონოვას სომხური ლექსები შეკრიბა, აშულის ბიოგრაფია და თბილისის სომხური დიალექტის გრამატიკული მიმოხილვა დაურთო თბილისელმა ექიმმა გევორ ახვერდოვამა. კრებული გამოქვეყნდა მოსკოვში 1852 წელს.

თეიმურაზისეული დავთრის მიხედვით საიათონოვას აზერბაიჯანული ლექსები და მათი ბზეარედული ქართული თარგმანები გამოსუა პროფ. გ. შაყულაშვილმა (1970). როგორც ხედავთ, არც ერთი გამოცემა არ წარმოაჩენს საიათონოვას პოეზიას სრულად – სამ ენაზე. ეს ხარვეზი შეაგვი ზეზვა მედულაშვილმა და სომხური, აზერბაიჯანული ლექსები თარგმნა ქართულად და ერთ კრებულად გამოიცა. რასაკვირველია, მასში შესულია საიათონოვას ქართული ლექსები.

ოვ. თუმანიანი მხატვრული თარგმანის შესახებ ამბობდა – თარგმანი შეშის ქვეშ ამოდებულ ვარდს ჰეგავსო, – უყურებ, ვარდის სილამაზით ტკბები, მაგრამ მის სურნელებას ვერ გრძნობო.

გადაჭარბებაში ნურავინ ჩამითვლის, თუ ვიტყვი – ზეზვა მედულაშვილმა დიდი ოვანესის ამ ფრთათან გამონათქვამში კორექტივი შეიტანა და საიათონოვას სომხური და აზერბაიჯანული ლექსების ისეთი ქართული თარგმანი მოგვცა, რომელშიც საიათონოვას პოეზიის განუმეორებელი სილამაზე თვალს მოგრძოს და მისი სურნელება ღვინოსავით გათრობს.

ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს დიდი აშული ამ ლექსებს ქართულად წერდა და არა სომხურად და აზერბაიჯანულად, ნათქვამი ლიტონ სიტყვად რომ არ დარჩეს და ვინმებ მიკერძოებაში არ ჩამომართვას, ამიტომ შერჩევით კი არ მოვიტანე თარგმანის ნიმუშები, არამედ კრებული არაერთგზის გადავშალე და შემთხვევით თვალში მომხვედრი პირველი სტროფი თუ სტრიქონი წარვუდგინე მკითხველს, ზეზვა მედულაშვილის მალალი კლასის მთარგმნელობითი ოსტატობის ნიმუშად. ავილოთ საიათონოვას ლექსი „ქამანჩა“. ლექსი სადაა და ლირიკული. მასში გადმოცემულია აშულის საკუთარი ქამანჩისადმი გაუნელებელი სიყვარული.

პირველ რიგში მოვიტან ამ ლექსის პირველი სტროფის ლეონ მელქეთბეგის მიერ შესრულებულ თარგმანს:

ყოველ საზში ნაქები ხარ,  
ვითა დარი, ქამანჩა!

ძუნწისავით შენ ხრეში ხარ  
და მარხვაცა ქამანჩავ!  
ეცადე, რომ კარგ დღეს და დროს  
მიაღწიო, ქამანჩავ!

ამ სტროფის თარგმანი თითქმის, თითქმის კი არა, ბნეარედულია და  
მისი მხატვრობის რაიმე დონეზე ლაპარაკი ზედმეტია.

ახლა ვნახოთ ამავე სტროფს როგორ თარგმნის ზეზვა მედულაშ-  
ვილი:

ყველა საკრავს მირჩევნიხარ,  
ერთთან ასი ხარ ქამანჩა.  
რა კარგი და მხიარული,  
რა ხალისი ხარ ქამანჩა  
შენი თავი ვინ წამართვას,  
ჩემი ხასი ხარ ქამანჩა.

მკითხველი ადვილად მიხვდება ზეზვა მედულაშვილი ორიგინალის  
შინაარსს იცავს, მაგრამ არ ემონება და მისგან ქართულად ქმნის საიათ-  
ნოვას გენის შესაბამის პოეტურ სიტყვათა სინტაგმებს. დედნის ბოლო  
სტრიქონშია – „შენი თავი ვინ წამართვას საბაასოდ, ქამანჩავ!“ ზეზვა  
მედულაშვილი მას ასე თარგმნის – „შენი თავი ვინ წამართვას ჩემი ხასი  
ხარ ქამანჩა“ აქ ბაასი შეცვლილია ხასით, ხასი სპარსულია, ნიშნავს  
– ძვირფას, წმინდა აბრეშუმს, „შემინახე ატლასითა, ხასიათა“, ამბობს  
ერთ ქართულ ლექსში საიათნოვა. ასეთი გამართლებული შენაცვლება  
არა ერთია და თამამად ვიტყვი მთარგმნელი პოეტს არ ჩამოუვარდება  
მხატვრული სიტყვის ძალაში.

ყველა კაცმა ვერ დალიოს, სხვა  
წყალია ჩემი წყალი,  
ვერცა ყველამ ვერ გაიგოს ჩემი  
ლექსის შნო და ძალი!

ზეზვა მედულაშვილი თარგმანში აშკარად მეტოქეობას უწევს ორი-  
გინალის მოქნეულ, ფრთიან თქმას თუ მის პოეტურ სახეს. ამიტომ გგო-  
ნია, საიათნოვა სიმღერას სომხურად კი არა ქართულად მღერის.

დავლათს არ აქვს იხტიბარი,

როგორც მოვა, ისე წავა,  
კაი კაცი ქვეყანაზე  
მარტო იხტიბარით გავა!

ანდა:

ეს სოფელი არ შეგვრჩება,  
დღე გვექცევა ბოლოს შავად, –  
მსურს გავცილდე ბულბულივით, –  
ბალმა პეზარს მამიყვანა!

საიათნოვას პოეტური გენია ასე და შეიძლება უფრო მეტადაც ფეთ-ქავდა აზერბაიჯანულ ლექსებში. პოეტური თარგმნის ერთ-ერთ შედევ-რად მიგვაჩინა ზეზვა მედულაშვილის მიერ საიათნოვას აზერბაიჯანული ლექსის – „რას უზამს“ თარგმნა.

თუკი ლომსაც ტყავს გააძრობს ირემი,  
მონადირე ეგეთ ნადირს რას უზამს!  
მახეშიც რომ შეიტყუოს, წაუვა, –  
რალას აქნევს მერე ქადილს,  
რას უზამს!

კაცი არის, უქმ ფეხებზე ჰყუდია,  
ეს ცხოვრება სულაც ფეხზე ჰყიდია;  
გველიც არის, ყურში სჩრია კუდია. –  
შელოცვა და ჯადოქარი რას უზამს!

ანდა ავილოთ სხვა ლექსი, რომელშიც პოეტი წუთისოფლის ამაოებას სჩივის.

წუთი როა მართლაც წუთისოფელი,  
ამის გამო ზმა და საზი მაშინებს,  
გაფრინდება ჩვენი სულის  
ბულბული –  
ცარიელი ის ყაფაზი მაშინებს!

პოეტური თარგმანის შედევრად მიგვაჩინია სტრიქონები – ცრემლის ლვარი თვალზე არ გაიციო; საიათნოვა, ჩემს გულს ვერ ვეცრუები; ეშის ისარი შენმა გულმა ვერ აირიდა; დოსტი თუ დოსტს შეეთვისა, ჭირში მისთვის მკვდარი არი; დარდის წამალი ვერა ვპოვე კვინწი მე; მთას ია

ხარ, ბალში ვარდი და ასეთი მრავალი პოეტური მარგალიტებით არის გაჯერებული ეს თარგმანი, რომელთა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა, არც არის საჭირო, რადგან მოტანილი ჭაშმარიტ და მაღალ მთარგმნელობით შემოქმედებასთან. შეიძლება ვინმეს გაზვიადებულად მოეჩვენოს, რასაც ახლა ვიტყვი, მაგრამ ნუ აჩქარდება, ჯერ წაიკითხოს ეს კრებული და მერე განსაჯოს. მასში საიათნოვას გენია ხელმეორედ დაიბადა ქართულად, ამიტომ მიგვაჩნია, რომ თუ საიათნოვა გენიალური აშუღია, მაშინ ხელთ გვაქვს ზეზვა მედულაშვილის მიერ შესრულებული საიათნოვას სომხური და აზერბაიჯანული ლექსების კონგენიალური ქართული თარგმანი. ამ აზრს უფრო ვრცლად და საფუძვლიანად მომავალ მეცნიერულ გამოკვლევაში დავასაბუთებ, რომელსაც სომხურიდან ქართულად და პირიქით ნათარგმნ მხატრულ ნანარმოებთა საკითხებს აკადემიურად განვიხილავ.

გაზეთი „კალმასობა“ 6, 2006 წ.

### შალვა ამინაშვილი

საიათნოვა ამიერკავკასიის აბორიგენ ხალხთა – ქართველთა, სომებთა და აზერბაიჯანელთა ტრუბადური პოეტი იყო, რომლის შემოქმედება, მისი ლექსები, თითოეული სტრიქონი იმის მიმანიშნებელია, რომ აზიისა და ევროპის გასაყარზე, კასპიისა და შავ ზღვას შორის მცხოვრებმა ერებმა მეგობრულად და ურთიერთ სიყვარულით იცხოვრონ და იარსებონ. მხოლოდ მშვიდობიანობისა და სიყვარულით თანაცხოვრების პირობებშია შესაძლებელი როგორც ეკონომიკური ალორძინება, ისე კულტურის, ხელოვნების, ლიტერატურისა და მეცნიერების განვითარება.

საიათნოვა დიდი ტრუბადური იყო – მეტქი, ვამბობ და, რომც არ გვყოლოდა იგი, უნდა გამოგვეგონა, გამოგვეგონა ისეთი კაცი, წარმოსადეგიც ყოფილიყო, ვაჟაუაცურიცა და ეროვნებით ერთ-ერთი კავკასიელი ხალხის კუთვნილება. იცხოვრებდა და იმოღვაწებდა მეზობელ ხალხთან, იმლერებდა და ლექსებს შეთხავდა კავკასიელთა სამ ძირითად ენაზე. მადლობა ღმერთს, რომ გამოგონება არ დაგვჭირდა, ღმერთმა გვაჩუქა საიათნოვა, ეროვნებით სომეხი. იგი დაიბადა, ცხოვრობდა და მოღვაწეობდა საქართველოში და ერთნაირად წერდა ლექსებს როგორც სომხურ, ასევე ქართულ და აზერბაიჯანულ ენებზე.

ალბათ განგებამაც ინება, რომ ღმერთმა ასევე მოგვივლინა ჩინე-

ბული მთარგმნელი ზეზვა მედულაშვილი, რომელიც საფუძვლიანადაა დაუფლებული სომხურ და აზერბაიჯანულ ენებს. ჯერ კიდევ სტუდენტობისას შეეჭიდა ზეზვა მედულაშვილი საიათოვას სომხურად და აზერბაიჯანულად დაწერილ ლექსებს და თავისი თარგმანების პირველი ნიმუშები ქართველ მეთხველს თბილისს სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმანას „პირველი სხივის“ საშუალებით წარუდგინა.

თარგმნა, გნებავთ პოეტური, გნებავთ პროზაული ნაწარმოებებისა ისეთვე დიდი ხელოვნებაა, როგორც ორიგინალური შედევრის შექმნა. დიდი მწერლის ნაწარმოებს ღირსეულად და სრულყოფილად ისევ დიდი ხელოვანი, ისევ დიდი ოსტატი თუ თარგმნის, ის, ვინც თითოეული სიტყვის, თითოეული ფრაზის გადმოქართულებას დიდი პასუხისმგებლობით უდგება. საიათოვას ქართულ ლექსებს პოეზიის მოყვარული ქართველი მყითხველი კარგად იცნობს, ისინი არაერთხელ გამოცემულა. საიათოვას სომხური ლექსები კი ქართულ ენაზე პირველად სომეხმა მკვლევარმა და ქართულის კარგად მცოდნებ პროფ. ლეონ მელიქსედ-ბეგმა გააცნო ქართველებს 1935 წელს, მაგრამ მის პწკარედულ თარგმანებს არ შეეძლო, სრულყოფილი წარმოდგენა შეექმნათ დიდი აშულის ვირტუოზულ შესაძლებლობებზე. 1972 წელს გივი შახნაზარმაც გამოსცა თბილისში თავისივე თარგმნილი საიათოვას სომხური ლექსები. ამ დროისათვის ზეზვა მედულაშვილს ქართულ პერიოდულ პრესაში უკვე გამოქვეყნებული ჰქონდა საიათოვას სომხური პოეზია, ცალკე წიგნად გამოცემას კი სხვადასხვა გარემოებებმა შეუშალეს ხელი.

მხოლოდ შარშან გახდა შესაძლებელი „კავკასიური სახლის“ (დირექტორი ნაირა გელაშვილი) ძალისხმევით გამოსულიყო დიდი აშულის სამენოვანი ლექსების კრებული. ზეზვა მედულაშვილის თარგმანების ყველაზე დიდი ღირსება ისაა, რომ სომხური და აზერბაიჯანული ლექსებიც თარგმანებად კი არ აღიქმება, არამედ ქართულ ორიგინალად, თითქოს ისინი საიათოვას ქართულად დაუწერიაო, ისე ზედმიწევნით კარგადაა შენარჩუნებული ქართული ენის კოლორიტი, სურნელება და საიათოვას ლექსის ყველასაგან განსხვავებული ხიბლი.

შენი სახე – მზე და მთვარე,  
სული შენთვის გავიმნარე,  
ოქროს ქამრით ჩამიარე,  
შენებრი ვინ არი,  
შენებრი ვინ არი,

Յօն արո,  
Յօն արո,  
Շենքը մշտարությունունի.

Ճաճապահած ար ոյնեքա ուստի զարդարությունունի, բռն արպերտու արագարտ-  
վալու կողմէու ար պատուա ուստի պատուարուլու սայսարտացանունի, բռնորդ  
սառատնունի.

Մուս ծոռցրագուածու հիսուսացած առաջատարությունունի կարտացած կողմէու  
գու քառորդաւած ուստի պատուարուլու հայությունունի, բռնորդ ծեսուց առ  
ուղարկուած առաջատարությունունի.

Ալծատ մեղլած մոռուց առաջատարությունունի կարտացած կողմէու, սույնարությունունի  
բռն ար յմլուրուն, յալուն սասե առ յալուն մշտարությունունի, մուս գարուց յմլուն  
մոմենթալառնա պատու բռն ար այսպահուն առ մուտքանուն առ յալուն յալուն յմլուն  
մուտքանուն, ասեց մշտարությունունի, սահատնուն առ յմլուն յմլուն յմլուն  
մուտքանուն, ասեց մշտարությունունի, սահատնուն առ յմլուն յմլուն յմլուն  
մուտքանուն, ասեց մշտարությունունի, սահատնուն առ յմլուն յմլուն յմլուն:

**Կարտացած:**

Տար կուրու սակրացո, սածեածուն,  
մոյշնուրուն մուշլուն, տածեածուն,  
ալզուն եւ գածուն զածեածուն,  
ճաշմուրալու նլուն տար, մածեածուն,  
ոյրուն տալուն նուսար, րածեածուն!

**Սոմենուրած:**

Տասե յալմուն նախագու գայցս.  
նատելս ուստրուն մանցուուտա,  
րա եալուն, րա տալուն!  
տմեածու րա եագուցուտա!  
ծուլծուլուն եմաս զարգուն ցարած  
մյունցուն գանցուուտա,  
ոյրուն կուլուն ցա ծացեն  
ցուցացս կաու դանցուուտա.

**Ածյուրիանուրած:**

Շենու տասեած մարագմունց

ტურფა ნაძვია,  
ბულბულის მკვლელო, შენი ეშნი  
ვარდის ქაცვია,  
უჭქნობო ხეო, ზამთარ-ზაფხულ  
მწვანე გაცვია,  
მკერდი ვარდია, ძუძუ –  
ვარდი, მხარი ვარდია.

ჩვენ არ ვიცით ვინ იყო ის მშვენიერი ქალი, ქალბატონი თუ გლეხის გოგო, ვისი სახმილიც სწვავდა საიათნოვას, ვის დალალებსაც ეთაყვანებოდა, ვისი ძუძუ-მკერდიც ძილს უფრთხობდა, ვისი თაფლივით ტყბილი ტუჩების კოცნას მონატრებული იყო აშუღი-ტრუბადური, არც ის ვიცით, მისი საყვარელი ტრფობის ობიექტი სომეხი იყო, ქართველი თუ აზერბაიჯანელი. არც ის ვიცით, ის ქალი სიყვარულში უთანაგრძნობდა პოეტს თუ გულგრილი იყო მის მიმართ

საფიქრებელია, რომ საიათნოვა ქართული ლექსებით ქართველ ლამაზმანს, ახლად მკერდაკოკრებულ ქალწულს უგალობდა, სომხური ლექსებით სომხურ ხუჭუჭმიან, შავთვალწარბა, მზეთუნახავ, მკერდვარდ გადაფურჩქნულ, პირისახით ბადრ მოვარეს მიმსგავსებულ ლამაზ ასულს, ხოლო აზერბაიჯანული ლექსებით – იმ მშვენიერ ცუგრუმელა აზერბაიჯანელ გოგონას, ვინც საიათნოვასავით თბილ ღიმილს არ იშურებდა, ვინც ღულუნა მტრედად ესახებოდა, ხან ნიბლია ჩიტად.

არ ვიქნებით მართლები, საიათნოვას ლექსების ადრესატებად ერთი რომელიმე კონკრეტული მდედრი, ერთი ვინმე კეკლუცი, ტურფა, პირმ-ზე-გადმომჩეული ასული ვიგულიხმოთ. არა, მისი ლექსების ადრესატები ქართველი, სომეხი და აზერბაიჯანელი მწყაზარ ქალიშვილები ან ქალბატონები არიან, რომლებიც არაერთხელ შეხვედრიან პოეტს, თბილი დამოკიდებულებაც ჰქონიათ მასთან.

არც ისე იქნებოდა მართალი, საიათნოვას ქართულ სომხურ და აზერბაიჯანულ ლექსებში მხოლოდ სიყვარულში იმედგაცრუებულის ან ცალმხრივი სიყვარულით გატანჯული გამიჯნურებული აშიყის ვაება და ტირილი გვეკითხა. საიათნოვას ერთი ვინმე კი არ უყვარდა, არამედ ყველა ლამაზი ქალი და ქალბატონი მისი სიმლერების ადრესატები იყვნენ, თუმცა, რა თქმა უნდა, არც ის არის გამორიცხული, საიათნოვას ერთი ვინმე ბანოვანი უიმედოდ შეყვარებოდა. გთავაზობთ ერთ სომხურ ლექსს:

ბალჩაში რომ დასეირნობ,  
თითქოს ტალღა მოსდევს წყალსა,  
თავი კარგად შენახე,  
არ მოგიხვდეს ნამი ხალსა,  
მთვარისებრი სილამაზით,  
ჭკვა-გონებას უბნევს ხალხსა,  
ქვეყნად ახლა გამოსული  
ნუგბარი ხარ საქებარი!

ეს კი აზერბაიჯანული ლექსიდანაა:

ერთი ჩემსკენაც მოიხედე ტურფავ,  
ლამაზო,  
მინდა მახვილი სიყვარულის  
გულზე დამასო!  
მე, საიათნოვა, შენმა ეშხმა მომკლა,  
დამავსო, –  
ცეცხლი – ვარდია, ღველფი –  
ვარდია, ალი ვარდია.

საიათნოვას ლექსებში არც ისე ბევრია, თუმცა, სასურველია, ყო-  
ფილიყო შტრიხები მისი ბიოგრაფიდან, სადაც ხაზგასმული იქნებოდა  
პოეტის სადაურობა, წარმომავლობა, თუმცა მაინც არის ის მცირედი  
მარცვალიც კი, რომელიც წარმოდგენას გვიქმნის მასზე:  
ქართულ ენაზე:

საქართველოს მეფის საზანდარი ვარ,  
საიათნოვას – არუთინას იტყვიან!

\* \* \*

საიათნოვა მქვიან, არუთინა ვარ,  
სიტყვას ვიტყვი, ცამ ქუხილი დაიწყოს!

ამ ბრწყინვალე მეტაფორამ უბიძგა ტიციან ტაბიძეს დაეწერა კიდევ  
უფრო ბრწინვალე მეტაფორით განყობილი სტრიქონები:

„ლექსებს ვიტყვი, ცის ქუხილი რა არი?!

საიათნოვას შიგ საფლავში

გავუტეხო ფიცარი.“  
სომხურ ენაზე:

სამ ენაზე სიტყვას გეტყვი,  
ერთი მაინც გაიგონე!

აზერბაიჯანულ ენაზე:

თბილის-ქალაქში, საქართველოს არემარეზე  
ამ საიათნოვას სიყვარულის  
ძმაკაცს იტყვიან.

\* \* \*

ჩემი სამშობლო თბილისია,  
ქართველთა მხარე,  
დედას-ჰავლაბრელს,  
ჰალაბელსაც მამას ამბობენ.

\* \* \*

საიათნოვა ქრისტეს მისდევს,  
სომხის ქრისტიანი არი.

საიათნოვას ლექსებში გაიდეალებულია ქალი, მაგრამ დიდი სპარსე-ლი პოეტივით – ომარ ხაიამივით ლვინის თავდავიწყებული ტრფიალი არ უნდა იყოს. მის ლექსებში სულ რამდენჯერმეა ნახსენები ლვინო, ისიც ისე, სასხვათაშორისოდ და არა ომარ ხაიამივით. და მაინც ლვინოს, რო-გორც თრობის და თავდავიწყების საშუალებას ისევ ქართულ ლექსებში ახსენებს უპირატესად:

საიათნოვა რომ მეჯლისში შავიდეს,  
ლხინი უყვარს, აყალმაყალს  
დაინუნებს!

შესანიშნავადაა ნათქვამი. ქეიფი და აზრიანი დროსტარება ჰყვა-რებია, მაგრამ ლვინოს უზომოდ სმას რომ ხშირად ჩხუბი, უსიამოვნება და აყალმაყალი მოსდევს, ეს სასტიკად სძულს ფაქიზი სულის პოეტს:

რახან სოფელს ასე მოსდევს,

ულხინოდ აღარ იქნება,  
შენი ქება, შენი ხვეწნა  
უენოდ აღარ იქნება,  
მარანისა ტუმბო, სავსე  
ულვინოდ აღარ იქნება,  
მეჯლისი გამართულია,  
უშენოდ აღარ იქნება,  
ტრიალებს ოქროს თასები,  
ლეილუმს ნაზი არ აკლია!

\* \* \*

შენი სუფრა –  
საზანდარი მზად იყოს,  
ღვინისათვის მარანში  
არ ჩახვიდე!

აქ ისე იკითხება, რომ, როდესაც სტუმრად გეწვევი, საზანდარი თან  
იქონიე, მაგრამ ღვინო საჭირო არ არისო.

ღვინისა და თრობის აპოლოგია საიათნოვას მხოლოდ ამ სტრიქო-  
ნებში იკითხება:

დავლიოთ ღვინო,  
არაყი ჩვენია!  
მეჯლის – საზანდარი,  
ბალი ჩვენია!  
და რა იქნება, ღამეს ჩვენსა გვეწვიო,  
დილამდის ვსვათ, ვინ გეტყვის  
თუ, დაწეო...

საიათნოვას სომხურ ლექსებში მხოლოდ ერთხელ არის ნახსენები  
ღვინო:

კაცი ღვინომ რო დაათროს,  
დამნაშავე ვაზი არი?

აზერბაიჯანულში კი ორგანაა ღვინო ნახსენები:

ზოგი ღვინოს სვამს, ზოგსაც

ჯავრით დაათრობს ბანგი.  
და, პირისაგან ღვინო მისვამს  
ძველისძველი.

საიათნოვას აზერბაიჯანულ ლექსებში გვხვდება სენტენციური სტრიქონები ერთგვარად აფორიზმებად რომ აღიქმება, რომლებიც გად-მოუქართულებია მთარგმნელს:

კაცს მარიფათი გზას უკაფავს,  
განა ურაზავს,  
ავ მასპინძელს ნუ ესტუმრები;  
ლუკმა არ ინდომო მონაბარავი;  
თუ სხვამ მე არ მინახულა,  
მე რათ ვინახულებ სხვასა;  
სხვას ორმოს ნუ უთხრი,  
თვით ჩავარდები;  
ყოველ ხეს შიგნიდან უჩნდება ჭია;  
კაცი ვინც რომ ალალია,  
განკითხვის დღეს წყნარი არი;  
დამიჯერე ქალს ნუ ანდობ  
საიდუმლოს;  
ნურასა სთხოვ კაცსა  
ახლად გამდიდრებულს:

და ა.შ.

ორიოდე სიტყვა წიგნის პოლიგრაფიულ კულტურაზე: კითხვა მიყვარს ფანქრით ხელში, დასამახსოვრებელ და განსაკუთრებულ ღირებულ ადგილებს ხაზს ვუსვამ ხოლმე, მათი მოძიება რომ გამიადვილდეს. ეს წიგნი იმდენად ძვირფასი და მაღალი დონის გამოცემაა, დამენანა ხაზე-ბით ამექრელებინა და ციტატების ცალკე ფურცელზე ამონერა ვამჯობინე, თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ იგი რამდენათაც ძვირფასი გამოცემაა, იმდენად დიდი ფასი აქვს და წიგნის ყველა მოყვარულს მისი შეძენა არ შეუძლია. წიგნები მართლაც და მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე უნდა იქნებოდეს, ოღონდ ჩვენი მყიდველუნარიანობის ადეკვატური.

„ლიტერატურული მესხეთი“ 2008წ. იანვარი

## ბონდო არველაძე

### „ათას ერთი აზერბაიჯანული ბაიათი“

გამოვიდა აზერბაიჯანული ბაიათების ქართულ თარგმანთა კრებული „ათას ერთი აზერბაიჯანული ბაიათი“, შესრულებული ცნობილი პოეტისა და მთარგმნელის ზეზვა მედულაშვილის მიერ. მას მკითხველის წინაშე წარდგენა არ სჭირდება, რადგან აგერ ოთხ ათეულ წელზე მეტია, ნაყოფიერ მთარგმნელობით მოღვაწეობას ეწევა. მართალია, სრულყოფილად ფლობს აღმოსავლურ ენებს – თურქულს, სპარსულს, არაბულს, მაგრამ ძირითადად თარგმნის აზერბაიჯანული და სომხური მწერლობის წიმუშებს. ამ ორიოდე წლის წინ ქართულად თარგმნა საიათნოვას აზერბაიჯანული და სომხური ლექსები და კრებულად გამოსცა აშულის ქართულ ლექსებთან ერთად. კრებულში შესულია აგრეთვე საიათნოვას ქართული სიმღერები. ასე რომ ეს კრებული საიათნოვას პოეზიის პირველი სრული ქართული კრებულია. ამ გამოცემას შევეხმიანე საკმაოდ ვრცელი რეცენზიით, რომელშიც საგანგებოდ აღვნიშნე – თუ საიათნოვა გენიალური აშულია, მაშინ ზეზვა მედულაშვილმა მოგვცა მისი პოეზიის კონგრენიალური ქართული თარგმანი. ეს აზრი დავასაბუთე კიდეც. მასვე ეკუთვნის ოვ.თუმანიანის, ავ.ისააკიანის, ჰრ. მათეოსიანის და სხვა სომეხ კლასიკოსთა ნაწარმოებების ოსტატურად შესრულებული თარგმანები. ამჯერად მათ განხილვას არ ვაპირებ, ეს ახლო მომავალში მაქვს განსაზღვრული. ახლა კი მსურს ვესაუბრო მკითხველს ზეზვა მედულაშვილის მიერ აზერბაიჯანული ხალხური პოეზიის ზოგიერთი წიმუშის ქართულ თარგმანებზე. ამ მხრივ, პირველ რიგში, ალსანიშნავია მის მიერ აზერბაიჯანული ეპოსის „ქოროლის“ ქართული თარგმანი. იგი გამოვიდა ორ ტომად, 2007 წელს. იმდენად, ბუნებრივად აქვს შერჩეული და მისადაგებული ქართული ხალხური ლექსის რიტმული და რითმული ქლერადობა და პოეტური სისადავე, რომ თარგმანი ქართული ორიგინალური ეპოსის შთაბეჭდილებას ტოვებს. ეს კი, ვფიქრობ, მთარგმნელის დიდი გამარჯვებაა, რაც მისასალმებელია, მაგრამ ზეზვა მედულაშვილისგან გასაკვირი არ არის, რადგან მას ქართველი მკითხველი და ლიტერატურული საზოგადოება განებივრებული ჰყავს ასეთი შესანიშნავი თარგმანებით. ამიტომ, ბუნებრივია, ეს თარგმანი საზოგადოებაში მოწოდებით მიიღო, რაც აღინიშნა მისი განხილვის დროს „კავკასიურ სახლში“.

აქვე მსურს ქართველ მკითველს ვამცნო ერთი უნიკალური, სა-სიამოვნო ფაქტი: ზეზვა მედულაშვილი არის ერთადერთი მსოფლიოში, ვინც ეს ვრცელი მოცულობის ეპოხი აზერბაიჯანულად და ქართულად თავიდან ბოლომდე ზეპირად რომ იცის (ეპოხის ლექსითი ნაწილი)

ზეზვა მედულაშვილს თარგმნილი აქვს აგრეთვე ნიზამის, ფიზულის, ვაგიფის, აშულ ალესკერის, მ. არაზის, ი. მამედოლლის, სამედ უურლუნის, და სხვა აზერბაიჯანული კლასიკოსი პოეტების ნანარმოებები. ამ თარგმანებში – „აზერბაიჯანული და ქართული სული ფაქიზად არის ურთიერთ-შერწყმული“ როგორც აღნიშნა ნიჭიერმა თანამედროვე აზერბაიჯანულმა მწერალმა რაფიგ გუმბათმა, ზეზვა მედულაშვილმა თავი მოუყარა მის მიერ შესრულებული აზერბაიჯანული ბაიათების ქართულ თარგმანებს და საქართველოში აზერბაიჯანის საელჩის ფინანსური დახმარებით, წლეულს ერთ კრებულად გამოიცა. ვინაიდან იგი აღმოსავლეთმცოდნეა სათაურიც აღმოსავლური შეურჩია და უწოდა – „ ათას ერთი აზერბაიჯანული ბაიათი“. თანაც, ამით მიანიშნა აზერბაიჯანული ბაიათის აღმოსავლური წარმომავლობა. კრებული ორენოვანია და მკითხველს შეუძლია თარგმანი შეუდაროს დედანს და განსაჯოს მისი მხატვრული ლირებულება. ვიდრე კრებულში შესული თარგმნილი ბაიათების შესახებ ვიტყვი, უპრიანი იქნება ორიოდე სიტყვით ამ ჟანრის შესახებ მოვახსენო მკითხველს. ბაიათი ძალზე პოპულარული იყო XIII-XIV ს.ს. აზერბაიჯანულ და საერთოდ თურქულენოვან სამყაროში. მასში ხალხს ჩაქსოვილი აქვს სევდა თუ სიხარული, სიყვარული თუ სიძულვილი, ცხოვრებისეული ხალხური სიბრძნე. სახალხო აშულები დღენიდაგ მღეროდნენ და ბაიათი იყო აზერბაიჯანენლი ხალხის დარდისა და შვების წამალი. რაც შეეხება ბაიათის პოპულარობას, ეს პოპულარობა განაპირობა მისმა ხალხურობამ და სალექსო ფორმამ.

გარდამავალი პერიოდის ქართულ პოეზიაშიც აქა-იქ გამოჩნდა ბაიათი. ამ სალექსო ფორმის მიხედვით წერდნენ ბესიკი, ბატონიშვილები, ალ. ჭავჭავაძე და სხვ. მაგრამ ფეხი ვერ მოიკიდა და გავრცელება ვერ ჰპოვა. ახლა, რაც შეეხება კრებულს, „ათას ერთი აზერბაიჯანული ბაიათი“. მასში შეტანილი თარგმანები ზეზვა მედულაშვილს შესრულებული აქვს შეიდმარცვლიანი საზომით თუმცა ნაწილი კი – რვამარცვლიანით, რომელიც ქართულ ყურს ბუნებრივად ესალმუნება. ერთი შეხედვით, ამ სადა სალექსო ზომის შექმნილი ბაიათის თარგმანა თითქოს ძნელი არ უნდა იყოს, მაგრამ ეს ასე არ არის. იგი სტრუქტურული აღნაგობით საკმაოდ რთულია და დიდ მთარგმნელობით ოსტატობას მოითხოვს.

დედნის ბოლო ორ სტრიქონში ჩადებულია ძირითადი აზრი, პირველ ორ სტრიქონზე მოდის სარითმო საყრდენი ანუ ეს არის მუსიკალური შემზადება ბოლო ორ სტრიქონზე გადასასვლელად. პირველ ორ სტრიქონს აზრობრივი წინამავლის ფუნქცია აკისრია. მასში გამოთქმული აზრი ხშირად არ უკავშირდება ბოლო ორ სტრიქონში გატარებულ აზრს. ერთი სიტყვით, მთარგმნელი სრულიად უნდა ფლობდეს ამ სალექსო ზომის ყოველ ნიუანსს და დედნის შუკუმშული აზრის აფორიზმად გადმოტანის ხელოვნებას. ზეზვა მედულაშვილი ყოველივე ამ კომპონენტს შესანიშნავად ფლობს და იყენებს კიდეც. ალარას ვამბობ ორივე ენის სილრმისეულ ცოდნაზე, რამაც მნიშვნელოვნად განაპირობა მთარგმნელის წარმატება. იგი ორიგინალის შინაარსასაც იცავს და შეიძლება ითქვას ახალ პოეტურ რეალობასასაც ქმნის. ამის ნიმუშად გამოდგება ნებისმიერი ნათარგმნი სტროფი.

ბედი მექცევა ჩარჩივით,  
რა ვქნა, ბედია, არ ვჩივი,  
მიმინო ვიყავ, დავბერდი,  
დაჟოს ხვდა ჩემი არჩივი.

ამ კრებულში შესული აზერბაიჯანული ბაიათების ქართულ თარგ-მანთა პოეტური ღირსებების შესახებ კიდევ ბევრის თქმა შეიძლება, მაგრამ რაც ითქვა, ვფიქრობ, იმითაც ნათლად ჩანს ამ თარგმანების მაღალი მხატვრული დონე და მთარგმნელის ოსტატობა.

გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 2010-11-25

## შალვა ამინაშვილი

ათას ერთი აზერბაიჯანული სიბრძნე

ახლახანს აზერბაიჯანის რესპუბლიკის საელჩოსა და აზერბაიჯანის მწერალთა კავშირის საქართველოს ფილიალის ერთობლივი ძალისხმევით ცალკე წიგნად გამოიცა ცნობილი პოეტისა და მწერლის, ივანე მაჩაბლის, ელიშე ჩარენცის, ნაჯაფ ნაჯაფოვისა და „საბას“ სახელობის

პრემიერის ლაურეატის, უბადლო მთარგმნელის ზეზვა მედულაშვილის მიერ თარგმნილი აზერბაიჯანული ბაიათების კრებული „ათას ერთი აზერბაიჯანული ბაიათი.“

ჩინებული წიგნია, ნამდვილი საუნჯეა ფოლკლორის მოყვარულთათვის და მათთვის, ვინც დაინტერესებულია ქართულ-აზერბაიჯანული კეთილმეზობლური ურთიერთობებით.

წიგნის შესავალ ნაწილში, რომელთა ავტორები არიან საქართველოში აზერბაიჯანის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი, პროფესორი ნამიგ ალიევი, აზერბაიჯანის მწერალთა კავშირის საქართველოს ფილიალის ხელმძღვანელი, თბილისის კულტურის ცენტრ „ვარლიგის“ დირექტორი რაფიკ გუმბათი და ზუზგა მედულაშვილი, შესანიშნავადაა განმარტებული აზერბაიჯანული ბაიათების ხალხურობა, თვით წიგნის ლირსება, რისთვისაც ჩვენ ისლა დაგვრჩენია ამ შესანიშნავ თარგმანებზე, პოეზიის მარგალიტებზე, გავამახვილოთ მკითხველთა ყურადღება. წარმოდგენილი ბაიათები გვაგრძნობინებენ ქართულ-აზერბაიჯანული პოეზიის მადლსაც და ალმოსავლურ ხალხურ სიბრძნესაც.

ათასერთივე ბაიათის რამდენჯერმე გადაკითხვამ მაგრძნობინა, რომ ქართულ პოეზიას ფესვები გადგმული აქვს ალმოსავლეთშიც და, ქართველებისთვის, ძირითადად კი თბილისელებისთვის, უცხო არასოდეს არ ყოფილა დუდუკების თანხლებით აზერბაიჯანულ ბაიათებს მიმსგავსებული ქართველი პოეტების – გრიგოლ ორბელიანის, ილიას, აკაკის, ვაჟასა და სხვათა სიმღერებად ქცეული ლექსები:

გინდ მეძინოს, მაინც სულში მიზიხარ...

**გრ. ორბელიანი**

მე შენ დაგყურებ მშვიდ მძინარესა  
და დავსტრიალებ შენს ბროლის მკერდსა;  
შენ თვითონ წრფელისა, წრფელიც გაქვს ფშვენა,  
ნეტა მის ბედასა, ვისიც ხარ შენა.

**ილია**

ცაზე მზეა, ქვეყანაზე შენა ხარ!  
შეცდომით ძირს ჩამოსული ზენა ხარ!

**აკაკი**

ისევ შენ, ისევ ქალაო,  
მომხედე, გამიცანია;  
შენ მაინც ნუ მიღალატებ,  
მოვკვდები, დამიტირია.

### ვაჟა

აღარაფერს ვიტყვი ქართული, ე.წ. ქალაქური პოეზიის ისეთ თვალ-  
საჩინო წარმომადგენლებზე, როგორებიც იყვნენ დავით გივიშვილი,  
სკანდარნოვა, ანტონ განჯისკარელი, იეთიმ გურჯი. მათი ლექსები გა-  
ჯერებულია აზერბაიჯანული ბაიათებით და უხვადაა წარმოდგენილი  
სატრაფიალო ლექსები:

დამიწყლულა დარდით გული,  
სიყვარულით დალდასმული,  
გამამორეთ ჯარა ექიმს,  
ტურფამ შემიხვიოს წყლული.

რაკი ადრე თუ გვიან გულს წყლული უნდა დააჩინდეს, ვინ არ ისურ-  
ვებდა ეს წყლული სატრაფიოსაგან ჰქონდეს მიყენებული. სიყვარული სახა-  
დივითაა როგორც ახალგაზრდებისთვის, ასევე ხანდაზმულებისთვისაც.  
რომელ ექიმს და დასტაქარს შეუძლია სიყვარულისგან მიყენებული წყ-  
ლულის განკურნება თუ არა, ისევ იმას, ვინც ჭრილობა მიაყენა:

ბულბულივით ნატკივარსა,  
ნუვინ მგონებთ დარდიმანდსა,  
სატრაფოს ხმაში ვარდი რქვია,  
დამყნობია ვარდი ვარდსა.

შესანიშნავი მეტაფორაა...

ასეც ხომ ბევრჯერ მომხდარა და კვლავაც მრავალჯერ განმეორდე-  
ბა, მეზობლის თუ თანასოფლელ გოგოს, რომელიც ჯერ 13-14 წლისაც  
არაა და მხოლოდ თავზე ხელის გადასმითაა მოსაფერებელი, უცბად,  
ჩვენთვის შეუმჩნევლად, სიყვარულის ასაკი წამოპაპრვია და დამპატრო-  
ნებელიც გამოსჩენია:

ვარდის ფურცელი ქარს გაჰყვა,  
ჩემი იმედი წყალს გაჰყვა,

მე რომ ჯერ ბავშვი მეგონა,  
გაიპარა და სხვას გაჰყვა.

ასეც ხომ ხდება, მშობლებს ან არ მოსწონთ სასიძო ან, უბრალოდ, არ ემეტებათ შვილი გასათხოვრად, ბიჭს საყვედურებთან ერთად ულტი-მატუმსაც უთვლიან, შეეწვიო ჩვენს გოგოს. აი ასეთი ცხოვრებისეული ვითარების შესატყვისია ეს ბაიათიც:

გული ტროვობით დამთვრალია,  
გულში სევდის ნაპრალია,  
მაგ შენს გოგოს თუ ვუყვარვარ,  
ძალო, ჩემი რა ბრალია...

ჭკვიანურ სენტენციად მესახება თუნდაც ეს ბაიათი:

იმწამშივე გამაჩუმე,  
ცუდად გითხრა რამე თუ მე:  
სადაც სიტყვა არ გაგიღის,  
სიტყვა გულში დაიდუმე.

მტრის უგულებელყოფა და მისი არაფრად ჩაგდება, უგუნურობაა.  
ამ აზრის ჭეშმარიტებას გვიდასტურებს ეს ბრძნული სტროფი:

ცხენს შეჯექ, ცხენებრ იფრთხვინე,  
მტერ-მავნე შემოიფრთხინე,  
სუსტიც რომ გყავდეს დუშმანი,  
მაინც კარგია სიფრთხილე.

არც სევდიანი მოტივებია უცხო აზერბაიჯანული ბაიათებისთვის, ამ სევდის ძირითადი მიზეზი კი ისევ და ისევ სატრფო ან მასთან განშორე-ბით გამოწვეული დარდია:

სოფელს მარილად ეყარა,  
თვალ-წარბით სცნობდა ქვეყანა,  
ვაჰმე, ის გოგო, ბიჭებო,  
მიწას ქვეშ ამოეფარა.

ან კიდევ:

ჩემ სიმწარეს, ჩემ სიმწირეს  
საზის კვნესა იზეპირებს,  
შენ რომ მოჰკვდე, მე გიტირებ, -  
მე რომ მოჰკვდე, ვინ მიტირებს?

ბუნებრივია, რომ ბევრი ბაიათი შვილებზე, შვილიშვილებზე, დე-  
დაშვილობაზეა:

ვენაცვალე მთასა გრილსა,  
ყაყაჩოთი მოფენილსა,  
ჯერ ამ ჩემ შვილს შემოვევლე,  
მემრე ჩემი შვილის შვილსა.

ალბათ, დედა-შვილის სიყვარული ბავშვის ჩასახვისთანავე იწყება,  
თანდათან ღვივდება და ძლიერდება. ეს ბაიათი კი სრულიად ნორჩის  
წარმოგვისახავს, ჩანს, ცეროდენას მოშივდა, ტუჩებს აცმაცუნებს და  
იღვიძებს:

რაღაც ტოკვა-ჩუჩუნშია,  
ფერმერთალია, ნუთუ შია?  
გაიღვიძე, ჩემო ქორფავ,  
რძე მომადგა ძუძუშია.

სხვა ბაიათში კი დედა ასევე ნორჩისა და პატარას ეფერება და ნა-  
ტრობს იმ დროს, როცა მისი საყვარელი არსება ფეხზე დადგება და  
სიარულს შეძლებს:

ქორფა ხარ, ერთი მტკაველი,  
ნაზი, ლამაზი ყვავილი,  
იმ დღეს და იმ ნამს ვენაცვალე,  
ფეხს რომ აიდგამ, გაივლი.

ხომ აბსურდია ასეთი კითხვის დასმა, რომელი უფრო ტებილია ან  
რომელი უფრო დასაფასებელი – დედა, მამა, ძმა თუ და, მეგობარი თუ  
მეზობელი. უფალმა კანონზომიერად განსაზღვრა და ფასეულობანიც  
გაანაწილა, ყველას თავისი ადგილი და ნონა მისცა და საკამათო ალა-  
რაფერი არ დატოვა. და მაინც:

ზღვა ფართოდ გადაშლილია,  
ძირს – ცივი, მალლა – თბილია.  
ხომ ძვირფასია დედ-მამა,  
შვილი სულზედაც ტკბილია.

აი ამავე ბაიათის მეორე შესატყვისი:

ვაუკაცს მთაზე თრთვილი უყვარს,  
მთის ყვავილი შლილი უყვარს,  
მე თუ მიყვარს ჩემი შვილი,  
ჩემ შვილს თავის შვილი უყვარს.

მაგრამ, შვილიც არის და შვილიც.

მჯობინობს ხალხი ამასა,  
პატივს სცემს კარგის მამასა;  
თუ შვილი უხეირო ჰყავს,  
დაახრჩობს დარდი მამასა.

ცოლქმრობაში ხომ არის სირთულეები, არც ამ პრობლემისა და  
ცხოვრებისეული ჭირ-ვარამისთვის აუქცევია გვერდი აზერბაიჯანულ  
ბაიათებს:

ცოლი მყავს და, ვაი რა მყავს,  
ვაი ჩემ თავს, მაგის მამყვანს, -  
დღეში ასე, ათჯერ მაინც,  
სახლში მიტეხს აყალმაყალს.

არადა, სხვა ბაითში ნათქვამია:

კაცსა კაცად გამოაჩენს,  
კარგი ცხენი, კარგი ცოლი...

...რძალ-დედამთილს შორის დაპირისპირება ძველთაგანვე მოდის.  
ასე ყოფილა და ასე იქნება ყოველთვის დედამიწის ყველა კუთხეში.  
აზერბაიჯანი ხომ არ იქნება გამონაკლისი. ჩვენც კარგად გვახსოვს XVIII

საუკუნის შესანიშნავი ქართველი პოეტის ბესივის საყოფაცხოვრებო პოემა „რძალდედამთილიანი.“ ამ თემამ ასახვა ჰქოვა აზერბაიჯანულ ბაიათებშიც:

მოვლო ზღვის საკვირველეთი,  
გემბა დალანდა ხმელეთი,  
რძღლის ერთმა სიტყვამ დედამთილს,  
მოჰვარა ელეთ-მელეთი.

რა იწვევს შუღლს და მტრობა-კინკლაობას რძალსა და დედამთილს შორის? ამის გარკვევას, ალბათ, ამაოდ შევეცდებით, უპირველესი მიზეზი კი ისაა, რომ რძალი ექიმება დედამთილს შვილის სიყვარულში. განა ამის დასტური არაა ეს ბაიათიც?

შვილი რომ დაპბადე ოხვრით,  
ჰზარდე ლოცვით, მუხლის მოყრით, -  
მე წაგართვი, მე მივიმხრე, -  
დედამთილო, გასკდი ბოლმით.

რა თქმა უნდა, ყველგან და ყოველთვის არაა ჩსუბი და აყალმაყალი რძალ-დედამთილს შორის. აქ, ალბათ თავის გადამწყვეტ როლს ასრულებს ერთთანაც და მეორესთანაც მაღალი კულტურა, ალზრდა და შეგნება. ასეთი რძალი და დედამთილი მშვიდობიანად ინაწილებენ ერთი მხრივ შვილისა და, მეორეს მხრივ, ქმრის სიყვარულს:

ზოგი რძალი – ენამნარი,  
სახეძმარი, მოუხმარი,  
მე ამ ჩემ რძალს ვენაცვალე,  
გულით უყვარს თავის ქმარი.

რამდენიმე ბაიათში სოფლის სამდურავი იყითხება:

ეს ვითომ ტკბილი საწუთროც  
ბოლოს, გესლი და შხამია.

უფრო მეტია ბედის სამდურავის გამომხატველი ბაიათები, გულის-მომკვლელი და სათანაგრძნობი:

ბედმა ჩემი მუდარა და  
აჯა გამიცუდა რადა!  
საქორნინო ტანსაცმელი  
გადმიქცია სუდარადა.

ამ ბაიათის ქართული რითმები ბრწყინვალე და ვირტუოზულად გა-  
წყობილ რითმებად მესახება.

ქართველები ის ხალხი იყო, რომლებიც თავიანთ ქვეყანაში ამჯობი-  
ნებდნენ ცხოვრებას. ჩვენ ერთადერთი ერი ვიყვაით დედამიწის ზურგზე,  
ყველაზე ნაკლებად გაფანტულები სხვა ქვეყნებში. მე ეს, როგორც ჩემი  
ქვეყნის პატრიოტი, მეამაყებოდა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ვი-  
თარება მთლიანად შეიცვალა. როგორც წერენ და ამბობენ, მილიონნახე-  
ვარი ქართველია გაფანტული მთელს მსოფლიოში. თუ არა გაუსაძლისი  
პირობები, ყოფნა-არყოფნის საფრთხის წინაშე რომ დადგა ქართველობა,  
საზღვრების გახსნის მოქედავად, იმის მეთედიც არ გავიდოდა სა-  
ქართველოდან, ისევ შინ, თავიანთ ქვეყანაში ამჯობინებდნენ დარჩენას,  
მაგრამ საკითხი ასე დაისვა: ქართველ კაცს ყველა ღონე უნდა ეხმარა,  
რომ ქმარს ცოლი, ცოლს ქმარი და შეილები, მშობლები გადაერჩინა. და  
ეს შესძლეს ქართველებმა. თუ რის ხარჯზე, ამას ნულარ ვიკითხავთ.  
შედეგი ისაა, რომ საზღვარგარეთ წასვლამ, იქ მუშაობამ თუ სწავლამ,  
ქვეყნა შიმშილს და სიკედილს გადაარჩინა.

ამ მხრივ როგორი ვითარებაა აზერბაიჯანში, არ ვიცი, არა მაქვს  
ინფორმაცია, მაგრამ აი რას გვამცნობს აზერბაიჯანული ბაიათი:

ტრფიალით თრთოლა სჯობია,  
ყისმათათან ბრძოლა სჯობია,  
უცხოობაში წანნალსა,  
საფლავში წოლა სჯობია.

სწორედ ასეთი იყო ქართველი კაცის განწყობილებაც, სხვაგან წან-  
წალს კი არა, სხვაგან განცხრომით ყოფნასაც, თავის მამულში სიკედილი  
ერჩია. განა ბედნიერები იყვნენ ან გრიგოლ რობაქიძე, ალ.ჭეიშვილი,  
ქაქუცა ჩოლოყაშვილი და სხვ. ვისაც სამუდამო განსასვენებელი უცხო  
მინაზე ერგოთ?

...რამდენიმე ბაიათში მეზობლის ფასი და წონაც არის მინიშნებული,  
არაფრით რომ არ განსხვავდება ქართული ცნობიერებისგან:

გული გამიხალისაო,  
წყალმა წყაროს წყალისაო,  
შორ ნათესავს მირჩევნიხარ,  
მეზობელო კარისაო.

ან კიდევ:

გიჯობს, გაანძრიო ხელი,  
ჰქნა და გაიტანო სვრელი,  
კარგი სახლის ქონას გიჯობს,  
გყავდეს კარგი მეზობელი.

აზერბაიჯანული ბაიათი არც მეგობრობას ივიწყებს და შეგვახსე-  
ნებს:

დოსტი ათასიც ცოტაა,  
მტერი კი ერთიც ბევრია.

ალნიშნული ბაიათებით თუ ვიმსჯელებთ, უნდა დავასკვნათ, რომ  
თბილისი აზერბაიჯანელებისთვისაც ახლობელი ყოფილა. განა ამას არ  
ადასტურებს შვიდ ბაიათში თბილისის ხსენება? ყველას თუ ვერა, ორ  
ბაიათს მაინც გაგაცნობთ და, დამტანხმებით, რა სითბოთი და რა სიყ-  
ვარულით არის შემოსილი თბილისი:

თბილისო, ფასს ვინ არა გდებს,  
ველს რომ მზე მოგისმარადებს?  
მანდ ბიჭი მიყვარს, რა ბიჭი! –  
ბეგებსაც ძალლად არ აგდებს.

ჩვენ, რა თქმა უნდა, არ ვიცით, ვინ არის ან ვინ იყო პირველი ბაია-  
თის შემთხველი და, არც ის ვიცით, ის ბიჭი, ბეგებსაც რომ ძალლად  
არ აგდებდა, ვინ იყო, აზერბაიჯანელი თუ... ხომ შეიძლება ქართველიც  
ყოფილიყო. განა ცოტა ქართველს ჰყავს ცოლად აზერბაიჯანელი?

აი მეორე ბაიათიც: აზერბაიჯანელი ბიჭი რომ ნატრობს, თბილისელი  
გოგო მიმშვენებდეს გვერდსო:

ვეხვეწები მაღლა ღმერთსა,  
თუ ამიხდენს ნატვრას ერთსა:  
განჯის ბაღში თბილისელი  
ტურფა მიმშვენებდეს გვერდსა.

ოცდაათიოდე ბაიათი მოვინიშნე, ვირტუოზულ ქართულ რითმებად  
რომ დავიგულე. მათგან ორს გაგაცნობთ:

ეს გოგონა ჩვენი იყოს,  
ოქრომკერდით მშვენიერი იყოს,  
ჩვენ ეს ერთი გოგო მიგვყავს,  
სხვა, ვინცა გყავს, თქვენი იყოს.

კიდევ ერთი:

არაზო, მტკვარს რომ ჩაები,  
დაცხრი, დადინჯვდი, გაგთვალავს,  
ვინმე – თვალდასაბრმავები.

ახლა, როცა ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ საქართველომაც და  
აზერბაიჯანმაც დამოუკიდებლობა მოიპოვეს და თავი დააღწიეს ე.წ.  
უფროსი ძმის დიქტატის, მეტი სიახლოვე და სიამტკბილობა მართებს  
ერთმანეთის მიმართ, უფრო მეტი უნდა ითარგმნოს ერთმანეთის ლიტე-  
რატურული შედევრები ( და არა მარტო ისინი), რაც სულიერად კიდევ  
უფრო დაახლოებს ორ მეზობელ ხალხს.

**2011წ. ივლისი. გაზ. „ლიტერატურული მესხეთი“**

## ტრისტან მახაური

### „ქოროლლის ეპოსი“ ქართულად, ამონარიდი

ქოროლლის ეპოსის სამშობლო აზერბაიჯანია. აქედან გავრცელდა იგი მრავალ ქვეყანაში და XIX საუკუნის შუა ნლებამდე ჩამოყალიბდა მისი თორმეტამდე ნაციონალური ვერსია. აზერბაიჯანული, სომხური, ქართული, თურქული, ქურთული, თურქმენული, ტაჯიკური, უზბეკური, ყაზახური, არაბული (ბუხარელ არაბებში გავრცელებული), თობოლურ-თათრული, ყარაყალფახური.

მკვლევარები მიუთითებენ, რომ ქოროლლის ეპოსს საფუძვლად დასდებია 1595 – 1605 წლებში აზერბაიჯანში მომხდარი გლეხთა აჯანყება, რომელიც ოსმალეთსა და ირანშიც გავრცელებულა. აჯანყებულთა შორის ასახელებენ ვინმე ჰოეტ ქოროლლის და მას ეპოსის გმირთან აიგივებები.

საქართველოში ქოროლლის ეპოსის გამავრცელებლები იყვნენ აშულები. მათი ასპარეზი ძირითადად სამხრეთ საქართველოს გამაჭმადიანებული პროვინციები და თბილისი იყო, სადაც ძალუმად იგრძნობოდა აღმოსავლური ელემენტის გავლენა. იოსებ გრიშაშვილი წერს: „მე მინახავს შეითანხაზრის ყავახანაში თურქი აშული, რომელიც საზით ხელში დამსწრებს მთელი საათის განმავლობაში შეუწყვეტლად უამბობდა... ქოროლლის თავგადასავალს.“

ქოროლლის ამბები ქართველ აშულთა რეპერტუარშიც შედიოდა. მსმენელს განსაკუთრებით სიბლავდა კეთილშობილი გმირის საარაკო თავგადასავალი. ერთ-ერთი გადმოცემა მოგვითხრობს: „ერთხელ სამდერლად მოსულ ნიკო დავლაშერიძისთვის უთხოვიათ, თეპარ მირზა არ გვინდა, ქოროლლი იმღერეო, დემირჩილლი რომ ჩამოიყვანა, ის იმღერეო“ (ლიტ. მუზ., ხელნან. ფონდი 22298-22301, ჩამნ. შ. ლომსაძე).

ქოროლლის ეპოსს აღმოსავლური დასთანის ფორმა აქვს: მასში მონაცემებს პროზა და ლექსი.

აშულები პროზაულ ნაწილს რეჩიტატივით წარმოთქვამდნენ, ლექსებს კი საზზე ამღერებდნენ.

ქოროლლის ეპოსის ქართულ ვერსიაში ლექსები ძალიან ნაკლებად

გვხვდება, რადგანაც აღმოსავლური ენების მცოდნე მომღერლები ამ ლექსებს იშვიათად თარგმნიდნენ, ძირითადად კი თურქულ ენაზე მღეროდნენ.

1887-1911 წლებში პოეტმა დავით გივიშვილმა ქართულ ენაზე თარგმნა და ოთხი პატარა წიგნის სახით დაბეჭდა ქოროლლის ეპოსის რამდენიმე ეპოზოდი. მან რუსთველური შაირით გააწყო თქმულების პროზაული ნაწილი, ლექსები კი ტრადიციული ფორმით – ყოშმით და გარიელით თარგმნა. ეს იყო ქოროლლის ეპოსის პოეტური თარგმანის პირველი ცდა.

მიმდინარე წელს „კავკასიურმა სახლმა“ ქართველ მკითხველს მიაწოდა ხსენებული ეპოსის სრული თარგმანი. გამოცემა ორ წიგნად დაიბეჭდა. მთარგმნელი გახლავთ ჩინებული მოქართულე და პოეტური იმპროვიზაციების დიდოსტატი ზეზვა მედულაშვილი. ორმოცნდიანი მუშაობისა და ასევე კარგა ხნის ლოდინის შემდეგ თარგმანმა, როგორც იქნა, მზის სინათლე იხილა.

წიგნის ბოლოთქმაში მთარგმნელი აღნიშნავს, რომ ხსენებული თარგმანი შეუსრულებია პროფ. გ.პ. თაპმასიბის მიერ საბავშვოდ დამუშავებული გამოცემიდან, რომელიც 1965 წელს დაისტამპა ბაქოში და, თავის მხრივ, ეყრდნობა ქოროლლის ეპოსის 1959 წლის აკადემიურ გამოცემას.

#### “ავად თუ კარგად თავი გავართვი“

მოკრძალებით შენიშნავს მთარგმნელი საკუთარი შრომის შესახებ, მაგრამ გემოვნებიანი მკითხველი დაგვეთანხმება, რომ ზეზვა მედულაშვილმა მართლაც კარგად გაართვა თავი დაწყებულ საქმეს... შედეგი გვაქვს და ჩვენ შეგვიძლია ორიოდე სიტყვით შევაფასოთ მისი ნამუშავევი.

პირველი ღირსება მთარგმნელისა არის მშობლიური ენის ღრმა ცოდნა. მის ხელში სიტყვა ახალ სიცოცხლესა და ულერადობას იძენს. გვხიბლავს ბუნებრივი და თავანკარა ქართული. აი, როგორ იკითხება თარგმანში ქოროლლის თვალით დანახული ყოშაბულალის ზღაპრული სურათი: „ხედავს, კლდის თავზე ისეთი ყვავილოვანი და ბალახოვან-მდელოვანი წალკოტია გაშლილი, იმისი ყურება ერთ რამედ ღირს: ვარდი ვარდს უხმობს, ბულბული – ბულბულს. გეგონება ამ ფრიალო კლდის თავზე მშვენიერი ბალჩა სამოცდათორმეტი ყალმით სამოცდათორმეტ-ფერად მოუხატავთო. ამ წალკოტის შუაში ერთი ბებერი ხე დგას, ხის ქვეშ კიდევ ის თრწყარო, ის ყოშაბულალი წეროს თვალივით კრიალებს, ცრემლივით მოლიკლიკებს და გარემოს რძის ტბად აქცევს“.

ხალხური ენის სისადავე და გამომსახველობითი უნარი ბავშვობი-დანვე შეუსისხლოოცებია მთარგმნელს იმ თქმულება- გადმოცემებიდან, რასაც იგი კახეთში ისმენდა, რასაც უამბობდნენ მისი უსინათლო ბებია ნატო ყარამანის ასული იაგანაშვილი და პაპა ტიმო ივანეს ძე მედუ-ლაშვილი, რომელთა ხსოვნასაც მიუძღვნა მთარგმნელმა წინამდებარე გამოცემა.

წავიკითხოთ კიდევ ერთი პატარა ნაწყვეტი, რათა ვიგრძნოთ ქართული სიტყვის ლაზათი და გემო, წავიკითხოთ იმის დასტურად, თუ როგორი ნათელია ფრაზა, რა ტევადია სიტყვა და როგორია მისი მხატვრული ზემოქმედების ძალა: „ფაშებისა და ხონთქრების სისხლის მნიშვნელი ქოროლი ბულუ ბეგს ტყვედ ჩაუვარდა დუნია ხანუმმა ალარ იცოდა, რაღა ექნა... .... ჰოდა, თქვენც იფიქრეთ, დუნია ხანუმი რა ყოფაში იქნებოდა. საცოდავი ისეთი გახდა, ისეთი, რომ შემოდგომის ფოთოლს დაემგვანა, ჩამოწყვეტაზე როა და მარტო ქარის დაქროლასლა ელოდება. მაგრამ რა უნდა ექნა საწყალს? რისი შემძლე იყო, რა გაეკეთებინა?“

ქოროლლის ეპონის ლექსითი ნაწილები რომ მაღალი პოეტური ოსტ-ატობით არის თარგმნილი, ვფიქრობ, ამაში ეჭვი არავის შეეპარება. ზეზვა მედულაშვილის ხელში გამოტარებული ლექსი უკიდურეს ტექნიკურ დახვეწილობას ავლენს, თანაც ისე, რომ ხალხური სტილი შენარჩუნებული აქვს. ჩემი ნათქვამი რომ მხოლოდ დითირამბი არ გამოვიდეს, მოვიყვანოთ ქოროლლის ერთი დელიბაშური ყიუწინა:

ვაჟკაცნო, უამია ხმალთა კამათის,  
ჯავრთა ამომყრელი დღე არის ესა!  
რკინათ შერკინების და მუხანათის  
ცხენით ჩამომყრელი დღე არის ესა!

ჯომარდი არ გარბის ბრძოლის ველიდან, –  
დუშმანს მიეტიოს გულით ხელითა!  
ჯაბანთა სოროში შესაძვრენი და  
შიშის ზარმომგვრელი დღე არის ესა!

ხმალბასრი ქოროლლი ცხენზე ვზივარ და  
მუხანათს მივკერძებ შხამ-სატკივართა!  
მტერთა, გარეგურგვლად შემომყივართა,  
ჭიტლაყამომკვრელი დღე არის ესა!

ქოროლლი და აშული ჯუნუნი პაექრობას გამართავენ. ქოროლლი 11 მარცვლიან ხანას ეტყვის, ჯუნუნი 8 მარცვლიანი ბაიათით პასუხობს, რომელიც ქართულ ხალხურ შაირს მოგვაგონებს:

აშული იმეორებდა,  
სწორს იტყვის, არა ქორებსა  
აბა, მიმინოს ბელურა  
მხარს როგორ დაუსწორებსა!

აშული ჯუნუნი სხვა ბაიათსაც ამბობს:

აშულმა საზი ატირა,  
კაცმა მთა გადინადირა.  
ალვიზში ქორი აფრინდა,  
მურლუზში ბურტყლი ადინა.

ეს ბაიათი გამოძახილი უნდა იყოს შემდეგი ქართული შაირისა:

აფრინდა ქორი, აფრინდა,  
არაგვი ჩაინადირა.  
მცხეთას დაეცა ხოხობსა,  
ავჭალას მტვერი ადინა.

ზეზვა მედულაშვილის თარგმანში ყურადღება უნდა გავამახვილოთ სიტყვათწარმოების საკითხებზე, ზედსართავი – უვიცი, ზმნა-მოიუვიცა: „ქოროლლიმ დაიდასტურა, რომ იმ ბიჭს მართალი უთქვამს: ჯოგი აქ არის! თავი მოიუვიცა და კითხვა დაუბრუნა.“

ზედსართავი – უმეცარი, ზმნა – მოუმეცარა: “ – როგორ წამო-ასხმევინე? – მთლად მოიუმეცარა თავი ქოროლლიმ.“

სინანულის გამომხატველი შორისდებული აფსუს, ზმნა – მეაფსუ-სება:

ბალი აპმედი ეუბნება ქოროლლის: ქოროლლი, რა გოგოც ნიგარ ხა-ნუმი ვნახე და რა ბიჭსაც შენ გიყურებ, ის გოგო სხვისთვის მეაფსუსება.“

ცალკე უნდა ალინიშონს კომპოზიციები: „ცხენმალედ იარეს“, „ლაშ-ქარმიხვეული“, „ცათაფრენას ეწია“, „ჭიტლაყამომკვრელი“, „ხმალბას-რო“. ასეთი მაგალითები მრავლად არის და სიტყვას ალარ გავაგრძელებთ.

ქოროლლის სახელს დიდი საბრუნავი მისცემოდა და სტამბოლამდე გასულიყო”, – ვკუთხულობთ მის თარგმანში. ქოროლლის სახელი კარგად იყო ცნობილი საქართველოშიც. ამის დასტურია ხსენებული ეპოსის ქართული ვერსია უამრავი ვარიანტით, ტოპონიმი „ქოროლლის ციხე“ (ცნობილი კოჯირის ციხე ქვემო ქართლში და აბულის ციხე ჯავახეთში, რომლებსაც გვიან ენოდათ ეს სახელი), გვარი ქოროლლიშვილი და ა.შ.

მით უფრო დიდი ინტერესით გაეცნობა ზეზვა მედულაშვილის ჩარგმანს ნოყიერი ქართულით გაჯერებულ წიგნს მოწყვერებული ქართველი მკითხველი. წინამდებარე თარგმანი გარკვეულწილად დააინტერესებს საქართველოს აზერბაიჯანული წარმოშობის მოსახლეობასაც.

**გაზეთი: „ჩვენი მწერლობა“, 19-25 დეკემბერი, 2003**

### შალვა ამინაშვილი

#### აზერბაიჯანული ეპოსი – „ქოროლლი“

ზეზვა მედულაშვილის თარგმნილი და „კავკასიური სახლის“ მიერ გამოცემული აზერბაიჯანული ეპოსის „ქოროლლის“ გადაკითხვამ ერთიორად ახლობელი გახადა ჩემთვის თვით ცნება აზერბაიჯანიც, აზერბაიჯანელი ხალხიც, მათი შავგვრემანი ქალ-ვაჟებიც. კარის მეზობელი ხალხის ჩვენს ენაზე კარგად თარგმნილმა წიგნმა უფრო უნდა დაახლოვოს და დააძმობილოს სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ხალხები, უნდა გაუღვივოს ინტერესი ადამიანებს ერთმანეთის კულტურის, პოეზიის, ეთნოგრაფიისა და ადათ-წესების მიმართ.

ზ. მედულაშვილისეული „ქოროლლის“ გადაკითხვის შემდეგ, ასე მეგონა, დღევანდელი აზერბაიჯანელები, ყოველი მეორე თუ არა, მეათე მაინც ქოროლლის და მისი დელიბაშების დალი ჰასანის, დემირჩილლის, აივაზის, ბალი აჰმედის, გიზიროლლის, ქალები კი ნიგარ ხანუმის, თელი ხანუმის და სხვა ულამაზესი, კეთილი და მამაცი ხანუმების შთამომავალნი ყოფილიყვნენ.

ერთი რამ არის საოცარი, როგორ შეიძლებოდა მომხდარიყო, რომ დღემდე ქართველი მკითხველი სრული სახით არ იცნობდა კარის მეზობელი ხალხის ამ დიდებულ ლიტერატურულ ძეგლს. ჩვენ მხოლოდ

ყურმოკვრით თუ ვიცნობდით „ქოროლლის“ წარმტაც ეპოსს და მხოლოდ ასზე მეტი წილის წინათ გალექსილ დავით გიგიშვილის პოემის სახით თუ გვეგულებოდა :ქოროლლის“ ამბავი, რომელიც დიდი ხანია ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად ქცეულა და იმ წიგნის არსებობაც მხოლოდ აზერბაიჯანულ-ქართული ურთიერთობის სპეციალისტ-მჩხიბავებმა თუ იკოდნენ.

ზეზვა მედულაშვილი ძალიან დაკვირვებული მთარგმნელია, ის სათარგმნ მასალას მეცნიერულად და შემოქმედებითად უდგასა, უყვარს ის ენაც, საიდანაც თარგმნის და ისიც, რა ენაზეც უნდა აამეტყველოს ტექსტი. ვფიქრობ, აღმოსავლურ ენათა მცოდნეთაგან სწორედ ზეზვა მედულაშვილი უნდა შესჭიდებოდა „ქოროლლის“. ღმერთმა ქნას, სხვამაც სცადოს მისი თარგმნა, მაგრამ, ვფიქრობ, ამაოდ დაშვრება, როგორც ყველა, ვინც ვანო მაჩაბლისეულ „მეფე ლირს“ ხელმეორედ მიუბრუნდება სათარგმნელად.

ზეზვა მედულაშვილისეული „ქოროლლი“ მდიდარია ნეოლოგიზმებით, რაც სისხლხორცული გამოდგა ქართული ენისათვის და რაც უთუოდ თარგმანის მაღალ ოსტატობაზეც მიგვანიშნებს და მშობლიური ქართულისადმი მთარგმნელის გაბედულ მიდგომაზეც.

ამოვწერთ ნეოლოგიზმების რამდენიმე ნიმუშს, რომლის ქართულ მეტყველებაში დამკვიდრებაც მისასალმებელი იქნება: შეეუარნენ, საცოდნელი მოიცოდინა, მოითვალეობა, დილამ რომ გადაიდილავა, ასხაპასხუდა, წამხართეძოვდა, გაიხალისე და გაისურვილე, ახლა მოიქმავე და მოიმყოფინე, ხანმოთეული, გაიმჩქეფარა, შეუფრთოვანდა, მოიხელ-სადაგა, იუიურიბანდა, ჭირთფეთება, დაუმუხლიკვერავა, ადგილსატეხარი, ციდამტკავლეულ ჰქონდა ნაზომი ის ადგილები, შუქმოელვარობდა ჯაგმაგები, შეაუუუნა.

ტექსტს ადვილად და ხალისით წასაკითხავს ხდის ნაწარმოებში მიმოფანტული მეტაფორები, ეპითეტები და იდიომები, ქართული მეტყველებისათვის დამახასიათებელი, ხალხურიდან მომდინარე ხერხი ეფექტის გასაძლიერებლად: „ამ მეჯლისზე, რომ ენავ ნუ იტყვი და, ყურო ნუ გაიგონებ!“ „ქა და კედელი კიდევ ხმას ამოიდებს, ამათ ხმა-გლიმი არ დასცდენიათ,“ ეს ახალგაზრდა კაცი ვინ იყო, ვინა და ერზინჯანელი ბოლუ ბეგი იყო, „ მოდის და არ იკითხავთ, როგორ მოდის?“, „აშულის თვალი ზარაფივით არის – მარტო ერთი შეხედვა კმარა, ხალხს იმ წუთში დაგირჩევ-დაგითავთავადებს – ვინ ვინ არი და ვინ რა არი,“ „თვალის დახამხამებაში ძუძუსმჭამელებიდან დაწყებული ფაფისმჭამელებამდე

სუსკველანი მოედანზე მოგროვდნენ, „„ქოროლლი სიმღერაში იყოს გართული და მოდი, მე ამ გოგოს ამბავ-ხაბარს გეტყვით. ეს გოგო ვინ იყო, ვინ იყო და, სწორედ ყარსის ფაშას ქალიშვილი ჰურუ ხანუმი იყო, „„აბა, მიდი და მიდი, მიდი და მიდი, აჭენეს ცხენები და ბოლოს ყარსის შემოგარენსაც მიალწიეს,“ დელიბაშებმა ცხენები მიგეზ-მოგეზეს, გზა მიკეც-მოკეცეს,“ ეს ქუჩა რომელი ქუჩა იყო, რომელი და, სწორედ ის იყო, ადრე ქოროლლიმაც რომ გაიარა და ჰურუ ხანუმს შეხვდა,“ „ნინ რომ ფლავიც გედოს და ხელებზე ერბო გადაგდიოდეს, თავი მიანებე და სასწრაფოდ ჩემთან დაიბადე,“ „ხმა გავარდა და ატყდა ჰაი-ჰუი, ნიგარ ხანუმი მოიტაცესო,“ „კაცი იტყვოდა, ნეტავი ორი თვალი კიდევ მომცა და ამისათვის მაყურებინაო.

ზეზვა მედულაშვილი არც უარგონის გამოყენებას არიდებს თავს, მით უმეტეს, როცა ეს სიტყვები თავისთავად თავის ადგილს იმკვიდრებს მეტყველებაში: „დაიტიშა“, „ხოში“, „ყარტან-ყურტანი“, „ქიმთა-ქიმთად“, „გააყრევინა ბათქანი“ და სხვა, რომლებიც სულაც არ არის აუცილებელი ლიტერატურაში სახმარ სიტყვად იქცეს, ისე კი სასურველია, გამოიცეს უარგონების ლექსიკონი.

განსაკუთრებით მრავალსახიერი და შთამპეჭდავი მეჩვენა ეპოსის პერსონაჟთა მგზავრობის აღწერა: „ცამზა გზას დაადგა. ფეხით თუ ქვეითად, ზევით თუ ქვევითა, ღამებით თენებით, სვლითა და სვენებით, დღეობით, თვეობით, ენამარჯვეობით, ცოტა იარა თუუ ბევრი იარა, ქალამნისა ცვითა ტყლაპი, ვლო ხმელი და ტოპა ლაფი, სად-ისვენა, სად-იარა, მთა და ველი გადაიარა,“ „ალმართები ალმა ვლეს, დალმართები დალმა ვლეს, მთა ელვასებრ გადავლეს, ვაკე მოინადავლეს და ბალი-ჯამიც მივიდნენ,“ „ხელში ჯოხი დაიჭირა და გზას გაუდგა. ცოტა იარა თუ ბევრი იარა, აქ შეისვენა თუ იქ შეისვენა, სად-ქარმა უქრიალა, სად-წყარომ უკრიალა და, ერთ მშვენიერ დღეს ჩარდახიან ჩანლიბელსაც მიადგა,“ „ჩანლიბელიდან ელვასავით დაეშვენენ და არზრუმისკენ აიღეს გეზი. მთები აჭრეს, ხეობები ჩაჭრეს, ზეგნები აივაკეს, გორაკები ჩაივაკეს. იარეს, იარეს და არზრუმს მიაღწიეს.“

პოეზიაში რეფრენის მეტი რა გვინახავს, რომელიც, როგორც წესი, მკითხველსა თუ მსმენელზე ზემოქმედების გასაძლიერებლად ითხზვება, მაგრამ, ასე მგონია, რეფრენი ყველაზე მეტად სწორედ ზეზვა მედულაშვილისული თარგმნილ ლექსებს მოუხდა და მიესადაგა, „ქოროლლის“ ეპოსში რომ ასე ხშირად გხხვდება და სმენას გვიტკბობს: „კაცი სატრიფოს ძებნა-ჭვრეტად ხამს, წავიდეს მარტოდმარტო. მუხანათის მოსადრეკად

ხამს, წავიდეს მარტოდმარტო, „ „ხმა აწვდინე სატრფოს მალე, წა, ქოროლლი! წა ქოროლლი! აგრემც იმას ვენაცვალე, წა, ქოროლლი! წა ქოროლლი!“ „ავდგები და ხმალს შევირტყამ, შევიბამ, ნება მომე, არზრუმ-ქალაქს წავიდე. ფერს ვერ მიცვლის მე დუშმანის ფაფხური, ნება მომე, არზრუმ-ქალაქს წავიდე!“ „ოსმალთ ჯარი კვალზე მოგდევს მგელივით, აჯამოლლი, მოდი, გზას დაეშურე! წაგაცლიან მაგ თავს ჩალის ღერივით, აჯამოლლი, მოდი, გზას დაეშურე!“, წუ მიჰქარავ, ჯაფარ ფაშავ, დემირჩოლლი მე ვარ, მე ვარ! მე გიჩვენებ შენ თამაშას, დემირჩოლლი მე ვარ, მე ვარ!“ „სოვდაგარო, ერთი ვულეტავ რაზმებს, საქონელი დაყარე და წადი! დუშმანს ვაზნევ, დუშმანი ვერ მაზნევს, საქონელი დაყარე და წადი!“, „ქოროლლის ნებავს, სისხლი ვსვა უნდა მე შენი, მე შენი! ვით ჩრიხვის-თავი წავგლიჯო უნდა მე შენი, მე შენი!

მთარგმნელის ოსტატობისა და დიდი პასუხისმგებლობის, დიდი სიყვარულისა და ტალანტისა გარეშე ეფექტი ვერ მიიღწევა. ყველგან შენარჩუნებულია აზერბაიჯანული სახალხო ეპოსის განუმეორებელი, სხვა ხალხთაგან გამორჩეული კოლორიტი.

ისლა დაგვრჩნია, სიხარული და კმაყოფილება გამოვთქვათ „კუვკა-სიური სახლის“ (დირექტორი – ნაირა გელაშვილი) მისამართით, ქართველი მკითხველი ამ წარმტაც ეპოსს რომ აზიარა მთლიანი სახით.

**“შერლის გაზეთი“ 13-26 მაისი, 2004წ.**

**ჰრანტ მათევოსიანის მრწამსი**

**ოთარ ნოდია,**

**„მწვანე მინდორი“, „აგვისტო“**

ჰრანტ მათევოსიანი თანამედროვე სომხური ლიტერატურის თვალ-საჩინო წარმომადგენელია, ძნელია მისი პროზა გულგრილად წაიკითხო. ეს ლიტონი სიტყვა არ არის: მათევოსიანს უყვარს ადამიანები და ცხოვრების ასახვის თავისი მანერა და სტილი გააჩინია.

ცხადია, მწერალი თანამედროვე ბელეტრისტული პროზის ყველა შესაძლებლობას იცნობს. ეს თითქოს ბუნებრივიცაა, მაგრამ როცა მისი

ნაწარმოებების ღირსებაზე ვლაპარაკობთ, უპირველეს ყოვლისა, ისინი სინედლითა და თავისთავადობით გამოირჩევა.

იქაც კი, სადაც მწერალი მხატვრული ნარკვევის ფორმას მიმართავს, ხასიათები მკვეთრად ინდივიდუალური და შთამბეჭდავია, ხოლო კონკრეტული გმირის ესა თუ ის ფსიქოლოგიური შტრიხი ყოველთვის განზოგადებული. მწერალი ცხოვრების ასახვის სხვადასხვა ლიტერატურულ ხერხებს ირჩევს იმისდა მიხედვით, თუ რა სურს გადმოსცეს, თუ რას ემსახურება მისი მხატვრული კონცეფცია, რა უნდა მოუთხროს, წარმოუსახოს და განაცდევინოს მკითხველს, ხოლო მისი, როგორც მწერლის, უპირველესი მიზანია, ახსნას თუ რითაა განსაკუთრებული, სამართლიანი, მშვენიერი და თავისებური თავისი სოფელი, თავისი ერი.

ჰ. მათევოსიანის ნაწარმოებების უმთავრესი თემა მართლაც სოფელია თავისი ადამიანებითა და ბუნებით. იგი მთელ სამყაროს ამ სოფლით წარმოგვისახავს – აქ ყველაფერი „ახლოდან“, ფართო რაკურსითაა დანახული და თბილი ფერებითაა დახატული. მათევოსიანმა იცის, რა და როგორ უნდა თქვას ამ ადამიანებსა და ამ ბუნებაზე, მისი მწერლური წვდომა და სათქმელი დიდი შინაგანი წვის, ფიქრისა და სევდის შედეგია. ამ წვისა, ფიქრისა და გრძნობითი აზროვნების კვალდაკვალ, თუმცა ეპიზოდურად, მაგრად მაინც შეიძლება შეინიშნოს რაღაც „ფაკირულიც“ და ამასთანავე, რაციონალურ-უტილიტარული მიზნებისადმი დამორჩილებული მისწრაფებებისა და აზრის კვალიც. აქაც შეიძლება გაგვაოცოს მწერლის უნარმა, რაც ერთი შემოქმედებითი მიზანდასახულებიდან მეორეზე შეუმჩნეველ გადასვლაში ვლინდება, მაგრამ ყოველივე ეს მაინც მწერლის გრძნობითი ბუნების ერთიანი ორგანული თვისებაა.

მათევოსიანისათვის სოფელი ის ცენტრია, რომელშიც მთელი სამყაროა ფოკუსირებული. ამ ცენტრიდან თვით მსოფლიო და ყველა ჭეშმარიტება შეიცნობა. ასეთია მწერლის მხატვრული კონცეფცია. „ჩვენა ვართ და ჩვენი მთები“ – არც მისი ერთ-ერთი ვრცელი მოთხრობის ეს სათაურია შემთხვევითი.

მწერალი ალაგ-ალაფ ესეისტურ ფორმასაც იყენებს, ხშირად მიმართავს მონოლოგსაც. ლიტერატურულ მონოლოგებს თან ახლავს ფსიქოლოგიურ-ფილოსოფიური განსჯა თანამედროვე სომხური სოფლის ცხოვრებისა, შერწყმული ავტორის პირად განცდებთან და რემინისცენტრიებთან. მათევოსიანს მთელი თავისი პიროვნული პათოსი ქვეყნის ისტორიიდან და ძეგლებიდან ხალხზე გადმოაქვს. ხალხშია ქვეყნის წარსულიცა და მომავალიც. მწერლის სოფელი ანტარამეჯიც მარადი-

სობაა – ერთია მისი წარსული, ანტყო და მომავალი, ანტყო წარსულის სახეცვლილებაა მხოლოდ და მხოლოდ. ამ მონოლოგებიდან მკითხველი ესთეტიკურად აღიქვამს სოფლის ცხოვრებას, სოფლის ადამიანების სულიერ სამყაროს, მთელი სისავსით შეიგრძნობს მათ, ესმის მათი სუნთქვა.

ანტარამეჯის მკვიდრნი უბრალო და კარგი ადამიანები არიან, ბუნებას უხვად მოუმადლებია მათთვის ნიჭიცა და ცხოვრების სიყვარულიც, მწერალი ღრმად სწვდება ამ ადამიანების ხასიათებს. ყოველი სახე მკვეთრად ეროვნული და თითქოს ერთგვარად გაიდეალებულიცაა, მაგრამ ასეთი იდეალიზაცია მხოლოდ ერთი რამით შეიძლება აიხსნას – ავტორს ამოუხსნია მათი ბუნება, წარმოუსახავს ისინი მთელი ადამიანური თავისებურებებითა და ვნებებით, სისუსტითა და სიძლიერით, რაც, რა თქმა უნდა, მწერლის დიდ შემოქმედებით შესაძლებლობაზე მეტყველებს. ამიტომაც იქნენ მათევოსიანის პერსონაჟები ზოგადეროვნული ხასიათის მნიშვნელობას, გასავები და ახლობლები არიან სხვა ეროვნების მკითხველისათვის.

მათევოსიანი მომხრეა ლიტერატურის ერთიანობისა; ეკამათება მათ, ვინც ლიტერატურას გაყოფილად – სოფლისა და ქალაქის ლიტერატურად განიხილავს.

მათევოსიანის აზრით, ნატურალიზმი სოფლის მწერლობის სახით გვევლინება. ამასთანავე, მწერალს ნატურალიზმის სხვა გაება აქვს, იგი ამ ცნებაში გულისხმობს მხოლოდ ნამდვილს, უშუალოს, ბუნებასთან ორგანულად შერწყმულს და ამ მრავალმხრივი და მრავალფეროვანი სინამდვილის ასახვას მხატვრულად, მისი განზოგადებისა და ინდივიდუალიზაციის გზით, მხატვრული წარმოსახვის სხვადასხვა ხერხებისა და სამუალებების გამოყენებით – ნარკევი იქნება ეს, დოკუმენტური პროზა, ფსიქოლოგიური ნოველა, ესსე, მონოლოგი უურნალისტის რეპორტაჟი თუ სხვა, რაც გარემო სინამდვილის მრავალსახოვანებას და ფერთა სიმრავლეს შეესატყვისება და არა შიშველი ფაქტების ზუსტ და ობიექტივისტურ გადმოცემას, სინამდვილის გარკვეული „ნაწილის“ უბრალო ანალიზს... მწერლობის მთავარი ობიექტი ადამიანია და ამიტომაც სრულიად ბუნებრივია მათევოსიანის დასკვნაც, რომ „სოფლის მწერლობა იგივე ქალაქის მწერლობაა... არ არსებობს სოფლის ან ქალაქის მწერლობა, არსებობს მხოლოდ ადამიანური შეხედულება ბუნებასა და სამყაროზე“.

მათევოსიანის კონცეფცია ეჭვს არ იწვევს. რა თქმა უნდა, სამყაროს სირთულე არ ნიშნავს მოსწყდეს საკუთარ სინამდვილეს, შემოიტან

„სხვისი“ პრობლემები და თანამედროვეობის დამახასიათებელი ნიშნები. ყოველივე ნასესხები – ინფორმაცია იქნება ეს თუ ხელოვნების მიღწევა, შემოქმედებითად უნდა იქნას ათვისებული, საკუთარ ეროვნულ ნიადაგზე დაყრდნობით უნდა იქნას „გადახარშული“, უნდა მიესადაგოს მას, გაამდიდროს ეროვნული კულტურა, უფრო ზუსტად გამოვლინოს ეროვნული სინამდვილის ახალი ასპექტები, შინაგანი, ზოგჯერ თვალით უხილავი, მაგრამ დამახასიათებელი, იმანენტური თვისებები.

მხოლოდ ეს გზა მისაღები სულიერ ლირებულებათა ურთიერთგაცვლის მსოფლიო პროცესში და არა ცალკეულ ნანარმოებებზე, განურჩევლად მათი ნარმომავლობისა და ლირსებებისა, მოდური სახელების, თუ სხვადასხვა ცნობილი განსაზღვრების ხელოვნურად მიწებება.

ამჟამად ჩვენს მიზანს არ შეადგენდა პრანტ მათევოსიანის წიგნის „მწვანე მინდვრის“ ქართული თარგმანის განხილვა-შეფასება. ჩვენი ლრმა რწმენით მთარგმნელის, ამ უაღრესად პერსპექტიული შემოქმედის – ზეზვა მედულაშვილის ნამუშევარი, როგორც ქართული მთარგმნელობითი ოსტატობის შესანიშნავი ნიმუში, სპეციალური განხილვის საგანია. ორიგინალის ავტორს ყოველთვის როდი უმართლებს, რომ თავისი ნანარმოების საუკეთესო მთარგმნელს შეხვდეს, რომელიც თავის მშობლიურ ენაზე შემოქმედებითად გაეჯიბრება მას მოცემული მხატვრული ამოცანის შესრულებაში და ამ ამოცანას შეასრულებს ისე მაღალმხატვრულად, რომ შეძლებს თარგმნილი ნანარმოების გამშობლიურებას, აქცევს მას თავისი ლიტერატურის ფაქტად. ასეთ თარგმნით ნანარმოებთა რიცხვს განეკუთნება მათევოსიანის მოთხრობების მედულაშვილისეული თარგმანიც.

## არჩილ დავთიანი

### ქართულად ამეტყველებული ანტარამეჯი

ამონარიდი

ფრიად სასიამოვნო მოვლენად უნდა მივიჩნიოთ, რომ ამ ბოლო წლებში ორ მოძმე ერს შორის შეუამავლობის მისია – ერთი ერის ენისა და კულტურის მიტანა მეორე ენასა და კულტურასთან – აღმავლობის გზაზე; ამას უნდა ვუმადლოდეთ ქართულ მწერლობაში მოსულ იმ მაღალკ-

ვალიფიციურ მთარგმნელებს, რომელთაც ეს საშვილიშვილო საქმე თავი-ანთ უწმინდეს მოვალეობად აქციეს. ამ თაობას უნდა ვუმადლოდეთ რომ დღითი დღე გზა ეკეტება ე.ნ. ბნკარედისებურ თარგმანებს, რომლებშიც არ იგრძნობა უცხო სურნელი, ორიგინალური შინაგანი მელოდია, რიტმი, და თუმცა სხვამხრივ ყველაფერი თავის ადგილზეა, თარგმანი მაინც უსიცოცხლოა, ხოლო, როცა კითხულობ, ასე გვონია ჩაკეტილ ოთახში იმყოფები, სადაც სინათლე ანთია და ჰაერი არ გყოფნის. ასეთი თარგმანი მუდამ უქმარისობის გრძნობას პაბედებს, იგი ცივსისხლიანი ავტორის ნახელავის შთაბეჭდილებას სტოვებს, თითქოს ისეა დაწერილი, რომ მწერალს არც ერთი ნერვი არ შერხევია თხრობის დროს, სიმართლის მძიმე ტვირთი უმტკიცნეულოდ უზიდია, არ უვლია თავისი გმირების ნარეკლიანი გზებით, არ განუცდია სულის ის ტკივილები, ყოველი ჭეშმარიტი მწერლის ნაწარმოების დაბადებას რომ ახლავს თან. მაგრამ ჩაიხედავ დედანში და სახტად რჩები! თურმე ავტორი უცოდველია, მთარგმნელი ყოფილა ცივსისხლიანი, ცივი გულით შეუსრულებელია საშვილიშვილო საქმე, ცივი გული კი, მოგეხსენებათ, მიუკარებელია. მას არ აღელვებს სხვისი არც სითბო, არც ტკივილი, არც განცდა და ამიტომაც უწოდებენ ასეთი გულის ადამიანს გულქას, მაღალკალიფიციურ მთარგმნელთა თაობის ერთ-ერთი შესანიშნავი ოსტატია ზეზვა მედულაშვილი; სომხური და აზერბაიჯანული ენებიდან ზეზვას თარგმნილ ლექსებს და მოთხრობებს უურნალ-გაზეთების ფურცლებიდან უკვე მეორე ათეული წელია ეცნობა ქართველი მკითხველი. იმ თარგმანებს თითქოს საჭაშნიკოდ გვთავაზობდა ზეზვა მედულაშვილი. ახლა კი უკვე მოზრდილი წიგნით წარმოსდგა, ამიტომ ჩვენი საუბრის თემაც ამ წიგნის ავკარგს შეეხება. ეს წიგნი პრანგტ მათევოსიანის ნაწარმოებების კრებული – „აგვისტო“ გახლავთ. კრებულში შესულია მოთხრობები: „ჩვენა ვართ და ჩვენი მთები“, „დათვი“, „ხევდა“, „ძალლები“, „მამიტური ამბავი“, „მუშაცხენები“, „აგვისტო“, „ალხო“, „ეპ ბედაურო, ჩემო ბედაურო“, „ნარინჯა ფაშატი“.

პრანგტ მათევოსიანი თანამედროვე სომხური პროზის ერთ-ერთი ნიჭიერი და უკვე სახელმოხვეჭილი წარმომადგენელია. უკანას კნელი ორი ათეული წლების სომხურ პროზაზე თვალის გადავლებისას ძნელია გვერდი უარი ამ მწერალს იმიტომ, რომ მისი შემოქმედება გამოხატავს ყველა იმ ნიშანს, რომლებიც გვაცნობს თანამედროვე სომხური პროზის ძირითად ტენდენციებს.

პ.მათევოსიანის მთელი შემოქმედების დედააზრი, მისი მოქალაქეო-

ბრივი მრნამსი შემდეგი სიტყვებით შეიძლება გამოიხატოს: ადამიანებო, გაუფრთხილდით ამ დიდებულ ტრადიციას, თვალის ჩინივით მოუკარეთ მას, ნუ დაარღვევთ ადამიანების ხასიათების მთლიანობას ნუ მოშლით მათი არსებობის ბუნებრივ ბალავარს, იგი უხილავი ძაფით უკავშირდება მრავალ ქარცეცხლში გამოტარებული თაობების ცხოვრების ეროვნულ საწყისა.

ჰ. მათევოსიანის შემოქმედების ამ მოკლე დახასიათებითაც ნათელია, რაოდენ ძნელი საქმისათვის მოუკიდია ხელი მთარგმნელს, რას ჩასჭიდებია და წინ როგორ დამქანცველი შრომა მოელოდა, მაგრამ მთავარი სიძნელე უთუოდ მაინც ის გახლავთ, რომ ჰ. მათევოსიანის კაბინეტში გამოკეტილი მწერალი არ არის და არც მთარგმნელი შეიძლებოდა ყოფილიყო მხოლოდ ქალაქში გაზრდილი კაცი. თუ როგორ არის დაძლეული ეს მთავარი სიძნელე, და როგორ არის გადაწყვეტილი დედნისა და თარგმანის მხატვრული ადეკვატურობის პრობლემა დედნის ეროვნული კოლორიტის შეულახავად, ამის გასაგებად სჯობს ფაქტების ენით ვილაპარაკოთ, ხოლო მკითხველი რომ უკეთ ჩასწვდეს საქმის არსა, თარგმანიდან მოტანილი ნაწყვეტების გვერდით მოვიყვან შესაბამის სიტყვა-სიტყვით ბნეკარედებს დენდიდან.

დედანშია: „-საქო, ჩვენ შორის გაეხებული შენა ხარ“.

თარგმანიშია: „-საქო ჩვენში ყველაზე გამოჩენილი შენა ხარ“.

დედანშია: „ხორენს.. ურმით კარტოფილი მოჰქონდა, ხარები ეურჩებოდნენ, არ ეწეოდნენ“.

თარგმანიშია: „ხორენი ურმით კარტოფილს ეზიდებოდა, ხარები ქედურობდნენ, არ ეწეოდნენ“.

ანტარამეჯი ძველი სოფელია. სოფლის ეკლესია ათას ხუთასი წლისაა, ძველი წარმართული სამსხვერპლო კი, რაზედაც შემდგომ ეკლესია დაუშენებიათ, გაცილებით უფრო ძველია. ამ ადგილზე სოფლის გაჩენის ასავალდასავალი არავინ იცის.

დედანშია: „ეკლესიამ დაიდო ბინა სოფელში, თუ სოფელი შემოხვევია ეკლესიას ირგვლივ, არ იციან, სოფლის წლოვანება არ იციან“.

თარგმანიშია: „ეკლესია ჩაუსახლდა სოფელს, თუ სოფელი ჩამოესახლა ეკლესიას, ეგ არავინ იცის, სოფლის პირველ თარიღს ვერავინ ჩასწვდენია ძირამდი (გვ.8).“

დედანშია: „რევაზ მოვსისიანის ცხვრები დაიკარგნენ. დაკარგვა დაკარგვაა, მაგრამ, რა თქმა უნდა, ამ ქვეყნად არაფერი არ იკარგება.“

უბრალოდ, ცხვარი რომ ეზოში და ახლო-მახლო არ იყო, ცოლმა რევაზი მოსაძებნად გააგდო”.

თარგმანშია: „რევაზ მოვსისიანის ცხვრები დაიკარგნენ. დაკარგვა დაკარგვაა, მაგრამ მიწა ხომ არ უზამდა პირს, უბრალოდ კარმიდამოზე და გასადევარზე რომ აღარ მოჩანდნენ, ცოლმა რევაზი მოსაძებნად გამოაგდო“. (გვ.85)

დედანშია: „იქ, სიცხე-სიგრილის საზღვარზე, სადაც მდინარე ერთ-გან უხვევს, მაგიდასავით სწორი ადგილია, ზეგანივით გაშლილი, რომელ-საც ათორიქს ეძახიან, და ნოყიერ შავ მიწაზე მწვანე მობიბინე ბალახია.“

თარგმანშია: „იქ სიცხე-სიგრილის მიჯნაზე, მდინარე ერთგან მუხლს იკეთებს და იმ ადგილას იშლება მაგიდასავით სწორი, მაღალი რამ ზეგანი, ათორიკად წოდებული, სადაც ნოყიერ შავ მიწაზე უხვად ამოხეთქილა მწვანე, მობიბინე ბალახი“ (გვ. 12).

დედანშია: „დაცემულიყო ბერიკაცი მეულლის საფლავზე, გულში იხუტებდა საფლავის ბორცვს და აღარ შორდებოდა.“

თარგმანშია: „დაცემულიყო ბარიკაცი მეულლის საფლავზე, გულში იკრავდა საფლავის კოკოლას და აღარა სწყდებოდა“ (გვ. 66).

მთარგმნელს შეეძლო, რა თქმა უნდა, „თმბიკ“ - ბორცვი დაენერა, მაგრამ მან „კოკოლა“ ამჯობინა და ამით ძალიან მიგვაახლოვა მოხუცის ქმედებასთან მასშტაბის მიხედვით: „კოკოლა“ ქართლში იხმარება და ისწავს მიწის, ისეთ გროვას, რომ თავი კონუსისებური ჰქონდეს.

დედანშია: „ყასიდად გამოიკითხა გლეხების მდგომარეობა“.

თარგმანშია: „გულის გარეთ გაიკითხ-მოიკითხა სოფლელების ცხოვ-რება“ (გვ.19).

დედანშია: „ისე ჭკვიანი გოგო ხარ, ცოტა პური ჭამე, სხეული მოინესრიგე, ეს-ეს არის ბიჭი ჯარიდან ჩამომიგა“

თარგმანშია: „ისე ჭკვიანი გოგო ჩანხარ, ცოტა ტანზეც მოჭენჭიანდი, ჭამე რამე. ბიჭი კიდევ, აგერ, საცაა ჯარიდან ჩამოვა“ (გვ.6).

დედანშია: „დირექტორმა გამზომა მე. გაზომვა – მეტის მეტი იყო, გასაზომად ცოტა ვიყავი ერთ წამს მიყურა ნამდვილად კაცი არ მეთქმოდა. მართლაც ჩემგან კაცი ამიერიდან უნდა დამზადებულიყო“.

თარგმნაშია: „დირექტორმა თვალით გამზომა. გამზომა კი არა – გასაზომად პატარა ვიყავი – ისე, ერთ წამს შემათვალიერა და დაასკვნა, რომ მე კაცი არ ვიყავი, კაცი ამას იქით უნდა გამოჩარეულიყო“ (გვ.181).

სოფელ ანტარამეჯის საწყობის გამგე ქურდი გამოდგა, ჩუმჩუმად

გაცალა თურმე საწყობი. ქალაქში ხომ აიშენა ერთი სახლი, ხმა გავარდა მეორესაც იშენებსო ანტარამეჯი დაეჭვდა, საწყობის გამგე სასამართლოს გადასცეს.

დედანშია: „— არამზადა მამაძალლი! ჭამა გაგვიგონია, ჭამა, მაგრამ ეგრე თქვლეთა შეიძლება?“

თარგმანშია: „— აფერისატი მამაძალლი! ჭამით კი, ბატონო, ჭამე, მაგრამ ეგრე გაღორება გაგონილა?“ (გვ. 20).

დედანშია: „სოფელში მეზობლობაშიც ჩამოვარდება ხოლმე ჩხუბი რამდენიმე გოჯი მიწის თაობაზე. ეს ჩხუბი „ლობე შენკენ მისწიეს“ ეხება. მაგრამ ეს სასაცილო სულაც არ არის, რადგან ჩხუბი ერთ ჭურჭელ მსხლის გამო როდია, ერთი გოჯი მეტის დაბარვაზე, დათესვაზე, მოვლაზე, სიხარულზე“.

თარგმანშია: „თავად სოფელშიაც ჩამოვარდება ხოლმე ლაპარაკი ორიოდე გოჯ მიწაზე, მაგრამ ეს დავა „ლობე შენსკენ მისწიეს“ არა სცილდება. ეს სასაცილო სულაც არაა, რადგან ერთ ჯამფილა მსხალზე კი არ დაობენ, არამედ ერთი მტკავლით მეტის დაბარვაზე, დათესვაზე და მოვლა-მოყვანაზე, ერთი ბენოთი მეტ სიხარულზე“ (გვ. 29).

იდიომატურ კილო-თქმათა ხმარების დროსაც მთარგმნელი ფრთხილია და ზომიერი. თუ დედანში იდიომატური ფრაზა ხვდება და მისი გადმოქართულება შეიძლება, აქართულებს მაგალითად, სომხურში მისი მისამართით, ვის ზურგს უკანაც რალაც ამბავი ხდება და ის კი ბაიბურში არ არის, იტყვიან ხოლმე: ვირის ყურში სძინავსო. ეს იდიომი ისევე გადმოუღია მთარგმნელს. მაგრამ სხვაგან სომხურ იდიომებს ქართულ იდიომებს უმარჯვებს.

დედანშია: „შენი ცხვირი შენს კერძზე უნდა გედოს, სხვას თვალი შენს ცოლზე აქვს, შენ კი სხვაზე“

თარგმანშია: „— არ გირჩევნია, შენს ბაგაზე ება? სხვას შენს ცოლზე უჭირავს თვალი, შენ კიდევ – სხვისაზე“ (გვ. 158); „ხელიდან იადონი გაფრინდება და მთელი დღე ძილს ეკვლევინები?“ (გვ. 173). ეს იდიომატური კილო თქმა სომხურშიც იხმარება და ქართულშიც და ა.შ.

პარალელური ტექსტების ანალიზმა დაგვარწმუნა, რომ მთარგმნელი მასალას კეთილსინდისიერად ეკიდება, მონურად არ მისდევს დედანს, ზოგიერთი დეტალი, რომელიც შესაძლოა ქართველი მკითხველისთვის გაუგებარი ყოფილიყო, შეუცვლია, გასაგები გაუხდია და, რაც მთავარია, მოუძებნია ორიგინალის ქართული ეკვივალენტი, რომელიც მხატრუ-

ლი პასაუების გადმოტანისას მთარგმნელის ავტორთან თანადგომითაც გამოიჩინა და, ამავე დროს, თხრობის ლალი მდინარებაც ახასიათებს; ამას ზ. მედულაშვილი ახერხებს ქართული ფოლკლორიდან, ქართული სიტყვაკაზმური მწერლობის უმდიდრესი საგანძურიდან აღებული კილო-თქმებითა და მდიდარი ლექსიკით. მთარგმნელს ქართული ენის შრეებში მოუძებნია თხრობის შესატყვისი სახეობა, დედნისათვის მიუსადაგებია და ამ გზით ორიგინალი გაუთავისებია, მაგრამ ეს რთული „ოპერაცია“ ისე ჩაუტარებია, რომ თარგმანს შენარჩუნებული აქვს სომხური კოლორიტი.

განსაკუთრებით კარგად არის თარგმნილი იუმორით შეფერილი დიალოგები. ჰ. მათევოსიანი სიუჟეტის განვითარებაში ბუნებრივად ურთავს უბრალო ხალხის ჯანსაღ და ხანდახან ოდნავ ტლანქ იუმორს. განაფული ხელი ეტყობა ამ სასაცილო ამბების თარგმანსაც.<sup>48</sup>

ანტარამეჯის მეცხვარეებმა შემთხვევით მეზობელ სოფელ გეტამე-ჯიდან მათ გომთან მისული ცხვრები დაკლეს. „ მწყემსების, რეპუბლიკა“ რომ რჯულზე გამოძლა, ამ დროს მოადგა მას ცხვრების პატრონი რევაზ მოვსისიანი. სტუმარ-მასპინძლობის კვალობაზე მწყემსებმა ისიც გააძლეს მისივე ცხვრის მწვადებით. მერე გადაკრულ საუბარს გაუბამენ, ცხვარი ახლა კიდევაც რომ იპოვო, სულ ერთია, ხვალ მაინც დაჰკარგავო, რა თავში იხლი ცხვარსო, გირჩევნია ისეთ რამეზე გადაცვალო, სადაც დატოვებ, ისევ იქვე დაგხვდებაო. შენ ასეთი კეთილსინდისიერი კაცი ხარ, მაგ უშმაკების დევნის თავი სადა გაქვსო. შემდეგ წუთისოფლის ამაოებასაც გადასწვდნენ – ეჰე! ორიოდე დღე ვცოცხლობთ ამ ქვეყანაზე, მაგ ცხვრების დევნით თავს რაზე იტანჯავო. გული რომ მოუგონ, პირფერობასაც არ ერიდებიან: ეგეთი კარგი და მაინც არა გყავდეს, გარე სოფლებიდან მოყვანილი რამდენი რძალი გვყავს ანტარამეჯში, მაგრამ შენი დისთანა მეოჯახე ერთიც არ არისო. ისიც მოაგონეს, რევაზის ბებიამ ანტარამეჯის ეკლესიაში მამალი რომ მოიყვანა შესაწირავად. რევაზის დედაც გაიხსენეს, ძალიან პირნათელი იყო ცხონებულიო. ექიმებსაც გადასწვდნენ – ნუთუ ექიმებმა ვერაფერი უშველესო. ამას ისევ თანაგრძნობა მოაყოლეს – ეგრეა, კარგები ადრე კვდებიან და ა.შ. ცხვრების პატრონი გულის ხმაში ჩავარდება და მათ შორის ისეთი დიალოგი იმართება:

„- ჰაი, ძალიშვილებო, ვაითუ ჩემი ცხვრის ხორცით გამაძლეთო?!

<sup>48</sup> იხ. ა. ლონტი – „ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა“. გვ. 297.

- გაძეხი კი, რევაზ?

- ძალიან!

- ეგეც შენი სარგებელი რევაზ! ქალაქში წაგესხა გასაყიდად, მწვადს ვინდა გაჭმევდა? ასე რომ სჯობია, აქვე დაჰყიდე და მოიშორე, რევაზ?

- ჰაი, თქვე ქურდო მამაძალლებო თქვენა, მე ჯანი გამვარდეს და, ჩემმა ცოლმა რომ ჰაი-ჰუ ატეხოს, მაშინ რალა ვქნა?

- ერთი-ორი სიფათში და იმისი ჯანი!“ ანდა, აი მეორე სურათი: კოლ-მეურნეობის ნათავმჯდომარალს, უკვე გვარიანად ხანში შესულ აბგარს შინ ჯდომა მოსწყინდა, ახლანდელ თავმჯდომარეს მიაკითხა და მათ შორის ასეთი საუბარი გაიძა:

„ – საჩემო სამუშაო გექნება რამე.

– შინ წადი, შვილიშვილი დააძინე.

– დავაძინე უკვე.

– მაშინ შენ დედაკაცს გაეთამაშე.

– ის კიდევ გაიზარდა და აღარ მეთამაშება

– წადი, – სათქმელი ეძებდა თავმჯდომარე

– წადი, პენსიას ხომ იღებ, შვილიშვილს ნამცხვარი უყიდე.

– ჩემს შვილიშვილს ჯერ კბილები არ ამოსვლია.

– შენს დედაკაცს უყიდე.

– ორივე უკბილონი არიან.

– ხელს ნუ მიშლი, ათასი საქმე მაქვს.

– გახსოვს? პატარა ბიჭი იყავი, სწორედ ჩემი ჩექმების ტოლა, მაშინ მაგოდენა ცხვირი კი არ გედო, ერთი ბენო ცხვირუკა გქონდა, გადმო-გიყვანდა მამაშენი სოფელში და ჩამოგდიოდა წვინტლი ორო-წორო, მე კიდე ამოვილებდი ცხვირსახოცს და მოგწენდდი ხოლმე, გახსოვს?“

ამ ორ ნაწყვეტშიც ამოიცნობა თუ ქართულად როგორ უდერს ჰ. მათევოსიანის სტილისათვის დამახასათებელი საგულისხმო ნიშანი – პერსონაჟების სასაცილო მდგომარეობაში წარმოსახვა.

წერილის შესავალში ერთგან უკვე აღვნიშნე, რომ ჸ. მათევოსიანს საოცარი შეგრძება აქვს სოფლისა: იგი გულის იდუმალი თრთოლვით, პირველშობილი უშუალობითა და სიცინცხალით აღიქვამს-მეთქი მთებს, ჰაერს, წყალს, მცენარებს, ცხოველებს და, რაც მთავარია, იქ მობინა-დრე შერწყმასა და განზავებას ბუნებასთან ასეთ ზოგად შთაბეჭდილებას სტოვებს მკითხველზე მისი მთელი შემოქმედება. ამისათვის იგი ისევ სოფელს უნდა უმადლოდეს, უთუოდ იქიდან გამოჰყოლია ყოველივე ეს; ის, როგორც შემოქმედი, მინდორში გაზრდილ კაცად მოჩანს, და

მართლაც ასეა; ჰ. მათევოსიანის ყრმობის წლები ჩავლილია ლორეს მთა-გორიან მხარეში, სოფელი აჭნიძორია მისი მშობლიური კუთხე მას არა ერთი დღე-ღამე გაუტარებია თავის გმირებთან, მათთან ერთად უგემია სოფლის ადამიანების სიხარული თუ საწუხარი, არა ერთხელ დამტკბარა ცადაზიდული და შუბლშექმუნული მთების მზერით, ხევებში უცაბედად ჩაჭრილი უფსკრულებითა და უცაბედადვე ატყორცნილი ფრიალოებით, უცაბედად ნამოშენილი წვიმითა და ელვასავით უცაბედადვე გაჩახჩა-ხებული მზით.

წიგნი „აგვისტო“ ჩვენც ძალუმად განგვაცდევინებს „სოფლის იდი-ლიას“. მის ადამიანებზე ფიქრს, ამაში უთუოდ დიდია მწერლის ბიოგ-რაფიული ფაქტორის მნიშვნელობა. კაპინეტიდან გაუსვლელი კაცის ხელწერას არ ჰგავს, მაგალითად დედნისეული სტრიქონები, რომლებიც ქართულად ასე იკითხება: „გონებაში მთები მიტრიალებდა: როცა მა-მაჩემის სალამურის ჰანგი მთვარეს ამოიტყუებდა და თათებზე თავჩა-მოდებული ძალები ძილბურანში ყურს მიუგებედნენ მდუმარებას, ჩემ ცხრა ძმას კი ერთმანეთის გვერდით ტახტზე ეძინათ და ოდნავ გაღებულ პირში მოუჩანდათ მსხვილი სავაშლე კბილები“ (გვ.195).

ამ „იდილიაში“ დედნის „სანინაალმდეგოა“, „სავაშლე კბილები“. იქ „კტრიჩ“ სწორეა („კტრიჩ“- რევეც, საჭრისი); რა თქმა უნდა, „სავაშლე კბილები“ ერთბაშად აცოცხლებს ფრაზას და მწერლის სათქმელსაც ხა-ტოვნად გადმოვცემს. ხოლო როცა მთარგმნელი დედნისეული „დამატ-კბობელი სიცხის“ ნაცვლად „მათრობელა სიცხეს“ ხმარობს, ან „ჭრიჭი-ნობელა თავის ხვრელიდან ნაღვლიანად ამოიმღეროდას“ მაგივრად – „ამოჰკვრინავდას“, ანდა – „გოგონებმა ყრუდ და თბილად გაიცინეს“ ადგილზე – „გოგონებმა ჩაიკუჭკუჭესო“, სწორედ ამ დაწყვილებულ წინა-დადებებს შორის გადის ის მიჯნა, რომელიც ერთ მხარეს სიტყვასიტყვით თარგმანია, უფერული, უსიცოცხლო, უკოლორიტო თარგმანი, მეორე მხარეს კი მხატვრული თარგმანი – მეორე ენაზე „ხელახლა შექმნილ“.  
„ხელახლა განცდილი“ და ხელახლა აღდგენილი მხატვრული ნანარმობი.

აი კიდევ ერთი ნაწყვეტი, რომელშიც „სოფლური ყნოსვით“ გლეხ-კაცის შინაგან „მე“-დან ამოსული ტკივილია განსხულებული... „წვიმა ქალაქელებს ანაზდად უხელთებს ხოლმე, უცებ ფანჯრიდან გადაიხედავ და, ვინ საით გარბის, ვინ-საით. რა მოხდა ასეთი? თურმე წვიმა მო-დის. ქალაქური წვიმა საწვიმარი მილების ხმაურია და მეტი არაფერი. ტალახს არ აყენებს, უბრალოდ მიედინება და რეცხავს ქვაფენილს, ეგ არის და ეგ. ქალაქში წვიმა ისე როდი უხარიათ, როგორც სოფელში. გა-

დამხმარ-გადაყვითლებულ საძოვრებსა და დამსკდარ-დაშაშრულ მიწას წვიმა რომ დასცებს, უცებ, კაცმა სიხარულისაგან აღარ იცის, რა ქნას. მაგრამ ცა ფეხად რომ ჩამოვა, ზედიზედ ორ კვირას არ გადაიღებს, დამ-ბალ-დაჭაობებული მიწა ფეხქვეშ გეცლება და მზემონატრებულზე ისევ ის ნაცნობი ლრუბლები გამოქუჩდებინ, მაშინ გულზე სკდები, ლამის გიუდები კაცი. იგინები და რას იგინები! არც ერთ ქალაქელს თავის სი-ცოცხლეში ცა არ შეუგინებია ან რისთვის უნდა შეაგინოს, რა ესაქმება. იგივე იქნებოდა, სადღაც აფრიკის ჯუნგლებში მიკარგული შავკანიანი ტომის ბელადი ანდა რომელიმე ამერიკელი ფერმერი შეეგინებინა. ამი-ტომ არც აგინებს, ერთმანეთი არ უნახავთ, ერთმანეთს არ იცნობენ. რა აქვთ გასაყოფა... ძალა ავაგი კი ჩაქურუებულ ცას რომ გახედავს, არც მეტი არც ნაკლები, ასე დაილოცება ხოლმე:

— ისევ ჩამოუშვა კალთა ამ ძალლის ჯიშისამ, ამანა. ფუჟ, მე შენი!..“  
(გვ.31)

მგონი, ძალზე ჭარბად მომყავს ციტატები. მაგრამ ეს ჩემი მეოთხვე-ლისათვის გალებული ხარკი იყო, რათა მასაც ეგრძნო სოფლის ბუნების სურათების, მისი თანამედროვე ადამიანების ცხოვრებისა და მათი სუ-ლიერ აღნაგობის ცოცხალი წარმოსახვის ავტორისული ოსტატობა და ამავე დროს ზ. მედულაშვილის დამსახურება და თუ ზემოთ მე კი გაკვრით გავიხსენე ავტორის ბიოგრაფიის ზოგიერთი დეტალი, ახლა მოკლედ მინ-და შევჩერდე მთარგმნელის ბიოგრაფიაზე. ზეზვა კახეთში დაბადებული, ისიც სოფელში გაზრდილი კაცია, სოფელში გაუტარებია ყრმობის წლები მეველებთან, მთიბავებთან, მეცხვარეებთან, კარგად იცნობს სოფლის ადამიანებს, ფაუნასა და ფლორას. ლორეში, მშობლიურ მხარეში, გაუვლია სასწავლო პრაქტიკა თბილისის უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეო-ბის სომხეური განცუფილების დამთავრების შემდეგ და, აპა! მწერლისა და მთარგმნელის ბიოგრაფიული დეტალების მსგავსებამ უკვალიდ არ ჩაიარა; მწერლის მიერ აღწერილი ყოფითი სამყარო, სომხი გლეხების და-მახასიათებელი ფაქტურა, სოფლის მეურნეობის ტერმინოლოგია მისთვის ნაცნობი აღმოჩენილა მწერლის ამპლუაში ჩამჯდარა, ავტორის ყოფითი სამყარო თამამად შეუპირისპირება ქართული სოფლის სინამდვილისათ-ვის და თარგმანი ისეთ ყალიბში მოუქცევია, რომ ბუნებრივი ყოფილიყო და ასეც არის — ჰ.მათევოსიანის მოთხოვნების კრებული ტრაფარეტული თარგმანი როდია, არამედ წრფელი და მართალი გულით ქართულად ამღერებული წიგნია, რომლითაც ზ. მედულაშვილი მადლიანი და ძარღ-ვიანი ენით ჩვენ ხალხს აგრძნობინებს ავტორის ტკივილს და მისი მთების

უფრო დიდი გადასახედის სიღრმეებს-იმას, რაც სტრიქონებშია და იმასაც რაც სტრიქონებს შორის არის ნაგულისხმევი. ეს კი უკვე შემოქმედებაა, რომელსაც მხოლოდ წრფელი და მართალი გული ანიჭებს არსებობის უფლებას.

ნაკლი? შეცდომები? ჩრდილები?

ისინი აქა-იქ გვხვდება, მაგრამ იმდენად უმნიშვნელოა, რომ ვერ იწვევენ „მთვარის სხივის გაფერმკრთალებას“, როგორც ჰაინე უწოდებდა საერთოდ ყველა თარგმანს.

იმ „ჩრდილებიდან“ მხოლოდ ერთზე შევაჩერებ მთარგმნელის ყურადღებას. ყველა მოთხოვნაში ჰ. მათევოსიანი თავის სამშობლოს მეტ წილად იხსენებს სიტყვით – „ქვეყანა“. ზ. მედულაშვილი ამ სიტყვას თითქმის ყველგან „მიწად“ თარგმნის. ვერც გამოედავები, მართლაც „ქვეყნის“ უპირველესი სინონიმი ხომ „მიწა“! ასეც წერია სომხურ-რუსულ ლექსიკონში: „ერკირ“-ვემპა მაგრამ ჰ. მათევოსიანის ნაწარმოებებში ზოგჯერ მას სხვა გაგება ახლავს, რაც „მიწით“ შეიცვალება, თორემ იგი „ჰობ“ – ანუ მიწას იხმარდა.

„აგვისტო“ საქართველოს მწერალთა კავშირთან არსებულ ურთიერთობათა მთავარი კოლეგიის დევიზით არის გამოცემული და დართული აქვს ოთარ ნოდიას სტატია – „ჰერანტ მათევოსიანის მწამსი“. რომელიც გარკვეულ დახმარებას უწევს მკითხველს მწერლის რთული სამყაროს გააზრებაში.

## თედო ბექიშვილი

### პირველი გაცნობის სიხარული

ნიჭიერ მწერალთან შეხვედრის სიხარული დიდი ხნის უნახავი მეგობრის ნახვასავითაა – გულს გიხალისებს, გრძნობას გიფაქიზებს, ფიქრს გიმშვიდებს... შეიძლება ტკივილებიც ნამოშალოს, ოლონდ ეგ ტკივილიც როგორლაც საამურად გტეხს, რაკილა განდობა-აღსარების განმწმენდი ძალაცა აქვს მწერლის მიერ გამხელილ სატკივარს. მწერალი ერის ფიქრისა და ოცნების შესაკრებელია. ხალხის ნიაღში დაფარული საგანძურის საქვეყნოდ გადმომშლელია... ამ საქვეყნო შარაზე ხალხმრავლობაა მუდამ, „ყოვლისმცნობელი და ყოვლის მგრძნობელი“ ხალხი უმაღვე გამოარჩევს „თავის“ მწერალს და თუ ყოველთვის ყვავილებით მორთულ

ტახტრევანზე არ დასვამს – გულისგულში მაინც იცის რჩეულის ფასი...

ჭეშმარიტი ეროვნული ქმნილება რომ ყველა ერისთვის მახლობელი ხდება, ამაში კიდევ ერთხელ ვრწმუნდებით სომეხი მწერლის ჰრანტ მათევოსიანის მოთხრობების ქართული თარგმანების გაცნობისას.

წიგნში, რომელსაც ქართულად „აგვისტო“ ჰქვია, დახატულია სომხეთის ერთ-ერთი პატარა კუთხის, მთიანი ანტარამეჯის მკვიდრთა ცოცხალი სურათები, ხასიათები, ყოფა, ნამდვილი ვნებებით დამუხტული ცხოვრება. ამ წიგნში ბევრ მახლობელსა და თავისეულს იპოვის ქართველი მკითხველიც, მაგრამ ძირითადი, რითაც ეს მოთხრობები გამოიჩინევიან, ეს არის სომხური ეროვნული ხასიათების ღრმად და ოსტატურად გამოკვეთილი პორტრეტები.

ჰრანტ მათევოსიანის პროზაში პერსონაჟთა პოეტურ ბუნებას ხშირად ცხოვრების მყაცრი სინამდვილე სუსხავს. ცხოვრებას თავისი ლოგიკა აქვს, ხშირად სასტიკი და შეუვალი: იგი, ვინც ამ კანონებს ვერ შეურიგდება, უნდა დაილუპოს. მესამე გზა აյ არაა. მათევოსიანის გმირები ურიგდებიან (კერძოდ მოთხრობებში „ნარინჯა ფაშატი“ და „ეპბედაურო, ჩემო ბედაურო“, „ჩვენა ვართ და ჩვენი მთები“). მაგრამ ამ შერიგებაში იმდენი შინაგანი წინააღმდეგობაა, ისე ოსტატურადაა ნაჩვენები ეს გარდაუვალი „პროცესი“, რომ უკვე მკითხველის სიმპატია მოთხრობის გმირთა მხარესაა. შერიგება გარდაუვალი ლოგიკურობიდან გამოდის. ამ ასპექტში ცნაურდება მათევოსიანის, როგორც ღრმად ეროვნული მწერლის, მსოფლედვა: იგი იმ ერის ღვიძლი შვილია, ვინც თავისი არსებობის მანძილზე თითქმის ყოველთვის ყოფნა-არყოფნის ბილიკებით მოდიოდა და ამ გრძელ გზაზე თვითგადარჩენის საშველს ეძებდა... მათევოსიანის პროზაზე საუბარს აღარ გავაგრძელებ. წიგნს ერთვის ოთარ ნოდისა ვრცელი ბოლოსიტყვა, რომელშიც საფუძვლიანადაა გაანალიზებული მათევოსიანის პროზის მთავარი დამახასიათებელი თავისებურებანი. „ორიგინალის ავტორს ყოველთვის როდი უმართლებსო“ – ვკითხულობთ წიგნის ბოლოსიტყვაში და ამჯერად სიამოენებით უნდა აღვნიშნოთ, რომ ჰრანტ მათევოსიანს ნამდვილად გაუმართლა. ამ თარგმანებში მთელი სისავსითაა გადმოცემული ორიგინალის სული მომზაბვლელობა, ყველა დიდი თუ მცირე ნიუანსი, რითაც მოთხრობების მხატვრული ქსოვილი ცოცხლდება და იდუმალი ზემოქმედების ძალას იძენს. ეს წიგნი, გარდა იმისა, რომ ზეზვა მედულაშვილის, როგორც მთარგმნელის, შემოქმედებითი გამარჯვებაა, თანამედროვე ქართული მთარგმნელობითი სკოლის მიღწევათა დონეზეა შესრულებული. ამოუწურავი ლექსიკა, ხალხურ

იდომატურ სიტყვა-თქმათა მდიდარი მარაგი, ბუნებრივი ინტონაცია, პერსონაჟთა მეტყველების თავისებურებანი, ქართული ენის სტიქიაში ღრმად წვდომის უნარი... წიგნის ყოველ გვერდზე, მთარგმნელის ოსტატობასთან ერთად, იგრძნობა დიდი სიყვარული და პატივისცემა დედნისა. ზეზვა მედულაშვილი ცდილობს მოთხოვნებს ეროვნული სურნელი შეუნარჩუნოს, არასოდეს არ ავიწყდება რომ იგი შუამავალია მწერალსა და ქართველ მყითხველს შორის, მაგრამ აღბათ სწორედ ამ თავმდაბლური დამოკიდებულების გამო, მთარგმნელი მნიშვნელოვან წარმატებას აღწევს. საერთოდ, შემოქმედება იდუმალებით მოცული სამყაროა. აქ ახსნას ბევრი რამ არ ემორჩილება. ცხადია, არც მთარგმნელის შემოქმედებაა გამონაკლისი. აბა, ვინ იტყვის, რომ ივანე მაჩაბლის თარგმანებში „ლვთის“ ხელი არ ურევიაო.

თარგმანის თაობაზე უამრავი ნაშრომი დაწერილა და კვლავაც დაიწერება. თეორიული მეცნიერება ყოველთვის იმას ცდილობს მიაგნოს, ახსნას უკეთესი, პოზიტიური გზა და საშუალება, მაგრამ მოდის მთარგმნელი და ყოველგვარი თეორიებისაგან განსხვავებით, მხოლოდ საკუთარი ინტუიციაზე დაყრდნობით, ჰქმნის ახალს. ეს ახალი, ქმნადობის ეს აშკარა კვალი ამჩნევია ზეზვა მედულაშვილის თარგმნებს. ჩვენ მას აქამდე ვიცნობდით როგორც სომხური და აღმოსავლური ენებიდან პოეტური ნიმუშების მთარგმნელს, მაგრამ გულწრფელად რომ ითქვას, ამ სფეროში მას ასეთი თვალსაჩინო წარმატებისათვის არ მიუღწევია.

მათევოსიანის პროზის თარგმნისას სრულიად ახალი, მოულოდნელი კუთხით გამოანათა მისმა მწერლურმა ნიჭმა, პროზაში – სიტყვიერი ხელოვნების ამ ძალზე რთულ უანრში – ახალი კალაპოტი მიეცა მთარგმნელის მდიდარ ლექსიკურ სალაროს, სიტყვათნარმოებისა და სიტყვათშეთანხმების თანდაყოლილ, ბუნებრივ ნიჭს.

მთარგმნელი ეფერება, ესათუთება თითოეულ ქართულ სიტყვას, ბუნებრივ კალაპოტს უძებნის პერსონაჟთა მეტყველებას, ზუსტად იჭერს ინტონაციას, სიტუაციისათვის შესაფერის ენობრივ ნიუანსებს... ხშირია შემთხვევა: კითხულობთ წიგნს, ყველაფერი ნორმის ფარგლებშია, ვერც საგულისხმო შეცდომას იპოვნით და ვერც სტილისტურ უზუსტობას, მაგრამ თარგმანს რაღაც აკლია, უმარილო საჭმელივითაა – უგემური, უსიცოცხლო. მედულაშვილის თარგმანების ლირსება მათს „სიცოცლის უნარიანობაშია“, ზოგჯერ შეიძლება შეედავო კიდეც ამა თუ იმ გამოთქმისა და წინადადების გამო, მაგრამ მთლიანობაში ყოველთვის გრძნობთ, რომ მთარგმნელი შესანიშნავად ერკვევა დედნის ნიუანსებ-

შიც და ქართული ენის ნიაღშიც ლალად გრძნობს თავს. მოვუსმინოთ: „ალხოს (ცხენს ჰქვია ალხო) ფილტვებში ჰაერი ამოეშრიტა, ამოეშურა, ტვირთი კი ქვემოთ ეზიდებოდა. ალხო მიხვდა, აქ უკვე დიდი აღმართი დაწყებულაო და კვლავ ჩაისუნთქა, ახალი ჰაერი შეიშველა. ეს ჰაერიც მალე გამოელია, ბილიკი კი ჯერ სად იყო! მიცოცავდა და მიცოცავდა ზევით. ალხომ კიდევ ჩაისუნთქა. აქ ნეკნების სიმსხოთი ვერას გავ-ხდებიო და დადგა. დაელოდა – აბა, რა მოხდებაო. ტვირთი ქვემოთ უცურდებოდა, ტყავს ათელეშავდა, დრუნჩი აღმართისათვის მიერჭო, ხოლო აღმართს – ყრუს, გულქვასა და უსინდისოს – არად უჩანდა მისი ფილტვების ჭყლეტა. ალხომ გადაწყვიტა, მოეტყუებინა აღმართი, უცებ შებრუნდა, სული მოითქვა და დამრეცად წავიდა. გამობრუნდა, დამრე-ცადვე ამოსჭრა, სული მოითქვა და ისევ შებრუნდა. კალთა-კალთა იარა, შემოტრიალდა, გამოვიდა და ისევ ამოილო ჰაერი. უნაგირ-ხორბლია-ნად ორასი კილო და ოცი წლის სიცოცხლე ოცდათხუთმეტჯერ წაილო და წამოილო ალხომ, ატრიალა, აბრუნა და აიტანა აღმართის თავში”.... ვფიქრობთ, ამ საკმაოდ ვრცელი ამონანერიდან მწერლის ოსტატობასთან ერთად ( მათევოსიანი ზუსტი დეტალების ხატვის საოცარ უნარს ავლენს) კარგად ჩანს მთარგმნელის ხელოვნებაც. ეჭვიც კი არ მეპარება, რომ ეს ადგილი (და არა მარტო ეს ადგილი) ძალიან ახლოა დედანთან. თითქმის სიტყვა-სიტყვით მისდევს და იმეორებს დედნის ყველა ნიუანსს, ისე ჩაწეულ-ჩაგრეხილია აქ თავიდან ბოლომდე მთელი მოძრაობა აღმართს შეჭიდებული დატვირთული ცხენისა, ისე ზუსტია რიტმი და დინამიკა ფრაზისა, რომ სულმოუთქმენლად, თითქოს ჩვენც ერთი სული გვაქვს როდის აათავებს საწყალი ცხენი იმ უწყალო აღმართს. ამ დეტალში (ისე-ვე როგორც მთელს თარგმანში ) კარგად იგრძნობა, რომ მთარგმნელი ახლოს იცნობს ცხოვრების უმცირეს წვრილმანებს. უამისოდ, მხოლოდ ენობრივი განსწავლულობით, მხოლოდ კაბინეტური მწიგნიბრულობით, როგორც წამდვილი მწერლობა ვერ წასდგამს ბიჯს, ასევე მთარგმნელიც შებორკილი იქნება მუდამ. როცა ზეზვა მედულაშვილი წერს, „ალხომ გადაწყვიტა აღმართი მოეტყუებინაო“ – ამ ფრაზას მწერლის ღვანლთან ერთად მთარგმნელის მაღლიცა სცხია.

კიდევ მაგალითი: „... ამაოდ სურნელოვნებდა ბალახი, იდგა მდუმა-რება და იმ მდუმარებასა თუ ჩემს მასხოვრობაში დაბალ ხმაზე ზრუნავ-დნენ ტელეგრაფის ბოძები“....

მთარგმნელი ზედსართავი სახელისაგან ზმნურ ფორმას აწარმოებს

და ფრაზას მეტი დინამიურობა, მეტი სიცხოველე ეძლევა.

მაგალითების მოყვანა უხვად შეიძლება, მაგრამ დაწვრილებითი ანალიზი არცა ყოფილა ჩვენი მიზანი. წიგნის გაცნობის სიხარულმა, მადლიერების გრძნობამ დაგვაწერინა ეს წერილი. აქვე დავუმატებთ, რომ კრებული საქართველოს მწერალთა კავშირთან არსებული მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურულ ურთიერთობათა მთავარ სარედაქციო კოლეგიაში მომზადდა. კოლეგის ხელიდან უკვე რამდენიმე მშვენიერი წიგნი გამოვიდა და იმედია, კარგად დაწყებული საქმე მომავალში უფრო უხვსა და კეთილ ნაყოფს გამოიღებს.

**ნომადი პართაია,**

**წინასიტყვაობა წიგნიდან „ჩვენი ზეზვა“,**

ვინც გამოჩენილ მთარგმნელს, უამრავი ენის მცოდნეს, პოეტს, კაფიებისა და ექსპრომტების უბადლო ოსტატს, მრავალი ლიტერატურული პრემიის ლაურეატს, მეტად კოლორიტულ პიროვნებას, ზეზვა მედულაშვილს იცნობს, არ შეიძლება მისი სახელის ხსენებაზე ლიმილი არ მოეფინოს სახეზე, უკეთესად არ იგრძნოს თავი და არ გაუჩნდეს სურვილი მასთან ისევ და ისევ შეხვედრისა.

ხომ ბედნიერია ის, ვინც იცნობს ზეზვას, მაგრამ უფრო ბედნიერია ის, ვისაც წინა აქვს ბედნიერება, თუნდაც ამ სალალობო ჩანახატების სახით, მისი გაცნობისა.

აյ მოტანილი ამბები, რა თქმა უნდა, გაზვიადებულია, მაგრამ ამის გარეშე რომ არაფერი გამოვიდოდა, დიდი იუმორის პატრონმა ზეზვა-მაც მშვენივრად უწყის და მეც მივუშვი და მივუშვი ავშარა ფანტაზიის ისედაც დაუმორჩილებელ ბედაურს...

ჩანახატებს დართული აქვს ზეზვას მეგობართა მცირე ჯგუფის მოსაფერებელი სიტყვები ჩვენი გმირის მიმართ.

ზეზვა პომპეზური პიროვნება არ არის, არ უყვარს მრგვალი თარიღების აღნიშვნა, ამიტომ ნახევრადმრგვალ თარიღს – დაბადების 75 წლისთავს ამ ფორმით ვულოცავ მას.

## ანდრო ბუაჩიძე

### ზეზვა მედულაშვილი – მწერალი, მთარგმნელი, პიროვნება

ვისთვისაც ცნობილია მთარგმნელის, მწერლის, აღმოსავლეთმცოდნის, პოლიგლოტის ზეზვა მედულაშვილის სახელი, ვფიქრობ, ის ხელახლა აღმოაჩინს მას, ვინაიდან ახლა, როცა ზეზვა ჩვენთან აღარ არის, უცნაური კანონზომიერების წყალობით კიდევ უფრო თვალისმომჭრელად გამოიკვეთა მისი ელვარე, მართლაც რომ კაშკაშა ნიჭიერება და უაღრესად შთამბეჭდავი პიროვნულ-ადამიანური სახე.

ზეზვა მედულაშვილი დაიბადა 1939 წელს გურჯაანის რაიონის სოფელ არამენდაში. 1957 წელს წარჩინებით დაამთავრა არაშენდის სამუალო სკოლა და მისაღები გამოცდები ჩააბარა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნელის ფაკულტეტზე ირანოლოგიის განხრით. რამდენიმე წელის შემდეგ ის გადავიდა ახლადგახსნილ არმენოლოგიის განყოფილებაზე, რომელიც დაამთავრა კიდეც, როგორც არმენოლოგმა. სპარსული ენის შესწავლა არ მიუტოვებია და ამავე დროს სწავლობდა თურქულ, არაბულ, აზერბაიჯანულ და სხვა აღმოსავლურ ენებს. 1961 წელს მისი პირველი თარგმანი დაიბეჭდა აღმანას „მეგობრობის ცისარტყელაში“. ზეზვას თარგმანები სპარსული, არაბული, სომხური, ტაჯიკური, უზბეკური, თურქმენული, თურქული, აზერბაიჯანული, გერმანული, რუსული ენებიდან ქვეყნდებოდა ლიტერატურულ პერიოდიკში. მისი რედაქტორობით გამოიცა მრავალი წიგნი. ზეზვა 1974 წლიდან მუშაობდა მწერალთა კავშირთან არსებულ მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურულ ურთიერთობათა მთავარ სარედაქციო კოლეგიაში, სადაც საუკეთესო ქართველი მწერლები იყვნენ თავმოყრილნი. იყო პანკისისა და დმანისის საპატიო მოქალაქე. მისი თარგმანები შესრულებულია უშუალოდ დედნისეული ტექსტებიდან. ზეზვა მედულაშვილი მოულოდნელად გარდაიცვალა 2018 წლის 30 აპრილს 78 წლის ასაკში.

ეს ბიოგრაფიული ფაქტები გარკვევით გვაჩვენებს მწერლის მოღვაწეობის უაღრესად ფართო არეალს, მაგრამ ოდნავადაც ვერ წარმოგვიჩენს ამ ნიჭიერებით გამორჩეული შემოქმედის მოუსვენარ ნატურას, მის პიროვნულ-ინდივიდუალურ სახეს. შეუძლებელია ერთ წერილში ჩატიო

მისი მრავალმხრივი ლიტერატურული მემკვიდრეობის და პიროვნული თავისებურებების ამსახველი რამდენადმე ამომწურავი განხილვა-ანალიზი. მაგრამ რადგან ამ თვითმყოფადი შემოქმედის თარგმანები სადღეისოდ უკვე ქართული მთარგმნელობითი ლიტერატურის ოქროს ფონდს განეკუთვნება, სასურველია მოკლედ მაინც აღვწეროთ მისი შემოქმედება და პიროვნება.

უშველებელი, ძირძველი, თვალუნვდენელი და ფერუხვი აღმოსავლური სამყარო ზეზვა მედულაშვილისთვის საოცრად მიმზიდველი, სისხლხორცეულად ახლობელი იყო. მას მთელი არსებით ესმოდა ამ სამყაროში აღძრული ხები, მისი მახვილი თვალი და ყური იჭერდა ამ სამყაროდან მომდინარე ნაირფეროვან სხივსა და ბგერას და ქართულად გარდაქმნიდა. ცოტაა იმის თქმა, რომ ზეზვას საამისოდ ყველა მონაცემი გააჩნდა. ის თვითონ იყო საკვირველი ფენომენი, პოლიგლოტი ისე გახდა, რომ აღმოსავლური ენები ბეჯითად კი არ დაისწავლა, არამედ ბუნებრივად, ძალდაუტანებლად შეითვისა. აქ მულავნდებოდა მისი უნივერსალური ნიჭი შემოქმედისა და ანალიტიკოსისა. „სპარსული ენის სიტყბომან მასმინა მუსიკობანიო“, ამბობდა თემიურაზი და ასე იყო ზეზვასთვისაც – აღმოსავლური ენების მომნუსხველი ფონეტიკა და, ზოგადად, განუმეორებელი ჟღერადობა შთაგონებას აღუძრავდა მას. ეს შთაგონება ზეზვას არსებაში პოეტსაც აღვიძებდა და ანალიტიკოსსაც. მას შეეძლო საათობით ესაუბრა ხაიამისა თუ ჰაფეზის რობაიებში განფენილ ბგერნერულ მუსიკალობაზე, ამ საუბარს კი ნათელს ჰაფენდა დედნისეული ტექსტის არტისტული დეკლამირება. გზადაგზა დეკლამატორი ზეზვა რომელიმე პოეტური ფრაზის მეტრულ სიმწყობრეს, ან ცალკეული სიტყვის სემანტიკასაც განჩხერებდა და აქ უკვე ანალიტიკოსი ილვიძებდა მის არსებაში.

ზეზვა მედულაშვილი თვითონ იყო აღმოსავლური სამყაროს საოცარი ნატეხი, რომელიც განუმეორებელ და უწყვეტ შუქს ასხივებდა. მას უყვარდა მოყვასი და თავის ნააზრევს მოყვასს უზიარებდა. ოცდახუთი წლის იყო ზეზვა, როცა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის ასპირანტურის დამთავრების შემდეგ თარგმანის თეორიის და პრაქტიკის კურსს გაუძლვა. დარწმუნებული ვარ მსმენელები მოიხიბლებოდნენ მისი იმპროვიზირებული საუბრით, რომელიც არაფრით ემგვანებოდა ჩვეულებრივ სალექციო კურსს. ზეზვას ცოცხალი კონტაქტები იზიდავდა და ზოგადად აუდიტორიას, ხალხს კი არა, პიროვნებათა კრებულს მიმართავდა. ზეზვა გამორჩეული პიროვნება იყო და თვითონაც გამოკვეთილ პიროვნებებთან ურთიერთობას ეს-

წრაფვოდა. ის მაშინ წამოენთხბოდა, როცა მსმენელშიც შენიშნავდა პოეზიისადმი ინტერესის ნაპერწკალს. ასეთ დროს თითქოს იმას ცდილობდა, ეს ნაპერწკალი კიდევ უფრო გაეღვივებინა. და სწორედ ამ გზადშეყრის შემდეგ ინყებოდა უკვე მისი ლექცია-მონოლოგი. მრავალი წლის მანძილზე ვმუშაობდი ზეზვას გვერდიგვერდ მთარგმნელობით კოლეგიაში და მის ასეთ არაერთ მონოლოგს შევსწრებივარ. ის აღმოსავლეთმცოდნეობის სფეროში ნამდვილი ერუდიტი იყო და ამავე დროს იყო შემოქმედი და არტისტული ბუნების ადამიანი. ამიტომაც მსმენელები მას მონუსხულები უსმენდნენ. მისი საუბარი დროში აღბეჭდილ ქართულ-აღმოსავლური კულტურების შეხების წერტილებს და მხატვრულ-მსოფლმხედველობრივ პარალელებს მოიცავდა, და რა შეიძლებოდა ამაზე საინტერესო ყოფილები. გარკვეულ პერიოდში ზეზვამ მიატოვა უნივერსიტეტი და მთარგმნელობით კოლეგიაში გადავიდა სამუშაოდ. სხვაგვარად რომ ვთქვათ, სამეცნიერო საქმიდან ის შემოქმედებით საქმიანობაზე გადაერთო, მაგრამ სწავლა არ მიუტოვებია. პროფესიონალი მთარგმნელი ერთდროულად სწავლულიც არის და შემოქმედიც, და ზეზვა მედულაშვილი ასეთი იყო. ზეზვა მარჯვედ უთავსებდა ერთმანეთს ცოდნას და შემოქმედებას. ამაზე მეტყველებს მისი არაერთი ჟუბლიკაცია. თუნდაც საიათონოვს სამენოვანი წიგნი გავიხსენოთ. განა შეიძლებოდა ზეზვა არ დაინტერესებულიყო ასეთი უნიკალური ფენომენით, როგორიც საიათოვა გახლდათ? აკი მისი უფროსი კოლეგა და მეგობარი ვახუშტი კოტეტიშვილი სიყვარულით მას საიათოვას ეძახდა. ახალგაზრდობიდანვე მოკიდა ხელი საიათოვას შესწავლას, როგორც ჩანს, წიგნის დაწერას აპირებდა. მასალების მოსაძიებლად სომხეთის და აზერბაიჯანის არქივები მოიარა და მერე, იმავე მიზნით მოსკოვის ბიბლიოთეკებს და არქივებსაც ეწვია. ცალკე მონოგრაფია აღარ დაუწერია, მაგრამ ბრწყინვალე წინათქმა კი წაუმდგვარა საიათოვას სამენოვან წიგნს. ამავე წიგნში, ცხადია, მისი ჩინებული თარგმანებიც გამოქვეყნდა სომხურიდან და აზერბაიჯანულიდან. ფაქტობრივად სრული სახით საიათოვა ქართველი მკითხველის წინაშე ზეზვა მედულაშვილმა წარმოაჩინა. სწორედ ამიტომ ვფიქრობ, რომ როცა ის თავისი განუყრელ აღმოსავლურ სამყაროში იძირებოდა, ცოდნა არ ასვენებდა, თავისი ორიგინალური მიგნები არ აძლევდა მოსვენებას. არ აძლევდა მოსვენებას ის, რაც მონოგრაფიებად უნდა ქცეულიყო.

ზეზვას შთაგონების გარეშე არ შეეძლო ცხოვრება. ეს შთაგონება კი როგორც უკვე ვთქვი, ანალიტიკურიც იყო და პოეტურ-ლირიკულიც. პოეტურ-ლირიკულ ნაწილში მას სიტყვადემნადობა იზიდავდა. ზეზვა

სიტყვიერ და ფრაზეოლოგიურ ფონიერვერკებს ქმნიდა პროზაშიც და პოეზიაშიც. აი, ვთქვათ, მცირე ამონარიდი დიდებული ეპოსიდან „ქო-როლლი“. შეყვარებული ხონთქრის ქალი ნიგარი შეუთვლის გმირთაგმირ ქოროლლის:

აგრემც შემოგევლე, ვაუო ქოროლლი,  
მოდი, წამიყვანე, თუ ხარ შემძლები.  
მე შენი სურვილით თმენა მიმხდია  
და კვლავაც ამ სურვილს ვერ გავეცლები.

შენ ხარ ჩანლიბელში მოყმე ცნობილი,  
შენგან დუშმანია ლახვარსობილი,  
გმირთა სარქალი ხარ, გმირთა ძმობილი,  
ჩემ გულს არავისზე არ გაეცვლები.

ხონთქარის ქალი ვარ, მქევია ნიგარი,  
ბევრ ხანს და ფადიშახს დავწვი ჯიგარი.  
მიყვარხარ ! სადაც შენ, გულიც იქ არი,  
წამიყვა, შემირთე, თავად გეძლევი.

სარითმო წყვილი „ნიგარი“ – „ჯიგარი“ ისე თავისუფლად და ძალ-დაუტანებლად მოჰყვება ლექსის აზრობრივ-ევფონიურ დინებას და ასევე აზრობრივ-ემოციურად იმდენად ზუსტია, რომ მკითხველი არამარტო იჯერებს ამ ქალის სატრფიალო აღტკინებას, არამედ ერთიანად იხი-ბლება. სიტყვადქმნადობის ასეთი თავბრუდამხვევი მორევები გასდევს „ქოროლლის“ ზეზვასეულ ქართულ თარგმანს.

ამ თხზულების პროზაული ნაწილიც მსგავსი ექსპრესიულობით და დინამიზმით არის აღბეჭდილი. აი, არაბ რეიპანისა და ქოროლლის შერკინების სცენა: „არაბ რეიპანმა ცხენს ნავარდი აქნევინა და ქოროლლის-კენ გაექანა. ორთაბრძოლა დაიწყო. იყველა სამოცდაჩვიდმეტი ფანდი სცადეს, მაგრამ ერთმანეთს ვერა დააკლეს-რა. გაბრაზდა ქოროლლი და ცხენიდან ჩამოხდა. შეეჭიდნენ ერთმანეთს. მიწას ხან იმისი მუხლები ხნავდა გუთანივით, ხან ამისი. ქოროლლიმ ნახა, რომ: არა, ძმაო! ეს არაბ რეიპანიც ნაკლები ნადირი არ არის. გაბრაზდა და ისეთი კიუინა დასცა, მთა-ბარმა ხმა მისცა. არაბ რეიპანის ხალხი შიშისაგან ქორდაცემულ ნიწილებივით დაიფანტა“.

ქოროლლი მსოფლიო ფოლკლორისტიკის ერთ-ერთი შედევრია. ეს

ეპოსი გავრცელების თვალსაზრისით უზარმაზარ გეოგრაფიულ არეალს შემოწერს. კავკასიასა, მცირე აზიასა და შუა აზიაში „ქოროლლის“ სხვადასხვა ვერსიებია შემონახული. არსებობს ამ ეპოსის თურქული, არაბული, თურქმენული, ტაჯიკური, უზბეკური, ყაზახური, სომხური, აზერბაიჯანული ვარიანტები. ყოველი ვერსია იმ ეთნოსის მხატვრული და ცხოვრებისული რეალიებით არის გაჯერებული, რომლის წიაღმიცი იძნდა ახალ სიცოცხლეს. არსებობს ამ ეპოსის ქართული ვერსიაც. ზეზვა მედულაშვილს, ცხადია, ყველა ვერსია დედამშივე ჰქონდა გაცნობილი და ამათგან სათარგმნელად ყველაზე სრული და ძირძველი – აზერბაიჯანული – შეარჩია. ვრცელი ტექსტის მეცნიერულად დამუშავების შემდეგ მან ხელი მიჰყო ეპოსის გადმოქართულებას. მას თურმე ჯერ პოეტური ჩანართები უთარგმნია, მერე პროზაულ ნაწილს შესდგომია. ზეზვა ოცდაათი წლის ახალგაზრდა კაცი იყო, როცა ამ ურთულეს საქმეს შეეჭიდა. რამდენიმე წელინადში გაასრულა კიდევ. ის ამ დროს უკვე ოჯახს იყო მოკიდებული და ორი ვაჟიშვილის მამა გახლდათ. როგორც მისი მეუღლე, ქალბატონი კამილა გადმოგვცემს, ამ ეპოსს ზეზვა თარგმნიდა დიდი შთაგონებით, ყოველ პოეტურ ჩანართს და პროზაულ პასაჟს ხმამალდა კითხულობდა, აჭაშნიკებდა და აგემოვნებდა, როგორც ჩანს, თავისი შემოქმედებითი ენერგია და ლალი დამოკიდებულება თვითონვე ასხამდა ფრთას. ეს კონგრენიალური თარგმანი, სხვათა და სხვათა მიზეზთა გამო მრავალი წლის მანძილზე იყო თაროზე შემოდებული და მხოლოდ 2003 წელს ეღირსა დღის სინათლე. წიგნი გამოსცა „კავკასიური სახლის“ გამომცემლობამ.

ზეზვა მედულაშვილს თავის ცხოვრების განმავლობაში ერთი წუთითაც არ შეუწყვეტია გარჯა. ის კრებდა, ეძებდა, ქმნიდა უკვე თარგმნილი ნაწარმოებების ახალ ვარიანტებს. უამრავი აღმოსავლელი, ჩრდილო კავკასიელი პოეტი თარგმნა და კიდევ უამრავის თარგმნას აპირებდა. მას, როგორც ნამდვილ ფილანტროპს და ჰუმანისტს სწამდა, რომ უძველესი ფოლკლორის და სიტყვაკაზმული მწერლობის მქონე აღმოსავლელ ხალხებს შორის ცოცხალი კონტაქტები მნიშვნელოვანნილად შეუწყობდა ხელს საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოებრივ სუბიექტად ქცევას... მაგრამ ყველაფერთან ერთად ზეზვას უპირველესი საზრუნავი მისი თვითმყოფადი ხელწერით აღბეჭდილი თარგმანების მაღალმხატვრულობა იყო. რომელი ერთი ვთქვა, რომელ ერთს გადავწვდე, უპირველეს ყოვლისა, არ შემიძლია წინამდებარე წიგნში, „აღმოსავლურ მზეჭრელში“, პირველად წარმოჩენილ გენიალური ომარ ხაიამის ზეზვასეულ თარგმა-

ნებს თუნდაც გაკვრით არ შევეხო. ოთხბწყარედში ჩატეული ხაიამისეული სიბრძნე ზეზვასთან ლაღად და ძალაუტანებლად სუნთქვას!

წავედი, მოვრჩი, ამ ქვეყნისას ვისტუმრებ ვალებს,  
ქარივით ჩავლილ ამ ცხოვრების ცოდვებს და პრალებს,  
ჩემი სიკვდილი გაუხარდეს მავანს და მავანს,  
ვინც ფიქრობს, თავად გადურჩება სიკვდილის ბრჭყალებს.

ამ რობას მხატვრულობას ერთი აზრის ენერგიული მოქნევა, თავისუფლად მოსროლილი სიტყვები და ფრაზები ქმნის. ასეთია „ცოდვებს და პრალებს“, „მავანს და მავანს“ და ასეთივე მოკლედ მოჭრილი ფრაზის დაბოლოება: „სიკვდილის ბრჭყალებს“. არცერთი ლექსიკური ერთეული არ აფერხებს აზრის მუსიკალურ განვრცობას.

ხაიამის ზოგიერთი რობაია სიტყვათა თამაშზე და აზრის მიმოხრაზეა აგებული. აქ პოეტი თითქოს ილიმის, თამაშ-თამაშით გვატყობინებს სიტყვებში მიმოფანტულ სიბრძნეს და მერე მოულოდნელად აბრკოლებს; ასეთ რობაიას თუ არ დაშორდი, შენს ენაში არ შემობრუნდი და მსგავს თამაშის წესებს არ მიაკვლიე, ისე ვერ თარგმნი. ზეზვა აქ ნამდვილად თავის სტიქიაში იყო და ბოლომდე ებრძოდა ენობრივ ფანტაზიას:

მძაფრი წყურვილით ხელადისა დავტუჩე ტუჩი,  
რადგან ნიადაგ ნეტარება მქონიდა ყუჩი,  
ხელადაც ჩამიტუჩიტუჩდა და ჩამჩურჩულა:  
ერთხელ მოსულხარ, სვი, საწუთო არიო ფუჭი !

ოთხმოციან წლებში მაღალნიჭიერ სომებ მწერალს ჰრანტ მათევოსიანს ერთი ანტისაბჭოთა მოთხოვნის გამო ევროპაში სახელი გაუვარდა, რუსულად უკვე თარგმნილი და გამოცემული იყო და ევროპულ ენებზეც ითარგმნა. ეს ფაქტი ზეზვას, როთქმა უნდა, არ გამოპარვია, მას უკვე თარგმნილი და გამოცემული ჰქონდა ამ შესანიშნავი მწერლის მოთხოვნები (ჰრანტ მათევოსიანი „აგვისტო“, თბ. „საბჭოთა საქართველო“ 1977) და ხელახლა მოუბრუნდა მას. მისივე სხვა თხზულებანი თარგმნა, ძველი გამოცემა შეავსო და ახლა უკვე სქელტანიანი წიგნი გამოსცა (ჰრ. მათევოსიანი, მწვანე მინდორი, თბ. „ნაკადული“ 1979წ.). ამ წიგნის გამოსცლა ნამდვილი მოვლენა იყო. მე თვითონ ვიყავი უშუალო მოწმე იმისა, თუ როგორ დაურეკა თარგმანის კოლეგიდან სომხეთში ზეზვამ ჰრანტ მათევოსიანს და მისი წიგნის ქართული გამოცემის გამო

როგორ ესაუბრა. შუამავალი ენა არ დასჭირვებია, ეს თხემით ტერფამდე ქართველი კაცი ისეთი სომხურით ესაუბრებოდა იმ ქვეყნის უპირველეს მწერალს, რომ თვითონ სომეხსაც შეშურდებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ ზეზვა მედულაშვილი უაღრესად თავმდაბ-ალი კაცი იყო და არასოდეს უბრძოლია რაიმე გამორჩენისათვის, პირადი კეთილდღეობისა და რეგალიებისათვის, მას მაინც მრავალი პრემია პქონ-და მიღებული. 2004 წელს მაშინ ახლად დაარსებული „საპას“ პრემიაც მიიღო, ეს პრემია იმით გახდა ცნობილი, რომ უკვე ასაკოვან, ყველა-ზე გამოჩენილ ქართველ მწერლებს და, ზოგადად, სიტყვის ოსტატებს ებოძათ. მათ შორის იყვნენ აღმოსავლური ენებიდან მთარგმნელები – ვახუშტი კოტეტიშვილი და ზეზვა მედულაშვილი.

ივანე მაჩაბლის პრემიასთან ერთად ზეზვას ჰქონდა ერთი უაღრესად საპატიო სიგელი, რომელსაც ერქვა „ქართული კულტურის დესპანი“. არსებულ პოლიტიკურ ვითარებაში ეს მართლაც უაღრესად მნიშვნელოვანი წოდება იყო და ამ მნიშვნელობას ზეზვა მოტელი არსებით გრძნობდა. მთავარი კი ის გახლდათ, რომ ის მართლაც დესპანი იყო თავისი ერისა და კულტურისა, ვინაიდან ისეთი წრფელი გულით მასპინძლობდა და ამავე დროს სტუმრობდა კიდევ ჩრდილო-კავკასიელ, ამიერკავკასიელ, შუაზიელ, პეტერბურგელ თუ მოსკოველ მწერლებს, რომ სამუდამოდ ამახსოვრებდა მათ თავს.

უპირველესი პატივისცემა იმით იყო განპირობებული, რომ მათ ენებზე თავისუფლად საუბრობდა. ამ ენების ფლობით ზეზვა არაერ-თი ადამიანის გაკვირვებასაც იწვევდა. მახსენდება ერთი შემთხვევა. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში ზეზვას ახლადგამოცემული შესანიშნავი წიგნის: „ათას ერთი აზერბაიჯანული ბაიათის“ პრეზენტა-ცია ეწყობიდა. აზერბაიჯანელ მწერალთა და მეცნიერთა დელეგაცია პრეზიდიტუმში განთავსდა. თვითონ ზეზვა კი, – ამ წიგნის მთარგმნელი – ჯერ არსად ჩანდა. ცოტა ხანში ისიც გამოჩნდა. ეს დინჯი კაცი პრე-ზიდიუმისკენ მიიჩქაროდა. ეტყობოდა, რომ სიჩქარე როგორლაც უცხო იყო მისთვის, ოფიციალური შეხვედრების დიდი მოყვარული არასოდეს ყოფილა. პრეზენტაციას აკადემიის პრეზიდენტი უძღვებოდა. აზერბაი-ჯანელები თავიანთ ენაზე გაესაუბრნენ მთარგმნელს და მოპასუხემაც მხარი აუბა შემკითხველებს. პრეზიდენტი გაკვირვებული ადევნებდა თვალს ნაუცბათევად გამართულ დიალოგს, მერე კი ზეზვას მოუბრუნ-და და ჰკითხა: „შენ რომელი ფაქულტეტი დამთავრე? ზეზვამ მაშინვე

უპასუხა: „სპარსულს ვსწავლობდი, მერე არმენოლოგიას გავყევი“, – კი, მაგრამ ეს აზერბაიჯანული სადღა ისწავლე? – ვეღარ დამალა თავის გაკვირვება პრეზიდენტმა. აქ კი ზეზვას აღარაფერი უპასუხნია, ანკი რა უნდა ეთქვა, ხომ არ ეტყოდა, კიდევ არაერთი და ორი ენა ვიციო, გაჩქმება ამჯობინა.

“ათას ერთი აზერბაიჯანული ბაიათის“ წინათქმაში ზეზვა წერდა: „განვლილი ორმოცდათი წლის განმავლობაში აზერბაიჯანელ მწერლებთან გარდა ლიტერატურულ-შემოქმედებითი ურთიერთობისა, ბევრ მათგანთან პირადი მეგობრობაც მაკავშირებდა. ნამდვილი, ძმური, წრფელი, სტუმარ მასპინძლური და ამავე დროს შემოქმედებით-კოლეგიალური ურთიერთობა გვქონდა. ჩავიდოდი ბაქოში და მათი სახლი ჩემი სახლი იყო, ჩამოვიდოდნენ თბილისში – ჩემი სახლი მათი სახლი იყო. სასტუმროებშიც კი არ ვუშევებდით ერთმანეთს; ბევრი მათგანის შემოქმედება მითარგმნია ქართულად – პროზაიკოსისა თუ პოეტისა... ვადასტურებ, რომ ჩვენთვის სამწერლო – შემოქმედებით ურთიერთობებზე არანაკლებ მნიშვნელოვანი სწორედ ის პირადი ძმობა ყოფილა.

აქ სრული სიმართლეა ნათქვამი. ასეთი გულდია ურთიერთობები-სას ზეზვა ნამდვილად თავის სტიქიაში იყო და ასეთი ურთიერთობები ჰქონდა მას მრავალი ქვეყნის მწერლებთან, ამიტომაც იყო ჩვენთვისაც და მათთვისაც ქართული კულტურის დესპანი.

არაერთხელ ვახსენეთ 2010 წელს გამოცემული წიგნი „ათას ერთი აზერბაიჯანული ბაიათი“. აქაც, როგორც ხაიამისა თუ ჰაფეზის, „ქოროლლისა“ თუ საიათნოვას, ვაგიფისა თუ მახთუმყულის პოეზიაში, კიდევ ერთხელ გაიბრნებინა ზეზვა მედულაშვილის ვირტუოზულმა სიტყვად-ქმნადობამ და ოსტატობამ. შეიძლება ითქვას, რომ ზეზვა ვერ ეტყოდა ქართულ ენაში. ენასთან შეხება მის არსებაში უჩვეულო ენერგიას აღძრავდა. ქართული ენა მისთვის ის სუბსტრატი იყო, რომელიც უეჭველად პოეზიად ქცევას ესწრაფვოდა. ჩვეულებრივი მეტყველება ზეზვასთვის არ იყო ბუნებრივი რამ, რადგან ენა თვითონ იყო მისთვის სტიქია და თავის ნამდვილ არსებას სტიქიური მძვინვარების ჟამს გამოხატავდა. სტიქიურობა კი ზეზვასთვის რიტმულ მეტყველებასთან ერთად სიტყვადემნადობის ნიშნით იყო აღეჭდილი. ეს გამომჟღავნდა ბაიათებშიც.

ტრიალ ველზე თივა ვთიბე,

ტვინი ვძგიბე, სიტყვა ვკიბე,  
ტურფას სახლი აფუშენე,  
ზედ მივადგი ოქროს კიბე.

ან კიდევ:

რო რჩეული ხარ ათასში,  
მერწმუნე ცოტა-მატაში:  
არ უღალატო სიმართლეს,  
არ გაეხვიო ხათაში.

ან კიდევ:

ქვეყანა შემოვიარე,  
გულს დარდი მწვავდა, მღვიარე,  
ძუნძულით მდევდა სიკვდილი,  
ჩემს კვალზე ნადგომიარე.

წინამდებარე წიგნში, რომელსაც თვითონ ზეზვამ ადრევე უწოდა „აღმოსავლური მზეჭრელი“ თავმოყრილია აღმოსავლეთის სხვადასხვა ქვეყნების პოეტური ნიმუშები. ამ ნიმუშებზე მე ნაწილობრივ უავე ვისაუბრე. ცხადია, ეს ნიმუშები სხვადასხვა დროის და ვითარების კარნახით შეიქმნა და მხოლოდ ახლადა შეიკრიბა ერთად გამოსაცემად. ზემონახსე-ნები საიათონოვა და აზერბაიჯანული ბაიათები ცალკე წიგნებად ადრევე გამოიცა, მაგრამ ამ კრებულშიც პოვა თავის კუთვნილი ადგილი. მათ გარეშე „აღმოსავლური მზეჭრელი“ ფერნაკლული იქნებოდა. ამ წიგნში თავმოყრილი ნიმუშებიდან ბევრი რამ გამოქვეყნებული გახლავთ, მაგრამ წიგნად კი არ იყო აკინძული. წიგნის სტრუქტურა არაერთი აკადემიური გამოცემის მსგავსია, სხვადასხვა ქვეყნების პოეზია ერთად არის თავმოყრილი და შესატყვისი მცირე წინასიტყვაც აქვს წამდლვარებული. ვფიქრობ, რომ „აღმოსავლურ მზეჭრელს“ ქართულ ენაზე გამოცემულ სხვა კრებულთაგან გამოაჩინეს მრავალმხრიობა, ფართო თვალსანიერი, მხატვრული შესრულების მაღალი ხარისხი და, რა თქმა უნდა, უშუალო შეხება დედნისეულ ტექსტთან. ყოველივე ეს ერთად თავმოყრილი და ერთ მთლიანობად ქმნილი ამ წიგნის უნიკალურობის წარმომჩენია. ამავე მთლიანობას ზეზვა მედულაშვილის პიროვნება ქმნიდა, მისი ცხოვრების წესი, მისი ცოდნა და რწმენა, მისი სიღაღე და სიუხვე, სიტყვადემნადობის და უხვად გამცემლობის ნიჭი. ზეზვა მთლიანი პიროვნება იყო, სრული კაცი იყო და ეს პიროვნული განუყოფლობა აღიბეჭდა მის მდიდარ

მთარგმნელობით შემოქმედებაში. წიგნს ამშვენებს საადის ზეზვასეული ერთი თარგმანი, რომელიც ასე ჟღერს:

გულო, უწყოდე მეგობარი სამი ჯურისა:  
ერთი სულისა, ერთი – ენის, ერთი – პურისა,  
პურის მეგობარს პურმარილით ეცი პატივი,  
ენისას – ენით გაუქარვე დარდი გულისა,  
ხოლო მიაგვ სული შენი – სულის სანაცვლოდ,  
თუკი ოდესმე მეგობარი ჰპოვო სულისა.

ამ ლექსში საუბარია იმის შესახებ, რომ ცხოვრების გზაზე ადამიანის სხვადასხვა ჯურის მეგობრები გადაეყრებიან ხოლმე. ერთნი პურის მეგობრები არიან, ანუ თანამეინახენი, რომელთაგან პურ-მარილი უნდა მიიღო და რომელთაც პურმარილითვე უნდა გაუმასპინძლდე. მეორენი ენის მეგობრები არიან, ანუ სიტყვის ოსტატნი, რომლებთანაც ენის ფლობა აკავშირებს კაცს, ხოლო მესამენი კი სულით მონათესავე ადამიანები გახლავთ. მათი პოვნა სიმცირის გამო ძალზე ძნელია, ამიტომაც თუკი როდისმე იპოვი, პურით კი არ უნდა უმასპინძლო, ან სიტყვა კი არ უნდა შეაგებო, საკუთარი გული უნდა უწილადო. ამით განუქარვებ მას მარტობას და როცა შენც დაგეუფლება მარტობა, თავის მხრივ, ის გინილადებს თავის სულის ნაწილს. როგორც ჩანს, ზეზვას გულზე მოხვდა ეს ლექსი და ამიტომაც თარგმნა. პურის და ენის მეგობრები მასაც უხვად ჰყავდა, მონათესავე სულის ადამიანი კი, როგორც ყველა ნიჭიერ შემოქმედს, მასაც აკლდა და მუდმივად გულგახსნილი იყო ასეთი ადამიანის მისაღებად.

კრებულში შესულ პოეტთაგან გამორჩეულია მეთვრამეტე საუკუნის თურქენი პოეტის მახთუმყულის ნაწარმოებები. მას აქვს სიბრძნის მქადაგებელი და პატრიოტულ-ჰეროიკული ლექსები. ეს ლექსები ფერადოვანია და მეტაფორული ენით აღეჭდილი. იგრძნობა დიდი პოეტური შთაგონების ძალა, რომელიც ნარმართავს ვრცელ ლირიკულ სურათებს:

ვაუკაცურად შობილა მტერთა მტევარი,  
ქოროლის თოხუმი, თავგამნევარი,  
ვერსად მოიხელთებს ცოცხლად მდევარი,  
ვაუნი ჰყავთ ლომ-ვეფხვის დარი თურქმენთა.

სხვათაშორის, მახთუმყული და სხვა შუააზიელი პოეტები რუსულ ენაზე თარგმნა ბრწყინვალე რუსმა პოეტმა არსენი ტარკოვსკიმ. ის ჩი-

ნებულად თარგმნიდა ქართულ პოეზიასაც. თვითონ მისი ლექსები არაჩვეულებრივად გაუღერდა მისივე ვაჟიშვილის, დიდი კინორეჟისორის ანდრე ტარკოვსკის ცნობილ ფილმში „სარკე“. მათუმცულის აღიარებულ ტარკოვსკისეულ თარგმანს ტოლს არ უდებს ზეზვა მედულაშვილისეული თარგმანი და ერთი უმთავრესი უპირატესობა გააჩნია მის წინაშე – ზეზვა მათუმცულის უმუალოდ დედნიდან თარგმნის და არა პწკარედული ტექსტიდან. ამავე დროს, ისიც უნდა ითქვას, რომ ზეზვა ოსტატურად იყენებს აღმოსავლური პოეზიის ქართულ ტექსტებში დამკვიდრებულ პოეტურ რეცეფციას.

ვგრძნობ სიტყვა გამიგრძელდა და აღარ მინდა თავი შევაწყინო მკითხველს. „აღმოსავლური მზეჭრელი“ თითოეულმა კაცმა თვითონვე უნდა წაიკითხოს და თვითონვე განსაჯოს მისი ავ-კარგი. მე მსურდა, ჩემი აზრი გამომეტქვა ამ წიგნზე და მსურს კიდევ ერთხელ მოვუბრუნდე ქართულ ენაზე ამ წიგნის შემქმნელის, ზეზვა მედულაშვილის პიროვნებას, რომლის ფასიც მისი წასვლის შემდეგ განსაკუთრებით მწვავედ შევიგრძენით.

ზეზვა მედულაშვილი როგორც ყველა ნიჭიერი შემოქმედი განწყობილების კაცი იყო. თავის დაგროვილ გამოცდილებას და შთაგონებით აღბეჭდილ გამონათებებს, როგორც უკვე ვთქვით, მაშინ ანდობდა და უზიარებდა კოლეგებსა თუ ამხანაგებს, როცა საამისო განწყობა ჰქონდა. ამის შესახებ უკვე ვილაპარაკე, მაგრამ მინდა ეს აზრი გავაღრმავო. ამ საუბრებში ზეზვა წარმოჩნდებოდა როგორც თავისებური ზეპირსიტყვიერი ლექსიკოგრაფი, ის ცალკეულ სიტყვებს განჩხრეკდა, მას ზეპირ იმპროვიზაციულ საუბარში თანდათან ედებოდა შთაგონების ცეცხლი. ქართულ მდიდარ ლექსიკოგრაფიასაც გადასწვდებოდა – სულხან-საბას „სიტყვის კონას“, გოგლა ლეონიძის დიდალ ლექსიკოგრაფიულ მასალას თუ გიორგი შატბერაშვილის „თვალადურ ჭაშნიკს“. თვითონ არასოდეს გაუწევია ლექსიკოგრაფიული თუ ლექსიკოლოგიური შრომა და ერთად არ მოუყრია თავი ხანგრძლივი ძიებით მიგნებული სიტყვებისათვის. მაგრამ მის თარგმანებში გაბნეული აურაცხელი ფრაზა თუ სიტყვა მისი მადლმოსილი ხელით არის გაჩალხული და გამოძერნილი. ეს სიტყვები ანათებენ და უკვე სამუდამოდ გაანათებენ ქართულ პოეტურ მეტყველებას. ყოველივე ამის დასტურია ეს უნიკალური წიგნიც – „აღმოსავლური მზეჭრელი“.

## ოქტაი ქაზუმოვი

### „აღმოსავლური მზეჭრელი“

აგერ, ერთი თვის წინ გამოიცა ქართული მთარგმნელობითი სკოლის ერთ-ერთი კორიფეუს, 2018 წელს გარდაცვლილი ზეზვა მედულაშვილის, მრავალმხრივ საგულისხმო თარგმანების კრებული, სახელწოდებით – „აღმოსავლური მზეჭრელი“, რომელიც წარდგინებისას სამართლიანად იქნა აღიარებული საგანძურად და მასში შემავალი თარგმანების არცთუ მცირე ნაწილი კონგრენიალურადაც შეირაცხა (კონგრენიალური ეწოდება თარგმანს, თუკი იგი ინარჩუნებს დედანთან სიახლოვესა და ამავე დროს გადმოთარგმნილ ენაზეც ინარჩუნებს ბუნებრიობას). ეს კრებული სპარსულ, თურქენულ, თურქულ, აზერბაიჯანულ, სომხურ, უზბეკურ, ტაჯიკურ პოეზიასთან ერთად მოიცავს დალესატნურ, აფხაზურ, ოსურ, ჩეჩენურ და მაჰმადიან მესხთა სალექსო ნიმუშებსაც. ხსენებული ენებიდან სპარსულ/ირანული და თურქენული ოჯახის ენების უმეტესობა, აგრეთვე სომხური ენა მთარგმნელმა უშეალოდ იცოდა.

გარდა ამ კრებულისა, რომლის შედგენაც თავად დაიწყო, დაცალებით კი არ დასცალდა (ეს საქმე მისმა უსათნოესმა მეუღლემ – ქალბატონმა კამილამ დაასრულა), ზეზვა მედულაშვილს ეკუთვნის აზერბაიჯანული საგმირო ეპოს „ქოროლლისა“ და „1001 აზერბაიჯანული ბაიათის“ თარგმანიც. ორთავე თარგმანმა სპეციალისტებისა და მკითხველების ძალიან დიდი სიყვარული და აღიარება მოიპოვა. განსაკუთრებით „ქოროლლის“ თარგმანმა კიდევ უფრო მეტი ბრწყინვალება შეჰმატა მის უამისონდაც დახუნძლულ შემოქმედებას, თუმცალა, ამ ეპოსის „კავკასიური სახლის“ მიერ გამოცემისთანავე სახელები „ქოროლლი“ და „ზეზვა“ შენივთდა და კარგა სანია, რაც ზეზვა მედულაშვილის სახელის ხსენება ქოროლლისთან, ხოლო ქოროლლისა ზეზვასთან ასოცირდება. ქართულმა საზოგადოებამ „ქოროლლის“ „ნლის საუკეთესო თარგმანისთვის“ საბა უბოძა, აზერბაიჯანულმა კი დღემდე ვერ მიაგო სათანადო პატივი.

ჩემი მოკრძალებული აზრით, ვისაც მაქვს საშუალება დედანი და თარგმანი ერთურთს დავადარო, „ქოროლლიცა“ და „ბაიათებიც“ არა მხოლოდ დიდოსტატურადაა ქართულად ამეტყველებული, არამედ ეს ენობრივი ქსოვილი თუ ქარგა, მისადაგებული დედნისეულ სუნთქვასთან, იმთავითვე წარმოადგენს ნიმუშს, თარგს და საერთოდაც, დიდ სკოლას

აზერბაიჯანულიდან ქართულად მხატვრული ტექსტების გადმოთარგმნის საქმეში ჩამოყლობათვის და მოწადინეთათვის – ახლა თუ მომავალში. ზეზვა მედულაშვილის მიერ თარგმნილ ტექსტებს სამომავლოდ სოლიდური მეცნიერული კვლევები ესაჭიროება, რადგან თავად მასალა, თვალის ერთი შევლებითაც უხვი და საინტერესო დასკვნების გამოტანის საშუალებას იძლევა.

ახლა თავად კრებულის განსაკუთრებულობაზე. ეს კრებული გარდა იმისა, რომ ზემოთ ჩამოთვლილი სხვადასხვა ენის პოეზიის ნიმუშებს წარმოგვიდგენს, ამასთანავე, მაგალითად, აზერბაიჯანული და სომხური ლიტერატურის შემთხვევაში, თავისუფლად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ერთგვარ „ანთოლოგიურობასაც“ ითავსებს, კერძოდ, აზერბაიჯანულენოვან ნაწილში მოცემული პოეზია იმად ედ-დინ ნასიმით (XIV-XVსს), ფუზულით (XVI ს) იწყება, გადმოსწვდება ვაგიფს (XVIII ს), აშუდ ალესკერს (XIX-XX), მეოცე საუკუნის აზერბაიჯანული პოეზიის წარმომადგენლებს და ოცდამეერთე საუკუნის პოეტებსაც მოითვლის. კრებულის აზერბაიჯანული კარედი აზერბაიჯანული ფოლკლორის შედევრებით – „ბაიათებითა“ და საიათნოვას აზერბაიჯანულენოვანი ლექსებით იხურება. ეს უკანასკნელი ფაქტი სულ სხვაგვარ პერსა და მნიშვნელობას სძენს „აღმოსავლურ მზეჭრელს“, თუნდაც იმითაც, რომ საიათნოვა ხიდის როლს ასრულებს აზერბაიჯანულ და სომხურ ლიტერატურას შორის ზოგადადაც და ამ კრებულშიც. წიგნის სომხური პოეზიის ნაწილი სწორედ საიათნოვას სომხურენოვანი ლექსების ქართული თარგმანებით იწყება და ვაჩაგან მელქონიანით სრულდება. თუმცა კრებულის ღირსახსოვარობა ამით არ ამოიწურება და დამატებით კიდევ ორს გამოვყოფ – პირველი ის, რომ იგი გვაზიარებს მაკადიან მესხთა შემოქმედების ნიმუშებსაც, რომლებიც ჩვენთვის, ქართული საზოგადოებისთვის, სრულიად უცნობი მოვლენაა, რადგან მუსლიმი მესხები თავიანთ ზეპირ თუ წერილობით მხატვრულ ნიმუშებს თურქულ ენაზე ქმნიდნენ, ხოლო მეორე ღირსებად ამ კრებულისა მიმაჩნია ისიც, რომ აზერბაიჯანულ ნაწილში შესულია საკუთრივ აზერბაიჯანის, ასევე წარმოშობით საქართველოში დაბადებული პოეტის – ისა ისმაილზადეს და რაც მთავარია, საქართველოს მოქალაქე აზერბაიჯანელთა: აშუდი ჰუსეინ სარაჩილის, შოვქათ დალლარკიზისა და თაფლივ იოლჩუს პოეტური ნიმუშები.

ვინაიდან პოეტური ნიმუშები ე.ი. ლექსები ვახსენეთ, ამ მცირე, გაცნობითი ხასიათის წერილში ნათქვამის საილუსტრაციოდ მსურს რამდენიმე ლექსისაც მოვუხმო. მანამდე კი უცილოდ სათქმელია ისიც,

რომ ზეზვა მედულაშვილმა აზერბაიჯანული პოეზიდან თარგმნისას უმრავლესი პოეტი და კიდევ უფრო მეტი ლექსი პირველმა და აქამდე ერთადერთმა (თუმცა თავის დაზღვევის მიზნით მაინც ვიტყვი, რომ ჩემთვის ასეა ცნობილი) შემოიყვანა ქართულ ენობრივ სივრცეში, რომ არაფერი ვთქვათ ისევ „ქოროლლისა“ და ბაიათებზე. მათ შორის ცველაზე გამორჩეული იმად ედ-დინ ნასიმი და მუჰამად ფუზული გახლავთ. ზეზვამ ნასიმი ქართველ მკითხველს მისივე „თუიუგებით“ გააცნო (თურქები „თუიულს“ უწოდებენ).

ნარმოგიდგენთ ერთ ასეთ ნიმუშს:

„ნალკოტში შეველ, დილა იყო, აისის ჟამი,  
ყაყაჩის ებყრა, დავინახე, ჯემშიდის ჯამი,  
ჟამიდან ჟამზე შროშანასი ისმოდა ჩქამი:  
ნამი ჟამია, ჟამი – ნამი, იწამე ნამი!“.

„თუიუგი“ თურქულენოვან პოეტთა შემოქმედებაში რობაის მსგავს ოთხსტრიქონიან ლექსს ეწოდება. რობაიში გადმოცემული თემები თუ-იუგისთვისაც ნარმმართველია, თუმცა რობაისგან გასხვავებით, რომელიც 13-14 მარცვლიანიც შეიძლება იყოს, თუიუგი 11-მარცვლიანი სალექსო ფორმა გახლავთ. ძირითადად ირითმება ასე ა,ა,ა,ა ან ა,ა, ხ, ა ( მეორე ვარიანტი უფრო რობაიებისათვისაა ნიშნეული, თუმცა რობაიებშიც არაიძინათად ა,ა,ა,ა კონსტრუქციაც გვხვდება, როგორც ამაზე კრებულშივე მიუთითებს მთარგმნელი).

„აღმოსავლური მზექრელის“ თვალ-მარგალიტაგანი უდავოდ ვაგიფი გახლავთ. მოლა ფანაჳ ვაგიფი მოვლენაა თურქულენოვან და კავკა-სიურ ლიტერატურაში. იგი ყარაბალის ხანის – იბრაჰიმ-ხალილის ვეზირი და დღევანდელი ტერმინით რომ ვთქვათ, საგარეო საქმეთა მინისტრი იყო. ამიტომ მეფე ერეკლეს კარზე და საქართველოში ხშირად უწევდა ჩამოსვლა. ვაგიფის ლიტერატურული გენიალურობა ის გახლავთ, რომ მან რეალურ ქალებს და ლამაზმანებს უმლერა და გარდა ამისა, მთელ კავკასიაში, არათურქულენოვან ხალხთა შორისაც მეტად პოპულარული და სიცოცხლეშივე კლასიკოსად აღიარებული პოეტი გახლდათ. მისი ლექსები ქართული ტრანსკრიპტით ჩრდილოეთ კავკასიაში „ვალიდ“ მივლენილმა გრიგოლ ორბელიანმა შეაგროვა და ქვეშ „ეს ვალუფის ლექსებია“-ო მიუწერა. ვაგიფმა თავისი შემოქმედებით სკოლა შექმნა, რომელსაც არაერთი პოეტი მიეკუთვნებოდა. ვაგიფის ცნობილი ლექსი „ნეროები“ თავის დროზე პაოლო იაშვილმა თარგმნა. ამ კრებულში შე-

სულია ვაგიფის ერთი საგულისხმო ლექსის თარგმანი, რომელიც პოეტს მეფისწულ ლეონ ბატონიშვილისთვის მიუძღვნია. გთავაზობთ მხოლოდ პირველ სტროფა:

„მეფეს რა ტურფა ვაჟი ჰყავს, სინათლე ორთავ თვალისა,  
ჩრდილი ამი და მფარველი სრულიად გურვისტანისა,  
სარდალი სახელმაღალი, მტერთა დამცემი ზარისა;  
სამყაროს თავფურცელია სახელი ლეონ ხანისა,  
ლმერთი ჰეფარავდეს ლომგულსა, დასტურ კაი ყმა არისა“.

ის, რომ ვაგიფი განსაკუთრებული იყო ზეზვასათვის კარგად ჩანს იმითაც, რომ კრებულის ბოლო გარეკანზე სწორედ ვაგიფის ყოშმა „მე-ქორწილენო, აგრემც თავზე შემოგევლებით“ გახლავთ გამოტანილი ზეზვასეული კალიგრაფიითვე.

დაბოლოს, წიგნის სათაურზე – „აღმოსავლურ მზეჭრელზე“. ეს სახელწოდება თავად მთარგმნელმა დაანათლა კრებულს. „მზეჭრელი“, როგორც თავად ამიხსნა თავის დროზე, ეწოდება ხის ფოთლებს მორის ალაგ-ალაგ გამოლწეულ და მიწაზე აციაგებულ მზის სხივებს, „მუქ-ჩრდილებს“.

რა თქმა უნდა, ამ კრებულზე, მის თითოეულ კარედზე და თითოეული ლექსის გადმოთარგმნის პლასტებზე დაუსრულებლად შეიძლება ლაპარაკი და წერა, მაგრამ ამჯერად ეს ვიმყოფინოთ.

## გიორგი ლობუანიძე

„აღმოსავლური მზეჭრელის“  
თავპრუდამხვევი კალეიდოსკოპი

შესანიშნავი ქართველი მთარგმნელისა და ლიტერატორის ზეზვა მედულაშვილის ახლახან გამოცემული კრებული „აღმოსავლური მზეჭრელი“, რომელიც მთარგმნელის გარდაცვალების შემდეგ მისი თავგანწირულად ერთგული მეუღლისა და საერთოდ, ოჯახის მოწადინებით გამოიცა, როგორც მოსალოდნელი იყო, აღმოსავლური პოეზიის ქართული თარგმანის ერთ-ერთ ნიშანსვეტად მოგვევლინა.

ზეზვა მედულაშვილთან დაკავშირებით აზრს კარგავს ყოველგვარი

აღმატებული ეპითეტი, რადგან ნებისმიერი ჰიპერბოლაც კი მასთან მი-მართებით გამოყენებული, უცებ ხუნდება და ქედს იხრის იმ გენიალობის წინაშე, რომლის ზიდვაც ამ ერთი შეხედვით სრულიად უბრალო, ალალ ადამიანს მოუწია.

ზეზვას რომ გაიცნობდი, თავიდან ვერაფრით იფიქრებდი, რომ შენ წინ ამდენი ენის ასე საფუძვლიანად მცოდნე პოლიგლოტი და საერთოდ ასეთი გამორჩეული ადამიანი იდგა. ზეზვა მედულაშვილის ძალიან მოხ-დენილი და ვაჟკაცური, მაგრამ რაღაცნაირად გლეხკაცურად ჯანმრთ-ელი გარეგნობა თავის მიღმა თითქოს საგულდაგულოდ მაღავდა მწიგ-ნობარსა და ესთეტის, რომელსაც არაერთი ენიდან უამრავი შედევრის გადმოქართულებაში ღამეები ჰქონდა ნათენები.

ამას ემატებოდა მისი არაჩვეულებრივი უშუალობა, ყოველგვარი ქედმალობისა და ინტელიგენტური კოხტაპრუნბობისაგან დაცლილი ხა-სიათი, სილალე და მთელი ცხოვრებით გამობრძმედილი კეთილშობილება.

ზეზვა არასოდეს დაიჭრდა თავს შენგან შორის, მით უმტეს, არასო-დეს გადმოგხედავდა ზევიდან და ყოვლად გამოუცდელ ყმანვილსაც კი თავს ისე გაგრძნობინებდა, თითქოს მისი ტოლი და სწორი ყოფილიყავ.

და თუ ამ კეთილგანწყობას, ვერ გაიგებდი, უნებლიერ, რაღაცას გადააჭარბებდი, მაშინაც მაინც შენს სინდისზე იყო ყველაფერი, რადგან თუ ის რამეს გასწავლიდა, აუცილებლად პირადი მაგალითით, დანარჩენი, ანუ რას ისწავლიდი, უკვე მხოლოდ და მხოლოდ შენი საქმე იყო.

სიტყვამ მოიტანა და დაუყინებარია ზეზვა მედულაშვილის მთარგმნე-ლობითი მასტერკლასები, რომლებსაც თითქმის ყოველდღიურად, მხო-ლოდ მისთვის დამახასიათებელი კეთილგანწყობითა და უშურველობით მიტარებდა მე, სრულიად ახალგაზრდას, როცა ბედის წყალობით, გასული საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისში სრულიად უნიკალურ ორგანიზაცია „კავკასიურ სახლში“ უამრავი ღრმა ადამიანისა და მათ შორის, გამორჩეულად საყვარელი ზეზვა ძიას გარემოცვაში აღმოვჩნდა.

ასაკობრივი სხვაობის მიუხედავად, უცებ დავმეგობრდით და თვი-თონ ასეთ დიდებულ მთარგმნელს არასოდეს პეზრდებოდა ჩემი პირველი მთარგმნელობითი ცდები ეკითხა ან უფრო მოესმინა და მერე დიდხანს ემსჯელა და ეკამათა თითოეულ ფრაზაზე, დაემლევინებინა და ხელახლა აეწყობინებინა ეს ფრაზები, გაემკვეთრებინა ან პირიქით გაეფერმკრთა-ლებინა ტექსტის რომელიმე დეტალი და ამით ნიუანსის ისეთი სიღრმეები გადმოშალა ჩემ თვალწინ, რომ სამუდამოდ დავეკავადებინე მთარგმნე-ლების უმშვერიერესი სენით: მხატვრული ქმნილების სრულყოფილებამდე

ამაღლების რელიგიურ ექსტაზამდე მისული აღტყინებით.

რაც მთავარია, ამ ყველაფერს აკეთებდა არა, როგორც მენტორი, არამედ, როგორც შენი თანატოლი, რომლიც თარგმანის ხელობას გასწავლიდა ისე, თითქოს თვითონ სწავლობდა შენგან და ამას უშენოდ ვერაფრით შეძლებდა.

ერთხელ, ჯალალ ედ-დინ რუმის ყაზალების ჩემეული, მაშინ სრულიად ახალი და გამოუქვეყნებელი თარგმანების ასეთი განხილვის მერე, შინ დამპატიუა. გადმოეწყო, რაც კი სპარსული და არაბული წიგნები გააჩნდა, რაც მთელი ცხოვრება, დიდი გაჭირვების პირობებში, რუდუნებით ეგროვებინა და მითხრა:

რაკი შენ მოხვედი, მე ეს წიგნები უკვე აღარ დამჭირდება! ბედნიერი ვარ, რომ კარგი პატრონი გამოუჩნდი! წაიღე, შენი იყოს! ოლონდ თარგმნე, თარგმნე ყველაფერი!

ვითარების მთელი სიღრმე რომ უკეთესად წარმოიდგინოთ, ალბათ, უნდა ითქვას, რომ მაშინდელ თბილისში სპარსულად და არაბულად გამოცემული წიგნების შოვნა პრაქტიკულად შეუძლებელი იყო და ნაშოვნ წიგნს არათუ ჩუქებით, თხოვებითაც კი ძნელად თუ ვინმე გათხოვებდა.

ამიტომ, უცებ ზეზვა ძიას წყალობით, წარმოუდგენელი სიმდიდრის პატრონი გავხდი, მაგრამ ეს ამბავი იმაზე დიდი მნიშვნელობისა იყო, ვიდრე უბრალოდ წიგნების ჩუქებაა. ყოველ შემთხვევაში, ჩემთვის ეს ფაქტი რაღაცით სულიერ ხელდასხმას გაუტოლდა.

ერთი პირობა კი ვიუარე: რას ამბობთ?! თქვენც ხომ თარგმნით! ამდენ რამეს როგორ იმეტებთ-მეთქი!

რაზეც ზეზვა ძიამ გამიცინა და ალალად მითხრა:

არა, შვილო, მე ზარმაცი კაცი ვარ, ლოთობას გადავყევი! შენ კი შეგიძლია ოცდაოთხი საათი იმუშაო და შენი ნიჭი ჩემებურად არ დაანიავო, მოუაროო!

სინამდვილეში ესეც ჩემთვის საჩუქრის მიღების გასაიოლებლად ნათქვამი იყო, რადგან ზეზვა მედულაშვილი გარეგნული დარდიმანდობის, ერთგვარი დაუდევრობის, მოლხენისაკენ ჰედონისტური მიდრეკილების მოუხედვად, არასოდეს ყოფილა ზარმაცი. პირიქით: იშვიათად მინახავს ასეთი რუდუნებით მშრომელი, გამუდმებით მოღვაწე კაცი. მაშინაც კი, როცა სუფრასთან იჯდა და ილხენდა, ის მუდმივად იყო პოეტურ კონდიციაში, ერთგვარ ლიტერატურულ ექსტაზში, რომელიც გარშემო უამრავ ექსპრომტად, კაფიად, პოეტურ გაბაასებად თუ სხარტულად იფრქვეოდა.

ნიჭიერების ამ თვალისმომჭრელ შხეფებს თვითონ ზეზვა ძია თი-

თქოს არავითარ მნიშვნელობას არ ანიჭებდა. ეს იყო მისი პუნებრივი მდგომარეობა, მისი ჩვეულებრივი სამეტყველო ენა, მისი კუთვნილი სივრცე, რომელიც ღვთისგან დაბადებისთანავე ეწყალობა. სინამდვილეში კი სწორედ პოეტური იმპულსის ეს სიცინცხლე იყო მთავარი ყველაფერში, რასაც კი ზეზვა მედულაშვილი წარმოუდგენლად დიდი ოსტატობით აკეთებდა.

გარდა ამისა, მაშინ თუ ბოლომდე ვერ ვიაზრებდი, ახლა ხომ ძალიან კარგად ვიცი, რომ ამდენ ენას ვერასოდეს ვერ ისწავლის ზარმაცი კაცი, თუნდაც ის ზეზვა ძიასავით არაადამიანურად ნიჭიერი იყოს.

ნიჭი თავისთავად, მაგრამ ენების ისე ცოდნას, როგორც ზეზვამ იცოდა, დიდი შრომა, პიროვნული ძალების დიდი მობილიზება ესაჭიროება და, რა თქმა უნდა, ყველა ამ უნარს თავისთავში აერთიანებდა ეს უნიკალური ადამიანი, რომლის მნიშვნელობაც, სამწუხაროდ, მისი სიკვდილის მერე უფრო და უფრო გამოიკვეთება.

სიცოცხლეში კი ასე ოსტატურად დამფარავი თავისი ნამდვილი არ-სისა და მნიშვნელობისა, მისი მსგავსი თითქმის არც აღარავინ შემხვედრია. ზეზვა ძია მთელი არსებით ტკბებოდა იმით, რასაც აკეთებდა, შედეგის მიმართ კი თითქოს სრულებით გულგრილი იყო. ამიტომაც შინ გამოუცემლად, დაუბეჭდავად ეწყო მისი უმთავრესი ნაშრომების ხელნაწერები და რომ არა ნაირა გელაშვილის თავდადება, ზეზვა მედულაშვილის „უბრწყინვალესი „ქოროლლი“ ან სამ ენაზე (სომხურად, აზერბაიჯანულად და ქართულად) მომზადებული საიათოვას უნიკალური გამოცემა დღის სინათლეს კიდევ კარგა ხანს ვერ იხილავდა.

მახსოვეს, როდესაც ზეზვა მედულაშვილის თარგმნილი თურქულენოვანი ეპოსი „ქოროლლი“, საბას შორთლისატში მოხვდა, იმ წელს ჩემი რომელილაც თარგმანიც იყო ნომინირებული. მე კი თავიდანვე ზეზვას, შეიძლება ითქვას, ამ „ცხოვრების წიგნს“ ვეულშემატკავრობდი და გულით გამიხარდა, როცა პრემიაც (სრულიად დამსახურებულად!) მისმა ამ კონგრინალურმა თარგმანმა მიიღო.

მეორე დილით კი ზეზვა მედულაშვილი სატელევიზიო ჩართვაში მიიჩვიეს და მაშინ კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, როგორი დიდი ადამიანი ბრძანდებოდა! თავისი ნამოღვანრით თავმოწონების ნაცვლად, რაც იმ ვითარებაში სრულიად ბუნებრივი იქნებოდა, ზეზვამ მთელი 10 წუთი სხვების, სხვა ნომინანტებისა და მათ შორის ჩემი თარგმანის ღირსებებზე ილაპარაკა და თქვა: აღარ ვიცი, სად ნავიდე, ისე მერიდება ჩემი

კოლეგებისა და განსაკუთრებით ახალგაზრდა მთარგმნელებისა, ისინი ისეთი კარგები არიან!

ეს სიტყვები კი იმიტომ დამამახსოვრდა ამდენ ხანს და ჩემზე მაშინაც იმიტომ იმოქმედა, რომ არც ‘ზრდილობისთვის’ იყო ნათქვამი და არც ისეთი ინტელეგტური ონი, რომლის მიღმაც სინამდვილეში სულ სხვა რამე იგულისხმება.

ზეზვას ამ სიყვარულთან და შინაგან ტაქტთან ერთად, ისეთი კახური პირდაპირობაც ჰქონდა, რაც სიმართლეს სრულიად დაუძაბავად ამოათ-ქმევინებდა ხოლმე და შეგნებულად თუ დადუმდებოდა, სხვა იყო, მაგრამ უმალ თავს მოკლავდა, ვიდრე იმას იტყოდა, რასაც არ ფიქრობდა.

ის უაღრესად დიდ პატივს სცემდა თავისი კოლეგების ნამუშევარს და ამ პატივისცემას თავისებურად გამოხატავდა.

მახსოვს, ერთხელ თავისი თარგმნილი ომარ ხაიამის ხელნაწერი ნამაკითხა. ორმოცდაათამდე რობაი, რომელიც ქართული ხაიამიანას ნამდვილი მარგალიტი იყო. გაკვირვებულმა ვკითხე, კი მაგრამ აქამდე რატომ არ დაგიბეჭდავთ-მეთქი.

რას ამბობ, შვილ! ამათი უმეტესობა ვახოს ჰქონდა ნათარგმნი და თან ისე კარგად, ჩემი რაღა საჭირო იყონ?!

როგორც თვითონ იხსენიებდა, „ვახო“ ანუ ვახუშტი კოტეტიშვილი განსაკუთრებულად უყვარდა. ამ ორი დიდი მთარგმნელის ურთიერთობა საერთოდაც სამაგალითო იყო. ადამიანურად ალბათ ისიც აკავშირებდათ, რომ ორივენი, ვახუშტი კოტეტიშვილიცა და ზეზვა მედულაშვილიცა, ობლად გაზრდილები იყვნენ და ბავშვობის განცდათა ეს ურთიერთმსგავსება ალბათ, მართლაც, გამორჩეულად აახლოებდათ, მაგრამ მთავარი მაინც სულ სხვა რამ იყო: ის, რომ ამ ორს ალბათ ამქვეყნად ყველაზე უკეთ ესმოდა ერთმანეთისა და იცოდნენ ერთმანეთის ყამი და ყადრი.

სწორედ ამ მოწინების გამოხატულება იყო ზეზვა მედულაშვილის პასუხიცა და საერთოდ უესტიც, რომ „ვახოს“ თარგმანის შემდეგ თავისი თარგმანები აღარ დაეპეჭდა, თორემ, რასაკვირველია, თვითონ ზეზვამ ყველაზე უკეთ იცოდა, რომ ორივე ამ ნამუშევარს თანაბარი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან ჩვეულებრივ მეოთხეველს ეგებ ეს ვერც კი შეენიშნა, მაგრამ სპეციალისტისათვის ხომ ცხადზე ცხადი იყო, რომ გარეგნული სტილური მსგავსებების მიუხედავად, თარგმანი ორივეს სრულიად განსხვავებული ყადითა და განსხვავებული მიდგომით შეესრულებინა და რაც მთავარია, ორივეს ზედმიწევნით საუკეთესო გამოსვლოდა.

საერთოდ, თუკი საკითხს ბოლომდე პროფესიულად მივუდგებით,

ალბათ აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ შეუა საუკუნეების აღმოსავლური და კერძოდ, სპარსული პოეტური ნიმუშების თარგმანის ერთიანი უნიფიცირებული სტილისტიკის მიუხედავად, რაც ბევრი მიზეზით და მათ შორის, დედანში ამ ნიმუშთა მოჩვენებითი მსგავსებითაც არის შეპირობებული, მაინც თითქმის ყველა ქართველ მთარგმნელს გამოარჩევს კონკრეტულად თავისი დამლა, რაღაც განსაკუთრებული ნიშანი თუ ნიშანთა სისტემა, რაც მის ნამუშევარს მისივე კოლეგის ნამუშევარში არასოდეს აგარევინებს და მიგახვდრებს, რომ, ვთქვათ, ეს მაგალი თოდეუას შესანიშნავი თარგმანია, ეს ვახუშტი კოტეტიშვილის ბრწყინვალე ნამუშევარი, ეს ნომადი ბართაიას განსაკუთრებული ხმაა, ეს კი ზეზვა მედულაშვილის ნიჭის კაშკაშა ანასხლეტი.

ყოველ შემთხვევაში, ასე იყო აქამდე, ჩვენი მთარგმნელების წინა თაობაში, როცა სხვისი მიგნების მითვისებას კი არა, სხვის შემდეგ თავისი თარგმანების გამოქვეყნებასაც კი დიდი პასუხისმგებლობით უდგებოდნენ.

ზნეობრივი საკითხი ზნეობრივ საკითხად, მაგრამ ასეთმა ასკეტურმა და პატიოსანმა დამოკიდებულებამ ის შედეგი გამოიღო, რომ დღეს აღმოსავლური პოეზიის ქართული თარგმანი უთვალავი ფერით პრწყინავს და, ამ მართლაც რომ, აღმოსავლურ სიჭრელეში ყველა ფერს თავისი პატრონი ჰყავს, თავისი განსაკუთრებულად გამომხატველი და გამომშუქებელი გენიოსი.

ამ სტილისტიკაში განსაკუთრებულად მსუეყ ზეზვა მედულაშვილის ქართულია. ჯილა კახური კილოკავის ძუძუნანოვი მადლიანი ლექსიკა, რომლის ბადალსაც დღეს, სანთლითაც რომ ექბოთ, ვეღარსად წააწყდებით.

ფრაზა კი მასთან ხანდახან ისე მოიქნევს ხოლმე უბეში ჩამალულ ფრანგულს, ისეთ ფერადოვან ნაპერნკლებს გაკვესს თუ ისეთ ნაირნაირ ელფერს გადმოიფარჩავებს საკუთარი სიღრმეებიდან, რომ ყველაზე უფრო წიგნიერი ადამიანებიც კი გაოცებულნი დარჩებიან ხალხური, ცოცხალი სამეტყველო ენის ასეთი ამოუწურავი შესაძლებლობებით.

ისევ ვახუშტი კოტეტიშვილისა და ზეზვა მედულაშვილის თარგმანები რომ ერთმანეთს ამ თვალსაზრისით შევადაროთ, ვახუშტისაც უალრესად მდიდარი ქართული აქვს, ასევე მიახლოებული ცოცხალ სამეტყველო ენის სიღრმეებთან, მაგრამ ვახუშტის ქართული ქართლური დიალექტით, კავთისხეური კილოკავით არის ნასაზრდოები და ეს უკვე თავისთავად აჩენს სერიოზულ ენობრივ და სტილისტურ განსხვავებას ზეზვა მედუ-

ლაშვილის ქართულთან. თანაც ვახუშტი კოტეტიშვილი უფრო მეტად დასდევს მწიგნობრული ქართულის შალაშინსაც, ზეზვა კი ნაკლებად და ამის გამო კოტეტიშვილთან ფრაზა უფრო აკადემიურია, ნასათუთევი, მედულაშვილთან კი როგორლაც პირველქმნილი უბრალოებითა და ცოტა გულუბრყვილოდ მოხეთქილიც.

მესამე და არსებითი განმასხვავებელი ნიშანი კი მათ შორის ქალაქურ ფოლებრორთან, უფრო ზუსტი რომ ვიყოთ, მოდით, ასე დავარქვათ – ვულგარული ორიენტაციის ქართულ ნიმუშებთან – ამ ორი მთარგმნელის დამოკიდებულებაა.

კოტეტიშვილს ემჩნევა, რომ ამ ნიმუშებს (პირობითად: საიათოვას) ზომიერად გამოიყენებს, მხოლოდ ათასში ერთხელ თუ გაურკვეს თავის თარგმანს მათი სტილისტიკისათვის დამახასიათებელ ვულგარულ სიმსუბუქეს.

ზეზვა მედულაშვილს კი უყვარს ეს სტილისტიკა და მისი ესთეტიკა, შემოქმედებითად ეკიდება მას და საკუთარი თარგმანების ერთ მძლავრ შენაკადადაც გარდაქმნის.

ჩემთვის გასაგებია ამ ორი განსხვავებული დამოკიდებულების შინაგანი მიზეზიც: ვახუშტი კოტეტიშვილი აღმოსავლური ენებიდან და კულტურიდან მხოლოდ სპარსული ლიტერატურის მთარგმნელი იყო და, შესაბამისად, სპარსულისათვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებები გადმოჰქონდა დიდი რუდულებით, ზეზვა მედულაშვილი კი, სპარსულის გარდა, თარგმნიდა სომხური, აზერბაიჯანული და სხვა აღმოსავლური ენებიდან და თანაბრად ეძვირფასებოდა ყველა ამ ენიდან ქართულ-ში შემოსული სტილისტური თუ ესთეტიკური ნიუანსი, ისეთებიც კი, რომლებიც სპარსულის მცოდნისათვის სუბკულტურის კუთვნილება და შედარებით დაბალი ლიტერატურული გემოვნების მაჩვენებელია.

ასეთი სპეციფიკური, ეგებ მხოლოდ სპეციალისტებისათვის გასაგები მსჯელობის მიზანი ახლა სულაც არ არის ამ ორი გენიალური მთარგმნელის შედარებითი დახასიათება, ან, მით უფრო, მათი რაიმე ფორმით ერთმანეთთან შეპირისპირება.

ამით მხოლოდ ზეზვა მედულაშვილის შემოქმედებითი თავისებურებების გამოკვეთა მსურდა და, ვინაიდან „მსგავსი მხოლოდ მსგავსითვე შეიცნობა“, ვახუშტი კოტეტიშვილიც, როგორც მისი მეგობარი და თანაბარი სიდიდე, ამიტომ შევარჩიე.

ყოველ შემთხვევაში, ერთი რამ ჩემთვის სავსებით ცხადია:

რამდენიმე წლით ადრე გამოცემული ვახუშტი კოტეტიშვილის „ალ-

მოსავლურ-დასავლური დივანიცა“ და სულ ახლახან დასტამბული ზეზვა მედულაშვილის „აღმოსავლური მზეჭრელიც“ ქართული მთარგმნელობითი ხელოვნების ორი ისეთი სიდიდეა, რომელთა პოლომდე გააზრებასაც და სათანადოდ დაფასებასაც კიდევ მრავალი წელი დასჭირდება.

ამ კრებულის გამოცემით კი ზეზვა მედულაშვილის ოჯახმა და წიგნის რედაქტორმა ანდრო ბუაჩიძემ მხოლოდ ზეზვას ხსოვნისათვის კი არა, საერთოდ, ქართული ლიტერატურისათვის გააკეთეს დიდი საქმე, რადგან გაბნეულ მარგალიტებს ერთ წიგნში მოუყარეს თავი და პრინციპში ისეთი რამ აღასრულეს, რისი გაკეთებაც თვითონ ზეზვა მედულაშვილმა სიცოცხლეში ვერაფრით მოახერხა.

ამის მიუხედავად, „აღმოსავლური მზეჭრელი“ შესაძლოა, სრულად მაინც ვერ ასახავდეს ზეზვა მედულაშვილის, როგორც აღმოსავლური ლირიკის თვალსაჩინო მთარგმნელის უაღრესად მრავალფეროვან და რაც მთავარია, თითქმის უნუგეშოდ აქეთ-იქით მიმოფანტულ მთარგმნელობით მემკვიდრეობას, მაგრამ მაინც ყველაზე უფრო მკაფიო წარმოდგენას შეუქმნის მომავლის მკითხველსა და მკვლევარს ამ უნიკალური კაცის თითქმის ზებუნებრივ შესაძლებლობებზე.

მკითხველს, რომელსაც ასეთი ეპითეტები გადამეტებული მოეჩვენება, დარჩეულებული ვარ, მალე დიდი სიხარული ელოდება, რადგან, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ აღმოსაჩენი ჰყავს ზეზვა მედულაშვილი, ასეთი მრავალმხრივი და განუმეორებელი.

მერე კი, როცა ნახავს მის მიერ სომხურიდან თარგმნილ ჰრანტ მათევოსიანის მოთხრობების ვებერთელა კრებულს „მწვანე მინდოოს“, საიათოვასა თუ სხვა სომეხი პოეტების ლექსებს, ნახავს ზეზვას მიერ აზერბაიჯანულიდან თარგმნილ ხალხურ ეპოსს „ქოროლლის“, და ბოლოს და ბოლოს მის მიერ სხვადასხვა დროს სხვადასხვა ენიდან შესრულებულ და „აღმოსავლურ მზეჭრელში“ თავმოყრილ ამ ბრნყინვალე პოეტურ ნიმუშებს გაეცნობა, ნამდვილად არცერთ აღმატებით ეპითეტს აღარ იხამუშებს მისი მისამართით.

## გიზო ზარნაძე

### ზეზვასთან ერთად აშხაბადში

შუაგული მარიამბის თვეეა. ათას ცხრაას სამოცდამეცამეტე წელი-ნადი იწურება ქრისტეშმობიდან.

ჩვენ ოფლში ვიწურებით თურქმენეთის მზით გამცხუნვარებულ აშხაბადში; ჩვენ, ანუ შემოქმედებითი სამეული, საქართველოს ტელე-ვიზიონიდან აქ მოვლინებულნი: რეჟისორი უშანგი კაპანაძე, ახალგაზრდა აღმოსავლეთმცოდნე და არმენოლოგი, პოეტი და მთარგმნელი ზეზვა მედულაშვილი და მე, თქვენი მონაც და მორჩილიც.

„ჩვენი სამეგობრო ნობათი“ – ასეთი რუბრიკა ჰქონდა იმხანად ტელევიზიის ლიტერატურულ და კულტურულ მნიშვნელობების გადაცემათა რედაქციას.

და აი, ვამზადებთ რუბრიკის პირველ გადაცემას თურქმენეთის მწერალთა კავშირის მდივანზე, მეტად პოპულარულ პოეტზე, ლამის იქაურ იოსებ ნონეშვილზე, ათა ათაჯანოვზე.

ათა-ბატონი იმდენად აღფრთოვანებული გახლდათ ამ ფაქტით, რომ ზედ თვითმეტრინავის ტრაპთან დაგვხვდა. გაუგებარია, როგორ ამოგვიცნო ამ ზღვა ხალხში, დიდი ხნის მეგობრებივით, სათითაოდ გადაგვეამბორა სამივეს, კაკო გასტინიცაო! – პირდაპირ კამნე დამოი, და ლიმუზინით გაგვაქანა მახთუმყულის ქუჩაზე, სახლი 9, ბინა 30-ში.

ვუსხედვართ, სახელდახელოდო, ვერ მოგატყუებთ, საგანგებოდ გამზადებულ სუფრას.

სულ ხუთნი ვართ: მასპინძელი ათა, მისი სიძე ჰაიკა (ადგილობრივი სომეხი) და ჩვენ.

როგორც ჩანდა, იმათი თარგით მდიდრული სუფრა იყო, ჩიტის რძეც რომ არ აკლდა, ოლონდ, იქაური ჩიტის!..

ტრაქეზს მასპინძელი უძღვება, რომელმაც მერიქიფედ სიძეეაცი გაამწესა და სულ იმის ცდაში იყო, მისი ეროვნული წარმომავლობა მხედველობაში გვქონდა, რომ საგანგებოდ შეარჩია სიძედ კავკასიელი В знак глыбокого уважения кавказских народов!..

სუფრა ფინიშს უახლოვდება. ყველანი შემბალნი ვართ.

ერთიც ვნახოთ და, მერიქიფე თამადას სომხურად რაღაცას ეუბნება, თან გაღიმებული მიანიშნებს უშანგიზე. ეტყობა, საყველპურო სომხური ჰაიკასგან შეუსწავლია.

რასაკვირველია, მე და უშო ბაიბურში არა ვართ, მაგრამ ზეზვას

რეაქციამ მიიქცია ჩემი ყურადღება – ერთბაშად დაიძაბა, ფერი აღარ აძევს სახეზე!

ჰაიკას უფიქრია, ამ გაგრია ქართველებს სომხური საიდან ეცოდი-ნებათო და ამიტომაც სტუცა ფეხი ხაფანგში!

კაცი ბჭობდათ... სრულიად მოულოდნელად ზეზვა ჰაიკას წარპშე-კრული ეუბნება: ინჩეს ასუმ, ხარპეროს?! (რას ამბობ, ძმაო?!).

სიტყვაზე უნდა მენდოთ, არადა, უშანგი ახლაც ჯერ კიდევ მხნეობს, ნამდვილად გაუვარდა პირისკენ მიმარჯვებული მწვადნამოგებული ჩან-გალი ჰაიკას ხელიდან!

ორიოდე წუთში ისე გაიცუნცლა ნირნამხდარი ჰაიკა სუფრიდან, კაციშვილს არ შეუნიშნავს.

როდესაც ათა დარწმუნდა, რომ ზეზვას სომხურიც ბრნყინვალედ სცოდნია, სცადა, ბოდიში მოეხადა სიძის მაგივრად, მაგრამ ჩვენ ხომ „აზრზე არ ვიყავით“ – ასეთი რა უთხრა სიძემ სიმამრს...

ზეზვამ, რა თქმა უნდა, აგვიხსნა, რაც მოხდა. ჰაიკას სიმამრისთვის უსომხურია: შეხე, ათაჯან, ამ ქართველს როგორ ტალავერივით გადმოუწვნია ქეჩოდან მონიკელებულ შუბლზე თმა, მარა სეირი მერე იქნება, როცა წარბებიდან მოუწევს თმის გადაფენა, თხემიც რომ მოუტიტვლდება!

ცოტა არ იყოს, უგემურად, მაგრამ ყველას ჩაგვეცინა, ზეზვას გარდა. მიუბრუნდა ათას და ახლა უკვე თავადაც მომდიმარე სთხოვს: გადაეცით იმ თქვენს სიძეკაცს, კოტოვსკივით რომ მოსტვლებია თავ-კისერი და არც წარბები აქვს თვალშისაცემად: ეგ არაფერი, ჩემი ჰაიკ, შენ იყითხე, დრო მოვა და ულვაშიდან რომ მოგიწევს ტალავარის გადაწვენაო!...

და, მართლაც, კავკასიელობის საბუთად, მხოლოდ და მხოლოდ, შავი მსხვილი ულვაში ჰქონდა შიშველ პირისახეზე!

აბა, სიცილიც იმას ერქვა! რაც მთავარია, გულუხვი მასპინძელიც გულიანად ხითხითებდა!...

## ულგუჯა მარლია

### მოგონება

ზეზვა მედულაშვილს არ სჭირდება ეპითეტებით შემკობა...ის ლეთისა-გან გამორჩეული და შემკული გახლდათ...გულწრფელად მიყვარდა, გუ-ლი დამწყვიტა მოულოდნელი გარდაცვალებით...სხვათაგან გამორჩეული უბრალოებით, ალალ-მართალი, მუდამ პოზიტიურად განწყობილი, რასაც გონებამახვილური იუმორითა და კაფიებით მეტად ალამაზებდა...ზომიე-რად ბახუსისა და ნადიმის მოტრფიალეც იყო...ძირის-ძირობამდე უკირ-კიტებდა თითოეულ სიტყვას...ამიტომაც არის მისი თარგმანები შეუ-დარებელი...ლიტერატურული განძი დაგვიტოვა და დარწმუნებული ვარ, სამომავლოდ მრავალი პოეტური თვალ-მარგალიტიც გამომზეურდება... გულში მიხუტებდა მამაშვილურად და მეც სიყვარულით ვპასუხობდი.... ბოლო ჩვენი შეხვედრა „ზაზანოვაში“ შედგა...ჩემი რობაიების საღამო-ზე მოვიპატიუე...ჩინებული სიტყვაც ბრძანა, მომეფერა და სახსოვრად ეს ფოტოც შემომრჩა...დაუბარებია, მშობლიურ სოფელ „არაშენდაში“ მიუჩინონ სამუდამო განსასვენებელი...განა არ ეკუთვნოდა რომელიმე პანთეონში დაკრძალვა, მაგრამ სადაც იბადები და იზრდები, სწორედ, იქ არის გარდაცვლილის უპირველესი პანთეონიც...ადგილმდებარეობით ადამიანების, პიროვნებების ლირსება, ნიჭიერება და მნიშვნელობა არ იცვლება...ჩვენ ხომ ისედაც წუთისოფლის შვილები ვართ...ოდესლაც მამის წიაღიდან გამოსული ზღაპრის გმირივით, მზეჭაბუკივით, მდიდარი და გამარჯვებული ზეზვა მედულაშვილი მამას დაუბრუნდა...

შინ დაბრუნების რობაი:

ზეზვა მედულაშვილის შესანდობარი:

კაცი არა, ფესვმაგარი, წაიქცევა უცებ ძელქვაც,

შეეზარდე სიტყვის უღელს, როგორც გლეხი ხარს და ერქ-  
ვანს...

შენც იყავი ზღაპრის გმირი, რომ დატოვა მამის სახლი, –  
და მდიდარი შინ ბრუნდები, რადგან მამის შვილი გერქვა...

## ზეზვა მედულაშვილის ბიბლიოგრაფია

**პირველი წიგნი თარგმანებისა გამოქვეყნდა 1971 წელს.**

1. ჰერანტ მათევოსიანი, „მიამიტური ამბავი“ თარგმანი სომხურიდან. „ნაკადული“ 1971წ.
2. აზერბაიჯანული ზღაპრები – 1973წ.
3. აზერბაიჯანული მოთხრობები – 1974წ.
4. ათაბეკ ხუნკოიანი – „ჩვენი ძალლი“, თბილისი, 1975წ.
5. სომხური ზღაპრები – გამომც. „ნაკადული“ 1976წ.
6. ჰერანტ მათევოსიანი – „აგვისტო“, თბილისი, 1977წ.
7. ფულოდ თოლისი – „ტიტაზე“ – თბილისი „ნაკადული“ 1979წ. (ტა-ჯიკი მწერალი)
8. ისა ისმაილზადე – ლექსები, თბილისი, გამომც. „საქართველო“ 1983წ.
9. მამედ არაზი – „ანდერძი“ (ლექსები) 1984წ.
10. ჰერანტ მათევოსიანი „ჩემი მგელი“ – გამომც. „ნაკადული“ 1987წ.
11. ჰერანტ მათევოსიანი – „მწვანე მინდოორი“ თბილისი 1987წ.
12. აზერბაიჯანული ეპოსი – „ქოროლლი“ – „კავკასიური სახლი“ – 2003წ. მეორედ – გამომც. აზერ. კულტურული ცენტრი „ვარლიგ“ თბილისში (ორენოვანი გამოცემა) 2010წ.
13. საიათოვა – სამ ენაზე, (ქართული, აზერბაიჯანული, სომხური). სამივე ენაზე ტექსტების დადგენით და მხატვრული თარგმანით. „კავკასიური სახლი“ – თბილისი, 2005 წ.
14. „1001 აზერბაიჯანული ბაიათი“ – ქართულ და აზერბაიჯანულ ენებზე, (ორენოვანი გამოცემა). გამოიცა ორჯერ, 2010წ., 2013წ. გა-მომც. 1 „უნივერსალი“, 2. აზერბაიჯანული კულტურის ცენტრი „ვარლიგი“.
15. ქართული პოეზიის XVI ტომისათვის, რომელშიც შესულია ქალაქური პოეზია, შეადგინა ცნობარი და უცხო სიტყვათა ლექსიკონი.
16. დედანს შეადარა და სომხურ ენაზე რედაქტირება გაუწია ოვანეს კარიოიანისეულ „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანს.
17. კონსულტაცია ჩაუტარა პოეტისა და მთარგმნელს დილარა ალიევას, „ვეფხისტყაოსნის“ აზერბაიჯანულ ენაზე თარგმანის რედაქტირები-სას.

18. ზეზვას რედაქტორობით გამოცემულია მრავალი წიგნი, მათ შორის, ოქტავი ქაზუმოვის „აზერბაიჯანულ ენაზე თარგმნილი ვაჟა ფშაველას „გოგოთური და აფშინა“.
19. „აღმოსავლური მზეჭრელი“, გამომცემლობა „ტრიასი“ 2019წ. 20 დეკემბერი.

ზეზვა მედულაშვილს მინიჭებული აქვს წოდებები და დაჯილდოებულია  
სომხეთის რესპუბლიკის ლიტერატურული პრემიებით:

1. ელიშე ჩარენცის სახელობისა, 1968წ.
2. ლიტ. პრემია – „კანთელი“ („კანდელი“) 2012წ.

#### **აზერბაიჯანის ლიტ. პრემიები.**

1. ნაჯაფ ნაჯაფოვის სახელობის ლიტ. პრემია – 2008წ.
2. ზაჰიდ ხალილოვის სახელობის ლიტ. პრემია 2012წ.

#### **საქართველოს ლიტ. პრემიები**

1. ივანე მაჩაბლის სახელობის პრემია – 1987წ.
2. პრემია – „საბა“ 2004წ.
3. პრემია – „საგურამო“ 2011წ.
4. ქართული კულტურის ამაგდარი – საქართველო – 2011წ.
5. ქართული კულტურის დესპანი – საქართველო – 2012წ.
6. ღირსების ორდენის კავალერი – 2001წ.
7. აზერბაიჯანულ – ქართული წიგნის დღეები – დაჯილდოვდა „დიპლომით“ აზერბაიჯანულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობების საქმეში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის 30 აპრილი, 2009წ.
8. იყო პანეისისა და დმანისის საპატიო მოქალაქე.
9. საიათნოვას სახელობის პრემია (გარდაცვალების შემდეგ) ნაყოფიერი მთარგმნელობითი მოღვაწეობისათვის და ქართულ მწერლობაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის. მაისი, 2018წ.

## ზოგიერთი ცნობა ზეზვას შესახებ

გამოჩენილი ქართველი აღმოსავლეთმცოდნე, პოეტი, მწერალი, მთარგმნელი, პოლიგლოტი, ენათმეცნიერი, საზოგადო მოღვაწე ზეზვა ნიკოლოზის ძე მედულაშვილი.

1957 წელს წარჩინებით დაამთავრა არაშენდის საშ. სკოლა და იმავე წელს ჩაირიცხა ქ. თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტში აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე ირანოლოგის განხრით, სპარსული ენისა და ლიტერატურის სპეციალობაზე. II კურსიდან გადაყვანილ იქნა ახლადგახსნილ არმენოლოგის განყოფილებაზე, რომელიც დაამთავრა კიდეც როგორც არმენოლოგმა, თუმცა სპარსულის სწავლა არ მიუტოვებია და დამოუკიდებლად განაგრძნობდა მის უფრო ღრმად შესწავლად და დაუფლებას. ასევე დამოუკიდებლად სწავლობდა თურქულ-აზებაიჯანულ, თურქმენულ, ტაჯიკურ და სხვა აღმოსავლურ ენებს.

მისი მოზღვავებული ენერგია და ნიჭი აქტიურით აწყდებოდა. ეძებდა საკუთარ თავს და ამ ძიების პროცესში ათას რამეში სცდიდა თავის შესაძლებლობებს. უყვარდა სიმღება, გაიტაცა კლასიკურმა მუსიკამ. იცოდა „დაისის“ აქესალომ და ეთერის, იტალიური ოპერების ცენტრილი არიები და მღეროდა სტუდენტურ შეკრებებზე. უყვარდა ჭიდაობა და უნივერსიტეტის ნაკრებში წარმატებით მონაწილეობდა სხვადასხვა შეჯიბრებაში. ალპინისტობაც სცადა. მრავალჯერ დალაშქრა მთები და მწვერალები: ხევსურეთში, სხვანეთში, მთა-თუშეთში, ორჯერ დაიძყრო 4200 მეტრი სიმაღლის ყუროს მწვერვალი. სულ 13 ხვადასხვა მწვერვალი აქცის დაპყრობილი. უყვარდა ჭადრაკი, შეეძლო მთელი დღე ეთამაშა; თუ არა და – იჯდა და წიგნიდან არჩევდა პარტიებს.

1962 წელს დაამთავრა თსუ. იმავე წელს დატოვებულ იქნა ლაბორანტად არმენოლოგიის კათედრაზე.

1970 – 1973 წლებში სწავლობდა ასპირანტურაში.

1962-1974 წლებში ჯერ ლაბორანტობისა და შემდეგ ასპირანტურის პარალელურად უნივერსიტეტის ფილოლოგიის, აღმოსავლეთმცოდნეობის და კავკასიური ენების ფაკულტეტებზე კითხულობდა ლექსიებს სხვადასხვა არმენოლოგიურ დისციპლინაში (ძველი და ახალი სომხური ენა, სომხური ფოლკლორი, მხატვრული თარგმანის თეორია). ასპირანტურაში სწავლის პერიოდში სხვადასხვა ხელნაწერთა ინსტიტუტებში (პეტერბურგში, ბაქოში, ერევანში, თბილისში) მოძიებული მასალების მეშვეობით შეისწავლა, მეცნიერულ დონეზე დაამუშავა და დაადგინა საიათოვას ლექსების ტექსტები

— ქართულ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე.

ზეზვა მედულაშვილმა დიდი დრო დაუთმო საიათნოვას შემოქმედების კვლევას. აღსანიშნავია, რომ მან ჯერ კიდევ სტუდენტობის პერიოდში, სომხური და აზერბაიჯანული ლექსების პირველი თარგმანები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმანახში „მეგობრობის ცისარტყელა“ გამოაქვეყნა.

1974 წლიდან მუშაობა გააგრძელა საქ. მწერალთა კავშირთან არსებული მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერთობების მთავარ სარედაქციო კოლეგიაში უფროს მეცნიერ-რედაქტორად. 1972 წლიდან მწერალთა კავშირის წევრია. ისი პირველი თარგმანები გამოქვეყნდა ჯერ კიდევ სტუდენტობის პერიოდში, 1961 წელს კრებულში – „მეგობრობის ცისარტყელა“.

თარგმნის სხვადასხვა ენებიდან: აზერბაიჯანულიდან, თურქულიდან, ტაჯიკურიდან, უზბეკურიდან, თურქმენულიდან, სპარხულიდან, სომხურიდან, დაღესტნურიდან, გერმანულიდან, რუსულიდან და სხვ. ენებიდან. თარგმნის მხოლოდ ორიგინალიდან (დედნიდან) – როგორც პოეზიას, ასევე პროზას. თარგმნის კლასიკოსებს, თანამედროვე პოეტებს, მწერლებს, ხალხურ შემოქმედებას. – ფოლკლორს, აშულურ პოეზიას.

